ქართული ემიგრაცია

4(7) / 2016

სარედაქციო
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე
გიორგი მამულია
რუსუდან დაუშვილი
მალხაზ მაცაბერიძე
პაატა ნაცვლიშვილი

© ქართული ემიგრაცია

შინაარსი

ქართული ემიგრაციის ისტორია

მარიამ მარჯანიშვილი / ეპისტოლეებში წარმოჩენილი ემიგრანტის პორტრეტი 7
ეთერ ქავთარაძე / გრიგოლ რობაქიძე ქართული ენის შესახებ 18
დოდო ჭუმბურიძე / აკაკი ჩხენკელის ბოლო დღიური (1951-1958) 22
ლელა სარალიძე / მუსტაფა ჩოკაი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ...31
შოთა ვადაჭკორია / ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხი 1945-1950 წლებში 44

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის

ჟორჟეტას „საქართველო“ და გიორგის „გულის პარიზი“ გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის მიმოწერა (1926-1930 წწ.) / დასაბეჭდად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო **პაატა ნაცვლიშვილმა** 57
ალექსანდრე სულხანიშვილის წერილები შალვა ამირეჯიბს. მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის / **ლალი ცომაიას** პუბლიკაცია..... 127

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობა

ევგენი გეგეჭკორი / ჩემი მოგონებები 154
გიორგი გვაზავა / სიტყვა კარლო ჩხეიძის დაკრძალვაზე 159
რევაზ გაბაშვილი / კავკასიური (თეთრი) რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში / თარგმანი **მაია ვარსიმაშვილი-რაფაელისა** 161

ემიგრაციის მარშრუტები

ნანა ლომიძე / ქართული ემიგრაციის ხმა რადიოში 168
პაატა ნაცვლიშვილი / პრინცი მოკვდა! გაუმარჯოს პრინცს! 177

ახალი საარქივო დოკუმენტები

საქართველოს სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტის მემორანდუმი, წარდგენილი ოტომანთა იმპერიის მთავრობისადმი 1915 წლის 15 ივნისს/ **გიორგი მამულიას** პუბლიკაცია.....189
ახალი მასალა ქართული სამხედრო სკოლის ისტორიისათვის / **ოთარ ჯანელიძის** პუბლიკაცია 196
ხელნაწერთა ოქროს ფონდი. ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმ „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებათა წიგნი / **ჯული გაბოძისა** და **რუსუდან კობახიძის** პუბლიკაცია.....213

რეცენზიები

გიორგი მამულია / დავით ყოლბაიას წიგნი: „რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939“. 219
რუსუდან დაუშვილი / წიგნი აფხაზ არისტოკრატიასა და ემიგრაციაზე.... 221

ახალი წიგნები ემიგრაციაზე 226

ქრონიკა 227

ჟურნალის ავტორები 228

მარიამ მარჯანიშვილი

ეპისტოლეებში წარმოჩენილი ემიგრანტის პორტრეტი

„არის ორი ტიპი დიდი ადამიანებისა: ერთნი არიან უმთავრესად ადამიანები მოქმედებისა, მეორენი აზროვნებისა. პირველნი დიდ როლს თამაშობენ თავის დროისათვის, მაგრამ მათ ფიზიკურ სიკვდილთან ერთად მათი როლიც თავდება.

სულ სხვაა მოაზროვნე, იდეოლოგი. მისი აზრები ავტორის სიკვდილის შემდეგაც ისე აღელვებს, ამოძრავებს ხალხს, როგორც მისი სიცოცხლის დროს. განსაკუთრებით ეს ითქმის იდეოლოგზე, რომელიც ორ მხარეს – აზრსა და მოქმედებას ერთმანეთს უკავშირებს. ასეთია არჩილ ჯორჯაძე, რომლის პიროვნება და აზრი დღესაც უნათებს ჩვენს პარტიას და ქართველ საზოგადოებას.“

არჩილ ჯორჯაძის ირგვლივ იმთავითვე მოიყარა თავი საქართველოს ყოველი კუთხიდან შემოქმედებითმა და ესთეტურად მოაზროვნე ახალგაზრდებმა. მათ შორის იყვნენ ძმები კერესელიძეები.

„ვმუშაობდით „სოციალისტ-ფედერალისტების“ პარტიასთან ლეოც, გიორგიც და მეც (თუმცა პარტიის წევრები არ ვიყავით), რათგანაც მხოლოდ ამ პარტიას ეჭირა ეროვნული დროშა და ჩვენც იმედი გვქონდა, რომ რევოლუცია რუსეთის თვითმპყრობელობას დაამხობდა და საქართველოც თავისუფლებას მოიპოვებდა.

ლეო და გიორგი შვილები იყვნენ მათე კერესელიძისა, მის დროს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტისა, და შვილებს მამის სახლითგან მოჰქონდათ მოვალეობა სამშობლოსათვის ბრძოლისა, აღტყინებული სიყვარული მისი“, – წერდა ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე მიხაკო წერეთელი.[1]

ცნობილი დუშეთის საქმის გამო 1906 წელს ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, მათი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი მოსალოდნელი დაჭერის შიშით შვეიცარიაში გაიხიზნენ.

რუსეთის მთავრობამ მათ კვალს მალე მიაგნო და შვეიცარიის მთავრობისაგან მოითხოვა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გადმოცემა. შვეიცარიის მთავრობამ ისინი დააპატიმრა, რომელთა საქმეს სასამართლოზე მოწვეულმა საერთაშორისო

1 წერეთელი მ., ნეკროლოგი, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, N39-40, გვ. 11-13.

სამართლის ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ნისსმა შემდეგი მსჯავრი დასდო: „რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდგომი საერთაშორისო სამართლისა.

ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან, პოლიტიკური აქტია, და დუშეთის საქმეც. კერესელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემა რუსეთისათვის ამიტომ უკანონო იქნებოდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ პატრიოტულ – რევოლუციონური აქტის ჩამდენნი."[2]

საერთაშორისო სამართლის ძალით განთავისუფლებული ძმები კერესელიძეები ჟენევაში დამკვიდრდნენ. უფროსმა ძმამ ლეო კერესელიძემ ჟენევის უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერ-იურისტი გახდა, ხოლო გიორგი ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი უკვე ცოლშვილიანი იყო და მის მეუღლეს თამარ ციციშვილს პირველი ვაჟი მათე საქართველოში, ხოლო მეორე ვაჟი ლეო (ლულუ) ჟენევაში შეეძინა.



გიორგი და ლეო კერესელიძეები



გიორგი კერესელიძე

ძმებმა კერესელიძეებმა ჟენევაში პეტრე სურგულაძესთან ერთად „სეპარატისტთა ჯგუფი"დაარსეს, რომლის ჟურნალი იყო „თავისუფალი საქართველო". ჟურნალის რედაქტორი იყო პეტრე სურგულაძე, ხოლო თანამშრომლებად და ავტორებად ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და ნესტორ

2 წერეთელი მ., ნეკროლოგი, ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 1962, N39-40, გვ. 11-13.

მაღალაშვილი. პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი ყოველთვიური ჟურნალი 24 გვერდიანი იყო. სულ 1913-14 წლებში ჟურნალის 4 ნომერი გამოვიდა.[3]

ამ ჯგუფმა და მისმა ჟურნალმა მოამზადა ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად. „სეპარატისტთა ჯგუფი", 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტად" გადააკეთეს.

კომიტეტის წევრებთან ერთად გიორგი კერესელიძე ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში მუშაობდა, 1916 წელს ბერლინში „საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" „ქართული გაზეთი" დაარსა, რომელსაც 1917 წლის დეკემბრიდან მის დახურვამდე – 1918 წლამდე რედაქტორობდა გიორგი კერესელიძე.

1918-1919 წლებში გიორგი კერესელიძე მუშაობდა ბერლინში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოში. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წლებში იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აქტიურ პარტიულ საქმიანობას ჩამოშორებული გიორგი კერესელიძე, გერმანიიდან საბოლოოდ საფრანგეთში დამკვიდრდადა ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა გააგრძელა.

და, როგორც ემიგრანტი ვახტანგ ღამბაშიძე 1947 წლის 24 ივლისს შოტლანდიიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „...მაინც რამდენი მასალა დაიღუპა ამ შეჩვენებული ომის წყალობით: ლეო კერესელიძის ნაწერები და წიგნები, გიორგი კერესელიძის, ზურაბ ავალიშვილის, რეზო გაბაშვილის და რამდენი სხვა. აკაკი პაპავას წიგნთსაცავი მგონი გადარჩენილა, მაგრამ შეუძლია კი ვისმე მათი სარგებლობა? – მეეჭვება."[4]

გასული საუკუნის 50-60-იანი წლებში ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ სამშობლოში მიწერ-მოწერა განაახლა. 1956 წელს გიორგი კერესელიძე თბილისში მცხოვრებ დას, ელენე გლურჯიძეს წერდა: „შენი ბოლო წერილი ბერლინში, დაახლოებით, ამ 20-22 წლის უკან მივიღე. დღეს 8 ამ თვის ბარათით უაღრესი ბედნიერება მივიღე. შენ და მელა დავრჩით ჩვენი დედ-მამიშვილებიდან. ლეომ, იასონმა და ვახტანგმა დაგვაობლეს.

მომწერე ხოლმე ყველა ამბები. აკოცე ყველას ჩვენებს და სთხოვე ხან და ხან მაინც ორიოდე სიტყვით გამომებაასონ. ჩვენი იასონის შვილები რომ დიდად ლამაზნი იყვნენ, ამას ხშირად მიამბობდა ხოლმე ლიზა ჩერქეზიშვილი. ერთი პირობა იასონის ბავშვების ბერლინში ჩამოყვანას ვაპირებდი, ხოლო ბევრმა ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებამ ხელი შემიშალა. ეხლა არა ვნანობ. საქართველოს თავისი შვილები თვითონ სჭირიან და მათ გაფანტვა დედამიწის ზურგის სხვადასხვა კუთხეებში დიდი ეროვნული დანაკლისია."[5]

ცრემლნაპკურებ პირველ წერილში სიტყვები ძლივსღა იკითხება. ამდენი ხნის მონატრებულ ძმას სურდა ყველაფერი გაეგო მისი ახლობლების ირგვლივ: „შენი 3 თებერვლის წერილი დიდი ხანია მივიღე და უღრმესი ბედნიერებით წავიკითხე.

მართალია, ბევრი სამწუხარო ცნობებია შიგ (ვახტანგ ქართველიშვილის, საშა ნათიშვილის, ვანო უთნელიშვილის, ტიტო გურამიშვილის, ნესტორ მაღალაშვილისა და კოხტას შესახებ), მაგრამ შენი სიტყვები, კვლავ მიბრუნებენ ბავშვობისას გან-

---

3 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 149-159.

4 შარაძე გ., ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 106.

5 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 16 თიბათვე, 1956.

ცდილ გრძნობებსა და სურათებს. რამდენი ტკბილი და რამდენი მწარე მოგონებანი აღსდგებიან ხოლმე ჩემ თვალთა წინაშე და ჩემი გულის სიღრმეში. ხო, ჩემო ელენე, 13 აპრილს შესრულდება 51 წელი, რაც მე უცხოეთში დავეხეტები ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგრამ განა უკეთესთა უკეთესი ქვეყანა სამშობლოს ადგილს დაიჭერს?!...

მწერ – თბილისს ველარ იცნობო. და, განა, საერთოდ საქართველოს კიდევ ვიცნობ, ღმერთმა რომ მისი ნახვა მაღირსოს?! ფიზიკურად შეიძლება ესა თუ ის კუნჭული კიდევ მეცნობოს, მაგრამ მორალურად? ე.ი ნათესავ-მეგობრები და საერთოდ მთელი ერი და მე, 51 წლის დაშორების შემდგომ კიდევ ვიცნობთ ერთი-მეორეს?!

გავიგე ლიზა თურმე კერესელიძის ქუჩაზე ცხოვრობს. ალბად ივანე კერესელიძის სახელობის ქუჩა იქნება. გიგზავნი ერთ ჩემს სურათს 18 წლის უკან გადაღებულს. მას აქეთ დრომ თავისი მსვლელობა განაგრძო და კვალიც დიდი დასტოვა.

შენი ერთგული და მოსიყვარულე ძმა გიორგი კერესელიძე."[6]

მიუხედავად, ნახევარ საუკუნეზე მეტი წლის გასვლისა, გიორგი კერესელიძე, როგორც ყველა ემიგრანტი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მაინც ღრმა ფესვებით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან. ბუნებრივია, რომ მათ ყოფასაც თან სდევდა სევდა, ტკივილი და მონატრება: „მომაგონდება ხოლმე გორი, სადაც შენ, ლეო, ვახტანგი და მე დავიბადენით. მახსოვს ის სახლი, გორში, იქ სადაც ფშანი ლიახვსა და ლიახვი მტკვარს ერთვიან. მაგონდება ხშირად ჩვენი აღმზრდელი აკვანი, გადახოხილი, ღარიბი, ჭუჭყიანი ახრისი და ვერ აღგიწერ რამდენ პოეზიასა ვპოულობ თუნდაც შემდეგ სურათში: წყლის „ბოჭკა", საღორესთან ახლოს, „ბოჭკის", კრანთან „გობი", სადაც წინწკალ-წინწკალ წყალი გროვდებოდა, გადმოდიოდა და ქმნიდა პატარა წუმპეს, იხვისა და ბატის ჭუკების საბედნიეროთ. მახსოვს დედა, ახალგაზრდა, ლამაზი, ტანადი, კოხტა, ეშხით, მიმზიდველობით, საოცარი კეთილის ღიმილით დიდად დაჯილდოვებული. მისი ლიტერატურული და პოლიტიკური „სალონი"

სტუმრობა, სახლი მთაწმინდაზე – იმედები მომავლისა – მამა, ილიასა და აკაკის რომ აღფრთოვანებით გვიკითხავდა და გვაყვარებდა. ყოველივე ეს და სხვა ბევრი რამ ღრმად და დიდის სილამაზით აღბეჭდილი არიან ჩემს გრძნობებში."[7]

გიორგი კერესელიძის წერილებში სამშობლოსა და ახლობლების მონატრებასთან ერთად საინტერესო ლიტერატურული პასაჟებიცაა გაჟღერებული, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ მის განსწავლულობასა და კრიტიკულ, ესთეტიურ შეხედულებებზე: „ჩემო ელენე, ვამაყობდი და ვამაყობ შენით, და როდესაც წარმომიდგები ხოლმე, როდესაც შენ მომეჩვენები, – ჩვენი ღვთაებრივი ნიჭის გრიგოლ ორბელიანის ლექსი, რუსეთიდგან თავის დას ეფემიას რომ სწერდა გაელვებს ჩემს გულში:

„...დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ...
მისთვის ვლოც ცასა, შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი
არ შეწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ,
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ..."

გრიგოლ ორბელიანი, ჩემო ელენე, მე მიმაჩნია მსოფლიო პოეზიის ერთ ულამაზესს ნიჭთაგან: ქართული სიტყვის სრულმპყრობელი, – დიდი ბატონი პოეზიისა, მუსიკალობისა, მხატვრობისა. მახსოვს, როდესაც მისი პოეზიისა და მამულიშვი-

6 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 7. 03, 1956.
7 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, 4 ენკენისთვე, 1957.

ლობის დაფასებასა ვწერდი – გარკვეულად მესმოდა ძახილი ჩემი სამშობლოისა. თითქოს მიკივოდა მისი ნიადაგი მორწყული მამა-პაპათა სისხლით, გაპოხიერებული მათი ძვლებით: „შენი გვამები მე მეკუთვნის, ისევე როგორც შენი აზრნი, შენი სული, შენი სიცოცხლე. მრავალ ტანჯულ გრიგოლს (სულიერად) – შვილთა იმედიც აღარა ჰქონდა, – სასტიკად შეუტია თერგდალეულებს. თაობამაც ველარ იცნო უცხო სამოსელში გამოწყობილი პატრიოტი; შეშინდა უებარი ვაჟკაცი: „ვაჰ თუ რაც ნახდეს – ველარა ახსდგეს, – სასოწარკვეთილი მგოსანი ღრმად ამოიოხრებს:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით"
და განუტევა სული თვისი.

მე გრიგოლზე ბედნიერი ვარ, რათგან ღრმადა მრწამს რომ ჩვენნი შვილის შვილნი „ლამაზი და ვაჟკაცი ახალგაზრდობა" მოუვლის ჩვენს ქვეყანას და მომავალს შეჰქმნის წარსულის ღირსად. აბა, სხვა ვინა ჰყავს პატრონად „ჩვენს მშვენიერ ქვეყანას!"[8]

ყურადღებას იქცევს ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ გიორგი კერესელიძის დამოკიდებულება. იგი დას წერდა: „ცისკრის" რამდენიმე წერილმა („ცისკარი" N5, 1957) ილიას შესახებ დიდათ დამაინტერესა. ილია ჩემთვის ღვთაებრივი მოვლენაა. მან გადაგვირჩინა სიკვდილის პირზე მისული საქართველო. სამწუხაროდ, კიდევ მთელი სიღრმით ვერ ჩავწვდით მისი შემოქმედების უსაზღვრო განძს. ზოგიერთა ნაწერი, როგორც აქაური, ისე მანდაური ქართველებისა მცდარია, ღარიბი. თუნდ მისი „განდეგილი" ავიღოთ მაგალითად. აქამომდე არ შემხვედრია არცერთი ისეთი განხილვა, რომელსაც ესმოდეს თუ რა რელიგიურ-ფილოსოფიური აზრი სდევს ამ გენიოსურ ნაწარმოებში.

ესეთი ორიგინალური, წმინდა ილიასებრი განხილვა კეთილსა და ბოროტის შორის ბრძოლისა ვგონებ არავისა აქვს. არც Flaubert-ს, არც Zola-ს;არც ტოლსტოის, არც ლერმონტოვს, არც anatol France-ს და არც სხვას."[9]

„წინასწარ კოცნით გიხდი მადლობას ილიას საიუბილეო წიგნისათვის. ილიას ხსოვნა აქაც ვიდღესასწაულეთ. და განა შეიძლება ქართველმა, ვინც ამ სახელის ღირსია, ილია დაივიწყოს?"[10]

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი კერესელიძე საფრანგეთში დამკვიდრებისას ფართო ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩაება. მისი კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ევროპაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთების გარდა იბეჭდებოდა ამერიკაში დაარსებულ ჟურნალ „კრებულში": „როცა ჩვენ გორიდან თბილისში გადავდიოდით მამაჩემის პატივსაცემლად გორის პატრიოტულმა წრემ მის გარშემო გადააღებინა სურათი. მამა ზის შუაში – გარშემო: ზის მამას მარჯვნივ ნიკო ლომოური; მარცხნივ პავლე ბურჯანაძე; უკან დგანან (მარცხნიდან-მარჯვნივ) კონსტანტინე ცხვედაძე, სიმონ გოგლიჩიძე, ა. თოხაძე, ა. დავითაშვილი, სურათის წინ წამოწოლილია ს. მგალობლიშვილი. ეს სურათი მოთავსებულია ჩრდილო ამერიკაში დაბეჭდილ „კრებულში" გრიგოლ (გიგო) დიასამიძის მოგონებებთან ჩართული. დიდი სიმპატიებით იხსენებს გიგო დიასამიძე მამას, ჩვენს ოჯახს, ისევე როგორც ლეოს და მე.

---

8 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 4 ენკენისთვე, 1957.
9 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 11 მკათათვე, 1958.
10 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 16. 05, 1958.

გიგო დიასამიძე და მისი ასული ლოლა ჩრდილო ამერიკაში არიან. ნიუ-იორკში ერთი ქართული ჟურნალი გამოდის. ამ ჟურნალმა წერილი მთხოვა. მივაწოდე ვრცელი განხილვა გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა და მისი პატრიოტიზმისა. ამასწინად მივიღე ხუთი ცალი. ჩემი წერილი ცოტა დამახინჯებულია. ამავე ნომერში მოთავსებულია გიგო დიასამიძის მოგონება გორის ეპოქისა.

ამავე ნომერში მოთავსებულია გიგოს და ლოლას სურათი. გიგო 87 წლისაა, მაგრამ კარგად გამოიყურება."[11]

ნიუ-იორკში ცხოვრების პერიოდში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, გრიგოლ დიასამიძე არ წყვეტდა ლიტერატურულ საქმიანობას. მისი საყურადღებო წერილები და მოგონებები იბეჭდებოდა იქაურ ქართულ პრესაში – „ჩვენი გზა" და „კრებული"

საყურადღებოა ასევე, გიორგი კერესელიძის ეპისტოლეები მთარგმნელობით მუშაობის რაობაზე: „ნუცუბიძის თარგმანის შესახებ რა გითხრა, ჩემო ელენე! იქნებ ყველა თარგმანებს სჯობდეს, მაგრამ ნუცუბიძე რუსთაველი არა არის და ლექსად შოთას თარგმნა შეუძლიან მხოლოდ გენიოსს პოეტს. ბალმონტსაცა აქვს თარგმნილი შოთას პოემა. ნუცუბიძისა უკეთესია, მაგრამ შოთას პოემას შორეულად თუ ჰგავს.

დანტეს „ღვთაებრივი კომედია" სამი თუ ოთხი უკეთესი თარგმანი რუსულად მაქვს წაკითხული, ამდენივე და მეტიც გერმანულად, ესევე ფრანგულად. ხოლო, დანტეს პოემის სიღრმეს და მშვენიერებას რომ ჩავწვდენოდი, იტალიური ენა საგანგებოდ ვისწავლე. ყველა ჩემს მიერ წაკითხულ თარგმანებს არ ძალუძდათ ჩემთვის დანტე ეგრძნობინებინათ. და მთარგმნელებმა 30, 40 და 50 წელი მოანდომეს ამ ძნელ საქმეს. ესევეა გოეტე, ვირგილიუსი, მილტონის „დაკარგული სამოთხე" და სხვა გენიოსური ქმნილებანი. ფრანგთა დიდმა მწერალმა შატობრიანმა თარგმნა „დაკარგული სამოთხე" და ამბობს: ნახევარი ჩემი სიცოცხლისა ამ თარგმანს მოვანდომეო. თარგმნილია პროზით."[12]

შემდგომ წერილში გიორგი კერესელიძე დის შეკითხვაზე პასუხობს: „მეკითხები თუ აქ დასდგეს „ევგენი ონეგინი" და თუ ვნახე. დიდად აქებენ. არ ვიცი თუ დასდგეს. ორიოდე რუსული ფილმი ვნახე მე აქ. უნდა გითხრა, რომ ჩემზე დასტოვეს უხეირო შთაბეჭდილება. ნამდვილი ჩამორჩენილი პროვინციაა. ქართული ფილმებიც (ორიოდე) ვნახე და გული გამისკდა. რაღაც ნაცარ გადაყრილად მომეჩვენა – მტვრიანი, უნიჭო, უხეირო. ერთად ერთი ფილმი რომელმაც აღტაცებაში მომიყვანა, არის ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობიდან აღებული „ვირის ამბავი" გამაოცა განსაკუთრებით ბავშვების ნიჭიერმა თამაშმა. სხვა მსახიობებიც ნიჭიერნი არიან. კარგი ფილმი იმიტომაა რომ უბრალოა, უპრეტენზიო, გულწრფელი"

ამ ეპისტოლეში იგულისხმება თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის რეჟისორობით გადაღებული ფილმი „მაგდანას ლურჯა",რომელმაც 1965 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალზე პრიზი მოიპოვა.

გიორგი კერესელიძე აქვე რუსეთის ხელოვნებასა და მწერლობასაც აფასებს: „რუსული არც ფილმები მომწონს და არც საერთოდ ხელოვნება. რუსები სულ უნიჭო არ არიან ხელოვნების ორიოდე დარგში: სიტყვა კაზმული მწერლობა, ცეკვა, ნაწილობრივ – მუსიკა. არარაობაა მათი ქანდაკება, ხუროთმოძღვრება და მეტად ღარიბია მათი მხატვრობა. მუსიკაში ჰყავდათ ორიოდე, შედარებით დიდი მუსიკოსი:

---

11 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 16. 05, 1958.

12 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 16. 05, 1958.

ბოროდინი (მამით ქართველი – გედევანიშვილი); მუსორგსკი... (ჩაიკოვსკი, რიმსკი კორსაკოვი და ორიოდე სხვა დიდებათ ვერ ჩაითვლებიან). ხოლო არც მუსორგსკი და არც ბოროდინი ვერ ჩაირიცხებიან მოცარტის, მონტე-ვერდის, ბეთჰოვენის, ჩიმაროზას, ბახის, ბრამსის და სხვა გიგანტთა კლასში.

რაც შეეხება სიტყვა კაზმულ მწერლობასა და პოეზიას ყავდათ მათ რამდენიმე დიდი მწერალი: ტოლსტოი, დოსტოევსკი, გოგოლი და შედარებით დიდი ნიჭის პატრონი ლესკოვი და გორკი. სხვები მეორე და მესამე ხარისხის არიან და ისინიც ცოტა.

ბელინსკი ამბობდა პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი კიდევ არ არის ლიტერატურა. და მართლაც: როდესაც მიიღებ მხელველობაში თუნდა ფრანგთა მწერლობას, შედარება აღარ შეიძლება. ეს არის ამოუწურავი სალარო. რუსებმა ვერ მისცეს კაცობრიობას ვერც შოთა, ვერც დანტე, ვერც შექსპირი, მოლიერი, გოეთე, თუგინდ რასინი, მილტონი და უამრავი სხვა. უდიდესი მწერლები რუსებისა რომ აიღო ერთ „დონ-კიხოტად" არა ღირან. ყველაზე ნიჭიერი უეჭველად გოგოლი იყო.

და, აი, იმანაც თავი მოიკლა. იმედ გაწყვეტილმა, რადგან მთელი თავის ქმნილებაში ერთი პოზიტიური ფიგურა ვერ იპოვნა. გოგოლი იყო მორწმუნე ქრისტიანი და ის პესიმიზმი, რომელიც გამოსჭვივის მთელს მის ქმნილებაში აუტანელი იყო მისთვის. რუსები ვერც მოგვცემდნენ საკაცობრიო მოტივებს, რათგან მათი ისტორია აღიზარდა ფეოდალიზმის გარეშე.

გარეშე აღორძინებისა, რუსეთში ვერ წარმოიშვა რაინდთა ინსტიტუტი. ქრისტიანული კულტურა მათთვის მიუწვდომელი დარჩა. 24 თუ 25 წლისა ვიქნებოდი, როდესაც რუსული ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები თითქმის ზეპირად ვიცოდი. პოეზია თუ პროზა. და, აი 50 წელიწადია რაც ვკითხულობ, ვკითხულობ და არა თუ ვერ ამოვწურე ფრანგების ლიტერატურა არამედ მისი ნაწილიც კი. ესევე შეიძლება ვთქვა ინგლისის, გერმანიის, იტალიის ლიტერატურის შესახებ."[13]

ძმები კერესელიძეების მამა მათე კერესელიძე 1873 წელს დასახლდა გორში ილიასა და ანტონ ფურცელაძის თხოვნით. მალე აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო. სოფელი ახრისი, სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრის ხევთან ახლოს მდებარეობს: „იქ, სადაც მეჯუდას ერთი ფშანი უერთდება, მეჯუდა ლიახვს და ლიახვი მტკვარს"

„ჩვენი გვქონდა ჩვენი დედ-მამის სურათი პოეტ იოსებ დავითაშვილის მიერ ამოჭრილი ჩუქურთმიან ჩარჩოში. უკან ეწერა პოეტის სახელით – ჩვენი მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი. იქნება კიდევ არსებობს. ნუ დაჰკარგავ თუ შენს ხელთ არის. დედა-ენის ძველ გამოცემაში იყო მოთავსებული ი. დავითაშვილის „იზარდე, მწვანე ჯეჯილო" – რომელსაც წაძღვნილი ჰქონდა: „ვუძღვნი ლეო კერესელიძეს", ხომ არა გაქვს ეს გამოცემა" (სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ იაკობ გოგებაშვილის დედაენის 27-ე გამოცემაში, რომელიც 1976 წელს გამოიცა დავითაშვილის ლექსს „ჯეჯილს" ეს წამძღვარება აღარ აქვს).

ჩვენ გვქონდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძის პოემა: „თამარ-ღაზნელი", რომელიც მამა ჩვენს უძღვნა...

გვქონდა აგრეთვე დედას მოთხრობა: „ნენე" – მისი ლამაზი ხელით დაწერილი. ნეტავ ვისა აქვს ეხლა – თუ კიდევ არსებობს?" – წერდა თავის დას გიორგი კერესელიძე.

---

13 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 29. 05. 1959.

1959 წლის 15 ივლისით დათარიღებული ეს წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორი მოგვითხრობს მის ექვს დედ-მამიშვილზეც: „ჩემო ძვირფასო ელენე – მიბრძანე შენ მერამდენე იყავი ჩვენს ექვსში – საწყალი ბედუკა (ბავშვობიდანვე გარდაიცვალა) ვახტანგის მომდევნო იყო და ანგარიშს გამიადვილებ, იცი, რომ ჩვენ ყველა ორ-ოროლი წლით ვიყავით ერთი მეორეზე უფროსი... მე დავიბადე 17 (ძველი სტილით) მარტს 1885 წელს. შენ ჩემზე უმცროსი ხარ. რამდენით? ეს შენს სურვილზე არის დამოკიდებული. მანდილოსნის წლოვანება წლებით ხომ არ იზომება – იგი მისი სურვილის შედეგია."[14]

მათე და მარიამ კერესელიძეები 6 შვილს უზრდიდნენ სამშობლოს (მხოლოდ ერთი ადრიანად გარდაეცვალათ) და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ რწმენას, რომ რუსი საქართველოდან უნდა წავიდეს. მათ ოჯახში შეკრებილი საქართველოს მოწინავე საზოგადოება, რომლებიც საქართველოს ჭირ-ვარამზე მსჯელობდნენ, ახალგაზრდებს კიდევ უფრო უმტკიცებდნენ აზრს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ოჯახთან ნათელ-მირონობა აკავშირებდა მწერალ ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ლეო კერესელიძის ნათლია გახლდათ. მისი ორი წლით უმცროსი გიორგის ნათლია იყო ქაიხოსრო ფურცელაძე, ხოლო ერთადერთი ასულის ელენე კერესელიძის კი – აკაკი წერეთელი.

ფშანის ნაპირებზე ძმები კერესელიძეები ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სოფრონ მგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის შვილებთან ერთად თამაშობდნენ და მეგობრობდნენ.

ლეო კერესელიძე და ლეო მგალობლიშვილი ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეო გამბეტას საპატივცემულოდ მის სახელს ატარებდნენ.

ცხადია, ოჯახი და გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ძმები კერესელიძეების თავისუფლების იდეალების ჩამოყალიბებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზდაზე.

„მე ქართველად დავიბადე და ქართველად წავალ საიქიოს", – წერდა იგი დას... „მოვისმინე ხალხური სიმღერები. სამწუხაროდ უცხო რუსული გავლენა ეტყობა ჩვენს გუნდებს. ჩვენი ლამაზი Legato, staccato'an-თი შეუცვლიათ, მაგრამ ჩემს გრძნობებს მაინც ეალერსებიან.მდიდარი მუსიკა გვაქვს და დიდი ქმნილებების შექმნა შეიძლება ნიჭიერი კომპოზიტორის მიერ. ამ 12-13 წლის წინათ, აქაურ ოპერის მომღერლებმა შეასრულეს ორიოდე გალობა ფალიაშვილის ოპერიდან ქართულ საღამოზე. მშვენიერი იყო. ბერლინში რომ ვცხოვრობდით, ჩემთან მოვიდნენ გერმანელები და მთხოვეს ფალიაშვილის ოპერის patitura'- ები გადმოწერე და ოპერაში დავდგამთო. მივწერე ცხონებულ ფალიაშვილს. მიპასუხა: მე თვითონ ვაპირებ ჩამოსვლას და მაშინ ვნახოთო. ის აქ აღარ ჩამოვიდა და მისი ოპერებიც უცნობები დარჩნენ"

„ჩვენი მოცეკვავეები ვნახე, დიდი ხანია ესეთი ეროვნული გრძნობით დაკმაყოფილება არ განმიცდია. საუცხოოდ ცეკვავენ. და, რაც ჩემთვის „უმთავრესია". ჩვენი ეროვნული ცეკვის ძველი, რაინდული ტრადიციები, სავსებით დაცული აქვთ. არცერთ ერს არა აქვს მსგავსი ფოლკლორის ცეკვა. ნინომ 4-ჯერ თუ 5-ჯერ ნახა. მისი მეგობრები აღტაცებულნი იყვნენ. ერთმა ნინოს მეგობარმა ქალიშვილმა „ფართო განათლებისა და არტისტულ გემოვნებით მდიდარმა, მითხრა: ქართველები სულ სხვა ხალხი ხართ. თქვენი მანერა, მოძრაობა, ზრდილობა – ყოველი თქვენი რასის

14 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილი, პარიზი, 15. 07, 1959.

არისტოკრატობის მღაღადებელია. ქალი მოცეკვავეების მოძრაობა პლასტიური, მასთან თავდაჭერილი, მამაკაცების ცეკვა მათდამი პატივისცემას და რაინდულ ტრფობას გამოხატავენ და სხვა ქება-დიდება.

ყველა ჩვენმა ნაცნობმა ფრანგმა დიდი ხოტბა შეასხეს, როგორც ჩვენს მოცეკვავეებს ისე თვით ჩვენს ცეკვას. „Succes" დიდი ჰქონდათ, სამწუხაროდ, თეატრი, სადაც ცეკვავდნენ, პირველ ხარისხოვანი არ არის. უკეთესი თეატრი რომ ეშოვნათ უფრო დიდი დაფასება ექნებოდათ, თუმც ასეც მშვენიერი „კრიტიკა" ჰქონდათ პრესაში. თეატრი, სადაც ცეკვავდნენ, შედარებით მოზრდილია. ვგონებ სამი ათასი ადგილი აქვს. თითქმის ყოველთვის სავსე იყო. პროვინციაშიც დიდი გამოძახილი ჰპოვეს, განსაკუთრებით კი ნიცაში.

ჩემო ელენე რომ იცოდე, რა რიგ მწყურიან თქვენი ნახვა, ნახვა ჩვენი ქვეყნისა. უკვე დიდი ხანია, რაც ფიზიკური ტკივილითა ვგრძნობ სურვილს ჩემი სამშობლოს ნახვისა. თითქოს მთელი ჩემი სხეული მეუბნებოდეს: შენი ძვლები შენს ქვეყანას ეკუთვნიან – „იქა ხარ დაბადებული და იქვე უნდა ჩახვიდე საფლავსა."[15]

გიორგი კერესელიძე სიკვდილამე ატარებდა დიდ ეროვნულ მუხტს. მისი ოჯახის ყველა წევრი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, მაგრამ მათვის უმთავრესი იყო ქართული ენა და საქართველოს თავისუფლება. იგი უცხოეთის ცის ქვეშ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყო ჩართული.

„ამ დღეს (31.01.60) აქაური ქართველობა და ეკლესია, დღესასწაულობენ თბილისის დაარსების 1500 წელს. მე მაიძულეს ამ ზეიმის თავმჯდომარე ვიყო, ძალიან დაღლილ-დაქანცული და დასუსტებული ვარ, მაგრამ ვერა გზით ვერ გადავარწმუნე. „ერთხმად დავადგინეთ და ერთხმად გთხოვთო"

„განმეორებით გმადლობ, ჩემო ელენე, წიგნების გამოგზავნისათვის. ყველაფერი რაც ქართულია, ჩემთვის ბედნიერებაა. აქაური მოგზაურები, თითქმის ყველა, ძალიან აქებენ საქართველოს, თბილისს, ქართველ ხალხს...

ეჰ, რა საშინელი სურვილი მაქვს ჩემი ქვეყნის ნახვისა!"

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხოეთში გადახვენილი გიორგი კერესელიძე 50 წლის გადასახედიდან აფასებდა ემიგრაციაში გატარებულ დროის რაობას და მისი აზრი ექვთიმე თაყაიშვილის შეხედულების თანხვედრი იყო, როცა ეს უკანასკნელი აცხადებდა: „ჩვენ ვერ გამოვდექით ღირსეულ შვილებათ, ვერ მოვუარეთ ბედითგან მოგორებულს თავისუფლებას, ვერ შევხვდით მომზადებული დიდ ისტორიულ მომენტს, რომლის მსგავსი შეიძლება საუკუნოების შემდეგ განმეორდეს. არც სამშობლოში ვვარგოდით და ემიგრაციაში ხომ სულ დავიქსაქსეთ, ჯგუფები ერთმანეთს ჩასდგენიან კრიჭაში, მტრებს კი არ ებრძვიან, ერთმანეთის მოსპობა დაუსახავთ თავის მიზნად.

ყველა ქართველი რომ ერთსულოვნათ ვიყვეთ, მაშინაც ძნელია დიდი შედეგების მიღწევა, თორემ ასეთ დაქსაქსულობაში რაღა სახეიროს უნდა მოველოდეთ?!"[16]

გიორგი კერესელიძე იმთავითვე კარგად ხედავდა „თეთრი გიორგის" ორგანიზაციის ავსა და კარგსაც. იგი, როგორც მიხაკო წერეთელი აცხადებდა: „იყო ამხანაგთა და მეგობართა გამტანი, ერთგული. იგი იყო განუსაზღვრელად გულკეთილი, მუდამ დამხმარე ხელ-მოკლე ქართველთა. სიუხვით და სტუმართმოყვარეობით ცნობილი. და რაც მართლა იშვიათი თვისებაა ადამიანისა, მასაც ჰქონდა: ეს იყო

---

15 გიორგი კერესელიძე, პირადი წერილები, ვეზინე, 16. 05, 1958.

16 შარაძე გ., ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 94.

ოროდეს დამახსოვრება ვისგანმე წყენისა, ოროდეს შურისძიება, ოროდეს ცუდისათვის სამაგიეროს გადახდა. მას არ სწამდა „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ასეთი იყო ცხოვრება და ბუნება ამ კეთილშობილი ქართველისა."[17].

გიორგი კერესელიძე შეუდრეკელი, მაგარი ბუნების კაცი იყო. იგი სიკვდილის ბოლო წუთამდე უმალავდა ახლობლებს მის ავადმყოფობას. სიკვდილის სენით შეპყრობილი იუმორით სავსე წერილს წერდა დას: „მე არასოდეს, ჩემი ნებით, ჩემი ჯანმრთელობისათვის – ექიმისათვის არ მიმიმართავს. ესე ვამჯობინებდი: ისტორია არ იცნობს არც ერთ ექიმს, რომელიც ან ავადმყოფობით, ანდა მოხუცებულობით არ გამოთხოვებოდა ამ წუთისოფელს და თუ ქაჩალი თავს ვერ მოუვლის, სხვას ქოჩორს როგორ შეასხავს. მოლიერი დიდად ჭკვიანი ადამიანი იყო. ერთხელ ავად გახდა. მოსამსახურემ მოახსენა: ექიმი გეახლათ და თვენი ნახვა ჰსურსო. მოლიერმა უპასუხა: წადი ბოდიში მომიხადე ექიმის წინაშე, უთხარი, ეხლა ავადა ვარ და ვერ მიგიღებ, როდესაც სრულად განვიკურნები, მობრძანდეს და დიდი პატივისცემით მივიღებო. მიამბეს, რომ როდესაც პროფესორი შალვა ნუცუბიძე ავად გახდა, უთხრეს: პროფესორი – ექიმი მოვიდა შენ გასასინჯველადო. შალვამ მოიმარჯვა რევოლვერი და დაიძახა: არ შემოუშვათ აქ, თორემ არ დავინდობ, ვესვრიო.

მაგრამ ლულუ და მაია სხვა აზრისანი არიან და ჩემს დაუკითხავად მოიწვიეს ექიმი, რომელმაც, ვფიქრობ მიშველა, რადგან ბევრად უკეთესად ვგრძნობ ჩემს თავს. თუმცა ვინ იცის: ტოლსტოი ამბობს „ომი და მშვიდობა"-ში. ნატაშა გადაურჩა ავადმყოფობას, მიუხედავად ექიმების ჩარევისაო. ამრიგად, მე მოვრჩი, მიუხედავად ექიმების წამლებისა, თუ ექიმმა მომარჩინა. თუმც სავსებით განკურნებული არა ვარ, მაგრამ კიდევ ვკაცობ."

საერთოდ, პოლიტიკურ ასპარეზზე ხელმოცარული ძმები კერესელიძეები ნათლად გრძნობდნენ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებასა და კრიტიკაში უქმად განვლილი მოღვაწეობის არარაობას. ქაოსში ჩავარდნილნი გამოსავალს ახალი თაობის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებაში ხედავდნენ. ერისა და ქვეყნის ბედის ხელმძღვანელობა კი მათი აზრით, მხოლოდ საქართველოსათვის თავდადებულსა და ბრძოლის ქურაში გამობრძმედილ მამულიშვილს ხელეწიფებოდა.

საერთო მიზნის მისაღწევად და რუსეთის სივრციდან საქართველოს გამოსახსნელად წარმოებულ ბრძოლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ძმებმა იმთავითვე ჩართეს თავიანთი შვილები. ლეო კერესელიძემ ბავშვობიდან თავის თანამებრძოლად გაიხადა ერთადერთი ასული მარიამ კერესელიძე, რომელიც მამის მრავალ დავალებათა პირნათლად შემსრულებელი გახლდათ.

ასევე იყო გიორგი კერესელიძის უფროსი ვაჟი მათე კერესელიძე, რომელიც 1942 წლის ზაფხულში კავკასიის ფრონტზე „დივერსანტ-პარაშუტისტთა" ჯგუფთან ერთად გადასროლილი იქნა საქართველოში: „ერთ უკენეთ ღამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში", – იგონებს მათე კერესელიძე.

საქართველოში გადასროლილ „დივერსანტ-პარაშუტისტებს" საქართველოს შინსახკომი სასტიკად გაუსწორდა.

„მათე კერესელიძის ნაამბობის თანახმად საქართველოში მასთან ერთად გადასროლილი ყოფილან: დათიკო ხარისჭილაშვილი, ბურძგლა, შალიკო მაღლაკელიძე, კუკური ქოჩაკიზე და ალექსანდრე კანკავა. მათთან ერთად ყოფილან გერმანელი ინსტრუქტორები, რომლებიც ხეებზე უპოვიათ დახვრეტილები. მ. კერესელიძის

17 წერეთელი მ., ნეკროლოგი, ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 1962, N39-40, გვ. 11-13.

ინფორმაციით, „ალექსანდრე კანკავას თურქეთის საზღვრებისაკენ მოუხერხებია გაქცევა, შ. მაღლაკელიძე კი თითქოს ჩაუქვავებიათ და ისე მოუკლავთ. დანარჩენები სხვადასხვა კუთხეში ტყეებში დაუხოციათ."[18]

თვითონ მათე კერესელიძემ 15 წელი გაატარა რუსეთის საპყრობილეში და ტყვეობის შემდეგ დაუბრუნდა მამასა და ცოლ-შვილს.

შვილის დაბრუნების შემდეგ, სულ მალე, მრავალტანჯული მამულიშვილი გიორგი კერესელიძე „სოფლისა ქმნისა წესითა" გამოეთხოვა სიცოცხლეს. დღეს იგი ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მსგავსად უცხო მიწაზე განისვენებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გიორგი კერესელიძის წერილები, როგორც შინაარსით ასევე თავისი უნიკალური დოკუმენტური მასალებით ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ეპისტოლური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია.

დამოწმებანი

1. კერესელიძე გ., პირადი წერილები, ვეზინე, 1956; 1957; 1958; 1959.
2. კერესელიძე გ., პირადი წერილი, პარიზი, 1959.
3. სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2012.
4. შარაძე გ., ამერიკელი ქართველები, თბ., 1992.
5. წერეთელი მ., ნეკროლოგი, ჟურ. „ბედი ქართლისა", N39-40, პარიზი., 1962.

MARIAM MARJANISHVILI

The emigrant's portrait in epistles

Summary

In the esarly XX century, Giorgi Machabeli, Mikhako Tsereteli, brothers Leo and Giorgi Kereselidze played a certain role in presenting Georgia, which was occupied by Russia, to Europeans.

Brothers Kereselidze established a „Group of separatists" and „Liberation committee of Georgia", later they established „White Giorgi"; these were active party organizations, which did their best to liberate Georgia from Russia.

After the Second World War, Leo Kereselidze was killed during bombing of Berlin, which made Giorgi Kereselidze abandon political activity and he fully dedicated himself to literature.

Since 1956, in his letters addressed to his sister, Ine Glurjidze, who lived in Tbilisi, Giorgi Kereselidze expressed his ideas and opinions about culture, art and writing, which contributes to the Georgian emigrational literature.

18 სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2012, გვ. 350-351.

ეთერ ქავთარაძე

გრიგოლ რობაქიძე ქართული ენის შესახებ

გრიგოლ რობაქიძეს ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებისადმი სპეციალური ნაშრომი არ მიუძღვნია. ამ საკითხთან დაკავშირებთ მოსაზრებები და დასკვნები გაფანტულია მის პირად წერილებსა და ჩანაწერებში. აღნიშნული მასალის ავტოგრაფული ნუსხები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მის პირად საარქივო ფონდში.[1]

საქართველოში წარმატებული ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შემდეგ ბოლშევიზმთან სრული შეუგუებლობის გამო 1931 წელს გ. რობაქიძემ სამუდამოდ დატოვა, როგორც თვითონ უწოდა საბჭოთა კავშირს, „სატანოკრატიის" ქვეყანა. მისი ემიგრანტული ცხოვრება ბერლინში დაიწყო, სადაც გერმანულენოვანი მწერლის ხვედრი ერგო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უმაღლესი განათლება რუსულ და გერმანულ ენებზე მიიღო, ქართულ ენასთან მისი კავშირი ენის გარემოსთან მონყვეტის გამო, ერთი შეხედვით, ეპიზოდური უნდა ყოფილიყო. ასე არ მოხდა. ფესვებს მონყვეტილი მწერლისათვის მშობლიური ენა იქცა სამშობლოდ, საკრალურ წიაღად. 1949 წლით დათარიღებულ ბარათში მიხეილ წერეთელს სწერდა: „ქართული ენა უგენიალესი ქმნილებაა ენათა შორის. ამას შენც გეუბნები, ფილოლოგს, გეუბნები მე არა-ფილოლოგი. კარდუს „ენგადი" ქართულ ენაში ცხადდება და ქართულ მითოსში."[2] „გამოვდივარ ნამდვილი თაურითგან, ქართულის შუაგულითგან." მისთვის „ქართულ სიტყვაში მაცოცხლებელი ძალით ღვივის უძველესი დროის სიბრძნის თესლები." „ქართულში დამარხულ საიდუმლოთა გამოშიგნვისას" მწერალს წინ ეშლებოდა „ქართული ზეპიროვნული გენიის მიერ წარმოსახული სამყარო."

გრიგოლ რობაქიძე სიტყვას მხოლოდ აზრის გამოსახატავად არ იყენებს. იგი მას განიცდის როგორც ცალკე ფენომენს. ენა მისთვის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არაა. მწერალი მას ლოგოსის ნაწილად აღიქვამს და, შესაბამისად, სიტყვის ფორმასა და სემანტიკას სილრმისეულ, ისტორიულ შრეებში მიჰყვება. იქ კი მის თვალთახედვაში მითოსი შემოდის და ენას თავისი ლექსიკით, გრამატიკითა და სტილით ამ ჭრილში მოიაზრებს, რაც მისთვის პროცესის მთლიანობაში დანახვის საშუალებაა. ენისადმი ასეთი დამოკიდებულება განსაზღვრავს გრიგოლ რობაქიძის მწერლური ენის თავისებურებებსა და მის თვალსაზრისს სალიტერატურო ენის ნორმებთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, ზოგადად მწერლის ენა უმეტესად არ ემთხვევა სალიტერატურო ენას. მწერლის ენაში მხატვრულ ტრანსფორმაციას განიცდის და ახალ სიცოცხლეს იძენს ყველა ენობრივი მოვლენა. ამიტომ ის დიალექტურ ფორმებთან ერთად ერთი ძლიერი, მაცოცხლებელი ნაკადია ენისთვის. მით უფრო გრიგოლ რობაქიძის ენა ვერ ფარავს სალიტერატურო ენას, რადგან ის გამორჩევით თამამად ექცევა არა მხოლოდ

---

1 ამ არქივში დაცული მასალების საფუძველზე, 2012 წელს გამომცემლობა „არტანუჯში" გამოიცა წიგნი: გრიგოლ რობაქიძის მიმოწერა, შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ.

2 გრიგოლ რობაქიძის მიმოწერა, შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012, გვ. 307.

ლექსიკას, არამედ – გრამატიკულ ნორმებსაც, თუმცა, როგორც საარქივო მასალა მოწმობს, ძირითადად იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დადგენილ ნორმებს. მიხაკო წერეთელს ერთ-ერთი წერილით სთხოვს აცნობოს, მართალია თუ არა, რომ „იქ" (საქართველოში) III სუბექტური პირის ნიშნად მრავლობითი რიცხვის უწყვეტელში „ნენ"-ს წერენ. თუ ასეა, ჩემს ნაწერებში -ენ -ნენ-ით შემიცვალეო. სხვა წერილში მეორე ფორმის შესწორებასაც სთხოვს. ქართული ნიუანსებით მდიდარი ენაა, მგონი, გაბრუნდა მიუნხენში სწორად არ ვიხმარე, რადგან გაბრუნდა მიუნხენისკენ მოძრაობის დაწყებას ნიშნავს და დაბრუნდა მიუნხენში მოძრაობის დასასრულსო.

მწერლის ენასა და სალიტერატურო ენას შორის ჰარმონიას განაპირობებს თითოეული მწერლის პირადი შემოქმედებითი ტალანტი. ერთგან იგი წერდა: „არსებობს „პირადი ენერგია", გამოუთქმელი, თანდაყოლილი, სასწაულმოქმედი." გრ. რობაქიძის მწერლური ენა სცდება სტილურ და ლექსიკურ ფორმებს. თითოეულ სიტყვასა და გრამატიკულ მოვლენას ის თავისებურად გაიაზრებს. გრამატიკული პროცესებისადმი ავტორის ფილოსოფიურ-ისტორიულ მიდგომაში იკვეთება მისეული დამოკიდებულება. უმეტესად იგი საკუთარი თვალთახედვიდან და შინაგანი ხმიდან გამოდის. მწერალს ენის გრამატიკულ ნორმებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება აქვს. გრამატიკულ ნორმებს თაობები დროის მიერ შეთავაზებული საჭიროებების მიხედვით ცვლიან. ამ პროცესს გარკვეული სოციალური საფუძველიც აქვს. გრიგოლ რობაქიძესთან კი უფრო პირადი დაკვირვება და შეხედულება დგება წინა პლანზე, თუმცა ისე, რომ ცდილობს არ გამოვიდეს გრამატიკული პროცესების ჩარჩოებიდან. გიორგი გამყრელიძესთან გაგზავნილ მის ერთ წერილში ვკითხულობთ: „ზმა თუ მოითხოვს, ასეთს შემთხვევაში ქართული მუსიკალური წესით ჰმართავს გრამმატიულ წესს."[3] ასეთია გრ. რობაქიძის შემოქმედებითი მიდგომა გრამატიკისადმი. მისი აზრით, ენა არ ემსახურება გრამატიკას, პირიქით, გრამატიკა ემსახურება ენას. ამიტომაც ენა მოითხოვს დროის შესაფერის გრამატიკულ ნორმას. ენა არის ლოგოსის ნაწილი და არა მისი გრამატიკა. ენისა და მისი გრამატიკის ასეთი გამიჯვნისას გრ. რობაქიძე საგანგებოდ შენიშნავს, რომ როცა წერს „გრამატიკოსი", არ გულისხმობს „ლინგვისტს" როცა რომელიმე სიტყვას სემანტიკურად განიხილავს, მის ფუძესა და ძირზე არ ამახვილებს ყურადღებას, ამას გრამატიკოსის საქმედ მიიჩნევს. იგი სიტყვას ისტორიულ შრეებში მიჰყვება და მის მითოლოგიურ ფესვებს იძიებს. მწერლისათვის ენა ერთი მონოლითური მოცემულობაა, იგი გაცილებით მეტი დატვირთვის მატარებელი და შინაარსის შემცველია, ვიდრე გრამატიკული ნორმა. „გრამატიკოსს არ მოეთხოვება ფილოსოფოსიც იყვეს უთუოდ, მაგრამ რა ვქნათ, რომ ქართული ზმნის ბოლომდე ამოწურვა მოითხოვს დროის ფილოსოფიურ განზომვას. ეს აკლიათ ჩვენს გრამატიკოსებს. ამით აიხსება, რომ ვერ შეუმჩნევიათ გენიალური სტილი ქართული ზმნისა, მარადი მყოფადი და ვერ აუხსნიათ სისრულით საოცარი ხვეული ქართულში – ერგატივი." გრ. რობაქიძის აზრით, გრამატიკოსები ქართულის ნიუანსებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მისი ფიქრით, საერთოდ, ნიუანსებზე აგებული ქართულის წვდომისათვის აუცილებელია იყო „ენის მესაიდუმლე", „ენის მზმელი". საკუთარ თავს ასეთად მიიჩნევდა. ამ ნიუანსების წვდომის გაფაქიზებული სმენის წყალობით, ეჭვის ქვეშ დააყენა ზოგიერთი ქართულში დამკვიდრებული სიტყვის მართებულობა. ზოგიერთ მათგანს უბრალოდ ასახელებს, ნაწილზე საგანგებოდ მსჯელობს.

---

3 გრიგოლ რობაქიძის მიმოწერა, შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012, გვ. 57.

„დამწერლობა" მაშ, „დამხატვრობაც" შეიძლება. ვინმე შემეკითხება – „დამარხვა" ხომ სწორია ? პასუხი – „დამარხვა-მოქმედებაა, „დამწერლობა" კი საგანი.

„ამოცანა" არხი რომ გასაყვანია, ეს ამოცნობილია, საქმე ისაა, რომ გაიყვანონ" „მიგვანიშნებს". გამოდის ჩვენ ვენიშნებით მას, ნააზრევი კი სხვაა – ჩვენ გვენიშნება ეს"

„ერკინება" უაზროდ გამოჰყავთ „მორკინალისაგან"

„ახლებურად" – უნდა იყოს „ახლურად", „ებურ" ნიშნავს უკვე დადგენილს და არა ახლად შემოსულს"

„ბრჭყალი", „ჭკნობა", „ფხრენს" არაა სწორი, უნდა იყოს: „ბრჭალი", „ჭნობა" , „ფრენს" მწერალი ყოველ სიტყვას და სინტაგმას ლოგიკურად უდგება და ამბობს „გრამატიკულად სწორია, ლოგიკურად კი არა. ჩემს აზრს ოდნავაც ვერ შეარხევს რომელიმე გრამატიკოსი"

ენა საზოგადოებრივი და სოციალური მოვლენაა და ერთი ადამიანი ვერც მის დაკნინებას შეძლებს და ვერც – აღორძინებას, მაგრამ არსებობს ნებისმიერი ადამიანის ენასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების უფლება. ამიტომაც გვხვდება გრიგოლ რობაქიძის ნაწერებში ორიგინალური სიტყვათწარმოება, თუმცა სიტყვათწარმოებისა და ორთოგრაფიული მოვლენებისადმი მწერლის თავისებური მიდგომა თვითმიზანი არ არის. ის დარწმუნებულია თავისი დამოკიდებულების სისწორეში. გიორგი გამყრელიძესთან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ის ჩამოთვლის სიტყვებს, რომლებიც შეიტანა ქართულ ენაში – ცეცხლეული, ნათელმფენი, წვართი, ცნაურება, გონი, ასანთი, ხმაური, ჭედი , ათვისება, არქმევა, ცალკეული, შორეთი, თაური, ასახვა, ახატვა, ასურათება, ახალისება, ქმედი, შეცნეული, ზმანეული, ტეხილი, მთვარეული, თაურმდგენი, მზეოსანი, ვიგზენ, მსოფლხატი და ასე შემდეგ. ძნელია დაბეჯითებით თქვა, რომ ეს ასეა, ამას საგანგებო ლექსიკური ძიება ესაჭიროება. რამდენიმე სიტყვის მისეულ ორთოგრაფიაზეც შევჩერდებით: გაკრვით, შენიშნვა – აქ, ალბათ, ზმნური ფორმებიდან ამოდის: გაკრავს, შენიშნავს.

გრ. რობაქიძის ჩანაწერებსა და ეპისტოლეებში გაბნეული მოსაზრებები ზოგადად ენასა და გრამატიკულ პროცესებზე არაა ყოველთვის თანმიმდევრული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივიცაა, მაგრამ კარგად გვიჩვენებს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ენის, როგორც ლოგოსის ნაწილის, მიმართ. სიტყვა მწერლისათვის მეტია, ვიდრე მისი სემანტიკა. იმ ნიუანსებს, რასაც სიტყვა თავის თავში შეიცავს, მწერალი ისტორიულ შრეებში, მითოსურ წარმოდგენებამდე მიჰყვება. გრ. რობაქიძის მწერლური ფანტაზია და შეგრძნებები უკიდეგანოა. გრძნობ, როგორ ამოიწურა მისგან ყურადღებამიქცეული სიტყვის ყველა შინაარსობრივი, მხატვრული, ფილოსოფიური, ისტორიული არსი. ერთი მაგალითი: „ნაყოფი" – რომელ ენას შეუძლია წაუყენოს ამ სიტყვას გასატოლებლად რომელიმე თავისი სიტყვა? „ნაყოფი" გადასულიცაა და მოსულიც: „გადასული", როგორც „წარსული", „მოსული", როგორც „ხილი" – ხილიც ხომ „ნაყოფია" ქართული შემეცნებით! ნაყოფი – ერთ სიტყვაშია ყალიბებული მთელი ფილოსოფიური სისტემა! მოცემულია მასში: პლატონის „ანამნეზისი", ჰეგელის თეზა: არსითი ყოფა მხოლოდ წარსულიაო, ამრიგადვე ლუდვიგ კლაგესის, ჩვენი დროის მოაზრესი – ჰეგელური დებულებაც, ფრიდრიხ ნიცშეს „მარადი მობრუნება". „ნაყოფი"- სასწაულია ლოგოსისა."[4]

---

4 გრიგოლ რობაქიძის მიმოწერა, შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012, გვ. 308.

გრ. რობაქიძის ცალკეული ჩანაწერებით კარგად გამოიკვეთება, თუ როგორი სიღრმისეული გააზრებით ყალიბდებოდა მისი მწერლური ენა, რომელიც, აზრთა სხვაობის მიუხედავად, თავისი მრავალფეროვნებით ამდიდრებს ქართულ სალიტერატურო ენას.

დამოწმებანი

გრიგოლ რობაქიძის მიმოწერა, შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012.

ETER KAVTARADZE

Grigol Robakidze about Georgian Language

Summary

Grigol Robakidze has not written any special work dealing with the problems of Georgian literary language. His considerations and conclusions about these issues are scattered in his personal letters and notes. Autographic lists of these materials are preserved at K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, in his personal archive fund.

For Grigol Robakidze, the language is not only the means of communication, the writer perceives it as the part of logos and, hence, follows the in-depth historical layer of the world form and semantics. There, the mythos comes to his sight and the language, with its vocabulary, grammar and style is considered in the context and this is the means for seeing the process in its entirety. Such attitude to the language determines the characteristics of language of Grigol Robakidze, as a writer, his views, dealing with the literary norms.

Grigol Robakidze's language goes beyond the stylistic and lexical forms. He interprets each word and grammar event in his own manner. In the philosophical-historical approach of the author shows his attitude. Mostly he relies upon his own vision and his inner sense. The writer has his own views, with respect of grammar norms of the language. Generations change the grammar norms in accordance with the offered needs and this has certain social basis as well. While in Grigol Robakidze's language the personal observations and views are highlighted but so that he stays within the scopes of grammar processes.

Language is a public and social phenomenon and single person is not able to either harm the language or revive it but there exists the right of creative attitude to the language for each person. Therefore, we can see the original derivation of words. Though, the writer's specific approach to derivation and orthography is not a purpose, as such. He still processes the selected forms with the filter of grammar.

დოდო ჯუმბურიძე

აკაკი ჩხენკელის ბოლო დღიური (1951-1958)

II მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა პოლტიკურმა რეალობამ მძიმედ იმოქმედა ქართველი ემიგრანტების იმ ნაწილზე, რომლებიც მთელი ემიგრაციული ცხოვრების მანძილზე ებრძოდნენ რუსულ პოლიტიკას, იღვწოდნენ ევროპის თვალში ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის სამხილებლად, დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. მათ საბოლოოდ დაკარგეს ამის იმედი.

აკაკი ჩხენკელი არ მიმხრობია იმ ემიგრანტულ წრეებს, რომელთაც კვლავ გერმანიის დახმარებით სურდათ ეროვნული მიზნების მიღწევა, ჩხენკელმა ვერ მიიღო ნაცისტური გერმანიის პოლიტიკა და, პირიქით, იმდენად შიშით იყო განმსჭვალული ჰიტლერის რეჟიმისადმი, რომ ომის დაწყებისთანავე საკუთარი დღიურები და ჩანაწერებიც კი გაანადგურა (მეუღლეს დააწვევინა). ამას თავად იხსენებს სიცოცხლის ბოლოს შედგენილ დღიურში: „ერთი მაინც მომივიდა და ამას ვერ მივუტევებ ჩემს თავს: ივნისს, 1940 წელს, თხებივით გავრბოდით პარიზიდან, როცა თვით ფრანგები მილიონობით გარბოდნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთით, დამფრთხალნი, ჯარების უკან თუ წინ, ერთი ჩემი რვეული, გვარიან სქელი, 1933-1940 წ. წ. ჩაწერილი, მაკას[1] მივეცი, დაეწვა, რადგან ბევრი რამე იყო იქ ჰიტლერიანების დამგმობი...“[2]

1951 წლიდან დაუწყია მას ახალი ჩანაწერების გაკეთება სპეციალურ დიდ რვეულში, სადაც თამამად აყალიბებს თავის შეხედულებებს მთელ მსოფლიოში, საფრანგეთსა თუ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებზე. ამ ჩანაწერში ჩხენკელი აღარ არის ოპტიმისტი, ის ევროპელ სოციალისტებსაც არ ინდობს და კრიტიკის ქარცეცხლში ხვევს. საფრანგეთის განადგურებას ომში ის საფრანგეთის მოღალატე მთავრობის დანაშაულად თვლიდა, მაგრამ არც სოციალისტების დანაშაულს ივიწყებდა: „ამაში სოციალისტებს პატარა პასუხისმგებლობა როდი მიუძღვით, – წერს იგი, – ისინი თანაბარ მტრებად აცხადებენ კომუნისტებს და დეგოლისტებს, ბრიყვნი.“

ჩხენკელი არ ინდობს ძველ ემიგრაციას, საბჭოთა სისტემის მიერ განდევნილ ადამიანებს: „ძველი ემიგრაცია უთავო გამოდგა, ერთიმეორეს დაერივნენ იმის მაგიერ, რომ საერთო ძალით ერთგვარი თანაგრძნობა და დახმარება მოიპოონ თავიანთი ქვეყნებისათვის. ქართველებიც არ ჩამორჩნენ სხვებს..“[3] აკრიტიკებს პარიზის ქართულ ემიგრაციულ წრეებს, მათ დაფანტულ და უსაგნო მუშაობას. აქებს ამერიკის ემიგრაციას. „ერთადერთი დადებითი მუშაობა თითქოს ნიუ იორკში სწარმოებს, – წერს იგი, – თუმცა ბევრი არაფერი ვიცი უშუალოდ. ზურაბ ჩქოტუა, რომელსაც არ ვიცნობ, ყოჩაღი გამოდგა, შევიდა გავლენიან წრეებში, ქართულ-ამერიკული ლიგაც დააარსა, მაგრამ საუბედუროდ ავადაა, ორჯერ ოპერაცია გაუკეთეს.“

არ იწონებს საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელის, პირადად

---

1 მაკა – მაკრინე თურქია, აკაკი ჩხენკელის მეუღლე.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 1.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 1ბ.

მისი კანდიდატისა და მისგან დადებითად შეფასებული ქართველი მოღვაწის – ლევან ზურაბიშვილის[4] გადაყენებას. თუმცა, იმასაც წერს, რომ ახალმა თავმჯდომარემ 26 მაისიც აღნიშნა და კარლო ჩხეიძისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის დღეებიც. ჩხენკელი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს: პარიზის 2000 წლისთავს, 4 ივლისს ამერიკის დღესასწაულს – ინგლისის ბატონობისგან განთავისუფლების 175 წელს, კორეის ომის ამბებს, ვითარებას ჩინეთსა და მოსკოვში და სხვ. კარგი საერთაშორისო მიმომხილველის თვალით აფასებს.

1951 წლის 5 აგვისტოს ჩანაწერში დიდ სულიერ დეპრესიაზე საუბრობს, უძილობას, მუდმივ ღელვასა და ცუდის მოლოდინს უჩივის, ეშინია, ისე არ მოკვდეს, რუსეთის დამარცხებას ვერ მოესწროს, იმედს გამოთქვამს: პარტნიორებში ყველაფერი დალაგებული არ უნდა იყოსო, – სსრკ-სა და მის ყოფილ მოკავშირეებს გულისხმობს მსოფლიო ომში.

დრო წავიდა და ბევრი რამ შეიცვალა, ხშირად ისეც ხდებოდა, რომ არც ახსენებდნენ მის სახელსა და როლს ზოგიერთ სამამულო საქმეში, მაგალითად, უნივერსიტეტის დაარსებაში, რაზეც ჩხენკელს გული წყდებოდა. ამაზე მიუთითებს მისი ჩანაწერი: 1951 წლის 19 აგვისტოს ჩხენკელი დღიურში იხსენებდა იმ დღეებში გარდაცვლილ ვახტანგ ღამბაშიძეს[5], კეთილად ახასიათებდა მის ამაგს, როგორც მეუღლის – მაკრინე თურქიას მორჩენაში, ასევე, იხსენებდა ტრაპიზონ-ბათუმის კონფერენციის დროს მის მიერ გაწეულ თარჯიმნობას თურქებთან, რადგან მაშინ გერმანული და ცოტა ინგლისური ცოდნია, თურქებს კი მხოლოდ ფრანგულ ენაზე შეეძლოთ საუბარი და ვახტანგი მითარგმნიდაო. სულ მალე ჩხენკელმა საუცხოოდ შეისწავლა ფრანგული ენა, ისე, რომ ლორდ კერზონს ფრანგულად ესაუბრა პირისპირ, ოფიციალური შეხვედრისას, 1921 წელს. რაც შეეხება უნივერსიტეტის ამბავს, ამაზე წერდა: „ვახტანგმა კარგი წერილი მიუძღვნა „ბედი ქართლისაში“ ჩვენი უნივერსიტეტის პირველ რექტორს მელიქიშვილს, ბევრჯერ ახსენა ივანე ჯავახიშვილის სახელი, მე არც ერთხელ, თვით უნივერსიტეტის გამხსნელი ეროვნული საბჭოს სახელით! მაკრინე და მე ხშირად ვიცინით, როცა ვიგონებთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვას უნივერსიტეტის ათი წლის თავზე: „ბატონი აკაკიც იყოვო.“ მაშინ ის პროფესორიც არ იყო. არც ვიცნობდი. ეგ არაფერი. იქნებ ისე მოვკვდე, ვერაფერი დავწერო...“[6]

საინტერესო არის 1953 წლის 25 იანვრის ჩანაწერი, სადაც ნოე ჟორდანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ამბებზეა საუბარი. მოვიტანთ ჩხენკელის ამ ჩანაწერს მთლიანად: „ჩვენი მოხუცი ნ. ჟ. მოულოდნელად გარდაიცვალა 11 ამ თვეს

---

4 ლევან ივანეს ძე ზურაბიშვილი – (1906-1975), ინჟინერი, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე 14 წლის მანძილზე. ივანე ზურაბიშვილისა და ნინო ნიკოლაძის (1873-1959 წ.წ.) უმცროსი ვაჟიშვილი, არჩილ ზურაბიშვილის ძმა. 1921 წლიდან ოჯახთან ერთად ემიგრაციაშია. დაამთავრა სენტ-ბარბის კოლეჯი და სამთამადნო-საინჟინრო ინსტიტუტი. იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, შემდეგ „თავისუფალ ქართველთა კავშირი“-ს დამფუძნებელი. ლ. ზურაბიშვილი დაკრძალულია ლევილში. მისი მეუღლე იყო ზეინაბ კედია, შვილები – სალომე და ოთარ ზურაბიშვილები.

5 ვახტანგ ღამბაშიძე – (1872-1951), ექიმი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ცემის საბავშვო სანატორიუმის დამაარსებელი, პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, გატაცებული იყო ფოტოხელოვნებით.

6 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფ. 3ბ.

დილის 3 საათზე, მხოლოდ შუაღამიდან წუხილის შემდეგ. დავასაფლავეთ მისი ანდერძის თანახმად 15 ამ თვეს იქვე, ვანეში[7], უსიტყვოდ და უყვავილოთ, სწორეთ მისი დაბადების დღეს. ხოლო 18-ს მისი ქვრივის მიწვევით დავესწარით პარტ. ხალხი 40-მდე და სუფრაზე მჯდართ მან გვიამბო ზოგი რამ ნ. ჟ. უკანასკნელ თვეებში ნათქმი-ნაფიქრიდან. ელოდა სიკვდილსო, უკითხავს სასაფლაოზე ფასი, ვანვი მიუჩნევია თავის დროებით სამარხად, მხოლოდ კუბო მუხის უნდა იქნესო, რომ სამშობლოში უვნებლად ჩავიდესო. ცოტა მიწაც კი ჰქონებია იქიდან. ჩაატანეს. რაც მქონდა, ვუტოვებ ჩემს ცოლს, მის შემდეგ შვილს რედიკსო.[8] ჩემს მაგიერობას ვუანდერძებ ევგენი გეგეჭკორსო (არ დასწრებია, შეუძლოდ იყო), ვერ გავიგე, ანდერძიდან ამოიკითხა ქვრივმა თუ არა: ჩემი ოთახი ლევილში მუზეუმად იქცესო, რატომ მაშინ თვითონ არ ინება ლევილში დაკრძალვა?! რიგით და წესით უკეთესი იქნებოდა ანდერძი წაეკითხათ, გამოექვეყნებიათ. შეიძლება ანი მოხდეს ეს. დასაფლავებას საკმაო ხალხი დაესწრო, მეზობლები, უკრაინელები, ბელორუსები, ფრანგებიც...ბევრი წერილი და დეპეშა მოვიდა სხვადასხვა ქვეყნებიდან, ყველა ეს ცალკე დაიბეჭდება მისი სურათებით. ჩვენ კი განზრახვა გვქონდა სწორედ 18 ამ თვეს გადაგვეხადა მისი დღეობა, ჟურნალის საგანგებო ნომერი უნდა გამოსულიყო, მეც მივეცი წერილი, როგორც გამონაკლისი, თუმცა პარტიულში არ ვწერ ამ უცხოეთში. ნოეს კი უპარტორგანოდ არ წარმოედგინა არსებობა! მე მას ვუსაყვედურებდი ხშირად საზღვარგარეთ ბიუროს სხდომაზე და ის კი არ მპასუხობდა...ამ მხრივ ის „ბოლშევიკი" იყო: „ჩვენი დროშა" პირველ რიგზე და „მებრძოლი საქართველო" მეორეზე. არ მოგაგონებთ „Правда-Известия"-ს? პარტორგანიზაციას უნდა ჰქონოდა თავისი ორგანო, ცხადია, ნოესაც შეეძლო იქ ეწერა, – ესეც ცხადია, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტს შეფეროდა საერთო ეროვნულ ორგანოში ეთანამშრომლა უმთავრესად. ეს მიდრეკილება ნოეს დადებითი მხარე იყო სამშობლოში, თვითონვე დასწერა ბოლო ხანში: ჩვენ არ ვიყავით და არ ვართ მენშევიკებიო, რაც მართალია. რევოლუცურ ბოლშევიზმს დაუპირდაპირა ეროვნული რევოლუცია, უამისოდ სამ წელს კი არა, სამ თვესაც ვერ იარსებებდა ქვეყანა."[9]

დღიურის გვერდზე არის მინაწერი ჟორდანიას ანდერძის შესახებ, ის ს. დ. კრებაზე წაუკითხავს ლევან ფაღავას[10], აკაკი ჩხენკელი შენიშნავს, რომ იქ არც ვანვზე იყო რაიმე ნათქვამი და არც ევგენიზეო.

ნოე ჟორდანიას ამავე 1953 წლის სხვა ჩანაწერიც ეხება. ჩხენკელი აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას მოგონებებს, კერძოდ, რუსეთთან ომსა და მთავრობის მიერ ქვეყნის დატოვებას. ამას თუ წაიკითხავენ, სასაცილოდ გავხდებით ჩვენც და საქართველოც, რადგან ჩვენს გამოსვლებსა თუ წერილებში სულ იმას ვამბობდით, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში ხუთი კვირა ვებრძოდით რუსებს, ამ მოგონებებიდან კი ეს არ ჩანსო. ჩხენკელს რეალური ისტორიის ამგვარი დამახინჯება ერისა და ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიაჩნია.[11]

---

7 ვანვი, პატარა დაბა პარიზთან, სადაც ჟორდანიები ცხოვრობდნენ.

8 რედიკი – რეჯებ ჟორდანია, ნოე ჟორდანიას ვაჟი.

9 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფ. 12ბ.

10 ლევან ფაღავა, – ნოე ჟორდანიას სიძე, ქალიშვილის – ასმათის მეუღლე, პარიზში გამომავალი ემიგრანტული გაზეთის „ჩვენი დროშის" რედაქტორი.

11 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 15 ბ.

უძნელესი იყო ასაკში შესული უსამშობლო პატრიოტისათვის ყოფილ თანამებრძოლთა გარდაცვალება. ახლა მხოლოდ ისინი აკავშირებდნენ სამუდამოდ დაკარგულ საქართველოს, მის ჩვეულებსა და ოჯახურ ტრადიციებს, მშობლიურ ენასა და ისტორიას. 1954 წლის 16 სექტემბრის დღიური ამ სათითაოდ წასულ ადამიანებს ეძღვნება, მათ, რომლებიც ამა წლის შემოდგომის პირველივე თვეში გამოაკლდნენ ქართულ ემიგრაციას. ადრინდელ დღიურებშიც არც ერთი წასული დავიწყნია, ყველას იხსენებდა და თითქმის ყველა მათგანს კარგად ახასიათებდა, შენდობას უთვლიდა და სიბრალულით იგონებდა. ახლაც ასე იყო: „დიდი ხანია ხელი არ მიხლია ამ დღიურისთვის, – წერს აკაკი ჩხენკელი. – ახლაც ავიღე არა საერთაშორისო ამბების ჩასაწერად, თუმცა მათი მნიშვნელობა დიდია, არამედ ჩვენს მიცვალებულებს მინდა ორიოდე სიტყვა ვუძღვნა.

ივნისის დამწყებს ევგენი გეგეჭკორი მივაბარეთ ლევილის მიწას. არა გვყავს ახოვანი, მჭევრმეტყველი, თავმჯდომარედ დაბადებული ევგენი! და როგორ მოულოდნელად გაგვეპარა, ახლაც ვერ მოვსულვართ გონს! თვითონ კი ლაპარაკობდა ხშირად, გული არ მივარგაო, მე კი ერთხელ ისიც მივუგე, რომ ის აზვიადებს, ეჩვენება და სხ. წინ დღესაც ასე მოგვეგება მე და კონია კ-ს[12] თავისას: ერთი ჩვენგანი რომ გარდაიცვალოს, ორნი დავრჩებით, როგორ მოიქცევიანო. ჩვენ გავიცინეთ და კონიამ დაიწყო თავის მოხსენების კითხვა მიუნხენისათვის. მას ეგ არაერთხელ გაეცნო ჩემთვის ნაწილ-ნაწილ თავისას, მე ყურის გდების მაგიერ ევგენის ვაკვირდებოდი... მართალია, ის იქანცებოდა, არ ასვენებდნენ, მნახველნი მოდიოდენ, ტელეფონიც სხვაა. განსაკუთრებით ამერიკ. კომიტეტთან დავიდარაბა ღლიდა, მიწერ-მოწერა, არა-რუს დელეგატებთან მუშაობა... მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მისი სიკვდილისათვის. წარმოიდგინეთ, მისი მეუღლისაგან გავიგეთ ნამდვილი მიზეზი გარდაცვლისა: მართლა გულის ანგინა ყოფილა მიზეზი! უკრძალავდა მეუღლეს გაემხილა! გვცოდნოდა, ჩავერევოდით! სადმე მოვათავსებდით, თუგინდ უფულოთაც, – აი, სიღარიბე...

მეორე დღეს ვალოდია გოგუაძე[13] გაგვეპარა, ჩვენი გმირი მეომარი, ნიჭიერი; ავადმყოფობდა, მართალია, მაგრამ ლექსების წერას არ ეშვებოდა, ბევრი უთქვამს ჩემთვის, ერთი კიდეც დამპირდა, ნ.ჟ. შესახებ დაწერილი, მაგრამ არ გადმომცა. მიზეზი – ემდუროდა. მისმა მეუღლემ, ნამეტიამ[14], თავი გასწირა მისთვის, უვლი-

---

12 კონია კ. – იგულისხმება კონსტანტინე კანდელაკი.

13 ვალოდია გოგუაძე – სოციალ-დემოკრატი, ჯავშნოსანი 80-კაციანი მატარებლის ხელმძღვანელი, განსაკუთრებული გმირობა გოგუაძის რაზმმა გამოიჩინა 1918 წლის იანვარ-მარტში აჭარასა და გურიაში შეჭრილი ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ. 1918 წ. აპრილში მან ჩაქვში დაიხსნა ალყაში მოქცეული პოლკოვნიკ ყარალაშვილის ჯარი. 1918 წ. 13 აპრილს ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს და რევოლუციის პირველი გმირის ნოდება მიანიჭეს. გოგუაძე ჯავშნოსანი მატარებელით მონაწილეობდა მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში, უკანასკნელი ომის დროს მძიმედ დაჭრილი გოგუაძე მეგობრებმა სტამბულში წაიყვანეს, სადაც ის ფრანგულ პოსპიტალში მკურნალობდა. აქ მეუღლემ ჩააკითხა. 1923 წელს ისინი პარიზში ჩავიდნენ და თავი ლევილის მამულს შეაფარეს. გოგუაძემ ემიგრაციაში დაწერა ვრცელი „მოგონებები", თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების საფრანგეთში შესვლისას ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. გოგუაძის „მოგონებების" ფრაგმენტები, რომელიც ძირითადად 1890-1919 წწ. პერიოდს ასახავს, გადაარჩინა და 1963 წ. პარიზში ქართულად გამოსცა მისმა მეუღლემ. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

14 ნამეტია ბერძენიშვილი (1891-1988). იგი მშობლების მეცხრე შვილი იყო. 1919 წელს, მაშინ თბილისის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი, ცოლად გაჰყვა ვალოდია გოგუაძეს და მასთან ერთად იბრძოდა ჯავშნოსანზე. „მე ჯავშნოსანზე მყავდა ახალი მეომარი – ჩემი მეუღლე. ჩემ ძმას და ნათესავებს დავავალე: ბრძოლის დროს ჩემს ცოლთან ახლოს ყოფილიყვნენ და თუ საქმე ცუდად

და სრულიად არაჩვეულებრივად, როგორც პატარა ბავშვს... როგორ გამოიცვალა, დადნა ეს დევი ქალი.

მესამე მიცვალებული, ეს ჩემი თანამშრომელი მიხეილ სუმბათაშვილია[15], გუშინ შესრულდა ორმოცი. ესეც გულით ყოფილა სნეული, თვითონ არ იცოდა, არც მისმა მეგობარმა სოფიკო უშაკოვმა. გარდაიცვალა ბერხტენ გადენში, სადაც ის და სოფიკო გაფრინდნენ. მიუნხენში დასწვეს მისი ფერფლი, ლონდონს გაიგზავნება მისი ცოლის ფერფლთან შესანახად. დიდ ოპერაციას გადაურჩა გაზაფხულზე, მოკეთდა, გამაგრდა, არავინ ელოდა ასეთ ბოლოს. პატიოსანი, მამულის ერთგული, რაინდი, დიდხანს ვერ შევურიგდები მის ასე უეცრად გაქრობას...

მეოთხე ვალოდია სულაქველიძე[16], აქვე არპაჟონში გარდაიცვალა. ვერც კი ვნახე ცოცხალი, სასაფლაოზეც ვერ დავესწარი, ავად ვიყავი. არაჩვეულებრივი ადმინისტრატორი, ბევრი ქება გამიგია აბხაზეთში, ქუთაისში და არ ვიცი კიდევ სად, თავისუფლების დროს! ხნოვანებით ყველა ესენი ჩემზე უმცროსნი იყვნენ...

ამერიკაში გარდაიცვალა ირაკლი ორბელიანი[17], შვილი ელისაბედისა[18], რომელიც დამოუკიდებლობის დროს სცემდა ფრანგულად თბილისში თავისუფალ გაზეთს. ირაკლი უკანასკნელად რადიოთი ელაპარაკებოდა ნიუ-იორკიდან საბჭოთა კავშირის მოქალაქეთ, მათ შორის ქართველებს, რეჟიმის წინააღმდეგ."[19]

გაუხარდა თუ არა აკაკი ჩხენკელს ბერიას დაპატიმრების ამბავი, რომელიც მას სტამბოლიდან აცნობა სანდრო მენაღარიშვილმა[20] 1953 წლის 25 აგვისტოს,

---

წავიდოდა, მოეკლათ კიდეც, რათა ოსმალებს ტყვედ არ ჩავარდნოდა", წერდა გოგუაძე. ნამეტია ბერძენიშვილის ინიციატივით შეგროვებულ იქნა თანხა, რომლითაც შეიძინეს მიწა და მოეწყო ლევილის ქართული სასაფლაო. მანამდე პარიზში და მის ახლომახლო მცხოვრები ქართველებიც სულ სხვადასხვა ადგილას საფლავდებოდნენ. ადგილობრივმა კომუნამ ემიგრანტ ქართველებს ლევილს გარეთ მცხოვრებ ქართველების დასაფლავების ნებაც დართო. ამის გამო ნამეტიას „ლევილის დედა" შეარქვეს. 1970-იანი წლების დამდეგს საფრანგეთში ქართული სათვისტომოს გამგეობამ, პირველად სათვისტომოს ისტორიაში, ნამეტიას საპატიო წევრის წოდება მიანიჭა.

15 მიხეილ სუმბათაშვილი – ეროვნულ-დემოკრატი, საქართველოს წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში დავით ღამბაშიძის შემდეგ.

16 ვალოდია სულაქველიძე, – სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

17 ირაკლი ორბელიანი (1901-1954), – ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა და მამუკა ივენეს ძე ორბელიანის ვაჟი, მუსიკოსი, ცნობილი პიანისტი, ქართული სათვისტომოს დამაარსებელი აშშ-ში. საქართველოს გასაბჭოების დროს ის საზღვარგარეთ ტურნეში იმყოფებოდა და სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. მართავდა კონცერტებს ევროპასა და ამერიკაში. 1941 წელს სან-ფრანცისკოში დაქორწინდა მერი ლი მაკნაიტზე, 1945 წელს მეუღლეს ისე გაშორდა, შვილი არ ჰყოლიათ. მუშაობდა რადიო „ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციაში, ბოლოს კი „საბჭოთა კავშირის სექციაში." 1954 წელს გარდაიცვალა ლეიკემიით, დაკრძალულია ნიუ-იორკში.

18 ელისაბედ ორბელიანი (1870-1942), – ერეკლე ბაგრატიონისა და თამარ ჭავჭავაძის ასული, ცნობილი მთარგმნელი, ფრანგული ენის პირველი ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1882 წელს ირაკლი ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე ორ მცირეწლოვან გოგონასთან ერთად (12 წლის ელისაბედი და 10-ის ეკატერინე) საზღვარგარეთ გაემგზავრა. ცხოვრობდნენ შვეიცარიაში, იტალიასა და საფრანგეთში. ისინი სამშობლოში 1895 წელს დაბრუნდნენ. ეკატერინემ იმავე წელს იქორწინა ივანე რატიშვილზე, ელისაბედმა კი 1898 წელს მამუკა ივანეს ძე ორბელიანზე. შეეძინათ ორი ვაჟი – თამაზი და ერეკლე.

19 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 19.

20 სანდრო მენაღარიშვილი – სოციალ-დემოკრატი, ნოე რამიშვილის ახლო მეგობარი. მასთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც რამიშვილი მოკლა (1930 წ.) ბოლშევიკებისაგან მოსყიდულმა ქართველმა ემიგრანტმა ჭანუყვაძემ.

ძნელი სათქმელია. ის უკვე დაღლილი იყო საბჭოთა სახელმწიფოს კრახის მოლოდინით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედით, ქართული საზოგადოების ბრძოლისუნარიანობის დანახვის იმედით. მაინც გაუგზავნია თურქეთში მენაღარიშვილისთვის წერილი, გადაუმოწმებია საქართველოდან მიღებული ცნობა, ბერიას გამო ხალხი გამოვიდაო. „თქვენი ინფორმაცია, საქართველოში ბერიას გაპალაჩების გამო გამოსვლები დაიწყოო, არ არის მართალი, – წერდა მენაღარიშვილი. – მართალია, მხოლოდ საქართველოში იჭერენ და ხსნიან ბერიას ბევრ მომხრეებს, კომუნისტებიდან. ერთხელ კიდევ ირკვევა, რომ ბერიას და მის მსგავსებს საბჭოთა კავშირში და არც საქართველოში ნამდვილი მეგობარი არც ჰყოლიათ და არც ჰყავთ. აბა დიქტატორს სად ჰყოლია მეგობარი, რომ ბერიას ყოლოდა! იქ ბატონობს მარტო სერვილიზმი და მლიქვნელობა. პირველივე ცნობა ბერიას შესახებ მე გავუგზავნე ევგენის 13, VII-ს. ეს ცნობა მიღებული იყო თბილისიდან სრულიად მოულოდნელი გზით და არაფერს ამბობდა რაიმე „გამოსვლებზე“ ან აღელვებაზე, პირიქით ბერიას მეგობრები იჩქაროდნენ მისგან „გამიჯვნას“ ხალხი გულგრილად შეხვდა „ბერიას უბედურებას.“

ქართველი ხალხი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ემიგრაციაში ზოგიერთს ეგონაო, მენაღარაშვილი წერდა ვ. ბაქრაძეზე[21], რომელმაც რუსეთის უმაღლეს საბჭოში ქართველი ხალხის სახელით წარმოთქვა სიტყვაო. ქართველ ხალხს საერთო არაფერი აქვთ მის ჯალათებთან, ბერია-სტალინი მათთვის ისეთივე მტრები არიან, როგორიც მოლოტოვ-მალენკოვიო.[22]

ვერც დრომ და ვერც შექმნილმა მსოფლიო პოლიტიკურმა რეალობამ ვერ დაავიწყა სტალინის მიერ ჩადენილი ვერაგობა დამოუკიდებელი საქართველოსადმი. მისი აღზევების ხანაშიც კი დაუნდობლად აკრიტიკებდა საბჭოთა ბელადს, გარდაცვალების შემდეგ კი, მითუმეტეს...

1955 წლის მარტში ვაშინგტონში გამოქვეყნებულმა იალტის კონფერენციის ოქმებმაც ა. ჩხენკელს პროტესტის გრძნობა გაუძლიერა რუზველტისა და ჩერჩილის მიმართ, რომლებიც ასე მოწინებით ესაუბრებოდნენ სტალინს. ჩხენკელი აკრიტიკებს ინგლის-საფრანგეთის ლიდერებს, რომ მათ არ იციან საბჭოეთი ისე კარგად, როგორც სტალინმა იცის მათი ქვეყნები და მათი პოლიტიკური ზრახვები. აკრიტიკებს მათ უსაზღვრო დათმობების გამო და საჭოთა კავშირის ასე გაძლიერებისათვის. „სტალინს რუზველტი და ხშირად ჩერჩილიც უწოდებენ Unsle jae (ძია ჯო) და ისიც იფერებს! გაგიკვირდება, ეს ვერაგი დესპოტი როგორი თავაზიანია სიტყვა-პასუხში. ეს ხელს არ უშლის, რა თქმა უნდა, გერმანიის სრული დაშლა მოითხოვოს: პრუსია ცალკე სანახევროდ, პოლონეთი თავის ლუკმად, ბავარია და სხ. ცალკე, რური საერთაშორო მისი მთავარი მონაწილეობით და სხ., ბერლინის ბედიც გადაჭრილია, ვინ ჩაუსწრებს, აი, რა აინტერესებს რუზველტს და ეს სწორეთ ამართლებს იმას, რაც ჩაიდინეს ამერიკელებმა: მათ შეეძლოთ არა მარტო ბერლინში და ჩეხოსლოვაკიაში „ჩაესწროთ.“ ჩერჩილი ბევრს სწერდა პოლონეთის ბედზე, ოქმებში არა სჩანს ეს. ერთი სიტყვით, მიანებეს „სატელიტები“, რუმინიას ახსენებენ ერთ ადგილას, უნგრეთსაც, მაგრამ მათი ბედი მტარვალს ჩაბარდა უსიტყვოდ. რასაკვირვე-

---

21 ვალერიან ბაქრაძე – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, 1937-1947 წწ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 50-იან წლებში.

22 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 420, ფურც. 1-2.

ლია, ზავზედაც ლაპარაკობენ, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციებზე, სათითაოთ თითქოს ყველამ, მაგრამ გადამწყვეტნი „მარტო დიდებია“, – ამას იცავს სტალინი. საფრანგეთის მონაწილეობა დიდებთან მას არ უნდა, არ უომნიათო, და მისი პარტია ხომ სწორედ ამას უქადაგებდა აქაურ კომუნისტურ პარტიას!

საინტერესოა როგორ ჩარიეს საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომში. სტალინი აცხადებს, მე არა ვარ იაპონიასთან ომში და ახლა რად უნდა ვეომოო, მაგრამ ეს ვაჭრობას ნიშნავს, რას მისცემენ! მართლაც, სამხრეთ სახალინსა და კურილიის კუნძულებს დაჰპირდენ. და იმავე დროს, თითქმის მეორე დღეს დაეცა იაპონია, როცა ბომბები მიახალეს ჰიროშიმასა და ნაგასაკს. არ შეიძლება რუზველტს არ სცოდნოდა ეს დაბომბვა, მაგრამ მაინც აჩუქა...“[23]

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი აკაკი ჩხენკელს II მსოფლიო ომის შემდეგმა მსოფლიოს გადანაწილების პროცესმა და დედამიწის თთქმის ერთ მეხუთედზე საბჭოეთის გაბატონებამ ჩაუკლა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა იქნებ ისევ აუნთო იმედის ნაპერწკალი, მაგრამ ბრძოლა აღარ შეეძლო, არც ასპარეზი ჰქონდა და არც საამისო ასაკი. თუმცა, მის ბოლო ნაწერებში მაინც გაკრთება იმედი იმაზე, რომ იქნებ თავად შიგნიდან დაიშალოს ქვეყანა, **„ერთმანეთი არ დაინდონ“**[24] იმ პოლიტიკურმა ლიდერებმა, რომლებიც საბჭოეთის სათავეში დგანან. აი, რას წერდა ჩხენკელი სკკპ XX ყრილობის შესახებ, რომელმაც დაგმო სტალინის პიროვნების კულტი და ქვეყნის ცხოვრებაში ერთგვარი „ოტეპლენიეს“ ხანა მოიტანა.

„19 II-ს გაიხსნა საბჭოთა კომპარტიის მე-20 კონგრესი (ჩხენკელი ყრილობას კონგრესად მოიხსენიებს). პირველი მდივნის 7-საათიანმა სიტყვამ ორი სხდომა მოინდომა. ხრუშჩევი დაუსრულებლად იწუნებს ჩვენი ქვეყნის მოღალატის – სტალინის დიქტატურას და მის მაგიერ კოლექტიურ დიქტატურას არჩევს, იცავს მშვიდობიან თანაარსებობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, იმასაც კი უშვებს, შეიძლება კაპიტ. ქვეყნებში სოციალიზმმა გაიმარჯვოსო. მიქოიანი, – სტალინის ლაქია, – ახლა უკვე აშკარად ესხმის თავის ბატონს თავზე. მისი ესა თუ ის ნაწერები დიდი შეცდომა იყოვო. ასეა სხვებიც: კაგანოვიჩ-მალენკოვი. ბულგანინმა დიდი დრო მოანდომა მეექვსე 5-წლედის ჩატარებას, ასე რომ, 1960 წელს კომუნიზმი განხორციელდებაო. სოციალიზმი ხომ დღესაც ხელში აქვთ, ამის საეჭვოდ გამოცხადებისათვის მოლოტოვი რაღმე აწამეს, ის მოლოტოვი, რომელიც თითქმის ერთი გადაურჩა ლენინის გვარდიას. მაშ, კონგრესი ისევ იწყებს ლოცვას მარქსიზმ-ლენინიზმის წინაშე, არ იციან რა უყონ მარშალ სტალინის ძეგლს ლენინის ძეგლის გვერდით! ერთი საყურადღებოა: ბულგანინის ხარბი თვალები ხრუშჩევის უკან, რომელიც ესალმება უკრაინელ ქალს: არა, საეჭვოა ამ ბატონებმა ერთმანეთი დაინდონ!...“

მიუხედავად ამ ოპტიმისტური გამონათებისა, აკაკი ჩხენკელმა კარგად იცოდა, რომ ყველა იმედი ამაო იყო, როდესაც ქართული ემიგრაციის შიგნით ერთიანობა არ არსებობდა. მსოფლიო პოლიტიკას როდესაც აანალიზებდა (და ეს იმდენად კარგად აქვს გაკეთებული 1951-1958 წლებში, რომ ამ დროის მსოფლიო ისტორიის სპეციალისტებს უეჭველად დიდ დახმარებას გაუწევს!), მას მაინც საკუთარი ქვეყნის ბედი აინტერესებდა იმ დიდი პოლიტიკის ფონზე. და რა უნდა ყოფილიყო ეს იმ

---

23 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 20 ბ.

24 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 22 ბ.

მცირე ჩანაწერის მიხედვით, 1958 წლის 12 თებერვალს რომ გაუკეთებია: „რეზო გაბაშვილი და დათა ვაჩნაძე ილაშქრებენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მიზეზი თითქოს გრ. ურატაძის[25] წიგნი იყოს. და ეს მაშინ, როცა ვცდილობთ ყველა პატრიოტული პარტიების გაერთიანებას!"[26]

დიახ, აკაკი ჩხენკელი გამაერთიანებელი ადამიანი იყო, ის უმიზეზოდ არასდროს შედიოდა მძაფრ პოლემიკაში, და თუ შევიდოდა, იქიდანაც ისევე მშვიდობიანად, საქმიანად აღწევდა თავს, რომ მტრად არავინ უხდებოდა, თავადაც ყველას მოყვარე და კეთილისმყოფელი იყო და მის მიმართაც ასეთივე განწყობას იჩენდნენ სხვები.

აკაკი ჩხენკელის დღიურის ბოლო ჩანაწერი 1958 წლის 10 ნოემბრით თარიღდება. აქ მთელი მისი სულისკვეთება ჩანს, სიბერე და სიკვდილის სიახლოვეც იგრძნობა და აკაკი ჩხენკელის კუბოს კარამდე მისული ოცნებაც სამშობლოსათვის მებრძოლ ეროვნულ ძალთა გაერთიანებასა და გამარჯვებაზე.

„2 და 9 ნოემბერს მოხდა პოზიცია-ოპოზიციის გაერთიანება, ერთი ს. დ. ორგანიზაციის დაარსება და მისი პრეზიდიუმის არჩევა. პირველ სხდომას არ დავსწრებივარ, არ დამიძახეს, მეორეს სულ ბოლომდის არ დავსწრებივარ, მაგრამ შედეგი ცხადია: ერთხელაც არ უხსენებიათ კავკასია. თითქოს თურქეთი და ირანი არცკი არსებობენ! ემყარებიან სამართლიან საქართველოს იურიდიულად ცნობას, მის კეთილგანწყობილებას რუს მემარცხენე პარტიებთან, ისე, როგორც არარუს ჩაგრულ ერებთან, მაგრამ კავკასიის ხსენებას გაურბიან! და ეს მაშინ, როცა მიუნხენში გამოდის ამერიკელების „Caucasian Review", აგრეთვე ეგ პერიოდული გამოდის, როგორც ამბობენ, თურქულათაც სტამბოლში... როგორც წინეთ, ახლაც გურულები მიუძღვიან საქმეს. ერთი იმერელი, რომელმაც ძალიან შეუწყო ხელი აქ პარტიულ გაერთიანებას, რაჟდენ არსენიძე[27], გურულებსაც უსწრებს წინ: მას მხოლოდ თურქეთი ეზმანება, რგორც მთავარი მტერი ჩვენი ქვეყნისა.

რაღა სხვებს უნდა ვუსაყვედურო, როცა მე თვითონ უმოქმედოდ შევყურებ სხვებს, არ ვერევი, არ ვიბრძვი! სიბერე მერევა, არც ვარ კარგად და ასეთ პირობებში ფუჭია თავის მტვრევა."[28]

იმედსაც გამოთქვამდა, რომ ერთ საჯარო ლექციას მაინც წაიკითხავდა, სადაც მისთვის საინტერესო პოლიტიკურ თემებს შეეხებოდა. იმედი არ გამართლდა. ამ დღიურის დაწერიდან ორი თვეზე ნაკლებ დროში, 1959 წლის 5 იანვარს აკაკი ჩხენკელი გარდაიცვალა. მისი ბოლო ნავსაყუდარი ლევილი გახდა, სამშობლოდან დევნილი ქართველების სამუდამო განსასვენებელი.

---

25 გრიგოლ ურატაძე (1878-1959) – სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, გააფორმა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, დაკრძალულია ლევილში.

26 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 26 ბ.

27 რაჟდენ (მიშა) არსენიძე (1880-1965), – სოციალ-დემოკრატი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, იურისტი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1919), 1921 წლიდნ პოლიტიკური ემიგრანტი.

28 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 243, ფურც. 28.

DODO CHUMBURIDZE

Recent Records (1951-1958) of Akaki Chkhenkeli

Summary

The new political realism, created after the second world war was heavily influenced of the part of Georgian immigrants, who were fighting against Russian politics throughout the entire emigration life. These emigrants fought to disclosure the totalitarian communist regime in Europe, to restore Georgia's statehood, but they finally lost their hope.

In 1951 Akaki Chkhenkeli started making new recordings in a special large notebook where he boldly creates his views on the whole world, events in France or the Soviet Union. Records are stopping two months before his death.

In this record, Chkhenkel is no longer optimistic, it does not endorse European socialists and hesitates in criticism. He also criticize many compatriots. Recordings are of great significance as illustrated by the political portrayal of Chkhenkeli, as well as the world events of this period.

ლელა სარალიძე

მუსტაფა ჩოკაი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

ცნობილი ყაზახი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი, პუბლიცისტი – მუსტაფა ჩოკაი (1890-1941 წ.წ.), თურქესტანის (ცენტრალური აზია) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, ასევე, შუააზიური ჯადიდიზმის[1] იდეოლოგიის ერთ-ერთი ლიდერი და აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოგანის[2] თანამოზრე იყო. მ. ჩოკაი თავისუფალი და ერთიანი თურქესტანის შექმნის იდეას უჭერდა მხარს. იგი ყაზახურ არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. 1910 წელს მან ტაშკენტის გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა, თუმცა იმის გამო, რომ ეროვნებით რუსი არ იყო, მედალი ვერ მიიღო. 1914 წელს მ. ჩოკაიმ წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1916 წელს, იგი რუსეთის სახელმწიფო დუმაში თურქესტანის მუსლიმთა ჯგუფს წარმოადგენდა.[3] 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მ. ჩოკაი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი გახდა. ამ რევოლუციის შედეგად მეფის ხელისუფლება დაემხო. ხსენებულ მოვლენას შუა აზიაში, ისევე როგორც მთელს ყოფილ იმპერიაში, სიხარულით შეხვდნენ. განსაკუთრებულ კმაყოფილებას თურქესტანელი ჯადიდები გამოთქვამდნენ. მათ მეფის რუსეთის რეჟიმის დამხობა ჩაგრულ ხალხთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობად მიაჩნდათ. 1917 წლის 21-28 ივლისს, მ. ჩოკაი, როგორც დელეგატი სირდარიის[4] ოლქიდან, ორენბურგში,

---

1 ჯადიდიზმი – მუსლიმთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ვოლგისპირეთისა და ყირიმელ თათართა შორის XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა. სიტყვა ჯადიდიზმი არაბულ ენაზე „განახლებას" ნიშნავს. ჯადიდიზმი მუსლიმ რეფორმატორთა იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომლის ამოცანაც მუსლიმანურ სამყაროში ევროპული ცივილიზაციის პოპულარიზაცია იყო. ჯადიდები ევროპული პოლიტიკური აზრის, განსაკუთრებით, კონსტიტუციური იდეის მომხრენი იყვნენ. ისინი თელიდნენ, რომ ისლამი პარლამენტარიზმის იდეას არ ეწინააღმდეგებოდა.

2 აჰმედ-ზაკი ვალიდი (1890-1970წ.წ.) – ცნობილი ბაშკირი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. ბაშკირთა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. პუბლიცისტი, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგი, ფილოსოფიის დოქტორი. სტამბოლის, ბონის და გეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორი, მანჩესტერის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც 11 ენაზეა გამოქვეყნებული. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პრობოლშევიკურად განწყობილი ლიდერი – ლენინისა და სტალინის თანამებრძოლი იყო, ხოლო შემდეგში მათ წინააღმდეგ იბრძოდა და მოგვიანებით, 1920 წლიდან, ბოლშევიკების რეჟიმთან მებრძოლი თურქესტანის ბასმაჩთა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. იგი ერთიანი და დამოუკიდებელი თურქესტანის შექმნის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო. 1927 წელს, თავის ძველ მეგობარ მუსტაფა ჩოკაისთან ერთად, სტამბოლში ჟურნალი „ახალი თურქესტანი" დააფუძნა (1927-1931 წ.წ.), რომელიც თურქესტანის ეროვნული თავდაცვის პოლიტიკური ორგანო გახდა. გარდაიცვალა 1970 წლის 26 ივლისს, დაკრძალულია თურქეთში, სტამბოლის სასაფლაოზე.

3 Ozghanbaï Ömïrzaq, Государственная Дума России и Казахстан: 1905-1917, The University of Michigan, 2007, გვ. 32.

4 სირდარიის ოლქი – უზბეკეთის ტერიტორიული ერთეული, ადმინისტრაციული ცენტრი – გულისტანი. მოსახლეობას შეადგენენ: უზბეკები, ტაჯიკები, ყაზახები, რუსები, თათრები.

სრულიად ყაზახთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა. ყრილობაზე მთავარი საკითხი სახელწიფო მმართველობის ფორმად ავტონომიის აღიარება იყო.

1917 წლის აპრილში მ. ჩოკაი ტაშკენტში დაბრუნდა, სადაც თურქესტანის მუსლიმთა ჯგუფის მეთაური გახდა. 1917 წლის 29 ოქტომბერს, ტაშკენტი ბოლშევიკებმა დაიპყრეს და თურქესტანის კომიტეტის წევრების დაპატიმრების ბრძანება გასცეს. მ. ჩოკაიმ ტაშკენტი დატოვა და, თანამოაზრეებთან ერთად მოღვაწეობა, ფერღანის ხეობაში, კოკანდაში[5] გააგრძელა. 1917 წლის 27 ნოემბერს, კოკანდაში, მუსლიმთა IV საგანგებო ყრილობაზე, რომელიც რეგიონის ყველა პოლიტიკური პარტიის და ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან შედგებოდა, თურქესტანის (კოკანდის) ავტონომიის შექმნა გამოცხადდა, რომლის მეორე თავმჯდომარე მ. ჩოკაი გახდა.[6]

1918 წლის თებერვალში, ბოლშევიკებმა თურქესტანის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი – კოკანდა ცეცხლს მისცეს და 12 0000-მდე მუსულიმი გაანადგურეს.[7] მ. ჩოკაი უფაში გადავიდა, სადაც ბოლშევიკების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა გააგრძელა. 1919 წლის თებერვალში მ. ჩოკაიმ ანტანტის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებს მოუწოდა, რათა თურქესტანი ბოლშევიკებისგან გაეთავისუფლებიათ. 1919 წლის გაზაფხულზე, ბაქოს გავლით, მეუღლესთან – მარია გორინასთან ერთად, იგი თბილისში ჩამოვიდა, სადაც 1921 წლამდე, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციამდე, ცხოვრობდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალდატანებით დაპყრობის და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, მ. ჩოკაი საქართველოს მთავრობის წევრების მსგავსად, ემიგრაციაში ოსმალეთში წავიდა. კონსტანტინოპოლში იგი სტატიებს წერდა ინგლისური გაზეთისთვის „The Times" („დრო"), ასევე, პუბლიკაციებს აქვეყნებდა თურქულ გაზეთებში: „Şafak" („ცისკარი") და „Yeni Dünya" („ახალი მსოფლიო"). ემიგრაციაში ის თავის ძველ ნაცნობს, რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრს და ადვოკატს, შემდეგში რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაურს – ალექსანდრ კერენსკის (1881-1970 წ.წ.) შეხვდა, რომელიც რუსეთიდან, ემიგრაციაში, პარიზში გაიხიზნა. კერენსკი მას საფრანგეთის ვიზის მიღებაში დაეხმარა და 1921 წლის გაზაფხულიდან, მ. ჩოკაი მეუღლესთან ერთად, პარიზში გადავიდა. იგი სტა-

---

5 კოკანდის (თურქესტანის) ავტონომია – ოფიციალურად არაღიარებული ერთ-ერთი პირველი დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფო შუა აზიაში, რომელიც 1917 წლის 27 ნოემბრიდან, 1918 წლის 22 თებერვლამდე, თანამედროვე ყაზახეთის, ყირგიზეთის და უზბეკეთის ტერიტორიაზე არსებობდა, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრებში შედიოდა. თურქესტანის მოსახლეობის (ითვლიდა12 მილიონ კაცს) ძირითად ნაწილს შეადგენდნენ: ყაზახები, ყირგიზები, უზბეკები, თურქმენები. თურქესტანის ავტონომიის პირველი მთავრობის მეთაური ყაზახი მუჰამედჟან ტინიშპაევი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ჩოკაი იყო. თურქესტანის ავტონომიის დედაქალაქი კოკანდა იყო (დღეს უზბეკეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. ქალაქი ფერღანის რაიონში, უზბეკეთის აღმოსავლეთით).

6 Валиханова Н. С., Национальные движения и партии Средней Азии: историография, The University of Wisconsin, Madison, 2011, გვ. 61.

7 Çağatay Tahir, Türkistan: kurtuluş hareketile ilgili olaylardan sahneler, The University of California, 2007, გვ. 47.

ტიებს წერდა კერენსკის გაზეთისათვის „Дни“, ასევე, მილიუკოვის გაზეთისათვის „Последние новости.“[8]

მ. ჩოკაი ბოლშევიკებისგან თურქესტანის განთავისუფლების საკითხზე, მოხსენებებით სხვადასხვა ენებზე გამოდიოდა. მან კარგად იცოდა ინგლისური, ფრანგული, რუსული, გერმანული, თურქული და არაბული ენები. ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, საჯარო გამოსვლებისას ის ძირითადად, თურქესტანისა და ცენტრალური აზიის პრობლემებზე საუბრობდა. პარიზში, კონსტანტინოპოლში (სტამბული ქალაქს ოფიციალურად 1930 წლის 28 მარტს ეწოდა, – ლ. ს.), ბერლინში, ლონდონში, ვარშავაში, მან არა ერთი სტატია და წიგნი გამოაქვეყნა ცენტრალური აზიის თეორიულ კვლევებზე, ისტორიულ და პოლიტიკურ მიმოხილვაზე. მუსტაფა ჩოკაიმ, 1927 წელს, კონსტანტინოპოლში დააარსა გაზეთი „ახალი თურქესტანი“, რომელიც 1931 წლამდე გამოდიოდა.

ევროპაში ყოფნის პერიოდში, მ. ჩოკაიმ აქტიური ანტიბოლშევიკური ბრძოლა გააგრძელა. 1926-1939 წლებში, იგი ანტიბოლშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. ანტისაბჭოთა ბრძოლას აქტიურად აწარმოებდა გიორგი გვაზავას ინიციატივით და უკრაინელი პროფესორის – სმალ-სტოცკის[9] თავკაცობით, 1925 წელს, ვარშავაში დაარსებული „პრომეთე“-ს კლუბი. 1926 წელს, პარიზში ჟურნალი „პრომოთე“[10] ფრანგულ ენაზე გამოიცა, რომლის რე-

---

8 რუსულენოვანი გაზეთი „Последние новости“ – პარიზში 1920-1940 წლებში გამოდიოდა და საკმაოდ გავლენიანი და სერიოზული გამოცემა იყო. გაზეთის პირველი რედაქტორი მ. ლ. გოლდშტეინი იყო (ყოფილი რედაქტორი რუსული გაზეთის „Вечеернее время“). გაზეთი მემარცხენე-რადიკალური მიმართულების იყო, უპარტიო, რის გამოც იგი რუსული ემიგრაციის პირველი სერიოზული და საკმაოდ გავლენიანი გამოცემა გახდა. ერთ წელზე ნაკლები ხნის შემდეგ, მ. გოლდშტეინმა გაზეთი გაყიდა და იგი რესპუბლიკურ-დემოკრატიული გაერთიანების ორგანო გახდა. 1921 წლის 1 მარტიდან, გაზეთი მ. მ. ვინავერის, ა. ი. კონოვალოვის და ვ. ა. ხარლამოვის რედაქტორობით გამოდიოდა. მთავარი რედაქტორი კი პ. ნ. მილიუკოვი იყო. 1930 წლის დასაწყისში, გაზეთის 30 000 ეგზემპლარი იბეჭდებოდა, რომელიც ზოგჯერ 35 000-საც აღწევდა. გაზეთის ბოლო, 7015-ე ნომერი 1940 წლის 11 ივნისს გამოვიდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, პარიზში გერმანელთა შესვლამდე რამდენიმე საათით ადრე, გაზეთმა არსებობა შეწყვიტა.

9 რომან სმალ-სტოცკი (1893-1969წ.წ.) (Роман Смаль-Стоцький) – უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ენათმეცნიერი. 1926 წლიდან ფილოლოგიის დოქტორი. ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც 1939 წლამდე სლავურ ფილოლოგიას ასწავლიდა. მისი პოლიტიკური კარიერა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო. იგი, ორგანიზაციის „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“-ის სახელით, ავსტრიის არმიის უკრაინელ ტყვეებს შორის დამოუკიდებლობის იდეის გაღვივებას უწყობდა ხელს. 1920 წლიდან უკრაინის რესპუბლიკამ ბოლშევიკების წითელი არმიის თავდასხმის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. სმალ-სტოცკი 1921 წელს ემიგრაციაში მყოფი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელია პრაღაში, ხოლო 1921-1923 წლებში, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო ელჩია ბერლინში. დამოუკიდებელი უკრაინის მეთაურის – სიმონ პეტლიურას მკვლელობის (იგი 47 წლის ასაკში, 1926 წლის 25 მაისს, პარიზში, ებრაელმა სამუელ შვარცბარდმა მოკლა, – ლ. ს.) შემდეგ, 1926 წლის მაისში, რომან სმალ-სტოცკი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის – ანდრეი ლივიცკის (1879-1954 წ.წ.) ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი გახდა. იგი ჯერ ემიგრაციაში მყოფი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი იყო ვარშავაში, ხოლო შემდეგ უკრაინის მთავრობის კულტურის მინისტრი გახდა, ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. 1939 წლისთვის, სმალ-სტოცკი უკრაინის დევნილი მთავრობის წარმომადგენელია პოლონეთში. 1928 წლიდან, მან ვარშავაში ანტიბოლშევიკური ლიგა „პრომეთე“ დააფუძნა, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც 1939 წლამდე იყო.

10 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 880, ფურც. 3.

დაქტორი ქართველი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზა იყო. თავდაპირველად, ჟურნალი უკრაინელი და კავკასიელი ემიგრანტების სახელით გამოდიოდა. 1927 წლიდან, აზერბაიჯანელების თხოვნის საფუძველზე, ჟურნალის შემადგენლობა გაფართოვდა და მასში ცენტრალური აზიის წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ. ჟურნალი კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ეროვნული ორგანო გახდა. მ. ჩოკაი ჟურნალის რედაქციას შეუერთდა, როგორც თურქესტანელ ემიგრანტთა წარმომადგენელი.[11] 1929 წლიდან, იგი პარიზში დაარსებული „თურქესტანის ეროვნული კავშირის" მეთაური გახდა. მ. ჩოკაი, თურქესტანში ბოლშევიკების პოლიტიკის შესახებ, ძირითადად, ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ, პოლონურ ენებზე აქვეყნებდა მასალებს ისეთ ცნობილ ჟურნალებში როგორებიცაა: „The Journal of Royal Central Asian Society", „The Asiatic Review" (ლონდონი), „Orient et Occident", Revue du Promethée" (პარიზი), „Wschod" (ვარშავა) და სხვა.[12]

ჟურნალ „პრომეთეს" 1926-1938 წლებში უცვლელად გიორგი გვაზავა, ხოლო 1938 წლიდან – ა. შულგინი რედაქტორობდა.[13]

1927 წლიდან პოლონეთმა ანტისაბჭოთა საქმიანობა გააქტიურა. უცხოეთში მყოფი პოლიტიკური ემიგრანტების გაერთიანებას მხარს უჭერდა პოლონეთის ფაქტობრივი მმართველი, მარშალი იუზეფ პილსუდსკი, რადგან რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მას მთავარ საფრთხედ მიაჩნდა.[14] კავკასიელ ემიგრანტებს პოლონელებთან უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, ვიდრე სხვებთან.[15] პოლონეთის ხელისუფლება მთავარ დასაყრდენ ძალად უკრაინის, ასევე, სამხრეთ კავკასიის, ძირითადად კი ქართულ ემიგრაციას მიიჩნევდა. ვარშავაში ხშირად ჩადიოდნენ ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენლები ნ. რამიშვილი, ი. წერეთელი, ა. ასათიანი და სხვები. ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციასთან აქტიურად თანამშრომლობდა კავკასიაში საფრანგეთის ყოფილი წარმომადგენელი პოლკოვნიკი აბელ შევალიე. ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის პოლონეთის მთავრობამ თანხაც გამოჰყო. პოლონეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა უკრაინელი და ქართველი ემიგრანტების ყველა პოლიტიკური პარტიის და დაჯგუფების გაერთიანება და „ეროვნული ცენტრების" შექმნა. ისინი თვლიდნენ, რომ მხოლოდ ასეთ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი პოლონეთის მხრიდან მათთვის ფართომასშტაბიანი მატერიალური დახმარების გაწევა. ანტისაბჭოთა პოლიტიკურ სპექტრში უპირატესობა, საფრანგეთსა და პოლონეთში მათი გავლენიანი კავშირების წყალობით, ქართველ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ. პოლონელი მწერალი და პუბლიცისტი იოსებ ლობოდოვსკი თავის წერილში: „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისთვის", ხაზს უსვამს პოლონეთის როლს ჩაგრული ერების განთავისუფლების საქმეში.

---

11 Kuromiya Hiroaki, Mamoulia Georges, The Eurasian Triangle: Russia, The Caucasus and Japan, 1904-1945, Warsaw/Berlin, 2016, გვ. 33.

12 Shokay Mustafa,Chez les Soviets en Asie Centrale, Paris, 1928, გვ. 1-36.

13 Çağatay Tahir, Türkistan: kurtuluş hareketile ilgili olaylardan sahneler, The University of California, 2007, გვ. 47.

14 Мамулия Г., Кавказская Конфедерация в официальных декларациях,тайной переписке и секретных документах, движения „Прометей". Сборник документов, Москва, 2012.

15 Kuromiya Hiroaki, Mamoulia Georges, The Eurasian Triangle: Russia, The Caucasus and Japan, 1904-1945, Warsaw/Berlin, 2016, გვ. 116.

იგი წერს: „უკრაინის, ყირიმის, კავკასიის, თურქესტანის ერები მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ და რაკი მათ ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება აქვთ, ისინი ადრე თუ გვიან მიიღებენ თავისუფლებას. ერთ-ერთი მათგანის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება ავტომატურად გამოიწვევს დანარჩენების განთავისუფლებასაც. რუსეთმა უნდა მიიწიოს თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებამდე და სამუდამოდ გამოეთხოვოს დიდი იმპერიის ოცნებას, დედამიწის მეექვსედი რომ უკავია. პოლონელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალურ სახელმწიფოებს, პოლონეთის მეთაურობით, ბლოკი უნდა შეეკრათ და წინ აღდგომოდნენ რუსეთს და გერმანიას.“[16]

ქართველი ემიგრანტები უცხოეთში მყოფი ყველა ძალის შეკავშირებას ცდილობდნენ, თუმცა თვლიდნენ რომ საქართველოს ინტერესები დაცული უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, ევგენი გეგეჭკორი, 1928 წელს, კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს სვიმონ მდივანს წერდა: „...რასაკვირველია, ჩვენი ხაზი უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ თავი მოვუყაროთ და შევაკავშიროთ ყველა ის ძალა, რომელიც ჩვენთან იქნებიან, მათი ინტერესების გამო, განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და შემდეგ ჩვენი საერთო თავისუფლების დაცვის საქმეში, მაგრამ აქ ისე არ უნდა გადავღუნოთ ჯოხი, რომ ამ ძალთა მობილიზაციამ ჩვენ თვითონ არ დაგვასუსტოს.“[17]

პარიზში ცხოვრება რთული იყო და საარსებო პირობებისათვის სახსრების არქონის გამო, 1923 წელს, მ. ჩოკაი მეუღლესთან ერთად, საცხოვრებლად პარიზის სამხრეთ გარეუბანში – ნოჟან-სიურ მარნში გადავიდა. იმავე წელს იგი ევროპული საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით: „რუსეთის პოლიტიკა და თურქესტანის ნაციონალური მოძრაობა.“ 1930 წლის თებერვალში მისი მოხსენება კომიტეტის – „საფრანგეთი-აღმოსავლეთი“ ოფიციალურ ორგანოში დაიბეჭდა.

საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის მიწვევით, მ. ჩოკაიმ, 1933 წლის 27 მარტს, ლონდონში, წაიკითხა მოხსენება სათაურით: „საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ თურქესტანი“ დიდი ერუდიციისა და მრავალმხრივი პოლიტიკური საქმიანობის წყალობით, მ. ჩოკაიმ ევროპაში სერიოზული ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი პოლონეთის, საფრანგეთის და გერმანიის ხელისუფალთა, ასევე, სხვადასხვა ევროპული ორგანიზაციის და ინსტიტუტისა მხარდაჭერით სარგებლობდა. ამავე დროს, მას საკუთარ სამშობლოსთან კავშირი არ გაუწყვეტია.

თურქესტანის ემიგრაცია ძალიან სუსტი და მცირერიცხოვანი იყო იმისათვის, რათა სხვა ქვეყნების ემიგრანტებზე რაიმე გავლენა ჰქონოდა. უცხოეთში მას არანაირი წარმომადგენლობა არ გააჩნდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ემიგრანტები ხშირად საბჭოთა ხელისუფლების გავლენასაც განიცდიდნენ. მიუხედავად ამისა, მუსტაფა ჩოკაის მიაჩნდა, რომ მომავალში ემიგრაციას შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა თურქესტანის ცხოვრებაში.[18] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ევროპის ქვეყნებში აკაკი ჩხენკელი, ემიგრაციაში მყოფ კავკასიელებს საბჭოთა კავშირის სხვა ჩაგრული ერის წარმომადგენ-

---

16 ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1939, იანვარი, გვ. 7.

17 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, ანაწ. 1, საქმ. 98, ფურც. 9.

18 Абдуллаев К. Н., От Синьцзяня до Хорасана: Из истории среднеазиатской эмиграции XX века, Душанбе, 2009, გვ. 83.

ლებთან, უკრაინის, თურქესტანის ემიგრანტებთან აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა.[19]

1929 წელს, მ. ჩოკაიმ ბერლინში ჟურნალის „ახალგაზრდა თურქესტანის" გამოცემა დაიწყო, რომლის რედაქტორიც თავად იყო. ჟურნალის გამოცემა 1939 წლამდე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა. სულ 117 ნომერი გამოვიდა.

მ. ჩოკაი ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებთან, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურთან ნოე ჟორდანიასთან აქტიურად თანამშრომლობდა. იგი სტატიებს ბეჭდავდა ქართულ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო".[20] 1928 წლის 19 თებერვალს, სიმონ მდივანმა, თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, კონსტანტინოპოლიდან, ანგორაში თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ისმეთ ფაშას[21] ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა, სადაც სთხოვდა მას, რათა მხარი დაეჭირა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების, უკრაინის და თურქესტანის ხალხის კონსოლიდაციისათვის.[22] ს. მდივანი სინანულს გამოთქვამდა, რომ სსრკ-ის ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის გამო, თურქეთის ხელისუფლება იძულებული გახდა 1931 წელს, სტამბულში გამომავალი აზერბაიჯანის და თურქესტანის ემიგრანტული გაზეთები დაეხურა.[23]

ქართველი ემიგრანტები თვლიდნენ, რომ ჩაგრული ერების განთავისუფლების პოლიტიკა საშინაო და საგარეო სიტუაციაზე იყო დამოკიდებული. 1927 წლის 1 მაისს, ნ. ჟორდანიამ, პარიზში, პარტიულ კრებაზე წაიკითხა მოხსენება სათაურით: „საბჭოთა წყობილების ახლო პერსპექტივები" მან აღნიშნა: „საბჭოთა წყობილება რომ უნდა დაეცეს და გადავარდეს, ამაში ეჭვი არავის ეპარება, ეს საერთოდ მიღებული და უდავოა. დავა არის მხოლოდ იმაზე, თუ რა ფორმით დაეცემა ის, რა სახეს მიიღებს რუსეთი მეორე დღეს მისი დაცემისა. რაზეა აგებული ამ დაცემის აუცილებლობა? თუ მარტო სურვილზე, მაშინ მისი აუცილებლობა საეჭვო ხასიათისაა. რა არის ისეთი მიზეზები, რომ ეს რეჟიმი არ შეიძლება არ დაეცეს. ეს არის ის, რომ ეს წყობილება არ შეესაბამება დღევანდელ მსოფლიო ეპოქის ძირითად მიმდინარე-

---

19 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2113, ანაწ. 1, საქმ. 28, ფურც. 8.

20 გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო" – საქართველოს პოლიტიკურ (სოციალ-დემოკრატიულ, ეროვნულ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედერალისტურ, სოციალისტ-რევოლუციურ) პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო, პარიზში ყოველთვიურად, 1926 წლის იანვრიდან (#1), 1939 წლის ივლისის (#159) ჩათვლით, გამოდიოდა. გაზეთს 1926 წლის იანვრიდან 1929 წლის ნოემბრამდე (##1-47), ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი იოსებ გობეჩია რედაქტორობდა. იგი 1929 წლის დეკემბრიდან (#48) სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ ურატაძემ შეცვალა. იხ. შარაძე გ., ქართული ემიგრაციული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 80-81.

21 მუსტაფა ისმეთ ფაშა (Mustafa İsmet-paşa) (1884-1973 წ.წ.), იგივე მუსტაფა ისმეთ ინონიუ (Mustafa İsmet İnönü) – თურქი გენერალი, თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. თურქეთის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტი (მუსტაფა ქემალ ათათურქის შემდეგ) – 1938 წლის 11 ნოემბრიდან 1950 წლის 22 მაისამდე; თურქეთის პრემიერ-მინისტრი 1923-1924, 1925-1937, 1961-1965 წლებში. გვარი – İnönü მან 1935 წლის 1 იანვრიდან მიიღო, საბერძნეთ-თურქეთის ომის (1919-1922წ.წ.) დროს, ქალაქ ინოუნუსთან თურქების ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად, რომელსაც თავად ისმეთ ფაშა ხელმძღვანელობდა.

22 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, ანაწ. 1, საქმ. 16, ფურც. 1.

23 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 909, ფურც. 9.

ობას და არ თავსდება მის კალაპოტში. ამ ეპოქის დამახასიათებელი თვისებაა ორი მოვლენა: კაპიტალიზმი და დემოკრატიზმი. ეს ორი ძირითადი მიდრეკილება არის სოციალური და პოლიტიკური ძარღვი დღევანდელი ცხოვრების."[24]

მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, ემიგრაციაში მყოფი სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, ევროპაში ბრძოლას აქტიურად აგრძელებდნენ. შვეიცარიაში არსებობდა „საფრანგეთ-აღმოსავლეთის კომიტეტი"-ს ფრანგული სექცია, რომელსაც ოფიციალურად „კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ემიგრანტთა მეგობრობის კომიტეტი" ეწოდებოდა. კომიტეტში საქართველოს ა. ჩხენკელი წარმოადგენდა. თავმჯდომარე შულგინი, ხოლო მდივანი მ. ჩოკაი იყო.[25]

მაშინ როცა ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკოსები ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ, საბჭოთა აგენტურა ყველაფერს აკეთებდა მათი საკუთარ სამშობლოში დაბრუნების, საბჭოთა ხელისუფლებასთან შემორიგების, ხოლო ურჩების სიკვდილით დასჯისათვის. ისინი ემიგრანტების სახელის გატეხვასაც არ ერიდებოდნენ. მ. ჩოკაის საკუთარი თანამებრძოლებიც კი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში სდებდნენ ბრალს.

1928 წლის 2 ივნისს, მ. ჩოკაი, კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს სიმონ მდივანს უგზავნის წერილს, სადაც სთხოვს მას, დაეხმაროს და აპოვნინოს ჭორის გამავრცელებელი, რომლის გამოც მას ბრალი დასდეს რუსულ ემიგრაციულ პრესასთან თანამშრომლობაში. მ. ჩოკაი წერდა: „დიდად პატივცემულო, ბატონო მდივანო! თქვენთან დიდი თხოვნა მაქვს. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც იძულებული გავხდი კონსტანტინოპოლის თურქესტანული ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ განცხადება გამეკეთებინა, იყო ის უსაფუძვლო ბრალდება, რომ მე თითქოს ორგანიზაციის წესდების მიუხედავად, რუსულ ემიგრაციულ პრესასთან ვთანამშრომლობდი. მიუხედავად ჩემი პირდაპირი მოთხოვნისა, ეჩვენებინათ გაზეთის ნომერი, სადაც თითქოს ჩემი სტატია დაიბეჭდა, ბატონმა აჰმედ-ზაკი ვალიდიმ მიპასუხა: „ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ბატონმა მდივანმა მოგვაწოდა, რომელსაც ამ ფაქტის შესახებ, როგორც ჩანს, პარიზში მყოფმა ქართველებმა მისწერეს."[26] ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, მ. ჩოკაი, ს. მდივნისათვის წერილის გაგზავნამდე, 1928 წლის 27 აპრილს, პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც იგი დაამშვიდა და განუცხადა, რომ ასეთი სიბრიყვე შეუძლებელი იყო რომელიმე ქართველს დაეწერა. როგორც მუსტაფა ჩოკაის წერილიდან ჩანს, იგი ცდილობს ნათელი მოჰფინოს მის სიმართლეს, რადგან მიაჩნდა, რომ მეგობრების ნდობის გარეშე ერთ ორგანიზაციაში მუშაობას აზრი აღარ ექნებოდა. მას განსაკუთრებით, მეგობრის – აჰმედ-ზაკი ვალიდის აზრი აღელვებდა და არწმუნებდა სიმონ მდივანს, რომ რუსულ ემიგრაციულ პრესასთან თანამშრომლობის საკითხში, მას ორგანიზაციის წესდება არანაირად დაურღვევია. მან ს. მდივანს, ასევე, შეახსენა თავისი ძველი, 1921 წლის მარტში, დაბეჭდილი სტატია, სადაც ნათლად ჩანდა მისი პირადი დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი. ხსენებული სტატიის ხელახლა დაბეჭდვას იგი ჟურნალ „პრომოთე"-ში, ან რომელიმე ქართულ ემიგრაციულ გაზეთში აპირებდა.

---

24 გაზ. „ბრძოლა", პარიზი, 1927,№23-24, ივნისი, გვ. 11.

25 გაზე. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1932,№77, გვ. 4.

26 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, ანაწ. 1, საქმ. 73, ფურც. 1.

აჰმედ-ზაკი ვალიდი, მუსტაფა ჩოკაის ძველი მეგობარი იყო. ისინი 1920 წლის სექტემბერში, ბაქოში გამართულ „აღმოსავლეთის ხალხთა პირველ ყრილობას ერ-. თად ესწრებოდნენ, სადაც საქვეყნოდ გამოცხადდა პროლეტარული რევოლუციის გადაუდებელი და სასწრაფოდ მოხდენის გადაწყვეტილება აზიის ქვეყნებში.[27]

1932 წელს, უკრაინის ემიგრაციის წარმომადგენელმა სმალ--სტოცკიმ, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქესტანის, ყუბანის და სხვა ქვეყნების ემიგრანტთა სახელით, ქ. ვენაში გამართული კონფერენციის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილით მიმართა. კონფერენციას სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის თურქეთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. პოლიტიკური ემიგრაციის სახელით, იგი მოითხოვდა „პრომოთე"-ს ლიგაში გაერთიანებული ემიგრანტების ინტერესების დაცვას და სთხოვდა წამყვანი სახელმწიფოების მეთაურებს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის ინტერესები დაეცვათ. სმალ-სტოცკი, თავის მიმართვაში აღნიშნავდა: „რუსეთს დედამიწის ტერიტორიის ერთი მეექვსედი უჭირავს, ხოლო დამონებული ხალხი ამ უზარმაზარი ტერიტორიის, თითქმის, ორ მესამედს იკავებს. იმ ხალხის რაოდენობა, რომელიც თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის, თითქმის 100. 000. 000-ს აღწევს. მსოფლიოს არა აქვს უფლება, ამ ადამიანების იგნორირება მოახდინოს."[28]

1934 წლის სექტემბერში, სსრკ-ის ერთა ლიგაში[29] მიღების გამო, ერთა ლიგის XV ასამბლეის პრეზიდენტს რიკარდ სანდერს, ერთობლივი საპროტესტო მიმართვა გაუგზავნეს, რომელსაც კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის სახელით ხელს აწერდნენ: საქართველოს სახელით ა. ჩხენკელი, თურქსეტანის – მ. ჩოკაი, აზერბაიჯანის – მირ იაკუბი, ჩრდილოეთ კავკასიის – ი. ჩულიკი, უკრაინის – ა. შულგინი. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ერთა ლიგაში მიღების დროს, საპროტესტო სიტყვები წარმოსთქვეს ჩეხოსლოვაკიის, პორტუგალიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ რუსეთის ერთა ლიგაში მიღება, ლიგის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.[30]

თურქეთსა და დასავლეთ ევროპაში, მ. ჩოკაის აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა, იოსებ სტალინის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. 1926 წელს, საბჭოთა დიპლომატებმა იგი მოსკოვში მიიწვიეს, თუმცა მან გადაჭრით უარი თქვა, რადგან კარგად იცოდა სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ, რაც მოელოდა. საბჭოთა ხელისუფლება

---

27 ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922), საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბ., 2015, გვ. 169.

28 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 909, ფურც. 15.

29 ერთა ლიგა – საერთაშორისო ორგანიზაცია (ამჟამინდელი გაერო-ს ანალოგი). შეიქმნა 1919 წელს, ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი მიზანი იყო მოეხდინა ერების კონსოლიდაცია საერთაშორისო მშვიდობის მისაღწევად. იგი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებით და მსოფლიოში მშვიდობის მხარდაჭერის საკითხებით იყო დაკავებული. სსრკ ერთა ლიგაში 1934 წლის 18 სექტემბერს მიიღეს. 1934 წლის 28 სექტემბრიდან 1935 წლის 23 თებერვლამდე ერთა ლიგაში 58 სახელმწიფო შედიოდა. ფინეთთან დაწყებული ომის (1939 წლის 30 ნოემბერი-1940 წლის 12 მარტი) გამო, 1939 წლის 14 დეკემბერს, სსრკ ერთა ლიგიდან გარიცხეს. 1946 წლის აპრილში, ერთა ლიგამ თვითლიკვიდაცია მოახდინა და ასპარეზი თავის მემკვიდრეს – გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუთმო.

30 სარალიძე ლ., პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში, წიგნში: ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, თბ., 2016, გვ. 335.

მას თვალ-ყურს აქტიურად ადევნებდა. 1926 წელს, საბჭოთა უშიშროებამ განიხილა საქმე№145 „ყაზახი ნაციონალისტ-კონტრრევოლუციონერი მუსტაფა ჩოკაევი", რის-მელზე დაყრდნობითაც, 1972 წელს, ყაზახეთის სსრ-ის უშიშროების უფროსის მოადგილემ სერიკ შაკიბაევმა გამოსცა წიგნი: „დიდი თურქესტანის" დაცემა,[31] სადაც მ. შოკაი, საკუთარი ხალხის გამყიდველად არის წარმოჩენილი. მეორე მსოფლიო ომის დროს, პოლონეთში, საბჭოთა კონტროლის ქვეშ დარჩენილ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „პრომეთეს" წევრებს, სასტიკად სდევნიდნენ. მ. ჩოკაი, როგორც ანტისაბჭოთა თურქესტანის ლეგიონის ხელმძღვანელი, მტრად გამოაცხადეს.

ევროპის პოლიტიკურ წრეებში თავისი ანტისაბჭოთა შეხედულებებით კარგად ცნობილი მუსტაფა ჩოკაის პიროვნებით ნაცისტური გერმანიის ხელისუფლებაც დაინტერესდა. 1941 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირზე გერმანიის ჯარის თავდასხმის შემდეგ, მ. ჩოკაი მესამე რაიხის აღმოსავლეთის დეპარტამენტის ოფიციალური თანამშრომელი გახდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები არ ივიწყებდნენ გერმანიის ღვაწლს, რომელმაც თავის დროზე, იგი ფაქტობრივად თურქული აგრესიისგან იხსნა.[32] ამიტომ, ქართველების ერთი ნაწილი გერმანელებთან აქტიურად თანამშრომლობდა. თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც პარიზში იმყოფებოდა, იმთავითვე გაემიჯნა ფაშისტური გერმანიის პოლიტიკას. ნ. ჟორდანიამ, თავის ოფიციალურ განცხადებაში, 1940 წლის 4 აპრილს, საფრანგრთ-ინგლისის ბლოკს დაუჭირა მხარი.[33]

თავის მხრივ, მ. ჩოკაი, აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის ბანაკებში საბჭოთა მხარეს მებრძოლი, ტყვედჩავარდნილი საკუთარი თანამემამულეების გადასარჩენად. გერმანელებს აღმოსავლეთში დიდი გეგმები ჰქონდათ. გერმანიის სათავეში მოსული ადოლფ ჰიტლერი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიების ხარჯზე, ქვეყნის სასიცოცხლო არეალის გაფართოებას ცდილობდა. ა. ჰიტლერი კარგად აცნობიერებდა ანტისაბჭოთა განწყობილების კადრების მნიშვნელობას. 1941 წლის 22 ივნისს, პარიზზე თავდასხმისას, გერმანელებმა იქ მყოფი ყველა ცნობილი რუსი ემიგრანტი დააპატიმრეს და კომპიენის ციხეში ჩასვეს. დაპატიმრებულებს შორის მ. ჩოკაიც იყო. სამი კვირის შემდეგ, ის ბერლინში გადაიყვანეს და თურქესტანის ლეგიონის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, რომელსაც გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი თურქული წარმომავლობის სამხედრო ტყვეების მობილიზაცია ევალებოდა. ლეგიონს აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გერმანული ნაწილები უნდა ჩაენაცვლებინა. გერმანელები გათვლას მ. ჩოკაის ავტორიტეტზე აკეთებდნენ. მ. ჩოკაიმ მოითხოვა, რომ აღნიშნულ ბანაკებში მყოფ თანამემამულეთა პირობებს გასცნობოდა. საკონცენტრაციო ბანაკების მონახულების შემდეგ, იგი, ეკლიანი მავთულების შიგნით მყოფი აზიელი ტყვეების არაადამიანური ყოფით, განცვიფრებული დარჩა. გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში დიდი რაოდენობით უკრაინელი, კავკასიელი, თურქესტანელი ჯარისკაცი იმყოფებოდა. მ. ჩოკაი 1941 წელს წერდა, რომ სტალინი და ჰიტლერი ორივე ერთნაირი ბოროტმოქმედი იყო. იმისათვის, რათა საკუთარი თანამემამულეების პირობები გაეუმჯობესებინა და მათი სიცოცხლე გადაერჩინა, მ. ჩოკაიმ გერმა-

---

31 Шакибаев С.,Падение „Большого Туркестана", Алма-Ата, 1972.

32 Georges Mamoulia, Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentals. Le cas de la Géorgle, 1921-1945, Paris, 2009.

33 სარალიძე ლ., ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებისადმი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(18), თბ., 2016, გვ. 205-221.

ნიის ხელისუფლებას კომპრომისზე წასვლა შესთავაზა, თუმცა მან საკუთარი პირობები წამოაყენა: 1. გერმანიის სასწავლო დაწესებულებებში მომავალი თურქესტანის სახელმწიფოსათვის კადრების მომზადება; 2. მისი თანამემამულე ტყვეების გარკვეული ნაწილიდან სამხედრო ერთეული უნდა შეექმნათ, რომელიც, მხოლოდ, თურქესტანის საზღვრებთან მიახლოებისას იქნებოდა გამოყენებული. ასეთი გზით, იგი გერმანელებთან შესაძლო თანამშრომლობის შემთხვევაში თურქესტანისათვის თუნდაც მინიმალურ სარგებლობას ესწრაფვოდა, თუმცა უარი მიიღო, რადგან ჰიტლერისთვის თურქესტანის ლეგიონი, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ემიგრანტული ორგანიზაციები, მხოლოდ „საზარბაზნე ხორცს" წარმოადგენდა. გერმანელები მიხვდნენ, რომ მ. ჩოკაის ვერ გამოიყენებდნენ და გერმანიის ხელისუფლებამ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. 1941 წლის 22 დეკემბერს, ჰიტლერმა ხელი მოაწერა თურქესტანის და სხვა ეროვნებათა ლეგიონების შექმნას. კომიტეტი 1942 წლის შემოდგომაზე შეიქმნა[34] და მის შექმნასთან, ფაქტობრივად, მ. ჩოკაის კავშირი არ ჰქონია. იგი იმ პერიოდში ბერლინის საავადმყოფოში იწვა. ლეგიონის მეთაური უზბეკი ვალი კაიუმი გახდა, რომელიც მ. ჩოკაის გეგმებისგან შორს იდგა. 1941 წლის 27 დეკემბერს, მ. ჩოკაი გარდაიცვალა. ოფიციალურ დასკვნაში აღნიშნულია, რომ გარდაცვალების მიზეზი ტიფის დაავადება იყო, რომელიც სისხლის მოწამვლის ფონზე კიდევ უფრო გართულდა. ტიფი მას შესაძლოა საკონცენტრაციო ბანაკში მისვლისას დაემართა. მ. ჩოკაის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიას არ ეთანხმება მისი მეუღლე – მარია გორინა-ჩოკაი, თავის მოგონებებში იგი წერს, რომ მუსტაფას უკვე თურქესტანში ჰქონდა გადატანილი ტიფის დაავადება და იმუნიტეტი უნდა ჰქონოდა გამომუშავებული. მუსტაფა ჩოკაი, ბერლინში თურქთა მუსულმანურ სასაფლაოზე დაკრძალეს.[35]

ზოგირეთი რუსი ისტორიკოსი, მ. ჩოკაის გერმანელებთან თანამშრომლობის გამო მას რუსეთის გენერალ ანდრეი ვლასოვს (1901-1946 წ.წ.) ადარებს, რაც არასწორია, რადგან ა. ვლასოვმა ბოლშევიკებისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ მას შემდეგ გამოხატა, რაც გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. მან იოსებ სტალინის ხელიდან მიიღო წოდება, პატივი, მედლები, იგი საბჭოთა ხელისუფლებას ეთაყვანებოდა. სამხედრო ფიცის გამტეხი ა. ვლასოვი, იმთავითვე საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ სსრკ-ის ნომერ პირველ მტრად, სამართლიანად შეირაცხა. მაშინ, როცა მ. ჩოკაი თავიდანვე გაემიჯნა საბჭოთა რეჟიმს, არც სამხედრო იყო და არც რაიმე ფიცი მიუღია. მას გული შესტკიოდა საკუთარ ხალხზე და მთელი თავისი ცხოვრება საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას მიუძღვნა. იგი იყო არა საკუთარი ხალხის გამყიდველი, არამედ კომუნისტური იდეების მტერი.

მ. ჩოკაის გარდაცვალების შემდეგ, ქართველმა ემიგრანტებმა სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ აქტიურად გააგრძელეს.

---

34 Восточный легион Гитлера http://www.istorya.ru/book/soldaty/32.php

35 Чокай Мария, „Я Вам пишу из Ножана" (Воспоминания, письма, документы, 1958), Алматы, 2001. http://www.turan.info/forum/showthread.php?t=395

დამოწმებანი

1. გაზ. „ბრძოლა“, , პარიზი, 1927,№23-24, ივნისი.
2. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1932,№77
3. სარალიძე ლ., პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში, წიგნში – ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, თბ., 2016.
4. სარალიძე ლ., ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებისადმი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(18), თბ., 2016.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, ანაწ. 1, საქმე 73.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 880.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 909.
8. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2113, ანაწ. 1, საქმე 28.
9. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, ანაწ. 1, საქმე 98.
10. ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1939, იანვარი.
11. ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922), საქართველოს ეროვნული თავდაცვის, თბ., 2015.
12. Абдуллаев К. Н., От Синьцзяня до Хорасана: Из истории среднеазиатской эмиграции XX века, Душанбе, 2009.
13. Валиханова Н. С., Национальные движения и партии Средней Азии: историография, The University of Wisconsin, Madison, 2011.
14. Восточный легион Гитлера http://www.istorya.ru/book/soldaty/32.php
15. Мамулия Г., Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах, движения „Прометей“ Сборник документов, Москва, 2012.
16. Шакибаев С.,Падение „Большого Туркестана“, Алма-Ата, 1972.
17. Чокай Мария, „Я Вам пишу из Ножана“ (Воспоминания, письма, документы, 1958), Алматы, 2001. http://www.turan.info/forum/showthread.php?t=395
18. Çağatay Tahir, Türkistan: kurtuluş hareketile ilgili olaylardan sahneler, The University of California, 2007.
19. Etienne Coppeaux, „Le mouvement promethéen, Cahiers d'études sur la Méditerranée et le monde turco-iranien“,№ 16, p.p.1-36, Paris, 1993.
20. Kuromiya Hiroaki, Mamoulia Georges, The Eurasian Triangle: Russia, The Caucasus and Japan, 1904-1945, Warsaw/Berlin, 2016.
21. Mamoulia G., Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentals. Le cas de la Géorgie, 1921-1945, Paris, 2009.
22. Mustafa Tchokay dans le movement prométhéén, éd. Girault, volume 9-19, P. 33, Paris, 1934.

23. Ozghanbaï Omïrzaq, Государственная Дума России и Казахстан: 1905-1917, The University of Michigan, 2007.
24. Shokay Mustafa,Chez les Soviets en Asie Centrale, Paris, 1928.

LELA SARALIDZE

Mustafa Chokai and Georgian political emigration

Summary

On the basis of the archive and emigration press materials the struggle of Mustafa Shokay (1890-1941) against the Soviet Government, as well as his relation with the Georgian political emigration is discussed in this work. Mustafa Shokay was a famous Kazakh political and public figure, a member of the Russian State Duma, the ideologist of the free and united Turkestan. He was one of the most remarkable figures in the history of Central Asia in the first half of the 20th century. Born in the Kazakh family in 1890, Shokay won top honors at the Tashkent gymnasium, but was denied a gold medal on graduation, because he was not Russian. Among his fellow students there was Alexander Kerensky, the future leader of the Provisional Government. He then entered the Law Faculty of St. Petersburg University and, still being a student, worked as a lawyer to defend Central Asians from the arbitrary actions of the Tsarist authorities. He was elected to the Duma and in 1916, became a head of its Muslim fraction.

After the February revolution, Kerensky asked him to become a minister in the Provisional Government, but Mustafa refused, saying that he did not trust the regime anymore; he returned in Turkestan in the hope of gaining freedom and independence for his people. He succeeded in organizing an independent state, the Turkestan Republic with a capital in Kokand. By that time, the Bolsheviks had seized power in Russia. They offered to recognize his leadership in case he agreed to support the Soviet power, but M. Shokay refused

On February 11 1918, Bolsheviks sent troops to Kokand and Kokand was completely destroyed. M. Shokay moved through Ferghana to Tashkent. Traveling through the Kazakh steppe and the Caspian Sea, Mustafa Shokay managed to arrive safely in Baku, Azerbaijan, then Tbilisi, Georgia, where he lived with his wife – Maria Gorina, for two years, from spring 1919 till February 1921. Mustafa Shokay supported Georgia's independence and had close relations with the Chairman of the Government of the Democratic Republic of Georgia – Noe Jhordania, not only during his stay in Georgia, but even in emigration.

Independence of Republics of Transcaucasia was overthrown by the Soviet Union. After the events in Transcaucasia M. Shokay, with his wife Maria immigrated to Istanbul, Turkey. In Istanbul he wrote articles in English for „The Times" and for publications like „Şafak", also for „Yeni Dünya" (`New World"). There he found out that Alexander Kerensky had also immigrated to Paris from Russia. Kerensky helped Shokay to get a French visa and in summer of 1921, Mustafa and his wife moved to Paris. He was writing articles for Kerensky's newspaper „Days" and Milyukova's „Last News"

A number of documents, which tell us about the struggle of Turkmen, Caucasian and Georgian politicians against the Bolshevik regime during the emigration, are stored in the National Archives of Georgia. Among them there is a letter of Mustafa Shokhay, which is addressed to Simon Mdivani – a representative of Georgian Democratic Republic in Constantinople. In this letter, M. Shokay writes, that his companions, in particular, his closest friend – Zeki Validi Togan (1890-1970), accused him for cooperating with the Russian emigration press, what M. Shokay categorically denies. Because of this issue, On April 27, 1928, he addressed also the former Minister of Internal Affairs of the Democratic Republic of Georgia – Noe Ramishvili, who was in Paris. Georgian immigrants had the leading role in the struggle against the Bolshevik regime; with immigrants of other nationalities they fought jointly for their common goal. Georgia's Ambassador to Angora – Simon Mdivani, addressed to Ismet Pasha – the Chairman of the Supreme Council of the Republic of Turkey, to support the Turkish government for consolidating the people of Transcaucasia, Ukraine and Turkestan. M. Shokay collaborated in the antibolshevic journal – „Prometheus", with Georgian immigrant – George Gvazava (1869-1941), a social- democrat. This article also highlights unsuccessful collaboration of Mustafa Shokay and Georgian political immigrants with the Germans Nazis.

შოთა ვადაჭკორია

ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხი 1945-1950 წლებში[1]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალთა თანაფარდობის ცვალებადობით განპირობებულმა მკვეთრმა დაპირისპირებამ ძირითადად იდეოლოგიურ ფრონტზე ჰპოვა გამოვლინება. ამ სფეროში არბიტრის როლს ორი ზესახელმწიფო – აშშ და სსრ კავშირი ასრულებდა. ორივენი, საკუთარი ქვეყნების ინტერესების მაქსიმალურად გატარებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წარმატებას საბჭოეთმა მიაღწია. მხედველობაში მაქვს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფაშიზმისაგან „განმათავისუფლებელი მისიით" და სხალხო დემოკრატიის წამოსასხამის ნიღბით „გასოციალისტება" და კომუნისტური რეჟიმის (პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ალბანეთი) დამყარება. ზემოაღნიშნული ქვეყნების უმეტესობაში საბჭოთა ჯარების შეყვანა და თითოეული მათგანის გარკვეული ფორმით ოკუპაცია. მომხდარი ფაქტით, საბჭოთა რუსეთმა დასავლეთ ევროპისაკენ რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია, რითაც ევროპისა და შეერთებული შტატების წინაშე თავისი ძალების შესაძლებლობების ოფიციალური დემონსტრირება მოახდინა. ამ ფონზე, განსაკუთრებით გააქტიურდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები. მათ მიზნს, საზღვარგარეთ არსებული ანტისაბჭოური ორგანიზაციების, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ემიგრაციული დაჯგუფებების განადგურება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების აუცილებლობას იმით ასაბუთებდნენ, რომ საბჭოთა რუსეთიდან დევნილი და ევროპის ქვეყნებში იმ ეტაპზე მოქმედი ემიგრაცია, იდეოლოგიურ ფრონტზე კომუნისტურ რეჟიმს გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიდა. მხედველობაში მაქვს ევროპის ქვეყნების ზემოაღნიშნული „განმათავისუფლებელი მისიის" შესახებ, საბჭოთა რუსეთის მხრიდან ხელოვნურად შეთხზული მითის არგუმენტირებულად მხილების ფაქტები. ამ მხრივ, განსაკუთრებით ქართული ემიგრაცია გამოირჩეოდა. ამდენად, საბჭოთა რუსეთის უშიშროების უწყების განსაკუთრებული ინტერესის სფეროში ქართული ემიგრაცია რომ მოექცა – გაკვირვებას არ იწვევს. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მის წინააღმდეგ ჩატარებული მუშაობიდან, თავისი შედეგიანობით, საფრანგეთში 1945 წელს შექმნილი „ქართველ პატრიოტთა კავშირი" გამოირჩეოდა. მის შემადგენლობაში იმ ეტაპზე საბჭოური ორიენტაციის ადამიანები (ა. მეუნარგია, ბ. სამხარაძე, ს. ჯანჯღავა, ო. ჩიჯავაძე, გ. გეგელია, ი. ენდელაძე, კ. კობახიძე, ვ. ფაღავა) იყვნენ გაერთიანებული. ამ ორგანიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა: „1) სსრ კავშირის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ქართველი ემიგრაციის ინფორმირება; 2) ქართველი ემიგრანტებიდან წესიერი პატრიოტების სამშობლოში დასაბრუნებლად პირობების მომზადება; 3) ქართულ ემიგრაციაში ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა და მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება; 4) პროსაბჭოთა პოზიციაზე მდგარ ემიგრანტულ წრეებთან

1 ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (# FR / 148 / – 101/14) ფარგლებში.

კონტაქტის დამყარება."[2] დასახული მიზნის წარმატებით განსახორციელებლად, საბჭოთა რუსეთის უშიშროების სამსახური ძალას, ენერგიასა და ფინანსებს არ ზოგავდა. მისი წარმომადგენლები დასავლეთ ევროპაში აქტიურად მოქმედებდნენ და ქართული ემიგრაციის რიგებში ფეხის მყარად მოკიდებას ცდილობდნენ.

შექმნილი ურთულესი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქართული ემიგრაციის წინაშე პრინციპულად დაისვა ორიენტაციის გარკვევის აუცილებლობა. ორიენტაციის საკითხის დროული გადაწყვეტა იმ ეტაპზე იმდენად აქტუალურად მიაჩნდათ, რომ ქართველ ემიგრანტთა ძირითად ნაწილში, მისი განხილვის გადადება დანაშაულად ალიქმებოდა. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ამ პრობლემის ირგვლივ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროსა და პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის გაერთიანებულმა კრებამ (1945 წლის 15 აპრილი) საგანგებოდ იმსჯელა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, აკ. ჩხენკელი, კ. გვარჯალაძე, გრ. ურატაძე, ვასო წულაძე, პრ. ინწკირველი, ტარასი წულაძე, გრიშა წერეთელი, თეოფანე მუხაშავრია.

ხსენებული კრების სტენოგრაფიული ანგარიშის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ორიენტაციასთან მიმართებაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ემიგრაციული მთავრობის წევრებს შორის სამი ურთიერთდაპირისპირებული შეხედულება გამოკვეთილა: 1) პრორუსული, 2) შუალედური და 3) პროევროპული. თითოეული მათგანის მხარდამჭერებს თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად გარკვეული არგუმენტები გააჩნდა. დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით შევეცდები გამოკვეთილი ფორმით სამივე პოზიციის ძირითადი დებულებები გავაშუქო.

1) პრორუსული ორიენტაციის მომხრეთაგან განსაკუთრებულ ინტერესს, იმავე სხდომაზე კ. გვარჯალაძის გამოსვლა იქცევს. მისი მტკიცებით, საქართველოს ემიგრაციის წარმომადგენლობა, რამდენადაც მას ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ქონდა მინდობილი, არსებული პოლიტიკური სიტუაციის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობდა. „ვეძებდით და ვიყენებდით – ამბობდა იგი – ყველა შექმნილ პირობებს, კონფლიქტებს სახელმწიფოთა შორის, ერთა ლიგას, ინტერნაციონალს. დრო-შა რჩება უცვლელი. დგება ტაქტიკის საკითხი, როგორ მოვუმზადოთ ნიადაგი ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენას. ევროპაში დღეს ამის ნიადაგი არ არის, რუსეთში კი ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, განახორციელებს თუ არა მის კონსტიტუციას. ამიტომ, ჩვენი მოქმედებაც უნდა განისაზღვროს რუსეთის ფარგლებით და მასთან მჭიდრო კავშირით." იგივე პოზიცია გაიზიარა კ. სარჯველაძემაც. მისი თქმით, „ევროპაში ნიადაგი არ გვაქვს, ამიტომ უნდა იქნას გამონახული ახალი ფორმები განმათავისუფლებელი ბრძოლისა საქართველოსთან კავშირში და რუსეთის ფარგლებში."[3]

ქართული ემიგრაციის გარკვეულ წრეებში აღმოცენებული პრორუსული მიმართულება ევროპის სახელმწიფოების მეთაურთა უპრინციპო პოლიტიკურმა კურსმა და საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილებამ განაპირობა. ამ ფაქტორმა სხდომის მიმდინარეობის პროცესში კიდევ უფრო გამოკვეთილი ფორმით იჩინა თავი. მხედველობაში მაქვს პრ. ინწკირველის მიერ უკმაყოფილო ტონით გაკეთებული განცხადება: „მთელი ჩვენი ენერგია-ამბობდა იგი – მოვანდომეთ მიზნის მიღწევას, მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ არამც თუ მიზანს ვერ მივაღწიეთ, არამედ მომავლისთვის ეს ასპარეზი დახშულად

---

2 სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბ., 2012. გვ. 507.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწ. 1, საქმ. 412, ფურც. 2.

და არარსებულად უნდა ჩაითვალოს. ამის მაგალითები საკმაოთ გვაქვს. ინგლისმა გაგვყიდა, ამერიკას არ ვაინტერესებთ. დასკვნა – ევროპის ორიენტაცია უნდა მოიხსნას, უნდა შევიდეთ მჭიდრო კავშირში ჩვენს ბედში მყოფ ყველა მეზობელ და მათ შორის რუსის ერებთან. ასე იქცევა დღეს ყველა – ავსტრია, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, იგივე პოლონეთი. ეს არ არის დროშის ჩამოხსნა, არამედ რეალობაა." ანალოგიური პოზიცია იქნა გამოთქმული ერთ დროს ოპტიმიზმით აღსავსე ვასო წულაძის მიერაც. „თუ კიდევ გვინდა გამოვადგეთ ჩვენს ქვეყანას – განაცხადა მან, – საჭიროა ვიყოთ რეალისტები, რაც უნდა არასასიამოვნო და მწარე იყოს, სინამდვილის აღიარების არ უნდა შეგვეშინდეს. სინამდვილე კი ასეთია, ვიყავით სეპარატისტები, აქ ევროპაში ჩამოსვლისას გვყავდა მეგობრები, ნიადაგიც გვქონდა სამუშაო, მაგრამ ნელ-ნელა ეს ნიადაგი გამოგვეცალა. დამოუკიდებლობაზე ზრუნვა დღეს თავის მოტყუებაა, ამიტომ, რუსეთისგან გამოყოფაზე უარი უნდა ვთქვათ და დავრჩეთ რუსეთის ფედერაციის ნიადაგზე."

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი საარქივო დოკუმენტით არ დასტურდება ზემოალნიშნული პიროვნებების რაიმე კავშირი საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მესვეურებთან. თუკი იმ ეტაპზე ისინი პრორუსული ორიენტაციის შეხედულებებს გამოთქვამდნენ, მათი მოსაზრების ყოველი დებულება 1921-1945 წლებში ევროპის ქვეყნებისაგან მიღებულ ზედაპირულ დაპირებათა შეუსრულებლობის მწარე გამოცდილების სილრმისეული ანალიზით იყო განპირობებული. განვლილმა ისტორიულმა პროცესებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ საბჭოთა რუსეთთან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურების კურსი უპრინციპობაზე იყო აგებული. ეს მომენტი ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ 1923 წლის აპრილში შენიშნა და თავისი პოზიცია შემდეგი ფორმულირებით ჩამოაყალიბა: „ბოლშევიკურ რუსეთს საარშიყოთ შემოადგა მთელი ევროპა. ის მოდაში შემოვიდა და საერთაშორისო დიპლომატიის საგნად იქცა." დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ 1921-1940 წლებში, საბჭოთა რუსეთთან ევროპის სახელმწიფოების მეთაურთა „პოლიტიკური არშიყობა," თანდათანობით მძაფრ „პოლიტიკურ კეკლუცობაში" გადაიზარდა. მეორე მხრივ, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, ომისშემდგომ ეტაპზე, საბჭოთა რუსეთი არა თუ დასუსტებული, არამედ ძლევამოსილი და დასავლეთ ევროპის კონტინენტზე მდებარე ქვეყნებში სოლისებურად შეჭრილი აღმოჩნდა. ამ ფაქტორმა გარკვეული ფორმით უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა ქართული ემიგრაციის წევრებზე და ხელი შეუწყო მათ ცნობიერებაში პრორუსული ორიენტაციის ჩამოყალიბებას, რომელიც ევროპისადმი უნდობლობაზე იყო დაფუძნებული.

2) რაც შეეხება „შუალედური მიმდინარეობას," იმავე სხდომის სტენოგრაფიულ ჩანაწერებში ეს ფორმაც დადასტურებულია. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კრების მონაწილეთა რამდენიმე წარმომადგენელი ძველი ტაქტიკური ხაზის შეცვლას და რუსეთის იმედად დარჩენას მიუღებლად თვლიდა. მათი სამართლიანი მტკიცებით, საბჭოთა რუსეთში გამეფებული დიქტატურის ევოლუცია შეუძლებელი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გ. ბოლქვაძე პრინციპულად აყენებდა საკითხს – ემიგრაციაში მყოფი საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მოქმედების ტაქტიკა, ომის შედეგებიდან გამომდინარე პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისობაში მოეყვანათ. მით უმეტეს, მისივე თქმით, ევროპაში ფაშიზმისა და ნაციზმის დამარცხების შემდეგ, ევროპა-ამერიკის მთლიანი დემოკრატიული ფრონტის საქმიანობაში რუსეთის ჩაბმას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გ. ბოლქვაძე სავსებით ლოგიკურად სვამდა კითხვას: „საკითხავია ჩაებმება თუ არა რუსეთი ამ დემოკრატიულ ფერხულში. რა თქმა უნდა ეს სასურველია და ამ შემთხვევაში საქართველო სხვა პატარა ერებთან მოაწყობს მის ცხოვრებას რუსეთის დემოკრატიის ფარგლებში. მაგრამ, სურვილი ერთია, სინამდვილე კი მეორე. სოციალისტისთვის ცხადია ერთი, რომ დიქტა-

ტურის ევოლუცია შეუძლებელია და ამ შემთხვევაში ჩვენი ადგილი იქნება საერთო დემოკრატიულ ლაგერში, რომელიც მიზნათ დაისახავს დემოკრატიზაციას საერთაშორისო მასშტაბით – ესაა გარანტია პატარა ერების არსებობისა."

ამ ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და ევროპის დიდი იმედების გაცრუების გამო, სხვა პატარა ერებთან ერთად, დემოკრატიულ რუსეთში საქართველოს მოწყობას, გ. ბოლქვაძე სასურველად თვლიდა. მაგრამ, ბოლშევიკური დიქტატურის ევოლუციის გზით გარდაქმნის შეუძლებლობიდან გამომდინარე, იგი პატარა ერების გადარჩენის ერთადერთ საშუალებას – „საერთო დემოკრატიულ ლაგერში" ეძებდა. ამ პოზიციას ვ. ჩუბინიძეც იზიარებდა და ქართულ პოლიტიკურ სპექტრს რუსეთთან მიმართებაში განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. სამწუხაროდ, „საერთო დემოკრატიული ლაგერის" შემქმნელ ქვეყნებსა და ადგილსამყოფელს ვერც ერთი მათგანი ასახელებდა. მის შემადგენლობაში საქართველოს მოხვედრის რეალურ გზებსა და განმაპირობებელ შესაძლებლობებსაც ვერ აკონკრეტებდნენ, და რაც მთავარია, გაურკვეველი რჩებოდა „საერთო დემოკრატიული ლაგერის" ცნებაც.

რამდენადაც ევროპის პოლიტიკურ სივრცეში საბჭოთა რუსეთის ინტერესები და გავლენა მკვეთრად გაიზარდა, ქართული ემიგრაციის ტაქტიკა, როგორც ნ. ჟორდანია ამბობდა, შექმნილი მდგომარეობისა და მიზანშეწონილობის მიხედვით უნდა აგებულიყო. ასეთი პოზიციის მიუხედავად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი, ახალი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძველი კურსის შეცვლას და მის საფუძვლიან განახლებას მოითხოვდა. სამწუხაროდ, იმ პერიოდის დოკუმენტურ მასალებში არსად ფიგურირებს მათი მხრიდან კონკრეტული მოთხოვნები. ისინი ზოგადი ფრაზებითა და შენიშვნებით კმაყოფილდებოდნენ და ამ ქმედებით, პოლიტიკური პარტიების შიგნით ერთგვარ წინააღმდეგობრივ ატმოსფეროს ქმნიდნენ. არადა, არსებული საერთაშორისო ვითარება განსაკუთრებულ სიფრთხილეს და სწორად გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებდა. მით უმეტეს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა რუსეთი კიდევ უფრო ძლევამოსილი წარმოჩნდა საერთაშორისო არენაზე. ამ ფაქტორმა, საბჭოთა რუსეთში სლავიანოფილური იდეოლოგიით გათვალისწინებული ღონისძიებების – მკვიდრი ერების ასახლების და მათ საცხოვრისზე სლავების ჩასახლების „გაცოცხლების" პროცესი დააჩქარა. მიმდინარე პოლიტიკის შესახებ მომზადებულ დოკუმენტში ამ საკითხს თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი. „ქართველი ერის უწმინდესი მოვალეობაა – ვკითხულობთ დოკუმენტში – ასეთი ზომების მიღებას არ მისცეს მიზეზი, არავითარი საბაბი. ასეთ იარაღად შეიძლება იქნას გამოყენებული რაიმე საომარ ავანტურაში ქართველების ჩაბმა." ეს გაფრთხილება გარკვეული ფორმით საბჭოთა კავშირის განაპირა ერების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების მოსალოდნელ გატარებაზე მიანიშნებდა. ამ მოახლოებულ საფრთხესთან მიმართებაში, ქართველი ერის გადასარჩენად ქართულ ემიგრაციას გარკვეული ზომები უნდა მიეღო. მხედველობაში მაქვს ნებისმიერი სახის პროვოცირების გამოცნობა და მძიმე შედეგების ასაცილებელი ღონისძიებებისადმი წინასწარი თადარიგის დაჭერა. აღნიშნულთან დაკავშირებით იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტია... ინახავს ქართველი ერის დიდებულ ტრადიციას. არ ჩაერევა არავითარ საეგებიო კონფლიქტებში და დაკმაყოფილდება ძველი ნაცადი ტაქტიკით. აწარმოებს... მუშაობას საბჭოთა წყობილების დემოკრატიული წყობილებით გარდასაქმნელად, ხალხის და ერის თავისუფლების დასამყარებლად. ამ მიზნით ჩვენ ვუკავშირდებით ძველებურათ საბჭოთა კავშირში ყველა... დემოკრატიულ და... სოციალისტურ მებრძოლ დაჯგუფებებს და მათთან ერთად ვაწარმოებთ ბრძოლას ჩვენი დროშის გასამარჯვებლად."

ამ ამონაწერის პირველი ნაწილის დებულება, გამაფრთხილებელი ფორმით გარკვეული დაპირებას შეიცავს. ხოლო მეორე ნაწილი, ბუნდოვნებითაა მოცული იმ თვალსაზრისით, რომ არც ამ და არც სხვა დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ.რა.სა-. შუალებებით ცდილობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ზოგიერთი წევრი საბჭოური რეჟიმის დემოკრატიული წყობილებით შეცვლას. მით უმეტეს, საბჭოთა იმპერიის დაჩოქება კბილებამდე შეიარაღებულმა ფაშისტურმა გერმანიამაც ვერ შეძლო. მისი სიძლიერის გამოვლინების შედეგად ევროპა ორად გაიყო და ურთიერთდაპირისპირებული სახე მიიღო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებთან მიმართებაში შექმნილ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ევროპა იყოფა ორათ, დგება ორი მოპირდაპირე ბლოკი: ერთი უკვე შემდგარია აღმოსავლეთ ევროპის სლავიანთა კავშირი, მას ეხლა უპირისპირდება შესაქმნელად განზრახული დასავლეთის ბლოკი, ევროპის დავარდნილი გაერთიანება ამერიკის დახმარებით და მეთაურობით.“

ასეთ სიტუაციაში ქართული ემიგრაციის მეთაურებს სწორი არჩევანი უნდა გაეკეთებინათ და საქართველოს მომავალი უფსკრულში არ გადაეჩეხათ. თუკი ამ პრობლემას საფუძვლიანად გავაანალიზებთ, აშკარად გამოიკვეთება ის უდიდესი სირთულეები, რომელიც ქართული ემიგრაციის მეთაურთა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინაშე იდგა. ამ ფონზე, სავსებით კანონზომიერად და ლოგიკურად მოჩანს მათ წინაშე რიტორიკული ფორმით დასმული კითხვა: ზემოაღნიშნულ „ორ ბლოკს შორის, სად არის ჩვენი (საქართველოს,- შ. ვ.) ადგილი?“ ამასთან დაკავშირებით იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენ ვართ იქ სადაც ვიყავით თავიდანვე, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ჩვენი დროშა რჩება იგივე, რაც გვქონდა მუდამ ს. დ. პარტიის აღორძინებიდან. ეს არის: თავისუფლება ხალხს, თავისუფლება ერს, დემოკრატია და ნაცია – ასეთი იყო და არის ჩვენი დროშის პოლიტიკური იდეოლოგია, ხოლო მისი სოციალური შინაარსი მუდამ მიმდინარეობდა ერთ ხაზზე, რაიცა იქნა განხორციელებული დამოუკიდებელ საქართველოში. ამ ხაზის ეტაპებია: მსხვილი საკუთრების გადაცემა ერისთვის, წვრილი წარმოების დატოვება მის მეპატრონეთათვის. ამ ორი ფორმის საკუთრებას შორის დგება საერთო სოციალური ბლოკი წარმოებათა და აღებ-მიცემობის სფეროში. მყარდება ხალხური დემოკრატია, ხალხური სოციალიზმი.“

ჩემს მიერ მოტანილი ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, საზღვარგარეთის ქართული სოციალ-დემოკრატიისა და მისი ლიდერების ძირითად მიმართულებას საქართველოს პირველი რესპუბლიკის აღდგენა, დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ხაზით განვითარება წარმოადგენდა. იმავე დოკუმენტში არაფერია ნათქვამი თუ რა გზით იყო შესაძლებელი მათ მიერ დასახული მიზნის განხორციელება. მიუხედავად ამისა, იქვე განსაკუთრებული ყურადღება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკების დაპირისპირებაზეა გადატანილი. ამ ფონზე კონკრეტულადაა დასმული საკითხი ქართული ემიგრაციის, მისი ხელმძღვანელობის ორიენტაციის შესახებ. ესე იგი, საკითხი იდგა – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი. ამასთან დაკავშირებით, იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „რამდენადაც დასავლეთის ბლოკს კაპიტალისტები, მსხვილი მესაკუთრენი, სიმდიდრისა და გამორჩენის მაძიებელნი ხელმძღვანელობენ, ჩვენ მასთან არ ვართ, მის სოციალურ ხაზს არ ვიზიარებთ. ხოლო თუ ის ცნობს ერთა და ხალხთა თავისუფლებას, მას ამყარებს და იცავს თავის ნაციონალურ საზღვრებში... იმდენად ვუახლოვდებით და მის პოლიტიკურ დროშას ვემხრობით.“ მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი

კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი პრინციპების მიმართ აქ უარყოფითი დამოკიდებულებაა დადასტურებული, მათთან თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაღებად მიჩნეული, თუკი მათი მხრიდან ერების დამოუკიდებლობა და თავისუფლება იქნებოდა აღიარებული. დასავლეთისადმი ასეთი გამოკვეთილი პრეტენზიით აღსავსე პოზიციის მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფოსადმი მათი მხრიდან ლოიალური ან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სრულებითაც არ შეინიშნებოდა. ამის უდაო დადასტურებას იგივე დოკუმენტი წარმოადგენს, სადაც ვკითხულობთ: „რამდენადაც აღმოსავლეთის ბლოკს მეთაურობს საბჭოთა რუსეთი, ამ პოლიტიკურ, სოციალურ და ნაციონალურ დესპოტიასთან, საერთო არაფერი გვაქვს. მის მომხრეთ და დამცველათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოვალთ. საჭიროა ერთი დიდი პროგრესული რეფორმა – მსხვილი საკუთრების ერის საკუთრებად გამოცხადება. მათ დიდ რეგრესულ მოვლენად აქციეს მისი პატრონობის და დამუშავების წესები. ასეთივე ზომების წვრილ საკუთრებაზე გავრცელებით, მთელი ერისთვის ყველა ფორმის საკუთრების წარმართვით და საერთო იძულებითი კოლექტიური დამუშავების შემოღებით, ადამიანი და ხალხი მათთვის არაფერია, ხოლო სახელმწიფო და მისი აპარატი ყველაფერია."

ამ მასალების გაცნობის შემდეგ, ისმება კითხვა: გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, თუკი ემიგრანტი ქართველი სოციალ-დემოკრატები ძირითად დასაყრდენს დასავლეთის კაპიტალისტურ ან აღმოსავლეთის კომუნისტურ ბლოკში ვერ ხედავდნენ, მაშინ რა პოლიტიკურ კურსს უნდა დაფუძნებოდა ქართველ ემიგრანტთა საქმიანობა და რომელ ქვეყანას მოიაზრებდნენ იმ ეტაპზე საქართველოს ემიგრაციის გულშემატკივრად? დასმული კითხვის პასუხად, იმავე დოკუმენტში „პოლიტიკური რომანტიზმით" შეზავებული დებულებაა წამოყენებული. „ჩვენი დროშაა – ვკითხულობთ დოკუმენტში – ამ ორი ბლოკის ერთ საერთო ნიადაგზე დაყენება – ხალხის და ერის თავისუფლების და მსხვილი საკუთრების ნაციონალიზაციის საფუძველზე გადაყვანა. ეს ვერ მოხდება ომით, ერთი მეორეს აწიოკებით და რბევით – ასეთი საშუალება... ერთხელ და სამუდამოთ უნდა იქნას ამოგდებული ადამიანთა არსებობის საშოდან. ორივე ბლოკის გადაყვანა ხალხური დემოკრატიის და ხალხური სოციალიზმის ნიადაგზე უნდა მოხდეს თითოეული ამათგანის შინაგანი პროცესით, ევოლუციით, მსგავსათ ყველა წინანდელი საშინაო ცვლილებებისა."

როგორც ვხედავთ, ორი ურთიერთდაპირისპირებული – დასავლეთის (კაპიტალისტური) და აღმოსავლეთის (კომუნისტური) ბლოკის მშვიდობიანი ევოლუციის გზით ერთმანეთში შერწყმის დებულება – რომანტიზმის ჩარჩოში თავსდება. სავარაუდოა, რომ ზემოთ აღნიშნული „საერთო დემოკრატიული ლაგერის" ცნებაში, შუალედური პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეები ამ ორი ბლოკის სინთეზს გულისხმობდნენ. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს დებულება სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის 1945 წლის 15 აპრილის ერთობლივი სხდომის მიერ საბჭოთა რუსეთის დიქტატორული რეჟიმის ევოლუციური გზით შეცვლის შეუძლებლობის შესახებ მიღებულ დადგენილებას ეწინააღმდეგება. ეს გასაკვირი არაა იმდენად, რამდენადაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილად საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, ქართული ემიგრაცია აგონიაში ჩავარდა. საბჭოთა რუსეთის ნგრევის შესახებ მათ მიერ შემუშავებულმა ყველა პროექტმა სრული კრახი განიცადა. ბოლშევიკური რუსეთი საბჭოური კოლონიალიზმის უძლიერეს საყრდენად მოევლინა კაცობრი-

ობას, რომელიც პირვანდელი საზღვრებით არ კმაყოფილდებოდა, სოციალიზმისა და დემოკრატიის ნიღბით, ევროპის დასავლეთის მიმართულებით ობობას ქსელს ხლართავდა და შუა ევროპაში წითელი სასაზღვრო ზოლის გავლებას ცდილობდა. შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შეფარვითი საბჭოური აგრესიის შესაჩერებლად, ევროპის ქვეყნები უძლური აღმოჩნდნენ. ამ ფონზე, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ქართული ემიგრაციის ნებისმიერი ღონისძიება ნაკლებად ეფექტური იქნებოდა.

3) პროევროპული ორიენტაცია. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზემოაღნიშნული ზოგიერთი წევრის პრორუსული ორიენტაციისა და გაურკვეველი შუალედური პოზიციის მიუხედავად, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია საქართველოს თავისუფლების მომავალს ოპტიმისტური პოზიციიდან აფასებდა. იმავდროულად, პრორუსული ორიენტაციის მხარდამჭერების მიმართ პრინციპულად სვამდა კითხვას: „სჭირდება თუ არა ჩვენს პარტიულ ხაზს რევიზია ამ ომით შექმნილი მდგომარეობის გამო?“ და იქვე განვლილი ისტორიის ანალიზის ფონზე დასძენდა: „ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, პარტიამ აღმართა დროშა დემოკრატიის პრინციპებზე ეროვნული თავისუფლების და სოციალური თანასწორობის. ასეთივე დროშით წამოვედით საზღვარგარეთ ჩვენი დაპყრობის შემდეგ და განვაგრძობდით მუშაობას ჩვენი დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და ჩვენს მოქმედებას ვუკავშირებდით კონკრეტულ შემთხვევებში ამა თუ იმ მოვლენებით შექმნილ მდგომარეობას. ხშირათ ამისთვის გვესმოდა საყვედურები ინტერნაციონალიდან, რომ ჩვენ მილიტარისტებთან ვიყავით. ამასვე გვისაყვედურებდა სეით დევდარიანი, მაგრამ ეს არ იყო სწორი... ჩვენი ხაზი იყო დემოკრატიული და ომს არ ვუკავშირებდით ერის განთავისუფლების იმედს. ეს ჩვენი ძირითადი დებულებები დაადასტურეს იალტის კონფერენციაზე – ერის თავისუფლება და თავისუფალ ერთა კავშირი დემოკრატიზმის პრინციპებზე – ეს იყო მუდამ ჩვენი და მას რევიზია არ სჭირდება. არის კი იმედები რომ ეს გატარდება რუსეთის ფარგლებში? არა, საბჭოთა მთავრობის მტკიცება რომ იქ არის 14 თავისუფალი რესპუბლიკა კამუფლაჟია და არა სინამდვილე. ამიტომ, ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას ამ ურყევი პრინციპის მიხედვით – ერის თავისუფლება და ერთა კავშირი. ამ მიზნების მისაღწევათ... ჩვენთვის მთავარია, რომ ეს პრინციპები ომმა აქტუალური გახადა და დადგება დრო ჩვენი დროშის ისევ აფრიალების და ამ მომენტისათვის უნდა ვიყოთ მზათ.“

ნ. ჟორდანიას გამოსვლიდან მოტანილი ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს: 1) ემიგრაციაში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის ძირითადი საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად იყო მიმართული. ამასთან, დასახული მიზანი დემოკრატიული პრინციპებით უნდა განხორციელებულიყო და არა ომითა და სხვა სახის კატაკლიზმებით; 2) ერის თავისუფლება და თავისუფალი ერების კავშირი დემოკრატიზმის ფუნდამენტს უნდა დაფუძნებოდა, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, ნ. ჟორდანიას სამართლიანი მტკიცებით, ერის თავისუფლება ისევ დღის წესრიგში იდგა და ევროპის ქვეყნების მხადაჭერით, საქართველოს პოლიტიკური ძალები ხელსაყრელი მომენტისათვის მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ.

მთავრობის თავმჯდომარის ეს გამოსვლა, მართალია, უკომპრომისო ხასიათს ატარებდა, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები სიმართლით იყო დატვირთული და კამუფლაჟით შენიღბული საბჭოური სინამდვილის გაშიშვლების მცდელობას შეიცავდა.

პოსტსაბჭოური ორიენტაციის მომხრეთა წინააღმდეგ იყო მიმართული გრ. ურატაძის გამოსვლაც. მისი სამართლიანი მტკიცებით, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე დიდი მოვლენების დროს, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან მთავრობის პოლიტიკა უნდა გადასინჯულიყო, მაგრამ დაჩქარებული ტემპით არ უნდა განხორციელებულიყო და ტაქტიკურ შეცდომებში არ გადაზრდილიყო. „საქართველოში – ამბობდა იგი – სახელმძღვანელოთ გვქონდა არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. აქ კი საჭიროა არც დაგვიანება, არც აჩქარება. ომის გამოცხადების და დესანტის დროს დავიგვიანეთ, ეხლა კი ძალზე ვიჩქარით. ამიტომ უნდა გავჩერდეთ და ორგანიზაციულად შეკავშირებული ვიყოთ. ჩვენი საკითხის ჩასმა ზოგად, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ჩარჩოში დაუშვებელია, ვინაიდან ჩვენ აღსადგენი გვაქვს ჩვენი დაკარგული დამოუკიდებლობა, დროებით კი ეს კითხვა რჩება ღიათ, ვინაიდან არ გვაქვს ამისთვის შესაფერი ასპარეზი."

ერთი შეხედვით საკითხი სწორად იყო დასმული, რადგან ომის დამთავრების შემდგომ ეტაპზე, საერთაშორისო ასპარეზზე დაგროვილი პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველო და მით უმეტეს ემიგრაციაში მყოფი მისი მთავრობის „ნამსხვრევები," ევროპის ქვეყნებისათვის ნაკლებად მიმზიდველი ჩანდა. სწორედ ეს ფაქტორი ქონდა მხედველობაში გრ. ურატაძეს, როცა თავშეკავებასა და ლოდინის ტაქტიკაზე ამახვილებდა ყურადღებას. ამ კურსის შეცვლის რეალური პირობების მომზადება, დასავლეთ ევროპის ან სხვა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენლობის თანადგომას მოითხოვდა. ეს ფაქტორი ქართული ემიგრაციის მესვეურთ კარგად ქონდათ გაცნობიერებული. მხედველობაში მაქვს ისეთი ანტისაბჭოური ორგანიზაციის შექმნის მცდელობა, რომლის საქმიანობა გარკვეული ფორმით სსრ კავშირის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ინტერესებშიაც ჯდებოდა. ამ მიმართულებით გრ. ალშიბაიასა და გ. გაბლიანის მიერ პირველი ქმედითი ნაბიჯი 1946 წელს გადაიდგა და „საქართველოს ნაციონალური კომიტეტი" დაარსდა. პირველ ეტაპზე ამ ორგანიზაციის ძირითად მიზანს მისი არსებობით აშშ-ის შესაბამისი უწყებების დაინტერესება წარმოადგენდა. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ხსენებული კომიტეტის ხელმძღვანელები აშშ-ის დაზვერვის მესვეურებთან შესაბამის მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ეს ურთიერთობა 1948 წლიდან კიდევ უფრო გაღრმავდა. მხედველობაში მაქვს აშშ-ისა და ინგლისის დაზვერვის ხელმძღვანელთა ერთობლივი ინიციატივით, ლონდონის მახლობლად, ქალაქ ნარვიცში ანტისაბჭოური საქმიანობის შტაბის – „ნელსონის" შექმნა, რომელსაც 5 დამოუკიდებელი განყოფილება დაექვემდებარა. სსრკ-თან მიმართებაში სადაზვერვო საქმიანობას მე-4 განყოფილება აწარმოებდა. რაც შეეხება მე-5 განყოფილებას, ნ. დადეშქელიანი ხელმძღვანელობდა. მის დანიშნულებას ანტისაბჭოურად მოაზროვნე ქართველების შერჩევა, სადაზვერვო საქმიანობით დასპეციალიზება და თურქეთის გავლით საქართველოში შეგზავნა წარმოადგენდა.[4]

ჩემს მიერ არქივსაცავებში მიკვლეული დოკუმენტური მასალებით დასტურდება, რომ საქართველო-თურქეთის სასაზღვრო პერიმეტრი საბჭოთა ხელისუფლების შესაბამის უწყებებს საგანგებოდ ჰქონდათ დაცული. ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი იმ საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც „მოგზაურობის ისტორიის" სახელწოდებითაა დასათაურებული. ეს დოკუმენტი A-4 ფორმატის ხუთგვერდიანი ხელნაწერია და უაღრესად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. მისი ავტორები იმ

4 სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბ., 2012. გვ. 464-468.

სიძნელეებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელიც საზღვრის გადაკვეთას უკავშირდება. იქვე გარკვევითაა მითითებული, რომ დროთა განმავლობაში საქართველოში თურქეთიდან შეღწევა და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკონტაქტება საფეხურებრივად რთულდებოდა. ომის დამთავრების შემდეგ სსრკ-ში რეპრესიების ახალი ტალღის დაწყებამ, ტყვედ ჩავარდნილთა ოჯახები და ემიგრაციაში მყოფთა ნათესავები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. თავის გადარჩენის მიზნით, ისინი საბჭოთა იმპერიის დატოვებას ცდილობდნენ. ეს პროცესი განსაკუთრებით საქართველო-თურქეთის სასაზღვრო მონაკვეთზე შეინიშნებოდა. ამ ხაზის გაძლიერებული მეთვალყურეობა აღნიშნული ფაქტორითაც იყო განპირობებული.

ქართული ემიგრაციის ოპტიმისტური შემართების ახალი საფეხური ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაციის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის (ნატო) შექმნიდან (1949 წელი) იწყება. რამდენადაც, ორ ურთიერთდაპირისპირებულ სისტემას შორის „ცივი ომის“ ქარიშხალი გარდუვალი ჩანდა, ეს ფაქტი ქართული ემიგრაციის პოლიტიკური სპექტრისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მან გარკვეული ფორმით ასახვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ ნ. ჟორდანიას მიმართვაშიაც ჰპოვა. ეს დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მის შესახებ საქართველოში არალეგარულად მოქმედმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა (1949 წლის 9 და 10 სექტემბერი) საგანგებოდ იმსჯელა. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში – „მიმდინარე მომენტი და ჩვენი ტაქტიკა“ შესახებ მიღებულ დადგენილებაში, რუსეთსა და ევროპა-ამერიკას შორის წარმოქმნილი დაპირისპირება შემდეგი ფორმითაა წარმოდგენილი: „ომის დროს შეუღლებული დემოკრატია და საბჭოთა ტირანია გაიყვნენ. მოხდა ის, რაც ბუნების კანონით უნდა მომხდარიყო. ევროპა-ამერიკა ირაზმება, მოსკოვი მარტოვდება. კონფლიქტი ამ ორ ბანაკთა შორის ატარებს „ცივი ომის“ სახეს და მესამე „ცხელი ომის“ აჩრდილი მსოფლიოს თავს დასტრიალებს. ამ მდგომარეობის დიდი ხნით დამაგრება შეუძლებელია, ის უკვე გაცდა მოპირდაპირეთა ნება სურვილების საზღვარებს, ხოლო ამ კონფლიქტთა გადაჭრა ნიშნავს ბოლშევიზმის დამარცხებას, მის გაქრობას და რუსეთის ხალხთა განთავისუფლებას.“

ამ ამონაწერში წარმოდგენილი დებულების მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი დაძაბული ურთიერთობის დარეგულირებას ბოლშევიზმის მარცხი და საბჭოთა იმპერიის საზღვრებში მოქცეული ერების განთავისუფლება უნდა მოყოლოდა. ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა შეესრულებინა. მით უმეტეს, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, „საქართველოში მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული პარტია, ჯოჯოხეთური პირობების მიუხედავად, ურყევად დგას თავის ძველ ნაცად გზაზე და კვლავინდებურად განაგრძობს ბრძოლას საქართველოს სუვერენიტეტის და დემოკრატიული წყობილების აღსადგენად. პარტიამ სახელმძღვანელოდ მიიღო საზღვარგარეთული ბიუროს და ნაციონალური მთავრობის ტაქტიკა, რომლის წყალობითაც აცდა ბევრ უმიზეზო მსხვერპლს და დარჩა ერთგული თავისი ნაცადი ტაქტიკისა.“ ეს იმის დამადასტურებელია, რომ საბჭოთა საქართველოში, არალეგარულად მომქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, მოქმედების იმ კურსს იზიარებდნენ, რომელიც საზღვარგარეთ მყოფი ქართული სოციალ-დემოკრატიისა და მთავრობის მიერ იყო შემუშავებული. იმავე დოკუმენტის მომდევნო ნაწილში გარკვევითაა მითითებული იმ მოსალოდნელი შიდაკონფლიქტების განმაპირობებელ მიზეზებზე, რომელიც საბჭოთა იმპერიაში უნდა წარმოქმნილიყო და ამ იმპერიის დამონებული ხალხების განთავისუფლების საფეხური გამხდარიყო. მით უმეტეს, როგორც

დოკუმენტშია აღნიშნული, – სსრკ ორპოლუსიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა; 1) გაღატაკებული, ადამიანურ უფლებებს მოკლებული მოქალაქეები და 2) ამ ხალხის მჩაგვრელი ხელისუფლება. მათ შორის დაპირისპირება იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ ზემოხსენებული დოკუმენტის შემდგენლები ამ ფაქტორში საბჭოთა სისტემის ნგრევის მყარ საფეხურს ხედავდნენ. საბჭოთა კავშირში „ხალხი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ უფრო გაღატაკებულია – ვკითხულობთ იმავე დოკუმენტში – ვინემ ეს თვით ომის დროს იყო. ქვეყნის მთელი ავლადიდება სახელმწიფოს ხელშია. ხალხს ისიც წაართვეს რაც ომის დროს უბოძეს, საშინელი სილატაკე და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა ხალხის ხვედრი შეიქმნა. დღეს ერთ მხარეზედ დგას დაჩოქილი, დაბეჩავებული საბჭოთა ადამიანები, თავისუფლების და ადამიანობის მაძიებელნი, ხოლო მეორე მხარეზედ დგას ხელისუფლება – ამ ხალხების მჩაგვრელნი და სისხლის მწოველნი. მათ შორის გამართულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რაც ისტორიულ პერსპექტივაში საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ დამანგრეველ პირობას წარმოადგენს. ეს საშინაო კონფლიქტი – ხალხისადმი უნდობლობა და შიში – ბადებს საგარეო კონფლიქტის შესაძლებლობას. შინაური კონფლიქტების დასაფარავად ხელისუფლება დაადგა აშკარა აგრესიულ გზას."

ამ დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლის-ამერიკის მთავრობათა მიერ განხორციელებული პოლიტიკური კურსი შეცდომად, საბჭოთა რუსეთის ტერიტორიულად გაფართოების და ახალი კომუნისტური ქვეყნების აღმოცენების საფუძვლადაა გამოცხადებული. „ინგლის-ამერიკის ბეცური საომარი პოლიტიკის შედეგად – ნათქვამია დოკუმენტში – რუსეთი დაეპატრონა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის დიდ ნაწილს. თავისი საზღვარი მიიტანა შეტინტრიესტის შორის მდებარე ხაზზე, ამთავრებს ჩინეთის გაკომუნისტებას და მიემართება მთელი აზიის თავის მორჩილებაში დასაყენებლად."

ევროპისა და შეერთებული შტატების ხელისუფალთა მხრიდან თავის დროზე დაშვებული შეცდომების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების ახალი საფეხურის შექმნამ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და საქართველოში არალეგარულად მოქმედ ანტისაბჭოურ ძალებში ქვეყნის განთავისუფლების გარკვეული იმედი გააღვიძა. მიუხედავად ამისა, ევროპისა და აშშ-ის სამთავრობო წრეების პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, მათდამი ნდობის ფაქტორი დაბალი იყო. ამიტომ, არალეგარულად მოქმედი ანტისაბჭოური ძალების ტაქტიკა განსაკუთრებულ თავდაჭერაზე და სიფრთხილეზე იყო დაფუძნებული. ამის უტყუარ დადასტურებას იმავე დადგენილების დასკვნითი ნაწილი წარმოადგენს, რომელშიც ხაზგასმულია: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკა დამყარებულია ისტორიულ აუცილებლობაზედ, საბჭოთა წყობილების უეჭველ დანგრევაზედ, მისი ახალი თავისუფალი წყობილებით შეცვლაზედ. საქართველოს დღევანდელ პირობებში, სადაც მცხოვრებთა 80% სოციალ-დემოკრატიის იდეური და მორალური გავლენის ქვეშ იმყოფება – ჩვენი პარტიის ტაქტიკა ერთია – ხალხის დამაგრება სოციალ-დემოკრატიის იდეურ სფეროში, მისი რიგების პოლიტიკურად დაწყობა, მიმდინარე საკითხებში გარკვევა და აცილება ყოველგვარი უმიზეზო და უდროვო მსხვერპლის. ამ გზით მომზადებული ხალხი, გადამწყვეტ მომენტში გამოვა ასპარეზზე და თავისთავს დაეპატრონება იმ საშუალებებით რომელსაც იმ დროს აუცილებლობა უკარნახებს. ერთი სიტყვით, ჩვენი ტაქტიკა რეჟიმის გარდატეხის ხანაში დაექვემდებარება ჩვენს უახლოეს მიზნებს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას."

ამ ამონაწერის მიხედვით, პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია და ერთობლივი მოქმედება, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ხალხის ყოველმხრივი მომზადების ძირითად საფეხურადაა გამოცხადებული. ამის შესახებ საქართველოს

სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1949 წლის 10 სექტემბრის პლენუმზე მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „საზღვარგარეთის ბიურომ ნაციონალურ მთავრობასთან ერთად გადადგას საჭირო ნაბიჯი უცხოეთში ეროვნული ფრონტის შესაქმნელად ნაციონალური მთავრობის ირგვლივ და მისი მეთაურობით. ეს იქნება საქართველოში არსებული ერთობის გაგრძელება და გამოხატულება, სადაც ყველა საღი ეროვნული ძალები გაერთიანებული არიან ერთ ანტიკომუნისტურ და ნაციონალური თავისუფლების ფრონტში.“

ამ დადგენილების მიუხედავად, ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ძალები ურთიერთდაპირისპირებით იყვნენ გართულნი და პირველობის მოსაპოვებლად შესაბამისი საფეხურის მომზადებას ცდილობდნენ. ამ შიდა ბრძოლებიდან გამომდინარე, პოლიტიკური პროცესების ყველაზე აქტუალური საკითხები ზოგჯერ მათი მხრიდან ყურადღების მიღმა და რეაგირების გარეშე რჩებოდა. მათი ასეთი ქმედება, საქართველოში იატაკქვეშეთში მოქმედ ორგანიზაციებზე და მის წევრებზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა. არადა, უმძიმეს ცხოვრებისეულ პირობებში მყოფი ანტისაბჭოთა საქმიანობაში ჩაბმული ადამიანები მეტ ყურადღებას მოითხოვდნენ. თუ მათ ფინანსურ დახმარებას ვერ შეძლებდნენ, ერთობლივი ძალებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთის გვერდით ყოფნა ფორმალურად მაინც უნდა ეჩვენებინათ. ეს ფაქტორი, გარკვეული დოზით სტიმულატორის როლს შეასრულებდა.

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელი გახდა. ომის შემდგომი პერიოდი პოლიტიკურ ძალთა შორის უაზრო დაპირისპირებითა და ურთიერთ პოლიტიკური განქიქებით აღინიშნა. ეს სავალალო გარემოება ქონდა მხედველობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 2 ოქტომბრის არალეგარულ სხდომას, რომელმაც ამ საკითხს საგანგებო ყურადღება დაუთმო და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. „შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა – ვკითხულობთ დოკუმენტში – პარტიასა და მის ხელმძღვანელ ორგანოებს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ნ. ჟორდანიას მეთაურობით უცხოეთში არსებული ეროვნული მთავრობის საქმიანობას და მას ალმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება. ცეკას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია უცხოეთში გახიზნული ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის მთავრობის ირგვლივ დარაზმვა განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულებისა. ამ მიზნით, საზღვარგარეთის ბიუროს ევალება მიიღოს ყოველგვარი ზომები რომელიც ამ ერთობას მიგვაახლოებს... ჩვენი პარტიის საზღვარგარეთული ბიურო და უცხოეთში არსებული სხვა დაჯგუფებები უნდა თამაშობდნენ მთავრობის დამხმარე და ხელის შემწყობ როლს, იქ სდაც მათ ეს ეხერხებათ. ამ სახით დარაზმულ ემიგრაციას შეუძლია საქართველოს ინტერესებს გაუწიოს დიდი სამსახური და ააცილოს მოსალოდნელი კატასტროფა და ხიფათი. ცეკა საჭიროთ თვლის... ემიგრაციის შინაური კინკლაობის ნიადაგზე დაყოფა, საქართველოს ზიანის მეტს უცხოეთში არაფერს მოუტანს. დროა ემიგრაცია გონს მოეგოს, ღრმად ჩაუკვირდეს თავის საქციელს და შეაფასოს მომენტის სიმძიმე. წინაალმდეგ შემთხვევაში ის პასუხს აგებს ერისა და ისტორიის წინაშე. ნურავინ ნუ ფიქრობს, რომ ის გაექცევა განთავისუფლებული ერის სამსჯავროს.“

ამრიგად: 1) მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე, სბჭოთა რუსეთისაგან „განმათავისუფლებელი მისიითა“ და „სახალხო დემოკრატიის“ ნიღბით ევროპის ქვეყნების ოკუპაციის საკითხი ბოლშევიკებისაგან დევნილმა და ემიგრაციაში მყოფმა კანონიერმა მთავრობებმა, იდეოლოგიურ ფრონტზე განსჯის ძირითად საგნად აქციეს. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამ საკითხთან მიმართებაში, ქართული

ემიგრაცია განსაკუთრებით აქტიურობდა. საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ 1945 წელს საფრანგეთში შექმნილი „ქართველ პატრიოტთა კავშირი" ქართველი ემიგრანტების გადაბირებას, საბჭოთა პლატფორმაზე გადაყვანას და იდეოლოგიურ ფრონტზე ქართული ემიგრაციის ნეიტრალიზებას ითვალისწინებდა; 2) ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების მხრიდან ქართული ემიგრაციისადმი 1921-1945 წლებში მიცემული დაპირებების შეუსრულებლობამ, მათმა პოლიტიკურმა კურსმა და საბჭოთა რუსეთან „პოლიტიკურმა არშიყობამ" (ნ. ჟორდანია), ქართველ ემიგრანტთა შორის ევროპისადმი ნიჰილიზმი დაამკვიდრა და მისი ორიენტაციის სამი მიმართულებით [ა) პრორუსული, ბ) შუალედური და გ) დასავლეთ ევროპული] ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ა) საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ქართული ემიგრაციის ერთი ჯგუფი, წარსულის ანალიზიდან გამომდინარე, ევროპის ქვეყნებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი რეალური მხარდაჭერის ნიადაგსა და რესურსებს ველარ ხედავდა. ევროპისადმი ნიჰილიზმი მასში იმდენად ძლიერად იყო ჩაკირული, რომ რუსეთიდან გამოყოფაზე უარს აცხადებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის წინა პლანზე წამოწევას თავის მოტყუებად თვლიდა; ბ) საბჭოთა რუსეთში გამეფებული დიქტატურის ევოლუციური გზით შეცვლის შეუძლებლობიდან გამომდინარე, ქართველი ემიგრანტების მეორე ჯგუფი რუსეთის იმედად დარჩენას მიუღებლად მიიჩნევდა. იმავდროულად, ევროპის ქვეყნებთან მიმართებაშიაც ნიჰილიზმს ამჟღავნებდა და საქართველოს გადარჩენის რეალურ საშუალებად „საერთო დემოკრატიულ ლაგერს" მოიაზრებდა. „პოლიტიკური რომანტიზმით" დამძიმებული ეს შეხედულება, დასავლეთის კაპიტალისტური და აღმოსავლეთის კომუნისტური ბლოკების მშვიდობიანი ევოლუციის გზით ერთმანეთში შერწყმას ითვალისწინებდა; გ) საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე და მისი მხარდამჭერები საქართველოს მომავალს ევროპის ქვეყნების თანადგომაში და დემოკრატიზმში ხედავდნენ. ქართული ემიგრაციის ცნობიერებაში დასავლეთისაგან მხარდაჭერის გაღრმავებას ორი ფაქტორი დაედო საფუძვლად: ა) „საქართველოს ნაციონალური კომიტეტისა" და აშს-ის დაზვერვის წარმომადგენლების საქმიანი კონტაქტები და ბ) 1949 წელს ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის (ნატო) შექმნა; 3) საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის ხელისუფალთა მხრიდან იმ ეტაპზე საბჭოთა იმპერიის საწინააღმდეგოდ გატარებულმა პრაგმატულმა ღონისძიებებმა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასა და საქართველოში არალეგალურად მოქმედ ანტისაბჭოურ ძალებში ქვეყნის განთავისუფლების იმედები გააცოცხლა. ამის რეალურ საფუძველს, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ცვალებადობიდან და მოსალოდნელი ხელსაყრელი პირობების შექმნიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპაში არსებული ქართული პოლიტიკური სპექტრის საქართველოს ემიგრანტული მთავრობის გარშემო გაერთიანების საკითხის პრინციპულად დასმა იძლეოდა. მით უმეტეს, მათი მხრიდან კონსესუსზე დაფუძნებული ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავება ერის თავისუფლებისათვის მოსამზადებელ წინა პირობად იქნა გამოცხადებული.

დამოწმებანი

1. სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბ., 2012.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწ. 1, საქმე 412.

SHOTA VADACHKORIA

The Georgian Emigration and the Issue of the National-Liberation Movement in 1945-1950

Summary

On the basis of the documentary materials it is stated that:

At the end of the World War II legitimate government in an exile put forward the occupation of the European countries by the Soviet Union, under the guise of „liberating mission" and „people's democracy" as the main theme of reflections on the ideological front. With the help of the documentary materials it is stated, that the Georgian emigration was particularly active concerning the mentioned issue. In 1945 the intelligent service of Russia founded the „Union of the Georgia Patriots" in France. This organization aimed to persuade Georgian immigrants to the Soviet platform and neutralize them on the ideological front.

From the side of the leaders of the European countries unfulfilled promises given to the Georgian emigration in 1921-1945 and the two-faced policy, the „political coquetry" (N. Zhordania) created nihilism towards the Europe among the Georgian emigrants and encouraged the formation of the fallowing orientations: Russian, intermediate and west European. a) With the help of the archive materials it becomes obvious that one group of the Georgian emigration on the basis of the analyses of the past was not optimistic about the support of the European countries in restoring independence of Georgia. The nihilistic mood was so strong in them that they were against separation from Russia and believed that to put forward the issue of independence was self-delusion. b) Because it was impossible to use the evolutionary path to change the prevailing dictatorship that reined in the empire, another group of Georgian immigrants believed that it is impossible to rely on Russia. At the same time this group had nihilistic feelings towards the European countries and believed that the only realistic way of saving Georgia was „common democratic lager/camp". This viewpoint full of „political romanticism" meant peaceful amalgamation of the Western Capitalistic and Eastern Communist blocs. c) The head of the emigration committee and his supporters saw the future of Georgia in a support of the European countries and in their democracy. For the Georgian emigration there were two factors: 1. business relations of the „National Committee of Georgia" and the representatives of the USA intelligent service and 2. Founding of the North Atlantic Alliance (NATO) in 1949.

3. According to archive materials pragmatic measures carried on by the European countries and the USA government against the Soviet empire revitalized the hope of the liberation of the country among the Georgian political emigration and anti-Soviet forces which acted illegally in Georgia. Variability of the current political processes and the possibility of creating the advantageous conditions had put on the agenda the inevitability of the unification of the Georgian political forces in Western Europe. Among the politically sensible part of the Georgian emigration, unification of the political movements around the legitimate government of Georgia and creating of the plan of action based on consent, was announced as the precondition of preparing the liberation of the nation.

ჟორჟეტას „საქართველო“ და გიორგის „გულის პარიზი“

გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის მიმოწერა (1926-1930 წწ.)

დასაბეჭდად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
პაატა ნაცვლიშვილმა

1927 წლის 9 თებერვალს გიორგი ნიკოლაძე თავის საცოლეს სწერდა:

წუხელის მითხარი: „შენ ხარ ჩემი საქართველო!!“ ამაზე მშვენიერი აბა რა გითქვამს, ან რალას მეტყვი? რა გიპასუხო სამაგიერო? სამჯერ შემხვდი ცხოვრებაში. ერთხელ პატარა ცემში, მერე ტფილისში და ბოლოს აქ, დადამიწის დადაქალაქში – პარიზში. თანაც ამ ჩემ გულში იკავებდი შესაფერისს ადგილს: ჯერ პატარას, როგორიც არის პატარა ცემი, მერე – როგორც ტფილისი და ბოლოს ეხლა შენ გახდი ჩემი გულის პარიზი


ამ წერილის მნიშვნელობა გიორგიმ იმთავითვე კარგად იცოდა და ამიტომ იყო, რომ ფურცელს მეორე მხარეს წააწერა – : ჟორჟეტას სახსოვრად გიორგისაგან.

ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის ერთადერთი ვაჟი – გიორგი ნიკოლაძე (1888-1931) გვიან დაოჯახდა, თითქმის 39 წლისა, თუმცა თავისი მომავალი მეუღლე მანამდე 20 წლით ადრე გაიცნო. შემორჩენილია პატარა ცემში 1907 თუ 1908 წელს გადაღებული ფოტო, სადაც ახალგიმნაზიადამთავრებულ გიორგის მუხლებზე 4-5 წლის ორი გოგონა უზის.[1] ერთი მათგანი – ჟორჟეტა ღამბაშიძე 1927 წელს გიორგი ნიკოლაძის მეუღლე გახდება. ჟორჟეტა პატარა ცემის სანატორიუმის დამაარსებლის, ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ღამბაშიძისა და მისი ამერიკელი მეუღლის ვანდა ჰოპეს მეოთხე შვილი იყო. იგი 1903 წელს დაიბადა და 1981-ში გარდაიცვალა. ეს სახელი მას დედ-მამამ საქართველოს სიყვარულით დაარქვა. საფრანგეთსა და საქართველოსა და საფრანგეთში გოგონას ჟორჟეტას ეძახდნენ, ხოლო მერე, მრავალი წლის შემდეგ, უკვე შოტლანდიაში, იგი ჯორჯეტა გახდება.


ჯერ კი იგი კიტა აბაშიძის პატარა თამრიკოსთან ერთად 20-ოდე წლის გიორგი ნიკოლაძეს უზის მუხლებზე და წარმოდგენა არა აქვს, რა ტკბილ-მწარე მომავალს უმზადებს ბედი.

---

1 მასალა უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როცა ჟორჟეტას დისშვილმა ნათელა ნიკოლაძემ პარიზიდან მის ოჯახში დაცული უნიკალური ფოტოების კოლექცია გამოგვიგზავნა, რომელთაგან ერთ-ერთი ამ ფოტოს რიმეიქია ორი ათეული წლის შემდეგ. ფოტო თბილისშია გადაღებული 20-იანი წლების ბოლოს.



გიორგი ნიკოლაძე ჟორჟეტა ლამბაშიძით (მარცხნივ) და თამარ აბაშიძით მუხლებზე (ფოტო ვახტანგ ლამბაშიძისა; დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში; ქვეყნდება პირველად)



იგივენი 1928 ან 1929 წელს (ფოტო ინახება ნათელა ნიკოლაძის ოჯახში, პარიზში; ქვეყნდება პირველად)

ამ ფოტოს გადაღებიდან ძალიან მალე გიორგი პეტერბურგში წავა სასწავლებლად, მერე დონბასში იმუშავებს მეტალურგად, ამასობაში რუსეთის იმპერია დაიშლება, გიორგი საქართველოში დაბრუნდება და დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩადგება, როგორც მეცნიერი, პედაგოგი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი, ანუ მოადგილე და, რაც მთავარია, როგორც ეროვნულ-პატრიოტული და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის „შევარდენის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

ამ მოძრაობამ სამშობლოსა და ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მრავალი ახალგაზრდა შემოიკრიბა და მათ შორის იყო 14 წლის „და“ ჟორჟეტა ლამბაშიძე. „ძმა“, „და“ – ასე მიმართავდნენ შევარდნელები ერთმანეთს.

იმ დროს საქართველოში მრავალი უცხოელი სამხედრო იყო ჩამოსული – რიგითი ჯარისკაცებით დაწყებული და გენერლებით დამთავრებული – გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები... როგორც საქართველო-სომხეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკების წარმმართველი, სწორედ იმ დროს მოავლინეს თბილისში შოტლანდიელი რობერტ ნილ სტიუარტი – ჟორჟეტას მომავალი მეორე მეუღლე.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთ დღეც არ უცხოვრია მშვიდად და 1921 წლის თებერვალში ქვეყნის სამწლიანი დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებთან ომით და ქვეყნის ძალისმიერი გასაბჭოებით დასრულდა. ვახტანგ ლამბაშიძემ პოლიტიკურ ემიგრანტთა პირველსავე ტალღასთან ერთად ცოლ-შვილი კონსტანტინოპოლში

გახიზნა. თავად კი ნოემბრამდე თბილისში დარჩა და რუსეთ-საქართველოს ომში დაჭრილ მეომრებს მკურნალობდა. იგი იმ პერიოდში საქართველოს საკურორტო სისტემის ხელმძღვანელი იყო.

ნოემბრიდან კი ისიც კონსტანტინოპოლს წავიდა და მეუღლესთან ერთად „წითელ ჯვარში" დაიწყო სამსახური. 1924 წელს ცოლ-ქმარი ღამბაშიძეები სამი ქალიშვილითა და ერთი ვაჟით პარიზს გადასახლდნენ. საფრანგეთის დედაქალაქში ვახტანგ ღამბაშიძემ საკუთარი კლინიკა გახსნა და აქტიურად ჩაება პარიზის ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, რომლის პირველი თავმჯდომარე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი გიორგი ჟურული იყო. გიორგი ჟურულის შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარედ სამჯერ ზედიზედ სწორედ ვახტანგ ღამბაშიძეს აირჩევენ.

ამასობაში საბჭოთა საქართველოს განათლების სამინისტრომ უკვე სახელიანი მათემატიკოსი და ინჟინერი, ტანმოვარჯიშე, მთამსვლელი, სპორტის ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლაძე საფრანგეთს გაუშვა სამეცნიერო მივლინებით. და პარიზში კვლავ გადაიკვეთა მისი და ჟორჟეტას გზები. თუმცა გიორგის მალევე მოუხდა პარიზის დატოვება. იგი ლონდონს გაემგზავრა, სადაც იმხანად ჭიათურის მარგანეცისა და სხვა საქმეებზე იმყოფებოდა მამამისი, 83 წლის ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ბრიტანეთის ჰავას ვერ შეგუებოდა და ხშირად ავადმყოფობდა.

აი, როგორ იხსენებს გიორგის პარიზში გამოჩენას ჟორჟეტა ღამბაშიძე თავის მოგონებაში:

1926 წლის ერთ დღეს ჩვენი ოჯახის მეგობარი, ბ-ნი გიორგი ნიკოლაძე საქართველოდან პარიზში ჩამოვიდა, სორბონაში უმაღლეს მათემატიკაში ხარისხის დასაცავად... ხუთი წლის ასაკიდან ვიცნობდი, ჩემი ოცნების გმირი იყო. როდესაც პატარა ცემში ჩვენთან, სანატორიუმში ჩამოდიოდა, მე და ჩემი მეგობარი[2] გვერდიდან არ ვცილდებოდით. მაშინ სტუდენტი იყო და ოქროსფერღილებიანი მოხდენილი ფორმა ეცვა. ერთხელ ვთხოვეთ, ორი ღილი მოგვეცითო. მოგვცა. გავაპრიალეთ. პატარა კოლოფში ჩავდეთ, ბამბაც ჩავატანეთ და სასოებით ვინახავდით... მოგვიანებით, 14 წლისა თბილისის ფიზკულტურული საზოგადოების წევრი გავხდი, სადაც მწვრთნელად მუშაობდა. მისით აღტაცება ამ გამნელებია... პარიზში გიორგი ნიკოლაძის სტუმრობით ყველანი აღტაცებულნი დავრჩით. მერე ლონდონში წავიდა მამის სანახავად. იქიდან ყოველდღე წერილებს მიგზავნიდა და მალე აშკარა გახდა, რომ ჩვენს შორის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. მალე ცოლად გაყოლა მთხოვა" :[3]

ლონდონიდან გამოგზავნილი გიორგის წერილები ჟორჟეტას უპასუხოდ არ დაუტოვებია. მერე მათი მიმოწერა საფრანგეთშიც გაგრძელდა. დღეს ეს წერილები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. მიმოწერა მრავალმხრივ არის საინტერესო. წერილებში გიორგისა და ჟორჟეტას სასიყვარულო ურთიერთობის დინამიკასთან ერთად, კარგად ჩანს რამდენ სხვადასხვა სახის საზრუნავშია ჩაფლული გიორგი – სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებისათვის წარსადგენი მოხსენებითა თუ დუგლას ფრეშფილდთან შეხვედრის პერიპეტიებით დაწყებული, ავადმყოფი მამის მოვლა-პატრონობით, გრამაფონის ფირფიტებით ინგლისური ენის შესწავლითა თუ ლონდონელ სპორტსმენებთან ერთად სისტემატური ვარჯიშებით დამთავრებული.

---

2 იგულისხმება თამარ კიტას ასული აბაშიძე.

3 ჟორჟეტა ღამბაშიძე, „მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე". ჟურნ. „ჩვენი მწერლობა", №№ 3, 2009. გვ. 34.

ღამე გწერ, როდესაც ყველას სძინავს, მე კი მამას ვუდარაჯებ, რომელიც ძალიან ავად არის სწორეთ ამ დროს, როცა ამას გწერ. : (გიორგის 26 იანვრის წერილიდან).

გიორგიმ მამა საქართველოში 1927 წლის დასაწყისში გამოისტუმრა და მერე ცოცხალი აღარ უნახავს. ნიკო ნიკოლაძე 1928 წლის 5 აპრილს გარდაიცვალა თბილისში. ახლობლებმა დაუმალეს პარიზში მყოფ გიორგის ეს ამბავი, იმ მიზეზით, რომ იგი ჩამოსვლას მაინც ვერ მოასწრებდა.[4] გიორგი ამ დროს საფრანგეთში ჟორჟეტასთან ერთად თავისი მეორე მოგზაურობისთვის ემზადებოდა, რათა მეტალურგიული ქარხნების მუშაობა შეესწავლა.

თუმცა გიორგისა და ჟორჟეტას მოგზაურობანი სხვა თემაა და ამაზე – სხვა დროს და სხვაგან. ახლა მათ მიმოწერას დავუბრუნდეთ. ეს წერილები გიორგის დას, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძეს ნიკოს დიდი ოჯახის მრავალ სხვა უძვირფასეს საარქივო მასალასთან თუ ნივთთან ერთად ჩაუბარებია საჯარო ბიბლიოთეკისთვის 1940 თუ 1941 წელს, თუმცა ისინი ნიკოლაძეთა ოჯახის მეორე თაობის სხვა წარმომადგენელთა წერილებთან ერთად სამომავლოდ გადაედოთ და ისე საიმედოდ შეენახათ ნიკოლაძეთა სკივრში, რომ მრავალი წლის მანძილზე მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა, სანამ ამ ათიოდე წლის წინათ სრულიად მოულოდნელად არ იხილეს მზის სინათლე.

გიორგისა და ჟორჟეტას ჩვენამდე მოღწეული და ჩვენს ხელთ არსებული მიმოწერა 1926-1930 წლების 44 წერილს მოიცავს. აქედან 20 წერილი გიორგისაა, 24 – ჟორჟეტასი, 11 წერილი 1926 წლით არის დათარიღებული, 26 – 1927 წლით, 2 – 1930 წლით, ხოლო 5 უთარიღოა, თუმცა ძნელი დასადგენი არ არის, რომ ხუთივე 1927 წელს არის გაგზავნილი.

მიმოწერის დასაწყისში წერილები ვრცელია, რამდენიმეგვერდიანი, მერე და მერე მათი მოცულობა მცირდება, იქამდე, რომ თებერვლის შუა რიცხვებში ძირითადად დეპეშურ, მოკლე შეტყობინებების ფორმას იძენს. ბოლო ორი უსტარი კი ისევ საკმაოდ ვრცელია.

გიორგის 20 წერილიდან 12 გაგზავნილია პარიზიდან პარიზში, ხუთი – ლონდონიდან პარიზში, თითო ლანიდან და მარსელიდან – პარიზში და ერთიც თბილისიდან თბილისში.

ბოლო ერთ წერილს თუ არ ჩავთვლით, რომელიც აბასთუმანში წასვლისას თბილისში დაუტოვა ადრესატს, ჟორჟეტას ყველა წერილი პარიზიდან არის გაგზავნილი: 4 – ლონდონში, დანარჩენი – პარიზშივე. თუმცა შეიძლება ერთი უთარიღო წერილი (№ 18) პარიზიდან იტალიაშიც იყოს გაგზავნილი, რადგან, როგორც ჟორჟეტას 1926 წლის 17 ნოემბრის (№ 2) და გიორგის 31 იანვრის (№ 17) წერილებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, გიორგი 31 იანვრიდან 5 თებერვლამდე იტალიაში იყო[5]:

იტალიაში როდესაც წახვალთ, სპეციალურად გაგატანთ ერთ უბის წიგნს – წერს ჟორჟეტა.


: ჩემო ჟორჟეტ, იცი, – მე, ჩემი ოტელი და ქუჩა – ყველანი უკვე იტალიაში ვართ... არ მომწერ?? : – ეს კი გიორგია წერილიდანაა.

ზოგიერთ წერილს დაწერის დრო და ადგილი მეტისმეტად ზუსტად აწერია. „12 საათი", „11 საათზედ", „ლოგინი", „სამსახური", „ღამე, ლოგინში", „კაფე კარდამაში", „1 საათი, სამსახურში", „4 საათი, სამსახური", „სამსახური, ჩემ საწერ მაგიდასთან", „12.30 საათი", „დილით"...

---

4 იხ. პაატა ნაცვლიშვილი, ნიკო ნიკოლაძის სიკვდილი და დასაფლავება. პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა. თბილისი, 2004.

5 თუმცა არსად სხვაგან ამ დროს გიორგის იტალიაში ყოფნის პირდაპირი დამადასტურებელი კვალი არ ჩანს.



ერთი ხანობა მიმოწერა იმდენად ინტენსიურია, რომ რამდენიმე წერილში ერთმანეთს ხუმრობით „საწერ მანქანას“ ეძახიან.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საფოსტო სამსახურები სასახელოდ მუშაობენ. არათუ პარიზიდან პარიზში, პარიზიდან ლონდონში ან ლონდონიდან პარიზში გაგზავნილი წერილი ფაქტობრივად იმავე დღეს ბარდება ადრესატს.

წერილები უმეტეს შემთხვევაში კარგად ებმის ერთმანეთს. ზოგჯერ კი ასეთი ბმა არ შეინიშნება და სავარაუდოა, რომ რაღაც რაოდენობა წერილებისა დაკარგულია ან საგანგებოდ განადგურებული. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი უთარიღო წერილი მთლად „თავის“ ადგილზე არ იყოს ჩადებული.

აღსანიშნავია, რომ ნოემბერში დაწყებული და მომდევნო წლის მარტში დასრულებულ მიმოწერაში ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი შობა-ახალწელიწადზე, არ არის მისალოცი წერილები, მაშინ როცა ქართველ ემიგრანტთა მიმოწერა საზოგადოდ სწორედ ამ პერიოდში გააქტიურდებოდა ხოლმე. საერთოდ, 17 დეკემბრიდან იანვრის ბოლომდე არც ერთი წერილი არ არის შემორჩენილი. იქნებ არც ყოფილა: 17 დეკემბერს გიორგი იწერება, რომ თავის ორ ნაცნობს ჟორჟეტას პარიზული მისამართი აცნობა და მათ წერილებს უკვე პარიზში ელოდება. იმასაც სთხოვს ჟორჟეტას, წერილი ლაონში[6] გამომიგზავნე[7], მის პასუხად კი მე თავად ჩამოვალ პარიზშიო. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ გიორგი და ნიკო 23 დეკემბერს მოემგზავრებიან ლონდონიდან და საშობაოდ უკვე საფრანგეთში არიან. ლონდონიდან გამოგზავნილ იმ ბოლო წერილში გიორგი წერს:

---

6 იხ. შენიშვნა 1 ძირითად ტექსტში.

7 ეს წერილი არ ჩანს; შეიძლება ჟორჟეტას არც მიუწერია.

: აქედან მივდივართ ჩვენ 23 დეკემბერს, მაგრამ, სამწუხაროდ, შენ ბრძანებას მანდ ჩამოსვლისა ვერ ვასრულებ, რადგან მივდივართ ლაონში ელიკო დემოლონთან სადაც დავრჩებით საშობაოთ. პარიზში კი ჩამოვალთ, ალბათ, ორშაბათს ნაშობევს, რაც, თუ არ ვცდები, 28 დეკემბერია. ასე რომ, ახალ წელს კი პარიზში ვიქნები.

რაკი ახალი წლის მილოცვა წერილებში არ ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგიმ და ჟორჟეტამ ახალი, 1927 წლის დადგომა ერთად აღნიშნეს, ალბათ ღამბაშიძეებთან. როგორც ჩანს, უშუალო ურთიერთობას მონატრებული მეგობრები მთელი იანვრის განმავლობაში იმდენად ინტენსიურად ხვდებიან ერთმანეთს, რომ მიმოწერის საჭიროება აღარ არის. იანვრის ბოლოდან მათ ურთიერთობაში ბევრი რამ უკვე გარკვეულია...

26 იანვარს გაგზავნილი წერილიდან მოყოლებული, თითქმის ყველა წერილი კოცნით მთავრდება. „გაკოცებ" – რამდენადმე მოკრძალებულად წერს გიორგი იმ წერილში. მომდევნო (მე-15) წერილში იგი უფრო თამამია: „გაკოცებ ყველგან, სადაც დაგწვდები" მე-18 წერილიდან აღარც ჟორჟეტა ერიდება წერილის კოცნით დამთავრებას, ოღონდ ამ პირველ შემთხვევაში ამას „თქვენობით" აკეთებს: „გკოცნით ჟორჟეტა" მერე და მერე კოცნები უფრო ინტენსიური და ვნებიანი ხდება: „ძვირფას, კარგ, მშვენიერ პატარა ჟორჟეტას ვკოცნი მაგრა, მაგრა, როგორც... როგორც ის (ამერიკელი თუ ინგლისელი?)" „ერთხელ კიდევ გკოცნი (ცოტა სხვანაირად, ე. ი. როგორც გიორგი ნიკოლაძე)" „გკოცნი მრავალს" (ჟორჟეტა)... „უთვალავად გკოცნი" (გიორგი")... „გკოცნი, გკოცნი შენი ჟორჟეტა". „გიკოცნი შენ ლამაზ, ძვირფას თვალებს, ჩემო საყვარელო ჟორჟეტა" „გკოცნი, გკოცნი, გკოცნი" (გიორგი)... „გკოცნი უზომოთ" (ჟორჟეტა")... „გკოცნი შენი მარად ჟორჟეტა" „გკოცნი უამრავს" (გიორგი)... „გკოცნი იმდენს, რამდენიც შეიძლია" (გიორგი)... „გკოცნი უთვალავს" (ჟორჟეტა)... „ჩემო მშვენიერო ჟორჟეტა, გიკოცნი თვალებს, ტუჩებს და ყველაფერს" „გკოცნი ბევრს, ბევრს, ბევრს" (გიორგი)... „ათასს და უთვალავს გაკოცებ, ჩემო ჟორჟეტა"... „გკოცნი და გკოცნი შენი ჟორჟეტა"... „გკოცნი და გეხვევი უთვალავს" (ჟორჟეტა)...

ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილი 38 წლის გიორგი ნიკოლაძეს 23 წლის ჟორჟეტა ლამბაშიძისთვის 1926 წლის 16 ნოემბერს გაუგზავნია საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ლანიდან (ლაონიდან), სადაც იგი, პარიზიდან სალონდონოდ გამგზავრებული, მცირე ხნით გაჩერებულა თავის მამიდაშვილ ელენე წერეთელთან და მის მეუღლესთან ალბერ დემოლონთან[8] და სადაც მანამდე მამამისი იყო ჩასული.

ლანიდან გასული, გიორგი უამინდობის გამო ორი დღე დარჩენილა ბულონში,[9] პა-დე-კალეს ნაპირას; 19-ში სალამოს ნიკო ჩასულა მასთან და მერე ერთად წასულან ლონდონში. 20 ნოემბრიდან იგი უკვე ინგლისის დედაქალაქშია და ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო უბანში, რასელ-სკვერზე ცხოვრობს.

პირველიო, კი ვთქვით, მაგრამ შინაარსიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის წერილი იქნებ სულაც არ იყოს პირველი.

: ამას იმიტომ ვწერ, რომ ვიცი, რომ ეხლა ჩემ წერილს ველარავის აჩვენებ და მე სწორეთ ის მინდა: არ მინდა, რომ ჩემ წერილებს სხვა ვინმე კითხულობდეს, გარდა იმისა, ვისთანაც ვწერ. ვაი თუ ამის მაგივრად – ეს წერილი, შენზედ ადრე, სხვას ვისმეს ჩაუვარდეს ხელში : – წერს გიორგი 16 ნოემბრის წერილში.

---

8 ელენე წერეთლისა და ალბერ დემოლონის შესახებ იხ. შენიშვნა 2 და შენიშვნა 4 ძირითად ტექსტში.

9 იხ. შენიშვნა 37 ძირითად ტექსტში.

ამ წერილზე ჟორჟეტას პასუხი გიორგის უკვე ლონდონში დახვდა.

: მეც არ მიყვარს, როდესაც ჩემ წერილებს კითხულობენ : – წერს ჟორჟეტა 17 ნოემბერს პარიზიდან გაგზავნილ წერილში (№ 2).

არავის არ უყვარს, როცა მათ წერილებს კითხულობენ, მომავალ ცოლ-ქმარს – მით უმეტეს. ამ უხერხულობის მიუხედავად, ჩვენ ეს წერილები წავიკითხეთ და ვაქვეყნებთ კიდეც. პირადი მიმოწერა ტრადიციულად ერთი ყველაზე საინტერესო წყაროა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობის შესასწავლად. გიორგისა და ჟორჟეტას მიმოწერაშიც იყო ერთი-ორი მეტისმეტად პირადი, რამდენადმე უხერხული ადგილი, რომლებიც ჩვენ ამოვიღეთ და კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული მრავალწერტილით ჩავანაცვლეთ, მაგრამ ამას არ დაურღვევია წერილების საერთო ტონი და არ გაუღარიბებია ავტორთა განწყობილებების სპექტრი. თუმცა პიკანტური ამბებიც მრავლად არის, წერილებს მკაფიო ზოლებად გასდევს ორივე მხარის ცხოველი ინტერესი უცხოეთში მცხოვრები თუ საქართველოში დარჩენილი ახლობლებისადმი, ნიკო ნიკოლაძის ავადმყოფობა და გიორგის ზრუნვა მასზე; იკვეთება დაინტერესება ლონდონის თავისებურებებით, თანამედროვე მოდით, წიგნებით; არის ლაპარაკი მთამსვლელობაზე, ტანვარჯიშზე, ლონდონის სპორტულ ცხოვრებაზე; ჩანს ჟორჟეტას თავისუფალი ბუნება, ერთი მხრივ, და ერთგვარი შებორკილობა, მეორე მხრივ; წერილიდან წერილში „და“ ჟორჟეტა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ექს-დად“ გარდაიქმნება; წერილებში ჩანს, როგორ უჭირს ჟორჟეტას „თქვენობით“ მიმართვიდან „შენობით“ ურთიერთობაზე გადასვლა და როგორ თანდათან ენაცვლება მეგობრულ ურთიერთობას სიყვარული.

სხვათა შორის, ძლიერ სასაცილოა, რომ მე „შენობით“ გელაპარაკები და შენ „თქვენობით“ უნდა შევცვალოთ. – წერს გიორგი 17 დეკემბრის წერილში (№ 11). ჟორჟეტა ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის – ერთ წერილში რომ უკვე „შენობით“ მიმართავს, მეორეში ისევ – „თქვენობით“ ფორმას უბრუნდება. არის შემთხვევები, როცა ერთ წერილში მიმართვის ორივე ფორმა გვხვდება. ხოლო 24 თებერვლის წერილში (№ 34), როცა ისინი უკვე აღარ მალავენ გრძნობებს, ჟორჟეტა ორივე ფორმას ერთ პატარა წინადადებაში იყენებს ერთი და იმავე სიტყვის ჯერ მრავლობითი და მერე მხოლობითი რიცხვის სახით:

: გიორგი ჩემო, ისე საძაგელ გუნებაზედ ვარ, რომ ვნანობ, რატომ გწერთ ამ წერილს, მაგრამ მაინც გწერ. :


წერილის შუაში „თქვენობით“ კიდევ ერთხელ მიმართვისას, იგი თავად გრძნობს ამ შეუსაბამობას და უკვირს:

: მინდა, მეც ზოგიერთ რამეში, დამანახვოთ ის სწორი გზა, რომლითაც თქვენ იყურებით.

ღმერთო, ისევ თქვენ. რატომ არ გადავეჩვიე ამ თქვენ-ის თქმას, ჩემთვის ასე ახლო მეგობარო?! :

თუ 1926 წლის წერილები ხაზგასმულად მეგობრული და ძირითადად საქმიანი იყო, 1927 წელს გიორგის მიერ მიწერილი პირველივე წერილი (№ 14, 26 იანვარი) აშკარად სამიჯნურო გახლავთ! ხოლო თებერვლის შუა რიცხვებში გაცვლილი 25-ე და 26-ე წერილები უკვე სამუდამო სიყვარულის ფიცი-მტკიცია!

როგორც თითქმის ყველა შეყვარებული წყვილი ურთიერთობის საწყის ეტაპზე, გიორგი და ჟორჟეტა თან ეალერსებიან ერთმანეთს, თან ამუნათებენ, თან თავს იმართლებენ, აეჭვიანებენ ერთმანეთს, განიცდიან მცირე ხნით დაშორებას, ტი-




გიორგი და ჟორჟეტას ქორწილი. პარიზი, 1927 წლის 26 მაისი

რიან... ჟორჟეტა ეჭვიანობს ლიდა ჩხეიძეზე.[10] ალბათ სხვებზეც. გიორგი თითქოს საგანგებოდ აძლევს ამის საფუძველს. აეჭვიანებს. სწერს თავის სხვა სიყვარულებზე. ორივენი დაბეჯითებით ცდილობენ, ერთმანეთის თუ საკუთარ გრძნობებში გარკვევას. ხან თითქოს ეთხოვებიან ერთმანეთს, ხან – მარადიულ სიყვარულს ეფიცებიან. ჩანს, ჟორჟეტა სერიოზულად ეჭვიანობდა არა მარტო გიორგის საქართველოში დარჩენილ თაყვანისმცემლებზე, უპირველეს ყოვლისა, იმავე ლიდა ჩხეიძეზე, არამედ, როგორც მისი 24 თებერვლის წერილის ერთი პასაჟი გვაფიქრებინებს, თავის დაზეც – სუნანაზეც[11], რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი და რომელსაც გიორგის სურათი ოთახში ეკიდა, რასაც ასევე ჟორჟეტას წერილიდან ვგებულობთ (29 ნოემბერი). არ არის გამორიცხული, რომ ჟორჟეტას ლონდონში მცხოვრები მეგობარი მარიკა გვარჯალაძეც[12] ეპრანჭებოდა გიორგის, რაც ასევე ალბათ სულაც არ სიამოვნებდა ჟორჟეტას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მინაწერი ჟორჟეტას 14 დეკემბრის (№ 10) წერილის ბოლოს: „მარიკას ჩემ მაგივრად აკოცეთ და უთხარით, რომ უსათუოდ მივწერ ამ დღეებში. არა, მომიკითხეთ, მაშინალურად დავწერე კოცნა.“

და კიდევ ერთი პასაჟი: 20 ნოემბრის წერილში (№ 3) გიორგი უამბობს ჯორჯეტას, როგორ ეძებს ლონდონში კინოარტისტებიან ღია ბარათებს საქართველოში გასაგზავნად, ორი წერილის შემდეგ კი, 6 დეკემბერს ჟორჟეტა ეშმაკურად, ვითომ

10 იხ. შენიშვნა 140 ძირითად ტექსტში.
11 იხ. შენიშვნა 10 ძირითად ტექსტში.
12 იხ. შენიშვნა 27 ძირითად ტექსტში.



ΟΡΘΟΔΟΞΟΣ
ΕΛΛΗΝΙΚΗ ΕΚΚΛΗΣΙΑ
ΕΝ ΠΑΡΙΣΙΟΙΣ

Αριθ. 257.

ΠΙΣΤΟΠΟΙΗΤΙΚΟΝ ΓΑΜΟΥ

Ο υπογεγραμμένος πατροπάπας δια του παρόντος του εβεβαίωσε 26 Maiou 1927 ... Georges N. Nikoladzé ... Ekaterine Tsurtsiavé ... Valerian Ketiladzé ... Michel Dadeschkeliani ... Ορθ. Γεωργιανοί ...

Εν Παρισίοις τη 27 Maiou 1927

+ Αρχιμανδρίτης
Ιω. Παρασίου

ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესია
პარიზი 1895

N 257

ქორწინების მოწმობა

პირადად ადგილზევე ვამტკიცებ, რომ დღეს, 1927 წლის 26 მაისს, ადგილობრივ მართლმადიდებელ წმ. პირველმოწამე დიაკონ სტეფანეს სახელობის ეკლესიაში, დაკანონებული დოკუმენტების საფუძველზე და აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წესების თანახმად, აღვასრულე ქორწინების რიტუალი ბატონი ჯორჯ ნ. ნიკოლაძისა (39 წლის, ქართველი მართლმადიდებელი, პროფესიით ინჟინერი, დაბადებული ჯიხაიშში, პირველი ქორწინება) და ნინო ვ. ლამბაშიძისა (23 წლის, ქართველი მართლმადიდებელი, დაბ. თბილისში, პირველი ქორწინება).

მოწმეებად საქორწინო ცერემონიალს ესწრებოდნენ მართლმადიდებელი ქართველი ბატონები: ვალერი კეთილაძე და ილამაზ-მიშელ დადეშქელიანი.

წმინდა საქორწინო რიტუალის დასამტკიცებლად გაიცა წინამდებარე მოწმობა, ჩემს მიერ ხელმოწერილი და ჩვენი წმინდა ეკლესიის ბეჭდით დალუქული.

[ბეჭედი]
პარიზი, 1927 წლის 27 მაისი
+ არქიმანდრიტი
ათონ. პარადისის


გიორგი და ჟორჟეტას ქორწინების მოწმობა და მისი ქართული თარგმანი

სხვათა შორის ცდილობს გაარკვიოს ვისთვის უნდა გიორგის კინოარტისტებიანი ბარათები (: მე შემიძლია დრო-გამოშვებით გამოგიგზავნოთ საქართველოში (საზოგადოების ადრესი მომეცით) ერთი ძალიან საინტერესო სინემის ჟურნალი (მხოლოდ ინგლისურად არის დაწერილი)... მაგრამ ბევრი სურათებია და ძალიან საყურადღებოა. თუმცა სულ ავურიე? თქვენ გეოგრაფიულ საზოგადოებას გაუგზავნეთ სინემის არტისტების სურათები თუ ვის? ვინ არის სპეციალურად დაინტერესებული მაგ დარგში? :), ხოლო გიორგი ასევე ეშმაკურად მის ამ კითხვას უპასუხოდ ტოვებს.

გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ლამბაშიძის ჩვენს ხელთ არსებული ემიგრანტული მიმოწერა 1927 წლის მარტში მთავრდება ორი უთარიღო წერილით. ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ისინი ქორწილისათვის და საქართველოში დაბრუნებისათვის ემზადებიან. მაგრამ სამშობლოში დაბრუნება 1928 წლის შემოდგომამდე ვერ შეძლეს, საბჭოთა საელჩომ ჟორჟეტას – პოლიტიკური ემირგანტის შვილს – კარგა ხანს არა და არ მისცა ვიზა. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ არ დადებულიყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტი და ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის საკმაოდ დაძაბული გახლდათ.

ქორწილი 1927 წლის 26 მაისს გადაიხადეს პარიზის ბერძნულ ეკლესიაში.[13] ეს დღე ალბათ იმის გამოც აარჩიეს, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, პარიზის ქართველობა ისედაც ერთად იქნებოდა შეკრებილი. ახალ-

13 ეს ეკლესია – cathédrale St Etienne – ჟორჟ ბიზეს ქუჩაზე (7 rue Geirges Bizet 75116 Paris) მდებარეობს და დღესაც მოქმედია.



გიორგისა და ჟორჟეტას ქორწილის მოსაწვევი ბარათი

დაქორწინებულთა მეჯვარეები ყოფილან ვალერიან კეთილაძე[14] და მიხეილ (ილამაზ) დადეშქელიანი.[15] ჩვენს ხელთ არის მათი ქორწილის მოსაწვევი ბარათისა და ქორწინების მოწმობის ასლები, რომლებიც გიორგისა და ჟორჟეტას მიმოწერაზე მუშაობის დროს პარიზიდან გამოგვიგზავნა ქალბატონმა ნათელა ნიკოლაძემ.

მოსაწვევით ვახტანგ ღამბაშიძე და ნიკო ნიკოლაძე მათ მეუღლეებთან ერთად ნათესავებსა და ახლობლებს 26 მაისისთვის მათი შვილების ჯვრისწერაზე ეპატიჟებიან პარიზის ბერძნულ ეკლესიაში. ხოლო ჯვრისწერის მოწმობა 27 მაისს არის შედგენილი და მას ხელს აწერს არქიმანდრიტი ათინ. (ათინეოს ან ათინაგორას) პარადისისი. დოკუმენტი ჩვენი თხოვნით თარგმნა ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორმა ავთანდილ მიქაბერიძემ. აი, მისი ტექსტი:

პირადად ადგილზევე ვამტკიცებ, რომ დღეს, 1927 წლის 26 მაისს, ადგილობრივ მართლმადიდებელ წმ. პირველმოწამე დიაკონ სტეფანეს სახელობის ეკლესიაში, დაკანონებული დოკუმენტების საფუძველზე და აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წესების თანახმად, აღვასრულე ქორწინების რიტუალი ბატონი ჯორჯ ნ. ნიკოლაძისა (39 წლის, ქართველი მართლმადიდებელი, პროფესიით ინჟინერი, დაბადებული ჯიხაიშში, პირველი ქორწინება) და ნინო ვ. ღამბაშიძისა[16] (23 წლის, ქართველი მართლმადიდებელი, დაბ. თბილისში, პირველი ქორწინება).

მონმეებად საქორწინო ცერემონიალს ესწრებოდნენ მართლმადიდებელი ქართველი ბატონები: ვალერი კეთილაძე და ილამაზ-მიშელ დადეშქელიანი.

წმინდა საქორწინო რიტუალის დასამტკიცებლად გაიცა წინამდებარე მოწმობა, ჩემს მიერ ხელმოწერილი და ჩვენი წმინდა ეკლესიის ბეჭდით დალუქული. :

სხვადასხვა ხალხის უუძველესი ტრადიციით, ქორწილი მაისში, რომელიც მოხუცების თვედ ითვლება, ავის მომასწავებელია, რადგან, როგორც ძველები ამბობდნენ, მაისში მხოლოდ ვარდი ხარობს, ადამიანი ვერაო!

---

14 ვალერიან კეთილაძე – პროვიზორი; ჰქონდა საკუთარი აფთიაქი ბაქოში; აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ გაკოტრდა და ემიგრაციაში წავიდა. ბაქოში დიდხანს არსებობდა მისი სახელობის ქუჩა.

15 მიხეილ (ილამაზ) დადეშქელიანი (1896-1967) – იურისტი; მისი შედგენილია პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წესდება.

16 მოწმობაში ჟორჟეტა ნინოდ არის მოხსენიებული, რაც, ქალბატონ ნათელა ნიკოლაძის განმარტებით, იმით იყო გამონვეული, რომ ბერძნულ ეკლესიაში ჯვრისწერა მხოლოდ წმინდანთა სახელის მქონე მართლმადიდებლებს შეეძლოთ.

არ ვიცი, იცოდნენ თუ არა, ან თუ იცოდნენ, ითვალისწინებდნენ თუ არა ყოველგვარი ცრურწმენისაგან და რელიგიისაგან შორს მდგომი გიორგი და ჟორჟეტა ამ გადმოცემას, მაგრამ ფაქტია, რომ მათი ქორწინება უიღბლო გამოდგა – სულ სამ წელიწადს გაგრძელდა და გიორგის მოულოდნელი სიკვდილის შედეგად შეწყდა, თან ისე, რომ შვილი არ ჰყოლიათ...

ახალდაქორწინებულებმა ველოსიპედებით მოიარეს საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი და ეს მათი ერთგვარი საქორწინო მოგზაურობა იყო. მერე იტალიაშიც იმოგზაურეს, სადაც გიორგი მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე იყო მიწვეული. საბჭოთა ვიზის მოლოდინში ცოლ-ქმარს თითქმის წელიწადნახევარს პარიზში მოუხდა დარჩენა.

საფრანგეთიდან გამომგზავრების წინ გიორგი ნიკოლაძემ ვახტანგ ღამბაშიძის საოჯახო სამახსოვრო ალბომში ჩაწერა:

გეთხოვებით საქართველოში დაბრუნების წინ და თან მიმყავს თქვენი ჟორჟეტა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენი განშორება არ იქნება ხანგრძლივი. გიორგი ნიკოლაძე. პარიზი. 1928, 10 / X, 4 საათი.

იქვე ჟორჟეტას ჩანაწერია:

Depart de Paris.[17] 10 october, 1928. Georgette. იმედი მაქვს, რომ სულ მალე შევხვდებით ერთმანეთს დამოუკიდებელ საქართველოში ან მშვენიერ პარიზში.

ეს ალბომი, რომელიც ვახტანგ ღამბაშიძეს თან (და)ჰქონდა მრავალი წლის განმავლობაში პატარა ცემში, თბილისსა თუ პარიზში და რომლის პირველ გვერდზე აკაკის საკუთარი ხელით ჩაუწერია ლექსი „პატარა ცემი“, მრავალი სახელოვანი მოღვაწის ავტოგრაფით არის დამშვენებული, რომელთაგან მისი უნიკალურობის საბუთად, აკაკის გარდა, ალბათ ექვთიმე თაყაიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა თუ გრიგოლ რობაქიძის სახელებიც იკმარებდა. ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი ღამბაშიძეთა სიძის, შოთა ნიკოლაძის ოჯახში იყო დაცული და მისმა ქალიშვილმა, ნათელა ნიკოლაძემ საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიანი დესპანის გოჩა ჯავახიშვილის ხელით ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ფილოლოგიის დოქტორ ჯულიეტა გაბოძეს გადასცა შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად.

მე ეს ალბომი პირველად 2017 წლის 26 ივნისს, ქართული ემიგრაციის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე ვნახე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში. როგორც ვიცი, ამ მუზეუმის ხელმძღვანელი რუსუდან კობახიძე და ჯულიეტა გაბოძე უკვე შეუდგნენ ზრუნვას ამ ალბომის გამოსაცემად.

სხვებთან ერთად მეც მოუთმენლად დაველოდები მათი შრომის შედეგს. მანამდე კი კიდევ ერთ ამონაწერს მოვიხმობ ამ ალბომიდან.

ამდენი წლების დაშორების შემდეგ ბედნიერი ვარ, რომ შევძელი ძლივს შენი ნახვა – რამდენათ უფრო სასიხარულო იქნებოდა ჩემთვის ეს შეხვედრა – ჩვენი ძვირფასი არსება – დედა რომ ჩვენთან ყოფილიყო – მაგრამ ჩვენ მაინც დედა ფიქრით არ გვშორდება – და ჩვენთან არის. შენ უნდა მოუარო შენ თავს ჩვენ გულისთვის ეხლა და მარჯვეთ და ყოჩაღათ იყო – ჩემო ძვირფასო მამა. მაშ ნახვამდის. მეორეჯერ შეხვედრამდე. შენი მოსიყვარულე შვილი ჟორჟეტა. :

17 პარიზიდან წასვლისას (ფრ.).

ეს ჩანაწერი ჟორჟეტას 1946 წლის 28 ნოემბერს გაუკეთებია, ზუსტად 20 წლის შემდეგ, რაც მან და გიორგიმ პირველი წერილები გაცვალეს ლონდონიდან პარიზში და პარიზიდან ლონდონში.

ამ დროისთვის გიორგი 15 წლის გარდაცვლილია, ჟორჟეტა კი უკვე შოტლანდიაში ცხოვრობს თავის მეორე მეუღლესთან ერთად და იშვიათად ჩამოდის პარიზში. ხოლო საქართველოსკენ გახედვაც აღარ უნდა. თავის მოგონებებში იგი ასე აჯამებს იმ ტკბილ-მწარე სამ წელიწადს:

ეს სამი წელი ისე იყო გაჯერებული უზომო ნეტარებითაც და თავზარდამცემი მწუხარებითაც, რომ შეუძლებელია ყველაფრის ქაღალდზე გაცოცხლება.

საქართველოში ჩამოსული ცოლ-ქმარი ნიკოლაძეთა დიდ ოჯახში დასახლდა ფონ განის, დღეს – გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე. ჩვენს ხელთ არსებული მათი ბოლო ორი წერილი, რომლებიც 1930 წლითაა დათარიღებული, საზოგადო თუ ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლული, უფულობით შეჭირვებული ცოლ-ქმრის საქმიანი და ამავე დროს მოსიყვარულე ურთიერთობის დასტურია. გიორგი თბილისში არ არის, ექსპედიციაშია წასული სომხეთში. 18 აგვისტოს დილის მატარებლით ჟორჟეტა აბასთუმანში მიდის რუსუდან ნიკოლაძესთან ერთად და მეუღლეს წერილს უტოვებს გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების შესახებ. გიორგი მისი წასვლისთანავე დაბრუნებულა თბილისში და საპასუხო წერილი დაადევნა.

გისურვებ ყველაფერს კარგს. ათასს გკოცნი. იმედია, მოწყენისთვის არ გეცლება. არც მე მცალია. შენი გიორგი. რუსოს აკოცე ჩემს მაგიერ.

ასე მთავრდება ჩვენს ხელთ არსებული ბოლო, 44-ე წერილი. ასე მთავრდება ეს მიმოწერა.

ვფიქრობთ, გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის მიმოწერის პუბლიკაცია, ნიკოლაძეთა და ღამბაშიძეთა ოჯახების ასავალ-დასავალისა და მათი წევრების ცხოვრება-მოღვაწეობის მკვლევართა გარდა, სხვადასხვა დარგის არაერთ სპეციალისტს დააინტერესებს და გამოადგება – ემიგრაციის ისტორიკოსიდან და სპორტული ჟურნალისტიდან დაწყებული, ფსიქოლოგითა და ფილოლოგით დამთავრებული.

იმის მიუხედავად, რომ ჟორჟეტა ერთგან ჩივის, ღმერთო, რა საძაგლად ვწერ ქართულსო, და ხანდახან ესა თუ ის ქართული სიტყვა ავიწყდება კიდეც, მთლიანობაში წერილები გამართული ქართულით არის ნაწერი.

წერილებში გვხვდება ახალი ტერმინები, რომლებიც გიორგი ნიკოლაძის თანამოაზრეთა მიერ არის შემოღებული. ცნობილია, რომ დამოუკიდებლობის პერიოდშიც და მერეც, 20-იან წლებში, და-ძმა ნიკოლაძეები ბევრს იღვწოდნენ ქართული ტექნიკური თუ სპორტული ტერმინების შექმნა-დახვეწისათვის. წერილებში ახალ, მისი აზრით, ჟორჟეტასთვის გაუგებარ ზოგ ტერმინს გიორგი ფრჩხილებში თავად განმარტავს, ზოგიერთს – არა. არის ტერმინები, რომლებიც დღეს დამკვიდრებულია ჩვენს მეტყველებაში და გვიკვირს კიდეც, რა საჭირო იყო ფრჩხილებში განმარტების მიწერა. აქ არ შეიძლება არ ამოვიწეროთ ისეთი სიტყვები გიორგისავე განმარტებებითურთ, როგორიცაა, მაგალითად, გიდი (გამყოლი), ელნათურები (ელექტროგამანათებლები), ელსმენი (ტელეფონი), ჯომარდობა (სპორტი)... სინემას გიორგი ორი სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს – კინოთეატრი და კინოფილმი, თუმცა ერთგან კინოც აქვს ნახსენები, როცა ლონდონში „კინოარტისტიან" ღია ბარათებს ეძებს საქართველოში გამო-

საგზავნად. განსაკუთრებით ეგზოტიკურად და საინტერესოდ მიგვაჩნია გიორგისეული „უოცო ოთხი საათი“ (ოთხს უკლია 20 წუთი)...

წერილებში მრავლადაა ფრანგული, ინგლისური თუ რუსული სიტყვები და ფრაზები, რომლებიც საკმაოდ ძნელი გასარჩევია. აკი თავად გიორგიც წუხს, რომ ჟორჟეტას დაწერილი ზოგიერთი უცხოური სიტყვა ვერ წაუკითხავს:

შენ რომ მწერ, უცხო სიტყვებს და აწერ ლექსიკონში ჩაიხედეო – ცოტა გარკვეულად დაწერე თორემ გაგება კი არა, ვერც კი გავარჩიე თვით სიტყვა. (წერილი 9)

გარდა ამისა, წერილებში ნახსენებია რამდენიმე ათეული პიროვნება, ზოგიერთი მათგანი – მხოლოდ სახელით ან მხოლოდ გვარით, რამაც საკმაოზე მეტად გაართულა წერილების კომენტირება. მთლიანად 44-მა წერილმა 300-ზე მეტი სქოლიო მოითხოვა, რაც, შეიძლება, რამდენადმე ამძიმებს პუბლიკაციას, მაგრამ რაკი ჩვენი მიზანი არა წერილების უბრალო გადახედვა, არამედ მიმოწერის საფუძვლიანი კვლევა იყო გიორგი ნიკოლაძის ცხოვრების ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის უკეთ შესწავლის მიზნით, არ მოვერიდეთ არც შენიშვნების სიმრავლეს და საჭიროების შემთხვევაში არც წინა შენიშვნებზე მითითებას, ესე იგი ერთგვარ გამეორებას. ის კი არა, წერილებში ჩართული გიორგის რუსული ლექსების ბწკარედების გაკეთებაც აუცილებლად ჩავთვალეთ. სტილი და ორთოგრაფია ყველგან დაცულია (ზოგან მივუთითეთ, რომ არასწორი დაწერილობა დედნისეულია, ზოგან – არა). მხოლოდ პუნქტუაცია გავასწორეთ მსუბუქად.

წერილების კომენტირებისას არაერთი ადამიანს მივმართეთ დახმარებისათვის, რომელთაგან განსაკუთრებით ფასეული ცნობები მოგვაწოდეს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნათია კობახიძემ, თეკლა ბატონიშვილის შთამომავალმა და კიტა აბაშიძის შვილთაშვილმა, ღამბაშიძეთა და ნიკოლაძეთა ოჯახების შთამომავლობითმა მეგობარმა, ფილოლოგმა ქეთევან აბაშიძემ, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელმა რუსუდან კობახიძემ და, რაც მთავარია, გიორგი ნიკოლაძის ბიძაშვილისშვილმა, უკვე რამდენჯერმე ნახსენებმა ნათელა ნიკოლაძემ. სხვათა შორის, ნათელა ნიკოლაძემ თბილისში თავის ბოლო ჩამოსვლისას გადმოგვცა გიორგი ნიკოლაძის ლოგარითმული სახაზავი, რომლითაც იგი სორბონაში დისერტაციაზე მუშაობისას სარგებლობდა და რომელიც აქამდე პარიზში ინახებოდა, ნათელას მამის, შოთა ნიკოლაძის ოჯახში. ქალბატონ ნათელასთან, ქალბატონ ქეთევანთან, ქალბატონ რუსუდანთან და ქალბატონ ნათიასთან ერთად, მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ამ წერილებზე მუშაობისას ამა თუ იმ სახის დახმარება აღმოგვიჩინა.

რა თქმა უნდა, დიდი მადლობა დოქტორ ჯულიეტა გაბოძეს, რომელმაც თავაზიანად დაგვრთო ნება, ჯერ გამოუქვეყნებული უნიკალური ალბომიდან გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის ზემოთ მოყვანილი ფრაზები ამოგვეწერა.

მინდა, მადლობა ვუთხრა აგრეთვე ყველა მკითხველს, ვინც ჩვენეულ კომენტარებში ამა თუ იმ სახის უზუსტობას შენიშნავს ან რომელიმე პიროვნებისა თუ თარიღის დადგენაში დაგვეხმარება. ჩვენ ყველა საქმიან შენიშვნასა თუ შესწორებას მადლიერებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ.

პაატა ნაცვლიშვილი
30 ივნისი, 2017

გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის მიმოწერა

1.
გიორგი – ჟორჟეტას

ლაონი[1]
16. XI. 1926

ძვირფასო ჟორჟეტა!

რა [.....] ყოფილხარ! შენი გულისთვის ისეთ საძაგელ მდგომარეობაში ჩავვარდი (და შენც ჩაგაყენე), რომ ცურვა რომ არ მცოდნოდა, უსათუოთ დავიღუპებოდით ორივე. წარმოიდგინე, შენი ჩაწერილი სიტყვა (ჩემს უბის წიგნაკში) დიდის სიამაყით ვაჩვენე ელიკო დემოლონს[2] და იმას კინალამ გული შეუწუხდა: როგორ თუ ჟორჟეტა ასეთ სიტყვას წიგნაკში გიწერსო: მეო 20 წელიწადია საფრანგეთში ვცხოვრობო და პირველად ვხედავ ამ სიტყვას მთლიანად დაწერილსო (არამედ ასე სწერენო: M....). მამა ჩემსაც[3] წააკითხა და თავის ქმარსაც[4]... რამდენადაც შევატყე, არც იმათ მოწონებიათ ნამეტანი. ელიკოს ქმარმა მხოლოდ ის დაუმატა, რომ ასეთ სიტყვას კაზარმებში შეხვდები ხშირადო. სწორე გითხრა, არ მოველოდი ასეთ საშინელ შთაბეჭდილებას, თორემ აბა როგორ ვაჩვენებდი ელიკოს. ბევრი ვიტეხე თავი და ბოლოს (შენ გასამართლებლად) ასეთი ამბავი მოვუყევი: ჩეხურ საღამოზე ვიყავით მეთქი და 2 საათის განმავლობაში ჩეხურ სიტყვებს და მოხსენებებს ვისმენდით მეთქი. სულ „ზრრრრ–ფრრრრ-კრრრრ" ისმოდა მხოლოდ და ბოლოს ერთი ისეთი სიტყვა წარმოითქვა, რომელშიც M....-ს ძალიან გავდა. ყველამ სიცილი დაიწყო, მე კი ვერაფერი ვერ გავიგე და ჟორჟეტას ჩავაცივდი – ამიხსენი მეთქი. იმან მიპასუხა – თქმით ვერ გეტყვი, თუ გინდა დაგიწერო და დამიწერა. მე მაინც ვერაფერი გავიგე – თუ ეს სიტყვა რას ნიშნავს. ჟორჟეტამ მიპასუხა: რუსულად ხომ იცი ყველაზე უარესი გინება – ის არისო. ამაზე მამა ჩემმა სიცილი დაიწყო: კარგად სცოდნია ჟორჟეტას რუსული გინებაო! იქ ხომ სულ სხვანაირი გინება არის გავრცელებულიო. ის ჩემს მიერ შეთხზული ამბავი (რომელზედაც იტალიელები იტყოდენ „si non e vero e ben trovotto"[5]) სიმართლე თუ არ არის – სიმართლესთან ხომ ძლიერ ახლოა. ამით გამოვალწიე ნაპირს და შენი რეპუტაციაც თან გამოვიტანე. [.....] რატომ არ გამაფრთხილე, რომ ეს სიტყვა ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს საფრანგეთში, როდესაც მთლიანად დაწერილია? ხომ იცი: პატარა

---

1 ლაონი (მოძვ.) – ლანი, ქალაქი საფრანგეთის ჩრდილოეთში, პიკარდიაში, პარიზიდან 155 კილომეტრზე.

2 ელენე (ელიკო) წერეთელი-დემოლონი (?-1950) – გიორგი ნიკოლაძის მამიდაშვილი, ნიკო ნიკოლაძის დის, ოლიმპიადა ნიკოლაძისა და მწერალ გიორგი წერეთლის ქალიშვილი, ირაკლი (კაკი) და ლევან წერეთლების და, ალბერ დემოლონის მეუღლე.

3 ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) – დიდი ქართველი პუბლიცისტი, სამეურნეო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართული, რუსული თუ ფრანგული პრესის უთვალსაჩინოესი მუშაკი, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი, ფოთის ქალაქის თაეი (1894-1914), საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომერი.

4 ალბერ დემოლონი (1881-1954) – ცნობილი ფრანგი მეცნიერი, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ელენე წერეთლის მეუღლე. ალბერ დემოლონი ლანში ცხოვრობდა და იქაურ სასოფლო-სამეურნეო სადგურსა და მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას განაგებდა.

5 Si non e vero e ben trovato (იტალ.) – მართალი არა, მაგრამ კარგად მოგონილი კია.

ბავშვი რომ რამე ცუდ სიტყვას ისწავლის, რამე მოულოდნელ ადგილას თავის მშობლებს თავს მოსჭრის, მეც ასე მომივიდა. ეხლა კი ვიცი. [.....][6]...

ამას იმიტომ ვწერ, რომ ვიცი, რომ ეხლა ჩემ წერილს ველარავის აჩვენებ და მე სწორეთ ის მინდა: არ მინდა, რომ ჩემ წერილებს სხვა ვინმე კითხულობდეს, გარდა იმისა, ვისთანაც ვწერ. ვაი თუ ამის მაგივრად – ეს წერილი, შენზედ ადრე, სხვას ვისმეს ჩაუვარდეს ხელში... მით უარესი მისთვის (tant pis pour lui[7]): ვუსურვებ მას ზემომოთავსებულ სიტყვების სიმშვენიერით და სინაზით დასტურს. ეხლა, თუ ამ ჩემმა წერილმა ნამეტანი ბრაზზე არ მოგიყვანა და, თუ მოთმინებიდან გამოსული არ ხარ, – წერილს განვაგრძობ და თემებს კი შევცვლი.

ხვალ მივდივარ ლონდონში, სადაც ხვალვე საღამოს ჩავალთ. ამას „მოულოდნელად მოველი", რადგან ჩემ სიცოცხლეში სამი „გეოგრაფიული" ოცნება მქონია: ამერიკის, ინგლისის და სვანეთის ნახვა. ამ სამი ქვეყნიდან უკანასკნელის ნახვას უკვე მოვესწარი, მაგრამ არასდროს არ დამავიწყდება ის გრძნობები, რომელნიც განვიცადე, როდესაც დონგუზორუნის[8] გადასავლის მწვერვალს მივაღწიეთ (3300 mt) და სვანეთის საზღვარს პირველად შევეხე ფეხით. სვანეთი ჩვენს წინ მოჩანდა და უძლეველი ძალით მიზიდავდა... ეს იყო უდიდესი პოეტური განცდა. ხვალ მეორე ოცნება უნდა შემისრულდეს. ვინ იცის: ვიგრძნობ რამეს კარგს, თუ არაფერს. ვნახოთ. აქ ლონდონიდან გამოგზავნილი წერილი მოგვივიდა დღეს დევი ცქიტიშვილისა[9]. სხვათა შორის იწერება, რომ აურაცხელი წერილები მოსულა ჩემ სახელზე. ვაი თუ ყველამ ვინც ტფილისიდან მოწერას დამპირდა, თავისი დაპირება შეასრულოს. მაშინ მარტო ტფილისში ასზე მეტ პირს უნდა ვუპასუხო! ვაი ჩემს ტყავს...

ეხლა წერილი უნდა შევწყვიტო, რადგან ვარჯიშობაზე მაგვიანდება აქაურ ტანსავარჯიშო საზოგადოებაში. იმედია, ჩემი გაცილების შემდეგ კვირას დრო კარგად გაატარეთ და ნამეტანი არ ინანეთ სადგურზე წამოსვლისათვის. ჩემს ვალს სუნანას[10] ვუსწორებ. უსათუოდ მომწერე წერილი. აი მისამართი: G. Nikoladze. c/o Mrs.Tskitishvili. 1 Regent's Park Road, London N.W.1. ყველა ჩვენები, ვისაც ხედავ ან ნახავ, სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე „დანარჩენი" ნაცნობებიც.

გიორგი

ყურძნობის დროს ნამეტანი ხშირად ყურძნის ჭამამ თავი მოგაბეზრა თუ არა? მე სრულებითაც არა (ჯერ-ჯერობით). უსათუოთ მიპასუხე ამ კითხვაზე, მაგრამ სიმართლე!

---

6 წერილში ეს უწმაწური ფრანგული სიტყვა ექვსიეჯერ სრულად წერია.

7 Tant pis pour lui (ფრ.) – მით უარესი მისთვის.

8 დონღუზორუნი ანუ ბაბის მთა – 4454 მ სიმაღლის მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე, მდინარეების ბაქსანის, ნაკლისა და დოლრის წყალგამყოფზე, საქართველოსა და ყაბარდო-ბალყარეთის საზღვარზე.

9 დევი (დავით) ცქიტიშვილი – ლონდონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, რომელსაც განათლება ინგლისში ჰქონდა მიღებული და რომელიც 1920 წელს „ცეკავშირის" გამგეობამ ინგლისს მიავლინა ბაზრის შესასწავლად; ამავე დროს ის რამდენიმე ბრიტანული კომპანიას წარმოადგენდა ამიერკავკასიაში. მისი მეუღლე – მარჯორი – ინგლისელი იყო.

10 სუნანა (თამარ) ღამბაშიძე (1901-1996) – ჟორჟეტას და, ვახტანგ ღამბაშიძის შუათანა ქალიშვილი, ყოფილი იუნკრისა და შემდეგში საფრანგეთის უცხოური ლეგიონის კოლონელის ნიკოლოზ თოხაძის მეუღლე. მისი დისშვილის, ნათელა ნიკოლაძის მოგონების თანახმად, პატარაობისას, როცა ტიროდა, მისი უფროსი და, მედეა ეუბნებოდა, – სუ, ნანა! – გაჩუმდი, დაიძინეო და აქედან შერჩა ეს სახელი.

2.

ჟორჟეტა – გიორგის

ნოემბერი, 17. 1926

ძვირფასო გიორგი!

დღეს დილით მივიღე თქვენი წერილი და მეტროში წავიკითხე. ბევრი ვიცინე (და თანაც გულში ვიტირე.) ეს კიდევ ვაპროსია[11] [.....] რა საჭირო იყო თქვენი უბის წიგნის აქეთ-იქით ჩვენება. უბის წიგნი მხოლოდ იმ ადამიანის, რომელიც მისი პატრონია, განკარგულებაში უნდა იყოს და მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს ნება შიგ ჩახედვის. მე რომ მაგ სიტყვას გიწერდით წიგნაკში, დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვა არავინ არ ნახავდა და იმიტომ გავბედე. ეს პრიმო. სეკონდო[12]: ხომ გაგაფრთხილეთ რომ საშინელი სიტყვა იყო? 3° [13] რაც შეეხება მის დაწერას, ასე დავწერ M თუ [.....] სრულად, მნიშვნელობა სიტყვის ამით ხომ არ იცვლება? იტალიაში როდესაც წახვალთ, სპეციალურად გაგატანთ ერთ უბის წიგნს, იმ პირობით, რომ ეს უბის წიგნი მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის იყოს და მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ შიგ ჩახედვა. პაპიდები, მამიდები, ბაბუები და დეიდები რომ ყოფილიყვნენ Laon–ში იმათაც უჩვენებდით არა??? ახ ტი!!! მოლოდეც!!![14] ამ სიტყვის მაგივრად „Declaration d'amour"[15] რომ ჩამეწერა მაშინ ხომ სულ დავიღუპებოდი!

მაგრამ მაინც დიდ მადლობას გიძღვნით, რომ ასე კარგად დამიცევით. ამას ჭკუაც უნდოდა და მოსწრებაც. გიორგი, მაპატიეთ, ასე რომ ვჯღაბნი მაგრამ მინდა, რომ ეს წერილი უსათუოდ დღესვე გავგზავნო და Lunch-ის[16] დროს გწერთ ამ წერილს. დააფასეთ, რომ ასეთ ძვირფას დროს თქვენთან წერილის მოწერას ვანდომებ. თქვენ მამას[17] კი არ ვიცი, როგორ დავენახო. ქ-ნ ელიკოს ქმარს[18] კი არ სცოდნია, რომ პარიზში ყოველ წუთს, ყოველ მხრივ (გამარჯობაზედ და მშ[ვ]იდობით-ზედ უფრო ხშირად) ეს სიტყვა ისმის. კონსტანტინებელიდან[19] ფრანგ გემზედ რომ ავედი აქეთ წამოსასვლელად, პირველი ფრანგული სიტყვა, რომელიც გემზე გავიგე, მაგ იყო. და აქ დღე ისე არ გავა, რომ ეს სიტყვა ადამიანმა არ გაიგოს. გახსოვთ, სადგურზედ რომ გაცილებდით?

თქვენი წასვლა ძალიან მეწყინა. თქვენი დატოვებული ფონდით ტაქსიში ჩავჯექით და სახლში მივედით. თქვენზე ვლაპარაკობდით და ვნანობდით, რომ ჩვენთან ერთად არ იყავით. მართლა რომ ძალიან შევეჩვიეთ თქვენ აქ ყოფნას. კიდევ კარგი, რომ ერთი წელიწადი პარიზში არ რჩებით, თორემ ხომ სულ დავიღუპებოდით, როდესაც მიატოვებდით პარიზს თბილისში წასასვლელად. პირადათ მე ყურძნობის დროს, ყურძნის ჭამა სულ არ მომბეზრდა. (პირიქით) ნეტავი სულ რთველი ყოფილიყო!!! მაგრამ!!!

---

11 Вопрос (რუს.) – კითხვა, საკითხავი.
12 პრიმო, სეკონდო (იტალ.) – პირველი, მეორე.
13 3° – მესამე.
14 ახ ტი!!! მოლოდეც!!! – (რუს.) – ჰაი, შენ! ყოჩაღ!
15 Déclaration d'amour (ფრ.) – სიყვარულის ახსნა.
16 Lunch (ინგ.) – ლანჩი, გვიანი საუზმე.
17 ნიკო ნიკოლაძე; იხ. შენიშვნა 3.
18 იხ. შენიშვნა 4.
19 Sic!

მომწერეთ ლონდონის შთაბეჭდილებანი. ნეტავი მეც მანდ ვიყო, რომ ერთად დავათვალიეროთ ქალაქი. პარიზის მარტო დათვალიერება მეყო. დარწმუნებული ვარ, მე როდესაც ვიქნები ლონდონში, სულ მარტო მომიხდება ხეტიალი.

მეც არ მიყვარს, როდესაც ჩემ წერილებს კითხულობენ. ასე რომ, ყველას ვთხოვ ხოლმე, სამსახურში მომწერონ. უფრო ადრეც ვიღებ ხოლმე. ადრესი ქაღალდზედ არის დაბეჭდილი. არ დაიზაროთ და იმ ასი წერილის პასუხის შემდეგ მეც გამიხსენეთ. იქნება ისე გართული იყოთ საქართველოდან მიღებულ წერილების კითხვით, რომ ჩემი წერილიც ვერ წაიკითხოთ. როდესაც დაბრუნდებით პარიზში, უსათუოდ ერთხელ უნდა წავიდეთ სასრიალოთ[20] ერთად. იქნებ No No Nanette-ისათვის[21] ვნახო ბილეთები, იმიტომ რომ ერთ არტისტს ვიცნობ იქ.

Asia Magasine[22] – ნოემბრის ნომერი გაყიდული იყო უკვე. ეხლა მოველი დეკემბრის ნომერს და თუ რამე წერია სვანეთზეც, გადმოვიწერ და გამოგიგზავნით. თითონ ნომერი ძალიან ძვირი ღირს – 20 ფრანკი. მე 15 ფრანკათ მომცემენ. მაგრამ აბონიმენტი უფრო იაფი დაჯდება. რას ფიქრობთ?

თქვენ პაჟებს[23] ვნახავ უთუოდ შაბათს ჩვენთან. იმათთან როდესაც ვარ სულ თქვენზედ ვფიქრობ (არ წარმომიდგენია ეს ორი უთქვენოთ) კვირა საღამოს ჩვენთან იყვნენ (თქვენ რომ წახვედით, იმ დღეს) და სუნანამ[24] ლადოს[25] თმა დაუხვია, პუდრი წაუსვა etc[26]... ერთი სიტყვით ძალიან გავალამაზეთ. ბევრი ვიცინეთ, იმიტომ რომ ლადომ პური მოიპარა კიბეში. აყუდებული იყო ერთ ერთ კარებზედ. ჩემ წინ ზის ერთი კაცი და განცვიფრებული უყურებს ჩემ ნაწერს. ნეტავი რა ჰგონია??

მარუსია გვარჯალაძე[27] ნახეთ თუ არა? რა შთაბეჭდილება დასტოვა თქვენზედ. მშვენიერ საჩუქარს გიმზადებთ ჩამოსვლისათვის.

---

20 იგულისხმება ყინულზე ციგურებით სრიალი, რაც ორივემ კარგად იცოდა

21 „ნო, ნო, ნანეტ“ – იმ პერიოდის პოპულარული მუსიკალური კომედია (მუსიკა – ვინსენტ იუმანსისა, ლექსები – ირვინგ ცეზარის და ოტო ჰარბახისა); წარმოადგენდა მუსიკალურ ვერსიას ოტო ჰარბახისა და ფრენკ მანდელას წიგნის მიხედვით 1919 წელს ბროდვეიზე დადგმული სპექტაკლისა „ჩემი მეგობარი ქალები“; მოგვიანებით მისი მიხედვით გადაიღეს ფილმ(ებ)იც.

22 Asia Magasine – 20-30-იანი წლების უაღრესად პოპულარული ამერიკული ჟურნალი, რომელიც აქვეყნებდა ნარკვევებს შორეული და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისა თუ ხალხების შესახებ; დაარსდა 1898 წელს, როგორც ამერიკის აზიური საზოგადოების ჟურნალი; 1917 წელს ჟურნალი უილარდ სტრაიტმა შეიძინა და Asia უწოდა. მისი რედაქტორები იყვნენ ჯერ ლუის ფრელიკი და შემდეგ – ჯონ ფურდი. 1934 წლიდან ჟურნალს სათავეში ჩაუდგა რიჩარდ უოლში, რომელიც რედაქციას მეუღლესთან, ნობელიანტ მწერალთან პერლ ბაკთან ერთად განაგებდა; 1942 წელს პერლ ბაკი თავად გახდა ჟურნალის რედაქტორი, ხოლო 1946 წელს გამოცემა ფინანსური პრობლემების გამო ახალ ჟურნალად გადაკეთდა და United Nations World ეწოდა.

23 უნდა იგულისხმებოდნენ გიორგი ნიკოლაძის უმცროსი მეგობრები, პარიზის „შევარდენის“ წევრები სანდრო კილაძე და ლადო ლაღიძე; შდრ. შენიშვნები 25, 61.

24 იხ. შენიშვნა 10.

25 უნდა იგულისხმებოდეს ლადო ლაღიძე (1900-1960) – ყოფილი იუნკერი; ძმასთან – მიტო ლაღიძესან ერთად იბრძოდა ტაბახმალასთან, 1921 წლიდან ემიგრაციაშია, იყო კონსტანტინოპოლში, საბერძნეთში, პოლონეთში, იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე; ბოლოს – ინგლისში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა.

26 Etc. (აბრ.), et cetera (ფრ.) – და სხვ.

27 მარუსია (მარიკა) გვარჯალაძე – ინგლისში მცხოვრები ქართველი სოციალ-დემოკრატის, 1918-1921 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) კონსტანტინე გვარჯალაძის (1884-1969) და მისი მეუღლის ბაბულია კანდელაკის ქალიშვილი, ჟორჟეტას ამხანაგი, პარიზული „შევარდენის“ წევრი.

ღმერთო, გადავიკითხე ჩემი ნაჯღაბნი. რა აბდა უბდა ყოფილა. მაპატიეთ. მაშინამ[28] გამომაყრუა. დიდი კონტრასტი არის ჩემი ნაჯღაბნი თქვენ მშვენიერ ხელთან.

უნდა ავჩქარდე რადგანაც უკვე 1 ½ საათია. მომწერეთ რა ამბები მიიღეთ საქართველოდან. მეზარება მუშაობა. ნეტავი თქვენ, რომ ასე არხეინად დასეირნობთ.

მაშ ნახვამდის, good bye!!! [29] ინგლისელ პოლიციელებს ხომ არ გაუჭირეთ საქმე კითხვებით?

მომიკითხეთ თქვენი მამა[30].

დიდი მადლობელი გახსენებისათვის!!

მეგობრული სალამი!!! შუბლზე გემთხვევით.

ჟორჟეტა

ველი თქვენგან წერილს

(ვაი ჩემს ტყავს!!! არ სთქვათ).

ლაონშიაც გამორჩხრიკეთ ტან ვარჯიშული საზოგადოება?

3.

გიორგი – ჟორჟეტას

20. XI. 1926

ლონდონი

ძვირფასო ჟორჟეტა

წუხელის ჩამოვედით აქ და დამხვდა შენი წერილი, რამაც დიდათ მასიამოვნა. მაგრამ უნდა გითხრა რომ, გარდა ამისა დამხვდა კიდევ 21 წერილი, სუყველა, თითქმის საქართველოდან. ასე რომ წუხელის ღამის 12 საათამდე მოვუნდი მათ კითხვას (მადლობა ღმერთს, რომ მართლა ასი არ იყო). ესეც ძლიერ მესიამოვნა, მაგრამ პასუხების წერა არ გინდა! ამასთან, უნდა გითხრა, რომ „ჩვენი დებისგან“[31], ლიზიკო ნიკოლაძის[32] გარდა, ჩემთვის წერილის მოსაწერად ვერც ერთს თავისი სიზარმაცე ჯერაც ვერ დაუძლევია. ასე რომ, მათზე ბევრს ვერაფერს მოგწერ, თუმცა, მართლა თამრო და რუსო (ჩემი დები) იმათზე ბევრ რამეს მწერენ. ამაზე იხ. ქვემოთ (თუ არ დამეზარა ბოლოს წერილის „მშვიდობიანად დამთავრება“).

მართლა, რა კარგი იქნებოდა, შენ რომ აქ ყოფილიყავი. მთელ ლონდონს ისე დავათვალიერებდით, რომ შემდეგში აქაურ გიდებადაც (გამყოლებად) კი გამოვდგებოდით. თორემ ეხლა პირდაპირ საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფები (სასა-

---

28 Машина (რუს.) – მანქანა. უნდა იგულისხმებოდეს საწერი მანქანა (ჟორჟეტა იმ დროს ვია-რიოლის 224 ნომერში მდებარე ინგლისური წიგნის ბიბლიოთეკა-მაღაზია „გალიანის“- ში მუშაობდა, რომელიც უძველესი იყო კონტინენტზე).

29 Good Bye (ინგ.) – ნახვამდის.

30 ნიკო ნიკოლაძე. იხ. შენიშვნა 3.

31 იგულისხმებიან „შევარდენის“ წევრი ქალები. „შევარდენის“ წევრების ერთმანეთს „ძმებსა“ და „დებს“ ეძახდნენ.

32 ელისაბედ (ლიზიკო) ნიკოლაძე (1901-1985) – „შევარდენის“ აქტიური წევრი, გიორგი ნიკოლაძის ბიძაშვილი, ნიკო ნიკოლაძის ძმის, კონსტანტინეს შვილი, პროფესორ ზაზა აბზიანიძის დეიდა; მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ბიბლიოთეკარად გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში; მისი მეუღლე იყო მთამსვლელი გიტო გიორგიძე (იხ. შენიშვნა 309), გიორგი ნიკოლაძის ასვლების მონაწილე, „შევარდენის“ ასევე აქტიური წევრი.



ნიკო და გიორგი
ნიკოლაძეების უკანასკნელი
ერთობლივი ფოტო
(ლონდონი. ნოემბერი, 1926 წ.)

ცილო რომ არ იყოს ეს მდგომარეობა). აბა წარმოიდგინე: ის დათვალიერება რა დათვალიერებაა, როდესაც პოლიციელსაც კი ვერაფერს ჰკითხავ... დღეს დილით მე და მამა[33] გავედით საშინელ წვიმაში. მე მინდოდა ღია წერილების ყიდვა (რა თქმა უნდა კინოარტისტიანებისა საქართველოში გასაგზავნად). ხომ იცი, მამამ ინგლისური ახალგაზრდობაში წიგნებიდან შეისწავლა და ეხლაც კითხვა თუმცა თავისუფლად შეუძლია, მაგრამ ლაპარაკის მხრივ კი ჩემისთანა „სპეციალისტი" ყოფილა. სადაც არ შევედით მაღაზიაში, ისეთი რაღაც უცნაური ბგერებით მოგვმართეს, რომ მე, თუმცა სულ დავიკბინე ტუჩები, მაგრამ მაინც თავი ვერსად ვერ შევიკავე და კინაღამ გავსკდი სიცილით. მამამაც ვერაფერი გააგებინა. ბევრი ვიხეტიალეთ. ბოლოს მე გავბრაზდი და შინ დავბრუნდი. მამა კი ცქიტიშვილებისას[34]

33 შემორჩენილია მამა-შვილის, ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ლონდონური ფოტო, რომელიც დაახლოებით ამ წერილის დაწერის პერიოდში უნდა იყოს გადაღებული.

34 იგულისხმება ლონდონში მცხოვრები დავით ცქიტიშვილის ოჯახი; იხ. შენიშვნა 9.

ნავიდა. კიდევ კარგი რომ ჩვენ სასტუმროში (შვეიცარიელების სასტუმროა) ფრანგულად ლაპარაკობენ. სხვათა შორის, აი ჩემი აქაური მისამართი (თუმცა ძველიც ვარგა, მაგრამ აქ უფრო ადრე მივიღებ): Foyer Suisse; 12-15 Upper Bedford Place, Russell square, W.C.1. ოთახი №7 მე.

მარუსია გვარჯალაძესთან[35] ჯერ არ წავსულვარ და არც ვიცი, როდის წავალ (ალბათ ხვალ). აგრეთვე მედიას[36] მოხუცებულ ირლანდიელ ქალთანაც ჯერ არ მივსულვარ. ბულონში[37] იმის მერე, რაც შენ „გიელსმენე" (ე. ი. ტელეფონით დაგელაპარაკე) კიდევ ორი დღე ვიჯექი და შეუწყვეტლად წვიმდა კოკისპირულად. მაინც ქალაქი დავათვალიერე და სამჯერ კინემატოგრაფში ვიყავი, ისე რომ თვალები ამიჭრელდა უკანასკნელ წარმოდგენაზე. თუმცა კარგ სურათს აჩვენებდნენ, ბოლომდის ვეღარ დავრჩი და წამოვედი. გინდ დეიჯერე[38], გინდ არა, ამ ორი დღის განმავლობაში არც ერთი ლამაზი ქალის გაცნობას არ „შევცდებივარ", თუმცა ერთი გაცნობა დავაპირე, მაგრამ ის იყო 13-14 წლის გოგონა და გამახსენდა, რომ ტფილისში ყველა იმას მისაყვედურებს, რომ ასეთ გოგონებს დასდევო – და ამიტომ შევჩერდი. თუმცა ასეთი აზრი ჩემზე სავსებით გადაჭარბებულია, მაგრამ, მართალი რო ვთქვათ, მას ერთგვარი საფუძველი აქვს. [.....] ამაზე რომ არ გავაგრძელოთ, ისევ ბულონს დავუბრუნდები. ის გოგონა სინემაში[39] ჩემს ახლოს იჯდა. მშვენიერი „ინგლისური" სახე ჰქონდა, ლურჯი თვალები და ნაბლისფერი თმა. მე რამდენჯერმე შევხედე იმას. იმ ოხერმა, მიუხედავათ თავისი ახალგაზდობისა, მაშინვე შეამჩნია, რო ყურადღებას ვაქცევ. ჯერ დაიწყო თავის იქითაქეთ მიბრუნებ-მობრუნება და ამ მიბრუნებ-მობრუნების დროს თითქოს უცაბედათ თვალს გადმომკრავდა ხოლმე. მერე ჩემსკენ მობრუნდა და თავის სახის წინ პროგრამა ამოიყუდა: თითქოს იმ პროგრამას კითხულობდა, მაგრამ წამდაუწუმ ცალ თვალს ამოსწევდა და პროგრამის ზევიდან გადმომხედავდა ეშმაკურად ამ ცალი თვალით. ეს ისეთი მშვენიერი და სასაცილო ბავშვური კეკლუცობა (кокетство რუსულად) იყო, რომ უკეთესი არ შეიძლება (მერი პიკფორდის[40] სტილია). ბევრი ვიცინე მაგრამ, როგორც გითხარი, ამაზე შორს აღარ წავსულვარ. ეს იყო ხუთშაბათს „მატინეზე"[41], როდესაც მთელი კინო მოწაფეებით სავსეა. საღამოს კი მამა ჩამოვიდა და მეორე დილას (ე. ი. გუშინ) აქედ წამოვედით. შენ მეკითხები ლონდონის შთაბეჭდილებაზე. ამაზე ჯერ რა მოგახსენო, რადგან თითქმის არაფერი მინახავს, მაგრამ ინგლისის „ნისლოვან თეთრ ნაპირს" რო ვუახლოდებოდი – მაშინ კი ძლიერ ვღელავდი. უნდა გითხრა, რომ სწორეთ ასე მქონდა წარმოდგენილი „ალბიონის" ნაპირი, რომელზედაც ამდენი მქონდა წაკითხული, დაწყებული ლათინური იულიუს ცეზარის წიგნიდან და გათავებული რამდენიმე თანამედროვე პოეტებით. უცნაურია, მაგრამ ინგლისურ ორთქმავლის ნახვამ კიდევ

---

35 იხ. შენიშვნა 27.

36 იგულისხმება მედეა ღამბაშიძე (1899-1976) – ქართველი ექიმის და საზოგადო მოღვაწის, პარიზის ქართული სათვისტომოს მეორე თავმჯდომარის, ვახტანგ ღამბაშიძისა და ვანდა ჰოპე-ღამბაშიძის უფროსი ქალიშვილი, ჟორჟეტას და, გიორგის ბიძაშვილის, შოთა ნიკოლაძის (1899-1963) მეუღლე, რევაზ და ნათელა ნიკოლაძეების დედა. მედეა სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას წილად ხვდა ამ უნივერსიტეტის სტუდენტის № 1 ბილეთი.

37 ბულონი (ბულონ-სიურმერი) – ქალაქი საფრანგეთში, პა-დე-კალეს დეპარტამენტში, აქედან იწყება საზღვაო გზა და ზღვისქვეშა გვირაბი ბრიტანეთის კუნძულისაკენ (არავითარი კავშირი არა აქვს ბულონის ტყესთან, რომელიც პარიზის დასავლეთ გარეუბანში მდებარეობს.)

38 Sic!

39 სინემა – (აქ) კინოთეატრი. შდრ.

40 მერი პიკფორდი (1892-1979) – მუნჯი კინოს კანადელ-ამერიკელი ვარსკვლავი.

41 იგულისხმება დილის სეანსი (ფრ.).

უფრო ამაღელვა. მე, როგორც ბავშვობიდან ინჯინრობის[42] მოტრფიალეს, ორთქმავლის და რკინისგზის ისტორიის მრავალი წიგნი მქონდა წაკითხული, სურათები ნანახი. ბავშვობაში სულ ზეპირად ვიცოდი, თუ ინგლისში (და ამერიკაში) რომელ რკინისგზას რომდის და როგორი ორთქმავალი ჰქონდა. ეხლა, მართალია, ბევრი რამ დავიწყებული მაქვს, მაგრამ ბევრი რამ მახსოვდა კიდევ და აბა, როდესაც ბავშვობიდან გაცნობილი ეს ორთქლმავლები, რომელნიც ოდესღაც „არსებობის იდეალად" მიმაჩნდა, ეხლა აქ სინამდვილეში დავინახე – აბა რას ვიგრძნობდი. მერე რამ სიჩქარით დადის აქაური მატარებელი! ეს იყო ინგლისში ჩემი პირველი შთაბეჭდილებანი. მთხოვე მომწერეო და მოგწერე. თუ შენთვის მოსაწყენია ამის წაკითხვა (რადგან, მგონია შენ „მსოფლმხედველობას" სრულიადაც არ შეესაბამება) – „ტან პი პურ ვუ"[43]... ეხლა საქართველოზედაც მოგწერ მოკლეთ. მთავარი „საბიტიე"[44] ჩვენ „გეოგრაფიულ საზოგადოებაში" (რომელიც ეხლა „შევარდენის" მაგიერობას გვიწევს) ეს ლიზიკოს ქალის![45] დაბადებაა. თამარა[46] მწერს, რომ მთელი „გეოგრაფიული საზოგადოება" in corpora[47] მას თავს ეხვევა. „მგონიაო" – მწერს ის – „საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას ჯერ არასდროს არ ჰქონია ასეთი პატარა ობიექტი თავის დაკვირვებისთვისო" ძალიან ლამაზი („დევიჯეროო??") გოგონა ყოფილა და ლიზიკოც ლამაზი ყოფილა თავის ლოგინში: სულ პატარა ბავშვს გავსო, ვინ დაიჯერებს რომ დედა არისო. ყველაზე უფრო ბავშვს თურმე ასმათი და მარო ბეჟანიშვილი უყვარდა; და ლიტუსი და ელიკო[48] კი, თურმე, მთელ ტფილისის ქუჩებში დარბიან და ნაცნობს ან უცნობს განურჩევლად – ყველას ახარებენ: „იცით, ლიზიკოს მშვენიერი გოგონა ეყოლაო" თავის დროზე მე ჩვენებს[49] ძლიერ გრძელი წერილი გავუგზავნე გერმანიაში ტანვარჯიშობის დაყენების დანვრილებითი აწერილობა. ამისთვის ჩვენებს ცალკე კრება მოუწვევიათ გეოგრაფიულ საზოგადოებისა, სადაც ჩემი წერილი მოხსენებისავით წაუკითხავთ და მას იქ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმ კრებიდან „კოლექტიური" წერილი მომწერეს. ყველას უკვირს: ასე მოკლე ხანში ამდენი ცნობა როგორ შევკრიფე. თამრომ[50] საქართველოს უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დაიწყო პედაგოგიურ ფაკულტეტის მესამე კურსზე (9 ნოემბერს): „ფიზიკური აღზრდა". ესეც ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენთვის. აპირებს სავალდებულო „პრაქტიკული ვარჯიშობის" შემოღებას სტუდენტებისთვის და ამაში ასისტენტად გურგელას (ე.ი. გიორგი სიმიონოვიჩის)[51] მოწვევას აპირებს. კიდევ ბევრი რამე მომწერეს, უფრო წვრილმანი, მაგრამ ყველა-

---

42 Sic!

43 t'en pie pour vous (ფრ.) – იდიომური გამოთქმა; დაახლოებით ითარგმნება ასე – „როგორც თქვენთვის აჯობებს".

44 Событие (რუს.) – მოვლენა.

45 ლიზიკო ნიკოლაძეს და გიტო გიორგიძეს (იხ. შენიშვნა 32) 1926 წელს შეეძინათ პირველი ქალიშვილი – ქეთევანი, შემდგომში უნივერსიტეტის დოცენტი, რუსული ლიტერატურის სპეციალისტი.

46 თამარ ნიკოლაძე (1892-1939) – ნიკო ნიკოლაძის უმცროსი ქალიშვილი, გიორგი ნიკოლაძის და, „შევარდენის" ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი.

47 In corpora (ლათ.) – მთლიანად, ერთიანად, ორგანიზებულად.

48 ასმათი (ნიკოლაიშვილი), მარო ბეჟანიშვილი, ლიტუსი იგივე ლიდუსი ანუ ლიდა (ჩხეიძე), ელიკო (ლორთქიფანიძე) – თბილისის „შევარდენის" წევრები, გიორგი ნიკოლაძის „დები" და მეგობრები.

49 იგულისხმებიან თბილისის „შევარდენის" და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილების (რომელთა ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაძე იყო) მესვეურები.

50 იგულისხმება თამარ ნიკოლაძე; იხ. შენიშვნა 46.

51 გიორგი (გურგელი) სიმონის ძე ეგნატაშვილი (1885-1962) – ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე, თბილისის შევარდენის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავკაცი.

ფერს როგორ აგინერ: მართლა რომ „ტყავი გამძვრება“ როდესაც გნახავ, მაშინ ზოგიერთ წერილებს წაგაკითხებ. სხვათა შორის ლიზიკომ მოგიკითხათ. სამივენი[52] მაბარებს, რომ იმის მაგიერ გაკოცოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ლამანში მიშლის. „Asia“-ს[53] შენ ნუ გამომიგზავნი, მხოლოდ ნახე, თუ არის დეკემბრის ნომერში რამე სვანეთზე (Wasserman-ების[54] წერილი უნდა იყოს). თუ არა და, ის მომწერე, რადგან თვით Wasserman-ები დამპირდენ ამ ჟურნალის ყველა ნომრის გამოგზავნას, როდესაც ჩემს მისამართს ვაცნობებ. ეხლა კი ლაონიდან ელიკოსთან ერთად ისეთი დიდებული ფრანგული წერილი დავწერე იმ ამერიკელ ქალთან, რომ უკეთესი არ შეიძლება. ალბათ მალე პასუხსაც მივიღებ ფილადელფიიდან. ჩემ უბის წიგნში M-ის მაგივრად, „Déclaration d'amour“[55] რომ ჩაგეწერა, მაშინ ხომ, რა თქმა უნდა, უკვე ყველას ვაჩვენებდი განურჩევლად: თუ კი შენს მიერ ჩაწერილი სიტყვა M საამაყოთ მიმაჩნდა, Declaration d' amour-ით ხომ ყველგან დავიკვეხნიდი. ასე რომ, ცოტა სიფრთხილე გმართებს ჩემთან. რა საჩუქარს მიმზადებ? „ყურძნობაზე“ რაც მომწერე, ძლიერ მესიამოვნა, თუმცა სასაცილოა: ხომ კარგად ვიცი რომ სხვას არაფერს მომწერდი: მაგალითად მომღერალმა რომ მკითხოს: „ჩემი ხმა როგორ მოგწონსო“, როგორიც არ ჰქონდეს იმას ეს ხმა, ხომ უნდა ვუპასუხო „მშვენიერიაო“. აქაც ისეა და, მიუხედავათ ამისა, მაინც მესიამოვნა. ასე სულელია ადამიანი... სუნანამ[56] ხომ მიიღო ჩემი „ანგარიში“ და ფული? მომწერე და ასე გრძლათ. ყველანი მომიკითხე სიყვარულით.

გიორგი

4.

ჟორჟეტა – გიორგის

პარიზი
24 ნოემბერი, 1926

ძვირფასო გიორგი,

მივიღე თქვენი წერილი ლონდონიდან. ძალიან დიდი მადლობელი, რომ არ დაიზარეთ პასუხის მოწერა, მიუხედავათ იმისა რომ ამდენი წერილები გქონდათ სასპასუხო და ამას გარდა თქვენი ძვირფასი წუთები წერას მოანდომეთ. თქვენ მწერთ თქვენ შთაბეჭდილებებზედ, ლონდონს რომ უახლოვდებით და ინგლისური ორთქმავალი რომ დაინახეთ პირველად და ბოლოს (ფრჩხილებში, თუ გახსოვთ, სწერთ: „შენთვის მოსაწყენი იქნება ამის წაკითხვა, რადგანაც მგონია შენ „მსოფლმხედველობას“ სრულიად არ შეესაბამება“ ძალიან მინდა გავიგო, რა გინდოდათ გეთქვათ ამით. პირიქით, მე ძალიან დამაინტერესა ყველაფერმა, რასაც სწერთ თქვენ შთა-

---

52 იგულისხმებიან გიორგი ნიკოლაძის დები – რუსუდანი (1881-1981) და თამარი (იხ. შენიშვნა 46) და მათი ბიძაშვილი ლიზიკო (იხ. შენიშვნა 32) ნიკოლაძეები.

53 იხ. შენიშვნა 22.

54 ვასერმანები – ამერიკელი ბანკირი უილიამ ვასერმანი, რომელიც საბჭოთა კავშირის ეკონომიკით იყო დაინტერესებული და მისი მეუღლე – მერიონი; მათ 1926 წელს იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში, საქართველოც მოინახულეს და სვანეთშიც ავიდნენ, სადაც გიორგი ნიკოლაძეს შეხვედრიან; ვასერმანების სვანეთში მოგზაურობის ამბები აღწერილი აქვს მწერალ ზურაბ ქარუმიძეს თავის რომანში „მელია-ტულეფია: Fox-Trot“ (თბილისი, „სიესტა“, 2011).

55 Déclaration d'amour (ფრ.) – იხ. შენიშვნა 15.

56 იხ. შენიშვნა 10.

ბეჭდილებებზე და, იმედია, კიდევ მომწერთ (თუ არ დაიზარებთ, იქნებ ლონდონმა ძალიან გაგიტაცათ).

ძალიან ვიცინე თქვენ ბულონაში[57] გატარებული დრო რომ მიამბეთ, მეტადრე სინემის[58] ინციდენტი. ძალიან გაუკვირდებოდა, ღმერთმანი, იმ პატარა ბავშვს, რომ არ გამოელაპარაკეთ, იმიტომ რომ აქ, საფრანგეთში (რამდენადაც მე ვიცი) ქალს არ სჭირია სხვა და სხვა ხრიკებს მისდიოს, რომ კაცი გამოელაპარაკოს. ეს უკანასკნელი, თუ მოეწონა ქალი, იმწამსვე გამოელაპარაკება მას და თუ ქალი გამოდგა მჩატე მორალის, მაშინ ხომ .....[59] უარესი, აღარ მოეშვება.

მომილოცავს რომ ასეთი მოდელი[60] ვაჟბატონი გამოდეგით. ათასში ერთი თუ მოიქცეოდა, როგორც თქვენ, მაგრამ ვინ იცის, იქნება ევროპამ სხვა გავლენა იქონიოს თქვენზედ, ამას მომავალი გიჩვენებსთ.

Asia Magasine[61] – დეკემბრის ნომერი მოვიდა. გადავხედე და არაფერი საქართველოზედ არ არის. იქნება სხვა ჟურნალია?

თქვენი გამოგზავნილი ფული (სუნანას[62] რომ გამოუგზავნეთ) ლადოს[63] აქვს. ინახავს და თქვენ რომ ჩამოხვალთ ერთად უნდა ვიქეიფოთ იმ ფულით.

შაბათს იყვნენ ლადო და სანდრო[64] ჩვენთან და კიდევ მრავალი სხვა, ზოგი სულ ოფიციალური პირები, რომლებსაც მხოლოდ <u>გამარჯობით და მშვიდობით</u> [65] – ვიცნობ. ამიტომ ჟურ-ფიქსები[66] არ მიყვარს, რაღაც არეული საზოგადოება არის და დროს კარგად გატარება არ შეიძლება.

როდის აპირებთ ჩამოსვლას?

მაშ ლიზიკოს[67] მშვენიერი გოგონა ჰყოლია. მალადეც,[68] ღმერთმანი!!! კიდევ ერთ შევარდენი მოგვემატა. მეც ძალიან მეუცნაურება რომ ლიზიკოს ბავშვი ჰყავს. დიდი ხანია, რაც საქართველო მივატოვე, მაგრამ მაინც მგონია, რომ ყველა ჩემი ამხანაგები ჯერ კიდევ ბავშვები არიან, როგორიც მე ისინი დავტოვე, და იმაზედ არ ვფიქრობ რომ 6-მა წელიწადმა განვლო და მეც დავბერდი.

დღეს დილით ისე გამაბრაზეს მაღაზიაში რომ ვიფიქრე – მივატოვებ ამ ვირებს და საქართველოში წავალ-მეთქი. შემოვიდა ერთი „იდიოტი" ქალი. მე ვკითხე ფრანგული წიგნები გნებავთ მეთქი? გაბრაზდა თავი მაღლა ასწია და სთქვა – mais quelle question, nous sommes en France![69] და დამიბრიალა თვალები. მე გავბრაზდი და ვუპასუხე: Pardon Madame, mais iu c'est une librarie Anglaise[70]-მეთქი. ამაზედ კიდევ უფრო გაბ-

---

57 იხ. შენიშვნა 37.
58 იხ. შენიშვნა 39.
59 ასეა ტექსტში.
60 მოდელი – (აქ) სამაგალითო.
61 იხ. შენიშვნა 22.
62 იხ. შენიშვნა 10.
63 იგულისხმება ლადო ლალიძე; იხ. შენიშვნა 25.
64 ლადო და სანდრო – იხ შენიშვნები 23, 25 და 115.
65 ხაზგასმა ავტორისაა.
66 ჟურ-ფიქსები (ფრ.-დან) – საქმიანი თუ მეგობრული შეხვედრებისთვის დადგენილი ფიქსირებული დღეები.
67 იხ. შენიშვნა 32.
68 Молодец (რუს.) – ყოჩაღ.
69 Mais quelle question, nous sommes en France! (ფრ.) – რა საკითხავია, ჩვენ ხომ საფრანგეთში ვართ!
70 Pardon Madame, mais ici c'est une librairie Anglaise (ფრ.) – უკაცრავად, მადამ, მაგრამ ეს ინგლისური წიგნის მაღაზიაა.

რაზდა და ყვირილით გავიდა გარეთ. მე შენიშვნა მომცეს, რომ არ უნდა გეპასუხნათ ასეო, მაგრამ დირექტორმა ჩემი მხარე დაიჭირა და სხვებს კისერიმც უტეხიათ.

„ყურძნობის“ შესახებ რაც მოგწერეთ სრული სიმართლეა. იქნება ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ ერთი თვისება კი მაქვს, je suis franche[71] (დამავიწყდა ქართულად როგორ არის franche) და რასაც ვფიქრობ იმას ვამბობ. დაიხსომეთ ეს.

მოკითხვა ბატონ ნიკოს.

თქვენ მიიღეთ მეგობრული სალამი თქვენ ex-დისაგან[72]:

ჟორჟეტა

P.S. იოსავების[73] ადრესი ხომ გაქვთ. უსათუოდ ნახეთ თამარა[74], ძალიან გაეხარდება ანიას[75] ამბავის გაგება.

მოხუცებული ქალიც[76] არ დაივიწყოთ.

მშვიდობით და კიდევ მადლობა წერილისათვის.

საქართველოში როდესაც მისწერთ წერილებს, აი ჩემი თხოვნა:

I ლიზიკო[77] მოიკითხეთ ჩემ მაგივრად და მიულოცეთ.

II თამარა[78] „ – – – – – – – – – – – – – – – – –“[79] ლექციების დაწყება და ყველა სხვებს ვისაც ვიცნობ, ე. ი. ძველ génération-ს[80] მოკითხვა ჩემგან.

ამ წერილს რომ მიიღებთ, უთუოდ მარუსია გვარჯალაძე[81] ნახული გექნებათ. ნაიკითხა ჩვენი წერილები თქვენ წინ თუ არა? სთხოვეთ ჩემ მაგივრად რომ მომწეროს. ინგლისურის საქმე როგორ მიდის? შეიძინეთ პაჟები[82] უკვე თუ არა? ვიცი რომ საძაგლად ვწერ, მაგრამ მაპატიებთ. ძალიან ცოტა დრო მაქვს à ma disposition[83] და სულ ვჩქარობ.

აქ არაფერი ახალი არ მოხდა, რაც თქვენ ნახვედით, გარდა იმისა რომ ალექსი ჩხენკელის[84] და ქეთუსია ვაჩნაძის[85] ქორწილი იქნება მალე.

საშინლად აცივდა პარიზში და სულ წვიმს. ლონდონის ბურუსმა ხომ არ გაგაშავად? თუ თქვენი სამ უდიდეს სურვილიდან ორი უკვე აგისრულდათ, მესამეც უთუოდ აგისრულდებათ. ჩემი ერთად ერთი სურვილი იყო პარიზის[86] ნახვა და ეხლა

---

71 Je suis franche (ფრ.) – მე გულწრფელი ვარ.

72 თუ გავითვალისწინებთ ამ მიმოწერის ინტიმურ ხასიათსა და საერთო ტონს ეს ex-და ორგვარად შეიძლება იქნა გაგებული; შდრ. შენიშვნა 31.

73 ვინაობის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

74 ვინაობის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

75 ვინაობის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

76 ვინაობის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

77 იხ. შენიშვნა 32.

78 იხ. შენიშვნა 46.

79 იგულისხმება ზედა სტრიქონის სიტყვები „მოიკითხეთ და ჩემ მაგივრად მიულოცეთ“.

80 Génération (ფრ.) – თაობა.

81 იხ. შენიშვნა 27.

82 აქ – უმცროსი მეგობრები; შდრ. შენიშვნა 23.

83 À ma disposition (ფრ.) – ჩემ განკარგულებაში.

84 ალექსი ჩხენკელი (1905-1985) – ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, აკაკი ჩხენკელის ვაჟი, სენ-სირის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული (შევალიე ბაიარის გამოშვება), შემდგომში – საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ლეიტენანტ-კოლონელი (ვიცე-პოლკოვნიკი), საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ომის შემდეგ – რადიო „თავისუფლების“ ნიუიორკელი კორესპონდენტი.

85 ქეთევან ვაჩნაძე (1905-1973) – ალექსი ჩხენკელის მეუღლე, გივი და თამარ ჩხენკელების დედა.

86 ხაზგასმა ავტორისაა.

რომ ვნახე ეს ქალაქი, სხვა ქვეყნების ნახვა ისე არ მაინტერესებს. უკვე 2 წელიწადია ვაპირებ ინგლისში წასვლას და პარიზს ვერ ვშორდები. ორი კვირით როდესც წავედი ზღვის პირას, ისე მომეწყინა და მომენატრა პარიზი რომ რა. ცუდია ასე შეჩვევა; თანაც არ გრძნობს ადამიანი კარგად თავს, სულ უცხო ქვეყანაში რომ ცხოვრობს, თანაც მეშინია საქართველოში გაბრუნება (თუ როდისმე გავბრუნდით). ვაი თუ, ველარ გავძლო იქ, მაგრამ მე მგონია, ყველაფერი საზოგადოებაზე არის დამოკიდებული. აქაური ქართული საზოგადოება ძალიან არ მომწონს. არ არის არავითარი მეგობრული ურთი-ერთობა, ერთად როდესაც შევიყრებით ხოლმე, სალაპარაკო არ გვაქვს. მე პირადათ ძალიან ჩამოვშორდი მათ. თბილისში კი სულ სხვა იყო, მაგრამ ვაითუ, იქაც გამოიცვალა ყველაფერი და როდესაც ჩავალ იქ, უცხოთ ვიგრძნობ თავს? მე პირადათ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ არასოდეს აღარ გავბრუნდებით იქ და ეს ზოგჯერ მაღონებს იმიტომ რომ, აკაკის არ იყოს, ღამურები-სავით[87] ვართ აქ. თქვენ ძალიან გამახსენეთ საქართველო და ძველი დრო.

ძალიან ავლაპარაკდი და იმაზედ არ ვფიქრობ, რომ ამ წერილს წაკითხვა უნდა და ჩემი სამსახურში წასვლის დროც მოვიდა.

აბა, მშვიდობით და თუ დრო გექნებათ, ძალიან გთხოვთ, მოიწერეთ, თუ არა და, იმედი მექნება, რომ როდესაც ჩამოხვალთ, მაშინ მიამბობთ როგორ გაატარეთ დრო ინგლისში.

5.
გიორგი – ჟორჟეტას

ლონდონი. 25. XI. 1926

ძვირფასო ჟორჟეტა!

შენი გუშინ დაწერილი წერილი დღეს მივიღე და უკვე პასუხს გწერ. ნეტავი რატომ?.. იმედია, უკვე წაკითხული გაქვს ჩემი წერილი ლიზიკოსთან[88] (მედიას[89] რო გამოვუგზავნე). ხომ ბევრი გაცინა? მაგრამ მე ძალიან მიხარია, რომ შორსა ვარ, თორემ ხომ აუცილებლივ გამლახავდით. ეხლა კი მხოლოთ ერთის მეშინია: წერილი არ დამილუპოთ. იმდენად მეშინია, რომ ვნანობ კიდეც, პირდაპირ რომ არ გავაგზავნე. მოუთმენლად ველი: მომწერს თუ არა მედია, წერილის ლიზიკოსთან გადაგზავნის შესახებ. სხვა, აქაურ ამბებს რომ იკითხები, ძალიან მიკვირს, რომ თქვენსკენ წვიმები და სიცივეები ყოფილა. აქეთ კი პირიქით, მშვენიერი მზიანი დღეებია. არც წვიმაა, არც ქარი. თანაც ძალიან თბილა: გარეთ 10°C არის, მაგრამ აქაური მზიანი და უქარო დღეც უნდა იკითხო, რა არის! გუშინ კიდევ ვხედავდი ხანდისხან მზეს და სამურაბე სპილენძის ტაშტს გავდა. მზის მეტი კი არაფერი არ მოჩანდა. ყველაფერი მიხაკისფერ ბოლში იყო გახვეული (თუ გინდა ნისლი დაარქვი ამ ბოლს). დღეს კი გათენება სულ დაავიწყდა ბუნებას. ბოლი ისე გასქელდა, რომ სრულიად ბნელა. ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანს. ყველა „bus"[90]-ები და ავტომობილები „ელნათურებით" (ელექტრონის სანათებლებით – შენებურად) არიან განათებული, მაგრამ მაინც, ცხვირზე რო დაგეტაკოს – მაშინაც

87 იგულისხმება აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „ღამურა".
88 იხ. შენიშვნა 32.
89 იხ. შენიშვნა 36.
90 Bus (ინგ.) – ავტობუსი.

ვერ დაინახავ. ხალხი გარეთ ძალიან ცოტაა: ვისაც შეუძლია, ყველა შინ არის. გარეთ კი მეგაზეთეებს უშველებელი პლაკატებით ახალი ამბები აქვთ გამოცხადებული (ეს აქაური ჩვეულებაა). როგორც მითხრეს, მხოლოთ იმაზეა, რომ აუარებელი შეტაკება მოხდა დღეს და წუხელის მატარებლების, ავტობუსების, ავტომობილების. მრავალი ხალხი ქუჩაში დაბნეულა, თავიანთი სახლი ველარ უპოვიათ და რაღაც კანალებში გადაცვივნულან და ზოგი დამრხჩვალა[91]. საკვირველი ჩემთვის ის არის, რომ ეს „ბურუსი" არა მარტო გარეთ არის, არამედ ოთახშიაც. ეხლა, რო ვწერ, ჩვენი ოთახი, რომელიც ცოტა მოზდილია, სულ ნისლით სავსეა, ისე რომ მონინააღმდეგე კედელი ცუდათ ჩანს. თვალები მეწვის და გამიწითლდა. ცხვირის მოხოცვისთვის კი კარგია, რომ „ტრუბაჩისტი"[92] მოვიწვიო... ეს არის ლონდონის კარგი ამინდი. ყველა მხოლოდ იმას ნატრობს, რომ ან წვიმა წამოვიდეს, ან ქარი ამოვარდეს და ეს ბოლი თავიდან მოგვაშოროს. ამას, თუ გინდა, კიდევ ის დაუმატე, რომ გუშინწინ ზოოლოგიურ ბაღიდან 13 მაიმუნი გაპარულა და ყველანი მეტროში ჩამძვრალან და იქ იმალებიან (საჭმელს, თურმე იქაურ მუშებს პარავენ). ზოგი უკვე დაიჭირეს, ზოგს კი ჯერ კიდევ ეძებენ. ასე რომ, მეტროში რო შევდივარ, ვკანკალებ: შეცდომით მეც არ დამიჭირონ. პაჟების გაჩენა ვერ მოვახერხე: იღბალი არ მქონია: სადაც ისინი არ მჭიროდენ (რადგან ფრანგული ცოტა მაინც ვიცი) იქ მყავდენ. აქ კი არავინ მყავს. თავს ქუჩაში ისე ვგრძნობ (კიდეც, როცა ნისლი არ არის), თითქოს სადმე სვანეთის ყინვარებზე კლდეებს შორის ვმოგზაურობ. მახსოვს, იქ ჩვენი „გამყოლები", გზა რომ არ აბნევოდათ, ყოველ 50-100 ნაბიჯზე ქვის ნიშნებს აწყობდენ პატარ-პატარა კოშკებივით. მეც ამგვარადვე ვიმახსოვრებ. მიუხედავად ამისა, როგორც სვანეთში არ დავბნეულვარ, ისე არც აქ ვიბნევი. ამის წინ ღია წერილები მინდოდა მეყიდა. იმდენი ვეძებე, რომ ბოლოს თვით იმ ქარხანას მივადექი, სადაც იმ წერილებს აკეთებენ. მგონი ნახევრად დავაცარიელე ის ქარხანა, იმდენი ვიყიდე და იმავე დღეს „დავგზავნე". მარიკა გვარჯალაძესთან[93] კაი ხანია, რაც ვიყავი (ამაზე ხომ მედიას მივწერე). მაგრამ ეხლაც კარგათ მახსოვს ის „გრძნობები", რომელნიც განვიცადე შენს შესახებ, როდესაც მარიკა შენ წერილს ხმამაღლა უკითხავდა მთელ იქ შეყრილ საზოგადოებას! იმის მერე კიდევ ერთხელ ვნახე მარიკა, რადგან იმასთან და ბაბულია გვარჯალაძესთან[94] ერთად British Muséum-ი[95] დავათვალიერეთ (ე. ი. ჩქარი ნაბიჯით გავიარეთ). სამწუხაროთ, ამ დათვალიერების დროს „ღირსშესანიშნავი" (ე. ი. სასაცილო) არაფერი მომხდარა. ასე რომ, ვერაფერს საინტერესოს ვერ აგიწერ. მხოლოთ უნდა ავღნიშნო, რომ ბაბულია მარიკას და მე სულ „ბავშვებო"-ს გვეძახდა: „ბავშვებო, მოდით აქეთ, ნახეთ ეს", „ბავშვებო, იქით ნუ მიდიხართ, არ დაიკარგოთ" და ასე შემდეგ. მარიკა კი ბავშვია, მართალია, მაგრამ ჩემ ბავშვობაზე კი რაღა მოგახსენო... აქაურ შთაბეჭდილებებიდან კიდევ ერთი რამეზე მინდა მოგწერო. ალბათ შენც წაგიკითხავს ინგლისელ მწერლის დიკენსის[96] კლასიკური ნაწარმოები „Записки пиквиккскаго клуба"[97] (არ ვიცი ქართულად, ან ფრანგულად ამ წიგნს რა ჰქვია). ბავშ-

---

91 Sic!

92 Трубочист (რუს.) – ბუხრის, საკვამურის მწმენდელი.

93 იხ. შენიშვნა 27.

94 ბაბულია კანდელაკი-გვარჯალაძისა – მარიკა გვარჯალაძის დედა, კონსტანტინე გვარჯალაძის მეუღლე. იხ შენიშვნა 26.

95 Brittish Muséum (ფრ.) – ბრიტანეთის მუზეუმი.

96 ჩარლზ დიკენსი (1812-1870) – ვიქტორიანული ეპოქის და საერთოდ, ყველა დროის ყველაზე პოპულარული ინგლისელი მწერალი.

97 „Записки Пиквиккскаго клуба" (რუს. რევოლუციამდელი ორთოგრაფიით) – „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები", ჩარლ დიკენსის ყველაზე ცნობილი რომანი.

ვობისას კი ჩემთვის ეს წიგნი საყვარელი იყო და ყველა იქაური „ტეპები“[98] ცოცხალია ეხლაც ჩემ მეხსიერებაში. ამიტომაც ხშირად აქაურ მეტროში რო დავსეირნობ (აქ ყველა ზის მეტროში ერთიმეორის პირდაპირ, რადგან ვაგონის სიგრძეზე ორი გრძელი „დივანია“ მხოლოდ), დავიწყებ თავშეუკავებელ სიცილს და ვიცინი მთელ გზას. მართლაც, ხშირად არის ხოლმე, რომ შემოვა და შენს პირდაპირ დაჯდება სწორეთ იმისთანა „მისტერ პიკვიკი“, რომელიც დიკენსს აქვს აწერილი ან ვინმე „იმ წიგნისეული“ მოდი და, ნუ გაიცინებ: საზოგადოთ კი აქაური ხალხი მშვენიერია: მაღალი, ყოჩაღი, ენერგიული გამომეტყველებით. რესტორანში რო შეხვალ, ლაქია მინისტრად გეჩვენება. ცოტა სალდათებს გვანან, თუმცა ზოგიერთი კი მშვენიერია. ქუჩაში ძნელად შეხვდები „შეღებილს“ ერთი კი არ მომწონს მათზე: ეს არის რუსული ჩექმა. წარმოგიდგენია ლამაზ ქალის ფეხზე მაღალყელიანი რუსული ჩექმა! ვერც მე წარმომედგინა და არც ეხლა მომწონს, როცა ვხედავ მუხლამდე „იუბკა“, მერე ვარდისფერი აბრეშუმის ჩულქი და მაღალყელიანი შავი (ან ყვითელი) ჩექმა. ძალიან მწყინს, რომ ამ ჩემ წერილს ნამეტანი „ეპიური“ ხასიათი მიეცა – სულ რაღაცაზე მოგითხრობ. შენი წერილი კი უფრო „ლირიული“ იყო, რაც მე ბევრათ უფრო მესიამოვნება და უფრო მიყვარს (თუმცა „ლირიზმების“ შუა „კომიკურის“ ჩარევაც მიყვარს ხოლმე წერილებში). მაგრამ ეს ხომ სხომისაც[99] მოესწრება კიდევ. ეხლა კი მინდა, რომ ეს წერილი დღესვე წავიდეს შენთან. შენი გიორგი ნიკ.

6.
ჟორჟეტა – გიორგის

29 ნოემბერი, 1926

ძვირფასო გიორგი!

თქვენ გუშინ წინ მიღებულ წერილს დღესვე ვუპასუხებ, ნეტავი რატომ? (მეც თქვენსავით ვიტყვი).

საშინელი გრიპი მაქვს, მაგრამ მაინც მივედი სამსახურში. 5 მოსამსახურე არის ავად და მაღაზია სულ ცარიელი სჩანს. ყველას გრიპი დაემართა. ერთი ფრანგი არის აქ, რომელიც მე ძალიან მეჯავრება და ის რომ არ არის, ძალიან ბედნიერად ვგრძნობ ჩემ თავს. ერთი ინგლისელი[100] კი, რომელიც მე ძალიან მართობს ხოლმე, ისიც ავად არის და იმის აქ არ ყოფნას კი ვატყობ, ძალიან სერიოზული ვარ და იმიტომ. ის სულ მაცინებს ხოლმე.

ეხლა საქმეზედ დავიწყოთ ლაპარაკი:

---

98 Sic! უნდა იყოს „ტიპები“

99 Sic!

100 არ არის გამორიცხული, რომ ეს „ერთი ინგლისელი“ ჟორჟეტა ღამბაშიძის მეორე მეუღლე, შოტლანდიელი რობერტ ნილ სტიუარტი (1891-1972) იყოს, – თავის დროზე დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი, 1919 წელს საქართველო-სომხეთის საზავო კონფერენციის თავმჯდომარე, დიდი ბრიტანეთის ორი სამხედრო ჯვრისა და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ჟორჟეტა ღამბაშიძის მეორე მეუღლე; იხ. პაატა ნაცელიშვილი „მოგზაურობა დროსა და სივრცეში ნათელა ნიკოლაძესა და ნინო სტიუარტთან ერთად“. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ივნისი, 2016.

ჩემ დირეკტორმა მკითხა თუ ვინმე მეგულებოდა ლონდონიდან აქეთ წამომსვლელი, იმიტომ რომ უნდა (სულ ორი პატარა პაკეტი) თამბაქოს აქეთ წამოღება. სხვა თამბაქოს ვერ სწევს. ერთი ინგლისელი კაცია London-ში, რომელიც წინად აქ მსახურობდა. ძალიან კარგი კაცია სხვათა შორის (ახალგაზრდა მწერალია), ძალიან უყვარს ხელოვნება და სპორტი. მას მართებს ჩემი დირექტორის ცოტა ფული და მისწერა ჩემ[მ]ა დირექტორმა, რომ ამ ფულით იყიდოს თამბაქო. თუ თქვენ არ გაგიძნელდებათ მისი წამოღება ძალიან კარგი იქნება. იმ კაცის ადრესი არის: Mr. Frederick Moss, 19 Gordon Place, Kensington, London W8. მე უკვე იმას მივწერე და მივეცი თქვენი ადრესი. თუ თავისუფალი დრო გაქვთ (რომელშიაც მე ეჭვი არ მაქვს), გაიარეთ და ნახეთ ის ადამიანი. გიმეორებთ რომ ძალიან კარგი კაცია და დიდი სიამოვნებით გამოგყვებათ სადმე მუზეუმში etc[101]... როდესაც თავისუფალი იქნება ე. ი. კვირაობით. ფრანგული იცის ცოტა და თქვენი „დამტვრეული ინგლისურით" ერთმანეთს გააგებინებთ ყველაფერს. ჩემ მაგივრად მომიკითხეთ.

კი, წამიკითხავს Pickwick Papers დიკენსის[102] და წარმოდგენილი მაქვს რა ტიპებსაც ხვდებით ლონდონის ქუჩებში.

თქვენი პაჟები დიდი ხანია არ მინახავს. გუშინ შოთა ნიკოლაძესთან[103] ერთად ვიყავით matinée dansante-ზედ[104]. და ვიფოქ[ს]ტროტეთ ბევრი. მაგრამ მე ამ წელს ძალიან შემძულდა ცეკვა და არავითარ სიამოვნებას არ ვღებულობ ხოლმე. პირიქით, ისეთ ცუდ გუნებაზედ გამოვდივარ იქიდან რომ რა. მე მგონია ეს იმიტომ მოხდა, რომ შარშან ძალიან აღტაცებული ვიყავი ცეკვით და ეხლა უკვე blasé[105] ვარ (თუ ეს სიტყვა არ იცით, ჩაიხედედ დიქსიონერში[106])

ვარჯიშობთ თუ არა? არაფერს არ ინერებით ამის შესახებ. ნუ თუ გაძელით ორი კვირა უვარჯიშოთ.

მედიას[107] წერილი ეხლა მიღებული გექნებათ და სუნანას[108] და ჩემი ნაჯღაბნიც.

ჩექმები, ქალები რომ ატარებენ, ძალიან პრაქტიკულია. წინდებს ინახავს სუფთად, თორემ წვიმაში ერთ საათში ისე გატალახდება ჩულქი ხოლმე, რომ რა. ასე რომ, როდესაც რამე მართლა პრაქტიკულია, ესტეტიკას თავი უნდა დავანებოთ ხოლმე. ასე რომ, დაიმშვიდეთ თავი და ჩექმიან ქალს რომ დაინახავთ, ძალიან ნუ აღელდებით.

ღმერთო, მე რომ ლონდონში გავჩნდე, ცხვირს რა უნდა ვუყო, სულ ყოველ წამს მურის გამოწმენდა დამჭირდება. ვაი ჩემ თავს? თქვენ, როგორც ვატყობ, გაზარმაცდით, რომ თქვენ თითონ ვერ შესძელით თქვენი ცხვირის გამოწმენდა. ტრუბაჩისტს[109] რომ ეძახით.

მგონი რომ არავითარ ზანტობას მე არ ვიჩენ. პირიქით, მეშინია თავი ძალიან არ მოგაბეზროთ ჩემი ნაჯღაბნებით. ერთად ერთი საშვალება, რომლითაც თქვენ შე-

---

101 Etc – იხ. შენიშვნა 26.

102 იხ. შენიშვნები 96 და 97.

103 შოთა ნიკოლაძე (1899-1963) – გიორგი ნიკოლაძის ბიძაშვილი, ნიკო ნიკოლაძის ძმისშვილი, ჟორჟეტას მაზლი, მედეა ღამბაშიძის მეუღლე, ნათელა და რეზო ნიკოლაძეების მამა; 1928 წელს პარიზში არჩილ ზურაბიშვილთან ერთად აღადგინა სპორტული საზოგადოება „შევარდენი".

104 Matinée dansante (ფრ.) – საცეკვაო დილა.

105 Blasé (ფრ.) – გაჯერებული, მოყირჭებული.

106 Dictionnaire (ფრ.) – ლექსიკონი.

107 იხ. შენიშვნა 36.

108 იხ. შენიშვნა 10.

109 იხ. შენიშვნა 92.

გიძლიათ ჩემი პასუხების მოსპობა, ეს თქვენ მხრივ სიჩუმე და მოუწერლობა იქნება. ღმერთო, რა საძაგლად ვწერ ქართულს. სტილი სულ არ მივარგა. იყო დრო კი, როდესაც მე ქართულ წერაში დიდი ქება მიმიძღვოდა. რამდენ ხანს რჩებით ლონდონში? არცერთ ჩემ კითხვას თქვენ პასუხს არ აძლევთ, რატომ? რა ზანტი რამ ყოფილხართ.

თქვენი სურათი სუნანას ოთახში კიდია. ასე რომ, ძალაუნებურად გიხსენებთ ხოლმე, როდესაც იმ ოთახში ვარ.

ლიზიკოს[110] მივწერე წერილი თქვენ წერილთან ერთად. არაფერი არ შევასწორეთ, ყველაფერი სიმართლე იყო, ჩემის აზრით.

მოახლოვდა „იდიოტური" სამსახურის დრო. ეხლა მოვწევ ერთ პაპიროსს და ფოჩტას[111] შევუდგები. ამ წერილსაც ეხლა ჩავაგდებ.

მაშ, გიორგი, უსათუოდ ნახეთ ის ინგლისელი. მე, როგორც გითხარით, უკვე მივწერე თქვენ შესახებ. ემჯობინება რომ rendes vous[112] წერილით დანიშნოთ, იმიტომ რომ ის სამსახურშია და არ ვიცი, როდის ბრუნდება სახლში. ყოველ შემთხვევაში, თუ წახვალთ, 6 საათის შემდეგ მიდით. საცურაო ადგილსაც გიჩვენებთ.

თქვენი უბის წიგნში ჩემ მიერ ჩაწერილი სიტყვა ხომ კიდევ ვინმეს არ აჩვენეთ? არ გამიკვირდება, ღმერთმანი. როგორც გითხარით, ერთ უბის წიგნს მოგცემთ და იმ უბის წიგნში მხოლოდ და მხოლოდ თქვენ უნდა ჩაიხედოთ ხოლმე. ასე იქნება გადაგაჩვიოთ თქვენ défaut-დან[113].

თქვენ ტერმინს ვხმარობთ მე და სუნანა და ყველას ვეუბნებით ხოლმე – გვემთხვიეთო ხელზე!!!

მოკითხვა მარიკას[114] თუ ნახავთ (უთხარით, ნუ ზარმაცობს და მოიწეროს წერილი).

მეგობრული სალამი
ჟორჟეტასაგან

7.

გიორგი – ჟორჟეტას

ლონდონი
3. XII. 26

ძვირფასო ჟორჟეტა

ეხლა მოულოდნელად იმდენი საქმე გამიჩნდა, რომ ვეღარაფერს ვასწრებ. ლონდონის დათვალიერებაზე დრო აღარ მრჩება, თუმცა ალბათ, ყველაფერს მოვასწრებ, რადგან სულ ერთია 15-ამდე მაინც აქედან ვერ წავალთ. შენ მეკითხები, რატომ არ მწერ, როდის წამოხვალო. ხომ იცი, რომ ჩემზედ არ არის დამოკიდებული, თორემ აქამდისაც მოგწერდი. ყოველ შემთხვევაში, იმას გწერ, რაც ვიცი. აქაური გეოგრაფიულ საზოგადოებაში ვიყავი და ვაჩვენე იქ ჩემი სურათები. დიდათ დაინტერესდენ და ეხლა მთხოვენ, კიდევ ერთხელ მივიდე იმათთან, რომ საზოგადოების თავმჯდომარესაც

110 იხ. შენიშვნა 32.
111 ფოჩტა – ფოსტა.
112 Rendez vous (ფრ.) – პაემანი, დანიშნული შეხვედრა.
113 Défaut (ფრ.) – ნაკლი, შეცდომა.
114 იხ. შენიშვნა 27.



კავკასიონის ხედი. გიორგი ნიკოლაძის ფოტო (ქვეყნდება პირველად)

ვუამბო ჩვენ ასვლებზე და სურათებიც ვაჩვენო (ამაზე ჰკითხე სანდრო კილაძეს[115], რომელსაც მე დანვრილებით ავუწერე ყველაფერი და რომელიც ალბათ ხვალ თქვენთან მოვა „ასამბლეიაზე" თუ უკაცრაოდ[116], მგონი ხვალ არ არის თქვენი „ჟურფიქსი"?[117]). დღეს კიდევ მივიღე წერილი, რომ 13 დეკემბერს ლონდონში ჩამოვა ფრეშფილდი[118] და დამინიშნა მე 3 საათზე მისი ნახვა და სურათების ჩვენება. ამ უკანასკნელის გაცნობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რადგან ფრეშფილდზე იმდენი გვაქვს წაკითხული (ეს არის პირველი ადამიანი რომელიც კავკასიის ქედის მწვერვალები დაიმორჩილა: 1868 წელს ის ავიდა 19 ივნისს მყინვარის მწვერვალზე და 19 ივლისს იალბუზზე[119]). მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ცოცხალი აღარ არის. რანაირად გამიკვირდა, როცა

---

115 სანდრო კილაძე – გიორგი ნიკოლაძის ასვლების მონაწილე, 1925 წლის ექსპედიციის მნე, როგორც თბილისური, ისე პარიზული „შევარდენის" წევრი, გიორგისა და ჟორჟეტას მეგობარი; ერთი იმ პაჟთაგანი უნდა იყოს, რომლებზეც საუბარია წერილებში: 2, 4, 5 და 6. იხ. შენიშვნა 23.

116 Sic!

117 იხ. შენიშვნა 66.

118 დუგლას ფრეშფილდი (1845-1934) – ბრიტანელი ადვოკატი, სამართლის დოქტორი, ალპინისტი, გეოგრაფი და მწერალი. სამეფო გეოგრაფიული საზოგადოებისა და ბრიტანეთის ალპური კლუბის ჯერ წევრი და შემდეგ – პრეზიდენტი. 1872-1880 წლებში იყო „ალპური ჟურნალის" („Alpine Journal") რედაქტორი. 1868 წელს გერგეტის ყინვარით ავიდა მყინვარწვერზე. იმავე წელს სცადა ასვლა ევროპის უმაღლეს მწვერვალზე, იალბუზზე. 1892 წელს გამოიცა მისი წიგნი „კავკასიის გამოკვლევა", რომელშიც აღწერილი აქვს აფხაზეთიც და რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის ნათარგმნი ქართულად. მოაწყო ექსპედიციები ჰიმალაებსა და აფრიკაში. 1899 წელს იტალიელ ფოტოგრაფ ვიტორიო სელასთან ერთად მოიარა მწვანე ტბები ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1926 წელს იგი სპეციალურად ჩასულა ლონდონში გიორგი ნიკოლაძის მოხსენებაზე დასასწრებად.

119 გიორგი ნიკოლაძე ცდება: ფრეშფილდის იალბუზზე ასვლის ცდა წარუმატებლად დამთავრდა.

გავიგე რომ ცოცხალია და რა აღტაცებაში ვარ, რომ მას პირადად ლაპარაკს და გაცნობას ველირსები!! ამ ბედნიერებასთან ერთად ერთი „უბედურებაც" დამემართა: „Royal Geographical Society"-ის[120] პრეზიდენტმა[121] სადილზე დამპატიჟა ორშაბათს 6/XII-ს საღ. 7 საათზე. „Trocadero" რესტორანში, რომელიც გამართული იქნება გეოგრაფიულ კლუბისათვის და სადილის შემდეგ უნდა მოვისმინო გეოგრაფიული მოხსენება. თუმცა ძალიან საინტერესოა და სასიამოვნოა რომ დამპატიჟეს, მაგრამ მე არაფრის ისე არ მეშინია ქვეყანაზე, როგორც ინგლისელ „რიგიან საზოგადოებაში" სადილისა. ალბათ ან მაგიდას გადავაბრუნებ და ყველაფერს დავამტვრევ, ან მარილის მაგიერ შაქარს მოვაყრი საჭმელს ან სხვა რამე ამდაგვარს ჩავიდენ. მამას აქ ჰქონდა თავისი ფრაკი, სმოკინგი და „ვიზიტკა" – ყველაფერი სრულიად ახალი. ეხლა ამას ყველაფერს ჩემთვის ვაკეთებინებთ. ასე რომ, იმ სადილზე პირველად გამოვიჭიმები სმოკინგში (აფსუს, ჩემი მოკლე შარვლები!)[122]. ასე რომ, ამ ტანსაცმელების გადაკეთებაზე ბევრს დავრბივარ „გაშინჯვებზე", რომ ორშაბათისთვის მოესწროს. კიდევ კარგი, რომ მამა ორჯელ ჩემზე განიერი ყოფილა და შეიძლება გადაკეთება, თორემ იმ სადილზე ვერც კი წავიდოდი. გარდა ამისა ჩემი ფოტოგრაფიული „ალბომები" ძალიან ცუდია: შიგ ჩაკრულია ყველა სურათები – გინდ კარგი, გინდა გაფუჭებულიც. ეხლა უნდა ახალ ალბომებში გადავაკრა ყველაფერი, რომ რიგიანი შეხედულება ჰქონდეს, თორემ სირცხვილია ფრეშფილდისთ[ვ]-ის ცუდი სურათების ჩვენება. კიდევ უნდა დავწერო მოკლეთ ჩვენ გეოგრაფიულ საზოგადოებაზე და ჩვენ ექსპედიციაზე (დაახლოვებით 10 გვერდი წიგნისა) და დაბეჭდავენ თავიანთ განთქმულ ჟურნალში[123] (რაც ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება). ამაში, რა თქმა უნდა შენი და მედიას[124] იმედი მაქვს, როგორც მთარგმნელებისა. ხომ მართალია, რომ იმდენად მაინც და მაინც ჯერ არ გადაგვარებულხარ, რომ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებისათვის ასეთ სამსახურის გაწევა დაგეზაროს? ხომ იცი, ცქიტიშვილი[125] ნამეტანი სპეციალისტია ინგლისური ენისა, სხვა კი მე აღარავინ მყავს ნაცნობი. ამიტომ ძალიან გთხოვთ თქვენ ორივეს, რომ იკისროთ ეს თარგმანი, როცა მე დავწერ ქართულად (ალბათ კვირას დავწერ, თუმცა ნამდვილათ არ ვიცი). ამაზე შენ პასუხს მოველი. კიდევ ერთი საქმე გავიჩინე: მამას აქ ჰქონია გრამაფონი. ეხლა კი ვიყიდეთ ფირფიტები, რომელთა საშუალებით ინგლისურ ენას ვსწავლობ. ე. ი. მასწავლებლის მაგივრად გრამოფონია. მე ვკითხულობ წიგნს, გრამოფონი კი გამოთქმას მასწავლის. (ჯერ-ჯერობით კი ძალიან ცოტა მოვასწარი). ნუთუ ვარჯიშობაზე მართლა არაფერი მომიწერია შენთვის? აი რას ნიშნავს აუარებელი წერილების წერა: თავში ამერია დომხალივით ყველაფერი. აღარ მახსოვს, ვის რა მივწერე: სიყვარული ვის გამოვუცხადე, ტანვარჯიშობა ვის ავუწერე, საყვედურები ვის მივწერე. ეხლა აღარ ვიცი რა ვქნა... ყოველ შემთხვევაში მე აქ ამ სიბერის დროს ხელ ახლავ მო-

---

120 Royal Geographical Society (ინგ.) – სამეფო გეოგრაფიული საზოგადოება.

121 1926 წელს სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი იყო არქეოლოგი დევიდ ჯორჯ ჰოგართი (1862-1927); იხ. შენიშვნა 143.

122 გიორგი ნიკოლაძე პირველი იყო ქართველთაგან, ვინც მოკლე შარვლით დადიოდა ქალაქში და ლექციებსაც ხშირად მოკლე შარვალში გამოწყობილი ატარებდა; მეტიც, პროფესორი ივანე ყიფშიძე იგონებდა, როგორ მისულა ერთ გაზაფხულზე გიორგი ნიკოლაძე ასეთი ფორმით უნივერსიტეტის გამგეობის კრებაზე და როგორი განცვიფრება გამოუწვევია გამგეობის წევრთა და გამგეობის თავმჯდომარის, ივანე ჯავახიშვილისა (გაზ. „კიროველი", 16 აპრილი, 1956).

123 იგულისხმება „გეოგრაფიული ჟურნალი" (The Geographical Journal) – სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ყოველკვარტალური გამოცემა, დაარსებული 1831 წელს.

124 იხ. შენიშვნა 36.

125 იხ. შენიშვნა 9.



კავკასიონის ხედი. გიორგი ნიკოლაძის ფოტო (ქვეყნდება პირველად)

ვინათლე: ჩავეწერე „ქრისტიანულ ახალგაზრდობის კავშირში" წევრად („Young new's Christian association" – Y.M.C.A.[126]), რადგან კარგი დარბაზი აქვთ და ჩვენგან ახლოა. იქვე საცურავო აუზი აქვთ. ჩვენ ვარჯიშობა (იარაღებზე) კვირაში ორჯელ გვაქვს: სამშაბათს და ხუთშაბათს 7^{45}-9^{15}-მდე. საღამოს ვარჯიშობს დაახლოვებით 15-20 კაცი. მათ შორის ერთია მთელი ინგლისის ჩემპიონი წყალში ხტომისა (სიმაღლიდან), ერთი კიდევ – Y.M.C.A.-ს ჩემპიონი იარაღზე ვარჯიშობისა. მაგრამ მე აქ დიდხანს რომ დავრჩენილიყავი, ალბათ მთელი ინგლისის ჩემპიონი ვიქნებოდი ტანვარჯიშობაში[127]. მართლაც, როგორც მოვარჯიშეები ჩემზე ათასჯერ სუსტი ხალხია. მეტადრე უკვირთ ჩემგან, რომ ასეთი მაღალი ვარ და მათზე ბევრად სუფთად ვვარჯიშობ. „ჩვენ გვეგონა მაღალი ხალხიდან კარგი მომარჯიშეები ვერ გამოვაო", ამიტომ ინგლისში ეს დარგი სუსტობს. მე კი ვუპასუხებ: „საქართველოში ძალიან ბევრია ჩემზე ბევრად უკეთესი მოვარჯიშე და მეტადრე მოხტუნალე". მართლაც, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართ-

126 ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაცია YMCA ფართლეულით მოვაჭრე ჯორჯ უილიამსმა (1821-1905) დააარსა ლონდონში 1844 წელს. დღეს იგი 45 მილიონამდე წევრს ითვლის მსოფლიოს 130 ქვეყანაში. ცნობილია ბავშვთა ბანაკებით და საგამომცემლო საქმიანობით (YMCA-Press). 1900 წელს სანტკ-პეტერბურგში რუსული YMCA-ც დაარსდა. YMCA-ს უკავშირდება წითელი ჯვრის ორგანიზაციის ჩამოყალიბებე და სპორტის რიგი სახეობების (კალათბურთი, ფრენბურთი, წყალბურთი...) შექმნა, აგრეთვე საბჭოთა ემიგრანტული თუ დისიდენტური ლიტერატურის გამოცემა.

127 გიორგი ნიკოლაძეს უსახელოდ ნახსენებ ინგლისელ ჩემპიონთან ერთად, აქ შესაძლოა მხედველობაში ჰქონდეს მისი დის, თამარ ნიკოლაძის გამარჯვება ერთი თუ ორი წლის ადრე გამართულ ინგლისის ღია პირველობაზე ტანვარჯიშში, სადაც მან სრულიად შემთხვევით მიიღო მონაწილეობა რომელიღაც ტრავმირებული მონაწილის ნაცვლად.

ველები თვით ინგლისელებზედაც გაცილებით ნიჭიერი ხალხია ყოველგვარ ვარჯიშობისათვის. ძალიან დავუმეგობრდი აქაურ მოვარჯიშეებს, თუმცა ენა კი ძალიან მიშლის: ზოგმა ცოტა გერმანული იცის, ზოგმა ცოტა ფრანგული, ზოგს კი ინგლისურს „ვუმტვრევ" დღეს კიდევ ახალ დარბაზში მივდივარ სანახავათ. პოლიტექნიკური სკოლისა, სადაც სულ სტუდენტები ვარჯიშობენ. მარიკა[128] მეტი აღარ მინახავს. არ ვიცი, რატომ არ მირეკავენ იმათგან „ელსმენით" (ტელეფონით). შენ ინგლისელს უსათუოთ ვნახავ და თამბაქოს წამოვიღებ, მაგრამ, აბა რა ვიცი, როდის წამოვალ მაქეთ. თუმცა შენ „სრულებითაც ზანტი არა ხარ", მაგრამ ამ წერილზე საჩქაროთ პასუხის მოწერა არ დაგავიწყდეს. ხოოო! მთავარი მე თითონ მავიწყდება. აქაურ ტელეფონის წიგნში ოცზე მეტია აბონენტი გვარად ფერბენქსი!![129] მალე მოვიპარავ სადმე იმათ გვარებიან ფურცელს და გამოგიგზავნი... ასე რომ ემზადე. სინემაში[130] უნდა წამიყვანო. მოგიკითხავ სიყვარულით. გიორგი.

8.
ჟორჟეტა – გიორგის

6. XII. 1926
ორშაბათი

ჩემო გიორგი!

ერთი კვირა ვიწექი, გრიპი მჭირდა და მხოლოდ შაბათს მივედი სამსახურში. თქვენი წერილი დამიხვდა. ამ საღამოს დიდ ამბავში იქნებით? ნეტავი თქვენი თავი მანახვა სმოკინგში. მომილოცავს რომ ასეთი დიდი აკტივობა გამოიჩინეთ ინგლისში. მართლა რომ დასანანებელია, რომ ინგლისური ენა არ შეისწავლეთ აქამდისინ. ეხლა შეუდეგით მის სწავლას, რადგანაც დარწმუნებული ვარ ძალიან გამოგადგებათ.

თქვენ საზოგადოებას Y.M.C.A. – ვიცნობ. კონსტანტინებოლში იყო ამისთანა საზოგადოება და მე ქალების განყოფილების წევრი ვიყავი, თუმცა იმათი Christian Science არა მწამს.

National Geographical Society-ის კი ხშირად ვწერ წერილებს ჩვენ[ი] მაღაზიიდან. რამდენიმე მათი ნომრები ჩვენც გამოვიწერეთ. რაც შეეხება გადათარგმნას, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით მედია[131] და მე ამ საქმეში, მხოლოდ კარგი ვადაც უნდა მოგვცეთ, რომ მოვასწროთ რიგიანად დაუჩქარებლივ გადათარგმნა. საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებისათვის მზათ ვართ თავიც კი შევწირო (არა, ეს ცოტა გადაჭარბებულია) მაგრამ ეფექტის მოსახდენად ვამბობ ამას. თქვენ გამოგზავნით თქვენ დაწერილს, თუ როგორ იქნება?

თქვენ უთუოდ ეხლა ისე გართული ხართ ლონდონში, რომ წერილების წაკითხვის დროც არ გექნებათ. ასე რომ, გრძელ სიტყვას მოკლედ მოვჭრი და საჩქაროდ გამოვგზავნი ამ წერილს, რომ გაცნობოთ რომ დიდი სიამოვნებით შეძლებისდაგვარად მოგეხმარებით თქვენ საქმეში.

---

128 იხ. შენიშვნა 27.

129 როგორც ჩანს, რაღაც ფორმით (ტელეფონით ან ვინმეს მეშვეობით) ჟორჟეტამ გიორგის ვინმე ფერნბექსის (რომლის ვინაობა ვერ დავადგინეთ) ტელეფონის ნომრის გაგება სთხოვა.

130 სინემა – იხ. შენიშვნა 39.

131 იხ. შენიშვნა 36.

მე შემიძლია დრო-გამოშვებით გამოგიგზავნოთ საქართველოში (საზოგადოების ადრესი მომეცით) ერთი ძალიან საინტერესო სინემის[132] ჟურნალი (მხოლოდ ინგლისურად არის დაწერილი) „Picturegoer",[133] მაგრამ ბევრი სურათებია და ძალიან საყურადღებოა. თუმცა სულ ავურიე? თქვენ გეოგრაფიულ საზოგადოებას გაუგზავნეთ სინემის არტისტების სურათები თუ ვის? ვინ არის სპეციალურად დაინტერესებული მაგ დარგში?

მომწერეთ, როგორ ჩაიარა ორშაბათის ბანკეტმა.

რაც შეეხება თამბაქოს, მაგას მნიშვნელობა არა აქვს, როდის ჩამოიტანთ. საჩქარო არ არის, მხოლოდ ხომ იცით, რომ აკრძალულია აქეთ თამბაქოს წამოღება. ასე რომ ჯიბეში ან სადმე ისეთ ადგილას შეინახეთ, რომ Douane-ში[134] არ დაინახონ.

თუ მოიცლით, მომწერეთ. თქვენი წერილები ძალიან საინტერესოა და ძალიან მესიამოვნება მათი მიღება.

მაშ Good bye and enjoy yourself as much as you can!!![135]

მგონი ეხლა უკვე ინგლისური იმდენათ იცით, რომ ეს გაიგოთ. გრამაფონის სისტემა ძალიან პრაკტიკულია. რადიოთიც ასწავლიან ენებს ხოლმე და ჩვენ როდესაც გვექნება რადიო, მე ისპანურის შესწავლა მინდა (მამამ მოიგო ლატარიაში ერთ მშვენიერი რადიოს მანქანა და აქამდის მაღაზიაშია, გამოუტანელი). ღმერთმა იცის, როდის ველირსებით მის ნახვას.

მაშ ნახვამდის და ნუ დაგვივიწყებთ. მედია ელის თქვენგან ლიზიკოს[136] წერილის შესახებ მოწერილ წერილის acknowledgment-ს[137] (ჩაიხედეთ დიქსიონერში[138]).

თქვენი ჟორჟეტა
სანდრო[139] არ მინახავს.

9.
გიორგი – ჟორჟეტას

ლონდონი. 9. XII. 1926

ძვირფასო ჟორჟეტა

შენი წერილი გუშინწინ მივიღე და მართლაც რომ აქამდის ერთი წუთიც არ მქონია თავისუფალი საპასუხოთ. ძალიან მეცოდები ავადმყოფობისათვის, მაგრამ მგონია, რომ ეს შენთვის ერთის მხრივ კარგიც იყო, რადგან ალბათ სამსახურისგან ცოტას მაინც დაისვენებდი. მაგრამ ამიერიდან გთხოვ თანდათან სავსებით მორჩე, რომ ჩემ ჩამოსვლის დროს ავადმყოფობა არ გაბედო (თუმცა ვინ იცის, როდის წამოვბრძანდეთ

---

132 სინემა – (აქ) კინოხელოვნება; შდრ. შენიშვნა 39.

133 Picturegoer – ბრიტანული ილუსტრირებული ჟურნალი კინემატოგრაფიული სიახლეების შესახებ. გამოდიოდა 1911-1960 წლებში.

134 Douane (ფრ.) – საბაჟო.

135 Good bye and enjoy yourself as much as you can (ინგ.) – ნახვამდის და ისიამოვნეთ, რაც შეგიძლიათ.

136 იხ. შენიშვნა 32.

137 Acknowledgment (ინგ.) – დადასტურება, აღიარება, მადლიერება.

138 იხ. შენიშვნა 106.

139 იხ. შენიშვნა 115.

ჩვენ მაქეთკენ). ჩანს, რომ ეხლა მთელ დედამიწაზე გრიპი მოდა ყოფილა, რადგან ტფილისიდანაც მწერდენ: თამრო და რუსო (ჩემი დები), ორივე ავად ყოფილან თითო თითო კვირა გრიპით. აგრეთვე ლიტუსი ჩხეიძეც[140]. პარიზში კი შენ გარდა, ნინუსია ზურაბიშვილიც[141] ავად ყოფილა. პირდაპირ სირცხვილია ამდენი ავადმყოფები. ჩემ სადილმა დიდებულად ჩაიარა, რადგან მთელი სადილის განმავლობაში არაფერი არც დამიმტვრევია, არც დამიღვრია. პირიქით, მთელი სადილი ისე გაცხარებული ვემუსაიფებოდი ჩემს მეზობლებს (ფრანგულად), ვუამბობდი საქართველოზე, სვანეთზე, ჩვენ მოგზაურობაზე, რომ ჭამას ძლივს ვასწრებდი. დიდი ინტერესით მეპყრობოდენ და მემუსაიფებოდენ. სადილზე სულ უმთავრესად ხანში შესული და მოხუცი პირები იყო (სუყველა კაცები). შედარებით ახალგაზრდა ვიყავი მარტო მე და მართლა სულ ახალგაზრდა იყო მომხსენებელი Earl Cowdar-ი[142]. 40 კაცამდე იყო. თითქმის ყველას ფრაკები ეცვა. რამდენიმე იყო მხოლოდ სმოკინგით და მათ შორის მეც, რადგან ფრაკის ჩაცმა ვეღარ გავბედე. მაგიდის ცენტრში საზოგადოების თავმჯდომარე დაჯდა – ძლიერ ცნობლი პირი Hogarth-ი[143]. ეს არის Royal Geographical Society და არა National Geographical Society[144], როგორც შენ მწერ. პრეზიდენტის მარჯვნივ მომხსენებელი Cowdar დასვეს (რომელსაც სადილს უკან მოხსენება უნდა წაეკითხა ჩრდილო ჰიმალაიში მოგზაურობაზე). პრეზიდენტის მარცხნივ მე დამსვეს, როგორც სტუმარი. ჩემს მარცხნივ იჯდა ვიცე-პრეზიდენტი Major General Lord Edward Gleichen.[145] იმის შემდეგ კი – „დანარჩენები". ორივე ჩემი მეზობელი დაახლოვებით ჩემსავით ლაპარაკობდა ფრანგულად, ისე რომ მე არ მცხვენოდა ჩემი ფრანგული ენისა და ამიტომ ბევრს ვემუსაიფებოდი. სხვათა შორის, ვუთხარი Lord Gleichen-ს რომ საქართველოში სრულიად შეუძლებელია სადილის შემდეგ მოხსენების დანიშვნა, რადგან იქ სადილი სულ სხვა ხასიათის არის ხოლმე. ამაზე ჩვენ ლორდმა ბევრი იცინა, რადგან, თურმე საქართვე-

---

140 ლიტუსი (ლიდუსი, ლიდა) ჩხეიძე (1901-1950) – თბილისური „შევარდენის" წევრი, გიორგი ნიკოლაძის მეგობარი და მისი ასვლების მონაწილე, რუსეთის თებერვლის რევოლუცის ერთ-ერთი ლიდერის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს პირველი თავმჯდომარის, შემდეგ – ამიერკავკასიის სეიმის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს დაფუძნებელი კრების თავმჯდომარის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისა (1864-1926) ქალიშვილი; იგი არ გაჰყვა მშობლებს ემიგრაციაში, სავარაუდოდ – გიორგი ნიკოლაძესთან სიახლოვის გამო; შდრ. წერილი 36.

141 ნინო (ნინუსია) მაკაროვა-ზურაბიშვილისა – ნიკო ნიკოლაძისა და პეტერბურგელი ექიმის ანა მაკაროვას ქალიშვილი; დედამისი მშობიარობას გადაჰყვა და ნიკო გოგონას ჯერ პეტერბურგის საუკეთესო პანსიონში ზრდიდა, მერე ოლღა გურამიშვილისა და მის სამ შვილთან ერთად იზრდებოდა დიდ ჯიხაიშში; ნინო მაკაროვა ცოლად გაჰყვა ივანე ზურაბიშვილს, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა – არჩილი, ლევანი და გიორგი. მისი შვილიშვილია სალომე ლევანის ასული ზურაბიშვილი (დ. 1952) – ფრანგი დიპლომატი და ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც – უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში! – იმ ქვეყნის (საფრანგეთის) საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, სადაც მანამდე უცხო ქვეყნის (საფრანგეთის) ელჩად იყო წარგზავნილი.

142 ჯონ დანკან ვოგან კემპბელი, კოდორის მე-5 გრაფი (1900-1970) აღწერილი მოვლენების დროს 26 წლისა იყოს.

143 დევიდ ჯორჯ ჰოგართი (1862-1927) – სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი. იხ. შენიშვნა 121.

144 იხ. შენიშვნა 120.

145 ლორდი ედვარდ გლეიკენი (1863-1937) – ბრიტანელი არისტოკრატი და ოფიცერი, გენერალ-მაიორი; მსახურობდა ბრიტანეთის სამხედრო ატაშედ ბერლინსა და ვაშინგტონში; 1919 წლიდან ეკავა ოფიციალურ ინგლისურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა.

ლოზე გაუვლია ოცი წლის წინეთ, როდესაც სპარსეთიდან ინგლისში მიდიოდა. სადილის შემდეგ იმავე ლორდმა ტაქსიში ჩამსვა და რაღაც Hall-ში[146] მიმიყვანა, სადაც მოხსენება უნდა შემდგარიყო. ხო, სადილის დროს მხოლოდ ორი ტოსტი იყო წარმოთქმული თავმჯდომარის მიერ. მან დააბრახუნა მაგიდაზე ხის ჩაქუჩით, რომელიც თურმე მის გვერდში იდო. ყველა ფეხზე წამოდგა და მეფის სადღეგრძელო დალიეს. მეორე კი ვისი იყო – ვეღარ გავიგე. მხოლოდ იმ სადღეგრძელოსთვის ფეხზე აღარ წამომდგარან. მოხსენების დროს ლორდ გლეიხენმა[147] თავის გვერდში დამსვა. მეორე რიგში მოხსენების შინაარსს მიხსნიდენ, თუმცა მეც ბევრი მესმოდა, რადგან მრავალი იყო ძალიან სურათები ნაჩვენები. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო იმ მოხსენებას. იმის შემდეგ, რაც შინ დავბრუნდი, შევუდექი მუშაობას, რადგან სვანეთის სურათები მინდოდა ხეირიან ალბომში გადამეტანა იმ დანგრეული რვეულიდან, რომელშიაც ისინი იმყოფებოდენ. მართლაც, ორი დღის სრულიად შეუწყვეტელი მუშაობის შემდეგ სურათების ჩაკვრა ახალ ალბომში დავამთავრე გუშინ „უოცო ოთხ საათზე"[148], ხოლო 4 საათზე დანიშნული მქონდა გეოგრაფიულ საზოგადოებაში მისვლა. წარმოიდგინე ამავე დროს ჩემი „უბედურება" (თუ ბედნიერება?) სწორედ ამ დროს მივიღე 8 დიდი წერილი, ყველა ძლიერ საინტერესო (სხვათა შორის შენი წერილიც იყო, რომელიც ყველაზე პატარა გამოდგა). რა თქმა უნდა, ყველა ამ წერილებმა ძლიერ მასიამოვნა (და სხვათა შორის შენმაც, მაგრამ ამ უკანასკნელისგან სიამოვნება ყველაზე პატარა არ ყოფილა), მაგრამ მათი კითხვის დროს ძალიან მეშინოდა – სურათები ჩაუკვრელი არ დამრჩენოდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მოვასწარი. საზოგადოებაში დიდი ყურადღებით შინჯეს ჩემი სურათები (თავმჯდომარე Hogarth-მა[149], რომელიც იმავე დროს ოქსფორდის მუზეუმის დირექტორია, მდივანმა და კიდევ ერთ ვილაცა არქეოლოგმა). ყველაზე უფრო მათ აინტერესებდა სვანეთის სიძველეების: ხატებისა, ეკლესიების და რუკების სურათები. 6 საათამდე შინჯავდენ ალბომებს. მერე თავმჯდომარემ მადლობა მითხრა და მითხრა: „მოგილოცავთ ასეთი მშვენიერი სურათების ასე მშვენივრად გადაღებასო" რაც შეეხება ჟურნალისათვის წერილს, იმაზე ისე გადავწყვიტეთ, რომ ორშაბთს, როდესაც მე ვეღირსები განთქმულ მთასვლელ დუგლას ფრეშფილდის[150] გაცნობას, იმასთან ერთად (რადგან იმას მრავალი წიგნი აქვს გამოცემული კავკასიაზე და სვანეთზე, თავის მრავალი მგზავრობის აღწერილობანი) ავარჩევთ ჩემ ალბომებიდან იმ სურათებს, რომელნიც ღირსია ჟურნალში დაიბეჭდოს და მაშინ, ამ სურათების რიცხვის მიხედვით გამოირკვევა ზომა ის წერილისა, რომელიც უნდა დავწერო. მე ვუთხარი მდივანს, რომ „პარიზში მყავს მეგობრები, რომელნიც ინგლისურად გადამითარგმნიან ჩემ ნაწერს-მეთქი". იმან კი მიპასუხა, რომ ეს სრულიადაც საჭირო არ არისო: მოგვიტანეთ ჩვენ რუსულად ან ფრანგულად (უკეთესია ფრანგულადო) დაწერილი ხელნაწერიო და ჩვენ თითონ გადავთარგმნითო. ასე რომ, მგონი ჯერ-ჯერობით საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებისათვის „თავის შეწირვა" არ დაგჭირდება, მაგრამ იცოდე, რომ ამ შენ წერილობითი განცხადებით როდისმე ვისარგებლებ და გეოგრაფიულ საზოგადოებისათვის „თავს შეგაწირინებ" ასე თუ ისე. იმას, რასაც შენ ბოლოში ფრჩხილებში აწერ („არა, ეს ცოტა გადაჭარბებულია"-ო), ამას ამოვჭრი შენ წერილიდან (და

---

146 Hall (ინგ.) – დარბაზი.

147 ნიკოლაძე არასწორად წარმოთქვამს ლორდის გვარს. იხ. შენიშვნა 145.

148 უოცო ოთხი საათი (და-ძმა ნიკოლაძეთა ტერმინოლოგიით) – სამი საათი და 40 წუთი (ოთხს აკლია ოცი წუთი).

149 იხ. შენიშვნები 121 და 143.

150 იხ. შენიშვნა 118.

მეხსიერებიდან), პირველი ნაწილით კი ვისარგებლებ. ეხლა საქართველოს წერილებიდან გიამბობ ზოგიერთ რამეს, რადგან ალბათ გესიამოვნება. ჩვენი გეოგრაფიული საზოგადოება ძალიან ინტენსიურად მუშაობს თურმე. ყველა „ჩვენები" იკრიფება იქ კვირაში ერთხელ ოთხშაბათს საღამოობით. წაუკითხავთ მთელი რიგი მოხსენებებისა. ყველაზე საინტერესო ყოფილა სოსო ასლანიშვილის[151] მოხსენება (თუ გახსოვს ექიმი სოსო ასლანიშვილი, რომელიც ქუთაისის შევარდენის მდივანი იყო) მის მოგზაურობაზე აბხაზეთში, სვანეთში, ყაბარდოში, ოსეთში და რაჭაში. ერთ-ერთი „კრების დროს (მწერს ლიტუსი ჩხეიძე) მოიტანეს შენი გამოგზავნილი სურათები. ჩემი და ელიკოს[152] გარდა, ყველასთვის იყო. მე ძალიან მეწყინა. თუ არ გამომიგზავნი, აღარ დაგელაპარაკები (ერთ წელიწადს მაინც). შენ სულ არ ხარ გამოცვლილი. ქუდით რატომ არ გადაიღე? დების და ძმების ნახვა ძალიან სასიამოვნო იყო, თუმცა რისთვის გწერ – ეს ხომ ჩემი სურათები არ იყო" ამაზე მე უნდა დავუმატო, რომ ლიტუსის, ელიკოს და ლიზიკოს[153] ცალკე კონვერტში გავუგზავნე პარიზიდან ჩვენი სურათები. ან ის კონვერტი უფრო გვიან მისულა, ანდა დაკარგულა და „ვაი ჩემს თავს" შენ მოდი და დააჯერე ისინი, რომ მე იმათაც გავუგზავნე და თუ გახსოვს, სწორეთ იმათ ყველაზე მეტი სურათები გავუგზავნეთ ჩვენ მაშინ. საზოგადოთ, ჩემი მდგომარეობა მართლა ძლიერ უხუგეშო ყოფილა ტფილისში, როგორც ლიტუსის წერილში ნახავ. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ რაც მეტ ხალხს ვწერ, უფრო მატულობს „გაბრაზებულების" რიცხვი... იმას თუ მიწერაო, მე რატომ აღარ მომწერაო. შენ მაინც მირჩიე რამე გამოსავალი, რომ ბოლოს და ბოლოს, ხომ წერილების მწერი მანქანა არა ვარ, მეც ადამიანი ვარ. მინდოდა ერთი ლიტუსის წერილიდან რამდენიმე ადგილი ამომეწერა შენთვის „ჩვენებური" ცხოვრების დასასურათებლად, მაგრამ ბოლოს ავიღე და იმ წერილის პირველ ნაწილს გიგზავნი, მიუხედავათ იმისა, რომ სხვისი წერილის სხვისთვის წასაკითხავად გამეტება ულამაზო საქციელია, მაგრამ იმიტომ ვშვრები, რომ იმის საშუალებით კარგათ შეგიძლია ჩვენებურ ცხოვრებაში ჩაიხედო. ვფიქრობ, რომ ლიტუსიმ რომ ეს გაიგოს, ნამეტან ბევრს არ იბრაზებს! ძალიან გთხოვ, ეს წერილი არ დამიკარგო და პარიზში რო ჩამოვალ – დამიბრუნო. გარდა ამისა, დაწვრილებით ამიწერეს ტანსავარჯიშო დღესასწაული, რომელიც ტფილისში ოპერის სცენაზე ჩაუტარებიათ. ძალიან საინტერესო ვარჯიშები შეუსრულებიათ. უმთავრესად გოგი მერკვილაძის[154] შედგენილები. იმათ აწერილობაზე აღარ შევჩერდები, მაგრამ წარმოიდგინე, ბოლოში, გურგელა ეგნატაშვილის[155] მეთაურობით გამოსულან ვაჟები და შეუსრულებიათ ვარჯიში შუბებით! სწორედ ისევე, როგორც, თუ გახსოვს, ჩვენ გამოსვლაზე იყო 1919 წელს შესრულებული. და ზოგ მაშინდელ მოვარჯიშეებსაც ეხლაც მიუღიათ მონაწილეობა: არჩილ

---

151 იოსებ ასლანიშვილი (1891-1955) – ექიმი-ენდოკრინოლოგი, მთამსვლელი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ექიმი და სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

152 ელენე ლორთქიფანიძე – თბილისური „შევარდენის" წევრი, გიორგი ნიკოლაძის ასვლების მონაწილე.

153 ლიტუსი, ელიკო და ლიზიკო – იხ შენიშვნები: 140, 152 და 32.

154 გიორგი (გოგი) მერკვილაძე (1898-1987) – ქართველი ტანმოვარჯიშე, თბილისის „შევარდენის" წევრი, ქართული დივიზიის სპორტული ინსპექტორი (1921-1925), სახალხო განათლების მუშაკი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი. 1934 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა ბავშვთა პირველი სპორტული სკოლა საბჭოთა კავშირში; წერილში აღწერილ პერიოდში იგი საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე იყო (1924-1930).

155 იხ. შენიშვნა 51.

ბაქრაძე, ვახტანგ ციციშვილი, გოგა საყვარელიძე, გიგა ბერიძე![156] ასე რომ, ტანვარჯიშობა, მგონი, ისევ ცოცხლდება საქართველოში, რადგან „ჩემ დროს" ოპერაში ტანჯვარჯიშის დღესასწაულის მოწყობა ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო: სომხები მაშინვე დაიწყებდნენ ყვირილს: „შევარდენი" აღზდგაო. მარიკა გვარჯალაძე[157] წუხელის ვნახე ცქიტიშვილებთან[158]. მითხრა თქვენ ყველა წერილები მოგწერეთო. ბევრი გვაცინა დავით ცქიტიშვილმა,[159] რომელიც ძალიან ცდილობს მე და მარიკა „მოგვარიგოს" მაგრამ არაფერი გამოუდის. ხვალ მივდივართ National[160] გალერეის დასათვალიერებლად. სინემაში ვნახე მშვენიერი სურათი: ლილიან გიში[161] „The scarlet letter"[162] (მგონი ასე იწერება?) თუ მანდ აჩვენეს – უსათუოდ წადი, რადგან ძალიან კარგი სურათია. შენ რომ მწერ, უცხო სიტყვებს და აწერ ლექსიკონში ჩაიხედეო – ცოტა გარკვეულად დაწერე თორემ გაგება კი არა, ვერც კი გავარჩიე თვით სიტყვა. მომწერე ასე გრძლათ. ერთში უნდა გამოგიტყდე: აქედან წამოსვლის დღე კიდეც რო ვიცოდე (ეხლა კი, ღმერთმანი, არ ვიცი), არ მოგწერ: ეს „იშკილია"[163]: მაშინ უკანასკნელი წერილი შენგან იქნება, და არა ჩემგან... მოგიკითხავ სიყვარულით შენ, მედიას, სუნანას, დედას და მამას[164]. შენი გიორგი.

10.

ჟორჟეტა – გიორგის

14 დეკემბერი [1926]

ძვირფასო გიორგი!

ძალიან მესიამოვნა „თქვენის წყალობით" საქართველოს ამბების გაგება. ლიტუსის[165] წერილი რომ წავიკითხე, გამახსენდა შევარდენი და ის მხიარული დრო, რომელიც ჩვენ საქართველოს 2 წლის თავისუფლების დროს გავატარეთ. თამრიკო

---

156 არჩილ ბაქრაძე, ვახტანგ ციციშვილი, გოგა საყვარელიძე, გიგა ბერიძე – ქართველი ტანმოვარჯიშეები, „შევარდენის" წევრები.

157 იხ. შენიშვნა 27.

158 იხ. შენიშვნები 34 და 9.

159 იხ. შენიშვნა 9.

160 National (ინგ. ფრ.) – ეროვნული.

161 ლილიან გიში (1893-1993) – მუნჯი კინოს ამერიკელი ვარსკვლავი.

162 „The scarlet letter" – ნათანიელ ჰოტორნის რომანის „მეწამული სიმბოლოს" ვიქტორ სიოსტრომისეული ეკრანიზაცია (1926) ლილიან გიშით მთავარ როლში.

163 იშკილი – ოინი (იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი").

164 იგულისხმება ვახტანგ ღამბაშიძე და მისი ოჯახი; ვახტანგ ღამბაშიძე (1872-1951) – ჟორჟეტას მამა, ქართველი ექიმი, ფოტოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორ-გამომცემლის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის ვაჟი იყო; 1904 წელს მამასთან ერთად ბორჯომის ხეობაში დააარსა სანატორიუმი „პატარა ცემი", სადაც ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვებს მკურნალობდა; პირველი რესპუბლიკის წლებში თბილისის უნივერსიტეტში განაგებდა ჰიგიენის კათედრას; პარიზში სწავლისას დაქორწინდა ამერიკელ ვანდა ჰოპეზე, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა: მედეა, თამარი (სუნანა), გივი და ჟორჟეტა; 1921 წელს ოჯახი ემიგრაციაში წავიდა. 19 წლის განმავლობაში ვახტანგ ღამბაშიძე სამჯერ აირჩიეს საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ. იხ. აგრეთვე შენიშვნები 10, 36 და 253.

165 იხ. შენიშვნა 140.

დიასამიძედან[166] მივიღე წერილი, სადაც იწერება, რომ დარეჯან ნიკოლაიშვილმა[167] მიჩვენა თქვენი გამოგზავნილი სურათებიო. კვირაობით შევარდენის სტადიუმზე დავდივარ ფუტბოლის საყურებლათო და სხ... ასე რომ, დიდი აქტივობა ეტყობათ თქვენ მოვარჯიშეებს თბილისში, თუ თამრიკოს[168] (რომელიც სულ ფილოსოფიის წიგნებში არის გადავარდნილი) ყურამდინ მივიდა შევარდენის ამბები. რაც შეეხება წერილების წერას, მართალია, საწერი მაშინა არა ხართ, მაგრამ იმდენი მეგობრები გყავთ, რომ თითოს თითო წერილი რომ მისწეროთ ყოველ დღე, ერთი წლის განმავლობაში მაინც დაგირჩებათ რამოდენიმე მიუწერელი. ასე რომ, ჩემი რჩევა შემდეგია. მისწერეთ თქვენ „ფავორიტკებს" ცალკე წერილები და დანარჩენებს favorite-ებს[169] კი საერთო წერილი მისწერეთ. ეს არის, ჩემის აზრით, ერთად ერთი გამოსავალი... თქვენ რას იტყვით?

გუშინ კონცერტი იყო გოგი ელიავას[170] ცოლის (ვოლ-ლევიცკაია[171]). ძალიან კარგი იყო, მაგრამ მე ცოტათი ჩამიშხამდა ეს საღამო, რადგანაც (წვრილმან რამეებშიც ბედი არა მაქვს) მოვხვდი გომართელი ც[....]-ის[172] გვერდით და მთელი საღამო მეკითხებოდა, ეს ვინ არის? ეს რას აკეთებს? ეს როდის ჩამოვიდა? და სხვა. ანტრაკტების დროს კი გავეპარებოდი ხოლმე და პაპიროსზედ ვიყრიდი მასზე ჯავრს. ვნახე დათიკო შარაშიძე[173], ნოე ცინცაძე[174] და თქვენ გამახსენდით. მარიკას[175] წერილები მივიღეთ. მომწერა ორფურცლიანი წერილი და სულ თქვენზედ ლაპარაკობს. გიორგი იქ წავიდა, ეს ნახა, ის დაათვალიერა და სხვა. ერთი სიტყვით, თქვენი emploie du temps-ის[176] აღწერაა. თითქოს მე ვიყო თქვენი [.....]-ი[177] და ყოველივე თქვენი ნაბიჯი უნდა მაცნობოს. ბევრი ვიცინე. იმედია უქმეებზედ აქ იქნებით. უსათუოდ აქ იყავით! რა! (მავიწყდება კი რომ თქვენ მამაზედ არის ყველაფერი დამოკიდებული). ნახეთ

---

166 თამარ დიასამიძე – შესაძლოა იგულისხმებოდეს ფილოსოფოს კოტე ბაქრაძის მეუღლის, ნინო დიასამიძის და.

167 დარეჯან ნიკოლაიშვილი – თბილისის „შევარდენის" წევრი, ასმათ ნიკოლაიშვილის და.

168 თამარ დიასამიძე. იხ შენიშვნა 166.

169 Favorite (ფრ.) – ფავორიტი, რჩეული.

170 გიორგი (გოგი) ელიავა (1892-1937) – ქართველი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგი. 1923 წელს დააარსა თბილისის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი, რომლის დირექტორის თვითონ იყო. 1925-1927 წლებში მუშაობდა პარიზში, პასტერის ინსტიტუტში.

171 ამელია (სცენიური ფსევდონიმი – მელანია) ვოლ-ლევიცკაია (1885-1937) – პოლონელი სოპრანო, ვარშავის, კიევისა და თბილისის საოპერო თეატრების პრიმადონა, ჯერ თავისი პროფესორის, ნიკოლაი ლევიცკის და შემდეგ გიორგი ელიავას ცოლი. 1937 წელს რეპრესირებულია მეორე მეუღლესთან ერთად.

172 გომართელი ც[....] – სახელი (ცაცა, ციცა, ცუცი...) კარგად არ იკითხება, მაგრამ ჩანს, საალერსო სახელია; შეიძლება იყო ერთ-ერთი ივანე გომართელის ქალიშვილთაგან – თამარი ან ირინე; ორივენი ჟორჟეტას მეგობრები იყვნენ, ხოლო თამარი ჟორჟეტას თანაკლასელიც იყო.

173 დავით (დათიკო) შარაშიძე (1886-1935) – ქართველი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, თბილისსა თუ პარიზში გამომავალი არაერთი გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორი, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შალვა შარაშიძის (თაგუნა) ძმა, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი ენათმეცნიერისა და კავკასიოლოგის გიორგი შარაშიძის მამა; 1921 წლიდან იყო ემიგრაციაში.

174 ნოე ცინცაძე (1886-1978) – საქართველოს პირველი რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე, ლტოლვილი მთავრობის ბოლო თავმჯდომარე; ემიგრაციაში იყო 1921 წლიდან.

175 იხ. შენიშვნა 27.

176 Emploie du temps (ფრ.) – სამუშაო დრო.

177 ფრანგული სიტყვაა და არ იკითხება.

ჩემი ინგლისელი[178] თუ არა? ლადო[179] ვნახე გუშინ. ხუთშაბათს მიდის სავარჯიშოთ. მე საუბედუროთ არ მეხერხება ეს დღეები. 1 ° [180] ძალიან შორს არის, 2 ° [181] გვიან იწყება და გვიან თავდება. თანაც ძალიან მწყინს, რომ მონაწილეობას ვერ მივიღებ ვარჯიშობაში, [რადგან] სამსახური მართმევს მთელ ენერგიას და თუ ენერგია არა აქვს ადამიანს, რა ვარჯიშობა შეიძლება? აქ ნახევარი დრო მეტროში ხეტიალს უნდება ადამიანი. და მე იმდენად შემძულდა მეტრო, რომ ბევრს სიამოვნებას ვიკლებ რომ იქ ჩაძრომა ავიცილო. პირდაპირ საძაგლად მოქმედებს ჩემზედ იქაური ჰაერი. ღმერთმა დასწყევლოს მისი გამომგონი (თუმცა როდესაც სამსახურში ვიგვიანებ, ვლოცავ მის გამგონებელს). დღეს სამსახურში მოგვივიდა ერთი ფრანგ პროფესორის ადრესი, სადაც თხოულობს ერთ წიგნს „My climbs in the alps and the Caucasus"[182] by Mummery[183] (გაგიგიათ ეს გვარი?). თითონ წიგნი ღირს 150 ფრანკი. ჩვენ ეს წიგნი არ გვქონდა მაღაზიაში. ასე რომ, უნდა გამოვწეროთ ლონდონიდან. გაგიგიათ ეს Mummery? კარგი იქნებოდა რომ ეს წიგნი ჩაგვეგდო ხელში[184]. თქვენი წერილი ძალიან საინტერესო იყო. სულ წარმომიდგა თვალ-წინ ბანკეტი! ბოლშევიკებმა რომ იცოდენ, რომ ამდენ ლორდებსა და ფრაკებში ატარებთ თქვენ დროს, აღარ შეგიშვებდენ გრაჟდანების სამეფოში[185], არა!!! ელიკოს[186] ადრესს თუ მომცემთ, მივწერ წერილს. თამრიკო[187] სხვათა შორის მწერს „ელიკოს წელიწადში 2-ჯერ თუ შევხვდები ხოლმეო" გეოგრაფიულ საზოგადოების წევრია და ძალიან გართულია. „გიორგი ნიკოლაძის საუკეთესო მეგობარიაო" ეს რომ სხვებმა გაიგონ, ხომ გაბრაზდებიან? მედია[188] ნაწყენია რომ წერილს არ სწერთ. ასე რომ, მხოლოდ თბილისელები კი არ ბრაზობენ, პარიჟელებიც. მე პირადათ იმედს არ ვკარგავ, რომ არამც თუ ლამანში, არამედ მთელი ევროპა და შავი ზღვა როდესაც იქნება ჩვენ შორის, არ მომაკლებთ საქართველოს ამბებს და შემატყობინებთ თქვენს ამბავს. აგერ 6 წელიწადია ევროპაში ვარ, მაგრამ ვერცერთ იქ ჩამოსულ ადამიანიდან იმდენი ამბები საქართველოზედ და მეგობრებზედ არ გამიგია, რამდენიც თქვენგან გავიგე. ასე რომ, უკვე ეხლა გთხოვთ ამ სიამოვნებას <u>ნუ მომაკლებთ.</u>[189] (ვაი ჩემ ტყავს არ თქვათ!)

მაპატიეთ თუ ცოტა აბდა-უბდათ გწერთ, მაგრამ 6 საათის შემდეგ მუზა მიფრინდება ხოლმე და ვურევ ყველაფერს. რატომ არ გინდათ თქვენი ჩამოსვლის დღე

---

178 შდრ. წერილი 6.

179 იხ. შენიშვნა 25.

180 პირველი.

181 მეორე.

182 „My climbs in the alps and the Caucasus" – ინგლისელი ალპინისტის ალფრედ მამერის (იხ. შენიშვნა 195) წიგნი „ჩემი ასვლები ალპებში და კავკასიონზე" (გამოიცა 1895 წელს).

183 Mummery – ალფრედ მამერი (1855-1895) – ცნობილი ინგლისელი მთამსვლელი, ალპინიზმის, როგორც სპორტის პიონერი, „მამერის კარვის" კონსტრუქციის ავტორი; 1895 წელს მან პირველმა მიიტანა იერიში რვაათასიან მწვერვალზე (ნანგაპარბატი, 8125 მ) და რვაათასიანის პირველი მსხვერვლიც გახდა; მას შემდეგ ნანგაპარბატმა კიდევ 30 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სანამ 1953 წელს იგი ავსტრიელმა ჰერმან ბულმა (1924-1957) არ დაიპყრო, რომელმაც მამერის ყველა დროის ერთ–ერთი უდიდესი ალპინისტი უწოდა.

184 დღეს ეს წიგნი (თუნდაც მისი ელექტრონული ვერსია) ადვილი ჩასაგდებია ხელში და კარგი იქნებოდა, რომ ქართულად გვეთარგმნა!

185 მოქალაქეთა (რუს.) სამეფო – იგულისხმება საბჭოთა კავშირი.

186 იგულისხმება ელენე (ელიკო) წერეთელი-დემოლონი; იხ. შენიშვნა 2.

187 იგულისხმება თამარ ნიკოლაძე, გიორგი ნიკოლაძის და. იხ. შენიშვნა 46.

188 იხ. შენიშვნა 36.

189 ხაზგასმა ავტორისაა.

შეგვატყობინოთ თუ გეცოდინებათ წინდაწინ. თქვენ ამბობთ. ეს „იშკილია“[190]. ვერ გავიგე, რას ნიშნავს. იქნება ამ წერილმა ვერც კი მოგისწროთ?

უქმეებზედ გელით უსათუოდ. სანდრო,[191] რაც თქვენ წახვედით, აღარ გვკადრულობს.

მაშ გიორგი, ღამიმ-მშვიდობის[192]. ლიტუსასავით[193] ვიტყვი „ძალიან მეძინება“ ამას გარდა, წერილების კითხვა მობეზრებული გექნებათ. საქართველოდან მიღებული წერილების კითხვას კიდევ გაუძლებს ადამიანი, რადგანაც ახალ-ახალ ამბებს გაიგებთ და ჩემი უბედური წერილები კი უთუოდ გაბეზრებთ თავს. ამიტომ ჯობია შევჩერდე. საინტერესოს ვერაფერს გეტყვით, რადგანაც აქაური ცხოვრება ძალიან ერთფეროვანია და თუ სადმე წახვალ და დროს ატარებ, ეს დროს გატარება ისეთი ფუჭია და უაზრო, რომ ლაპარაკიც არ ღირს.

იქნება ვიდევ ვეღირსო ერთ წერილს თქვენგან, თუმცა „საწერი მანქანა ხომ არა ხართ“

მარიკას[194] ჩემ მაგივრად აკოცეთ და უთხარით, რომ უსათუოდ მივწერ ამ დღეებში.

არა, მომიკითხეთ, მაშინალურად დავწერე კოცნა.

იმედია, მალე გნახავთ,

მიიღეთ მეგობრული სალამი ჟორჟეტასგან.

ჩვენებისგან დიდი მოკითხვა.

მე და ჟორჟეტამ ეს ეს არის ვისადილეთ და ეხლა ოხრად ვაბოლებთ. გიორგი – მინდა ორიოდე სიტყვა მოგწეროთ მხოლოდ იმიტომ რომ შეგატყობინოთ, რომ ძალიან ნაწყენი ვარ თქვენზედ. ლიტუსის როცა მისწერეთ, მთელი ქვეყანა გადაატრიალეთ და მე მაშინათვე გიპასუხეთ. ფოჩტის კვიტანციაც კი გამოგიგზავნეთ მაგრამ არავითარი პასუხი არ მომივიდა. ამას არ მოველოდი, ჩემო ძმაო!

სამაგიეროს გადაგიხდით და დაგსჯით – თქვენ თუ არა, ჟორჟეტა გადაიქცა „საწერ მანქანათ“ და ველარ მოვნახე მეტი ადგილი.

გულითადი სალამი. მედია.[195]
ნახვამდის.

11.

გიორგი – ჟორჟეტას

[უთარიღო]
[ლონდონი]

ძვირფასო ჟორჟეტა!

შენი წერილი მივიღე დღეს და როგორც ნამდვილი საწერი მანქანა, დღესვე გიპასუხებ. შენ წერილში (რომელმაც „ძლიერ მასიამოვნა“) ერთ რამემ კი „ძლიერ გამაბ-

190 იხ. შენიშვნა 163.
191 იხ. შენიშვნა 115.
192 Sic!
193 ლიტუსა – იგივე ლიტუსი (ლიდუსი, ლიდა). ჩხეიძე; იხ. შენიშვნა 140.
194 იხ. შენიშვნა 27.
195 მინანერი გაკეთებულია მედეა ღამბაშიძის (იხ. შენიშვნა 36) მიერ.

რაზა" ეს არის ის, რომ ავსებ შენ წერილს უცხო და ჩემთვის გაუგონარ სიტყვებით; იმავე დროს ისე წერ ამ სიტყვებს, რომ მე მათი წაკითხვაც ვერ მომიხერხებია. მაგალითად სიტყვა „ფავორიტკებს" რაღაცა მიანერე უცხო, რაც მე „Javoute"[196] ამოვიკითხე; მაგრამ „სიტყვარში" (ე. ი. ლექსიკონში) ასეთი სიტყვა ვერ ვნახე (ასე თუ იქნა, მეც ჩემ წერილებს ავაჭრელებ გერმანული ან შენთვის უცნობი რუსული სიტყვებით). ან იქ, სადაც სწერ „მარიკა სულ თქვენზე იწერებაო", უმატებ: „თითქოს მე ვიყო თქვენი ....." (ეს სიტყვა სულ ველარ გავარჩიე[197]). და სხვა ამ გვარი. გთხოვ წერილები ქართულად მომწერო. ან და, თუ მაინც-და-მაინც უსათუოდ გინდა უცხო სიტყვის ჩასმა საწერი მანქანის მაგიერ, საბეჭდი მანქანად გადიქეცი ხოლმე და ის სიტყვა „რემინგტონით"[198] „ჩაბეჭდე". ეხლა თვით წერილის შინაარსზე გადავიდეთ. შენ[ი] რჩევით, სამწუხაროთ ვერ ვისარგებლებ, (საქართველოში წერილების წერის შესახებ), რადგან, თუ მართლა ყველა „ფავორიტკებს" მივწერო – იმდენი წერა მომიხდება, რომ ეხლანდელზე ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩავვარდები. ეხლა მე მინდა ქართველების სიზარმაცით ვისარგებლო და ეს იქნება, ალბათ, ჩემ გამოუვალ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი. ამიერიდან წერილს მივწერ მხოლოდ იმას, ვინც მე მომწერს და იმედი მაქვს, რომ შენსავით „მუყაითი" (აკურატნი[199]) ბევრი არ იქნება. ასეთი იმედით ვინუგეშებდი თავს, როცა მომივიდა დევი მიქელაძისაგან[200] 12 უშველებელი თაბახიდან შემდგარი წერილი და მარო ტყავაძისაგან[201] უშველებელი წერილი. თუმცა, რა თქმა უნდა, შეწუხების მაგიერ ძლიერ გამეხარდა. ორივემ მოგიკითხათ თქვენ ყველანი და მეტადრე შენ, როგორც ყოფილი წევრი ჩვენი II შევარდენის[202] წურთნელთა[203] კრებულისა. თუმცა, შენ ალბათ, არც ერთი მათგანი არ გახსოვს, როგორც იმ დროისთვის ნამეტანი „წვრილფეხა საქონელი" Mummery-ს[204] სახელი ძალიანაც გამიგონია, მაგრამ ის წიგნი არასდროს არ მინახავს. უსათუოდ მოვძებნი, თუ ვიშოვე და ვიყიდი. დღეს ჩემ ერთ-ერთ ახალ „მეგობარმა" (აქაურ გეოგრაფიული საზოგადოებიდან) გამომიგზავნა საჩუქრად მშვენიერი და სქელი წიგნი: „The Nations of Today. A New History of the World, edited by John Buchan. The Baltic and Caucasian States (1923). ეს ჩემი მეგობარი არის დ. ალენი (D. Alhen)[205], რომელიც ავტორია ამ წიგნის

---

196 გიორგიმ ეს ფრანგული სიტყვა არასწორად ამოიკითხა. სინამდვილეში favorite წერია. იხ. შენიშვნა 181.

197 სიტყვა მართლა არ იკითხება. იხ. შენიშვნა 177.

198 ამერიკული ფირმა, რომელიც საწერი მანქანებს(აც) აწარმოებდა. ხშირად იხმარებ(ოდ)ა საწერი მანქანის მნიშვნელობითაც (როგორც, მაგალითად, ქსეროქსი).

199 Аккуратный (რუს. ამ შემთხვევაში – аккуратная) – აკურატული, ზუსტად შემსრულებელი, მოწესრიგებული.

200 დევი მიქელაძე (1900–1934) – გეოლოგი და მთამსვლელი, გიორგი ნიკოლაძის მეგობარი. 34 წლისა ნევაში დაიხრჩო ლენინგრადში ყოფნისას 1934 წელს.

201 მარო ტყავაძე (1903-1982) – შევარდენის წევრი, ერთ-ერთი იმ ხუთ ქალთაგან (მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, და ლიდუსი ჩხეიძე), რომლებიც გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მყინვარწვერზე ავიდნენ 1923 წელს.

202 სპორტსაზოგადოება „შევარდენს" თავდაპირველად ორი გაერთიანება ჰქონდა თბილისში – „პირველი შევარდენი" და „მეორე შევარდენი".

203 წურთნელი – მწვრთნელი.

204 იხ. შენიშვნა 183.

205 შეიძლება, გიორგი გვარს ინგლისურად არასწორად წერს და ეს იყოს უილიამ ედვარდ დევიდ ალენი (Allen, 1901-1973) – მომავალში ცნობილი ქართველოლოგი, რომელმაც სერ ოლივერ უორდროპთან (1864-1948) ერთად საქართველოს ისტორიის შემსწავლელი საზოგადოება დააარსა 1930 წელს და უშვებდა ჟურნალს „გეორგიკა" (Georgica).

იმ ნაწილისა, რომელიც კავკასიას შეეხება. უსათუოთ გადაშინჯე ეს წიგნი, თუ თქვენ მაღაზიაში მოიპოვება (და ბ. ვახტანგსაც[206] აჩვენე), ნახავ რა დიდი მეგობარია მისი დამწერი (ალენი) საქართველოსი და რა ვცლად[207] შეუსწავლია და შეუგროვებია საქართველოს შესახებ ევროპიული ლიტერატურა. ალბათ, საქართველოზე ასეთი წიგნი ინგლისურად ჯერ არ გამოსულა. ელიკოს მისამართი შემდეგია: ბესიკის შესახვევი 67 ტფილისი. ლიტუსის მისამართი ასეთია: კამოს ქუჩა 113[a], ტფილისი. ხომ იცი, მისამართი ასე უნდა დააწერო. მაგალითად ელიკოს: (როგორ არის შესახვევი?) M.elle Elico Lordkipanidze. 6, rue Bessik. Tiflis (U.R.S.S., Georgie) Тифлис (С.С.Р.Грузия). ელიკო ლორთქიფანიძეს, ბესიკის შესახვევი 6, ტფილისი. აქედან მივდივართ ჩვენ 23 დეკემბერს, მაგრამ, სამწუხაროდ, შენ ბრძანებას მანდ ჩამოსვლისა ვერ ვასრულებ, რადგან მივდივართ ლაონში ელიკო დემოლონთან[208] სადაც დავრჩებით საშობაოთ. პარიზში კი ჩამოვალთ, ალბათ, ორშაბათს ნაშობევს, რაც, თუ არ ვცდები, 28 დეკემბერია. ასე რომ, ახალ წელს კი პარიზში ვიქნები. მე თუ შენ ბრძანებას ვერ ვასრულებ, სამაგიეროთ, შენ უნდა შეასრულო ჩემი: კიდევ ერთი წერილი მომწერე.[209] „რა!“ იცოდე, მოველი შენ წერილს. ან აქ მომწერე ისე, რომ 23 დილამდე მივიღო, ან ლაონში. მე კი პასუხის მაგიერ, თითონ ჩამოვალ (თორემ ხომ იცი, თუ არ მომწერ... მაინც ჩამოვალ). შენთან უკანასკნელ წერილის მოწერის შემდეგ, აქ დრო ძალიან „ნაყოფიერად“ გავატარე აქაური ტანვარჯიშობის გაცნობის მხრივ და, გარდა ამისა ვეღირსე განთქმული ფრეშფილდის[210] გაცნობას (როგორც უკვე ერთხელ მოგწერე Duglas Freshfield ის ალპინისტია, რომელიც პირველად ავიდა კავკასიის მწვერვალებზე 1868 წელში: ყაზბეგზე და იალბუზზე). მაგრამ ეს უკვე ისე დაწვრილებით ავწერე ტფილისში გასაგზავნად, რომ ეხლა ასეთ აწერილობის გამეორება ძლიერ მეზარება. მით უფრო, რომ მაშინ, როცა ჩამოვალ მანდ, სალაპარაკო მასალა სულ აღარ მექნება და ვიჯდები დამუნჯებული. თუმცა ხანდისხან ძლიერ სასიამოვნოა გაჩუმებული ჯდომა და ერთმანეთის თვალებში ყურება, ამაზე ერთი ქართული ანდაზაა, რომელიც დამავიწყდა, მგონი კი ასეთია:

ყინვა მზის სხივმა დაშრიტა, სინესტე – ყინვის ძგერამა, ლამაზი გოგო და ბიჭი – ერთმანეთისა ცქერამა. მაგრამ ხომ იცი ყოველიფერი ამგვარი ადამიანის გუნებაზეა დამოკიდებული (ამისთვის საკმარისია მეორე ქართული ანდაზის გახსენება: „კაცია და გუნებაო, თავში იბრაგუნებაო“). ამიტომ საჭიროა, ყოველ შემთხვევისათვის, სალაპარაკო მასალა მოვიმარაგო. თუმცა ალბათ მიხვდებოდი, რომ ეს ყველაფერი აქ დაწერილი პატარა „იშკილია“[211] იმისთვის რომ ცოტა შევამოკლო ეს წერილი, რომელიც ისედაც გაგრძელდა და მედიასავით[212] ზოგიერთი მასალა შევინარჩუნო, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, მაინც ვწერ პასუხს. იმას კი მაინც მოგწერ, რომ „Y.M.C.A.“-ში[213] მოვარჯიშეები, რომელთაც ძალიან დავუმეგობრდი, და რომელთანაც თითქმის ყოველ საღამოს ვარ ხოლმე, მთელი ინგლისის ჩემპიონები

---

206 ვახტანგ ღამბაშიძე – ჟორჟეტას მამა; იხ. შენიშვნა 164.
207 Sic!
208 ელენე წერეთელი-დემოლონისა. იხ. შენიშვნა 2.
209 ხაზგასმა ავტორისაა.
210 იხ. შენიშვნა 118.
211 იხ. შენიშვნა 163.
212 იხ. შენიშვნა 36.
213 იხ. შენიშვნა 126.

გამოდგენ წყალში სიმაღლიდან ჩახტომისა და „ყვინთვისა" (plonger)[214]. მატარებენ აქაურ საცურაო და საყვინთაო აუზში, სადაც მეც ვსწავლობ ყვინთვას. ჯომარდობის (სპორტის) ამ დარგმა აუწერელ აღტაცებაში მომიყვანა, როცა დავინახე რა ლამაზია დიდ სიმაღლიდან, როდესაც ხტებიან ქალები და კაცები და ჰაერში სხვადასხვა მდგომარეობებს იკავებენ. ყოველგვარ სპორტში ტანვარჯიშობა და ეს „ყვინთვა" ყველაზე უკეთესი, ლამაზი და სასარგებლოა, ჩემის აზრით. უსათუოთ „ყვინთვა" ჩვენშიაც უნდა შემოვიღოთ, თუ მოვახერხებ. პარიზში ალბათ აგრეთვე არის ასეთი აუზი. რო ჩამოვალ, მოვძებნი და გაჩვენებ. იმედია შენც და მედიასაც ძალიან მოგეწონებათ, თუ აქამდის არ გინახავთ. მაშ ნახვამდის, მაგრამ მომწერე. სხვათა შორის, ძლიერ სასაცილოა, რომ მე „შენობით" გელაპარაკები და შენ „თქვენობით" უნდა შევცვალოთ.

გიორგი
„შენ ინგლისელს"[215] კვირას ვნახავ (ზეგ)

12.
ჟორჟეტა – გიორგის

[უთარიღო]
12 საათი

Mr. Geor![216]

დაგირეკეთ. გასული იყავით. ამიტომ გწერთ საჩქაროდ. დღეს საუბედუროთ ვერ მოვალ თქვენთან. ზურგი ძალიან მტკივა და უსათუოდ[217] ცხელი აბანო და მასაჟი უნდა გავიკეთო. მიკვირს, რომ ტკივილები სულ არ იკლებენ. იმედი მქონდა გუშინ შევძლებდი აბანოს მიღებას, მაგრამ არ იყო ცხელი. დღეს კი მზად არის. საღამოს იქ ვიქნები. დამირეკეთ! [.....][218] 03-32 (71 rue de l'Assomption). თუ მამის მიტოვება შეგიძლიათ იქნება გამოისეირნოთ??? (Metro – Ralenagh-ზედ[219] გადმოხტით) და იქვეა კლინიკა. მე უთუოდ იქ დავრჩები 10 საათამდინ. ანდა იქნება იქ გავათიო ღამე, არ ვიცი.

კვირას კი[220] – გეოგრაფიულ საზოგადოების მსხვერპლი ვიქნები[221]. მოვალ თქვენთან სრულ ორ საათზედ. თუ უფრო ადრე არა. თუ ეს საათი არ გეხერხებათ, შემატყობინეთ უსათუოდ და როდესადაც მიბრძანებთ მაშინ მოვბრძანდები. ამ ნაჯლაბნს ძლივს გაარჩევთ, მაგრამ არაფერი. ცოტა ძალა დაატანეთ თქვენ თავს და წაიკითხეთ ეს ფრიად-მნიშვნელოვანი ბარათი.

---

214 Plonger, უნდა იყოს plunger (ინგ.) – მყვინთავი. ჩანს, გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც კარგად არ იცოდა ინგლისური, ამ სიტყვას მხოლოდ „ყურით" წერდა.

215 საუბარია „მეორე" ინგლისელზე, „ახალგაზრდა მწერალზე"; შდრ წერილები 6 და 10; 29 ნოემბრის (№ 6) წერილში ჟორჟეტა ორივე ინგლისელს ახსენებს.

216 Sic!

217 ხაზგასმა ავტორისაა.

218 ფრანგული სიტყვაა და არ იკითხება.

219 Ralenagh – ჟორჟეტა არასწორად წერს: პარიზის მეტროს სადგურის სახელია Ranelagh.

220 ხაზგასმა ავტორისაა.

221 როგორც ჩანს, ჟორჟეტას მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ უნდა თარგმნოს გიორგი ნიკოლაძის წერილი სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალისათვის. იხ. წერილი 7.

მაშ კლინიკაში ან თქვენი ვიზიტი ან ტელეფონი. თუ არა და ხვალ 2 საათზედ[222] თქვენთან ვიქნები.

ჟორჟეტა

13.

ჟორჟეტა – გიორგის

26. I. 1927

პარიზი

გიორგი,

როგორც ხედავთ, გამოვტოვე ის ადგილი სადაც თქვენ სთხოვთ 5 ქალიშვილისათვის სურათის გამოგზავნას მეორეჯერ. ჩემის აზრით, არ ღირს. თუ სთქვა, უსათუოდ შეასრულებს.

ეხლა გადავიკითხე წერილი და შევამჩნიე, რომ გადაწერის დროს გამოვტოვე ცოტა რამ. აი, სად – I have immediately sent off you letter[223] – არ ვამბობ სად, მაგრამ მე მგონია მაინც გასაგებია და მე გირჩევთ ასე გაგზავნოთ. ბევრი არ მაგინოთ (რა [....] ყოფილა და სხ...)

Mr. H....-ის[224] ხსენება კი სულ გადამავიწყდა. ამიტომ ეხლა ვწერ აქ შავად და თქვენ გადასწერეთ. მაპატიე შენ უფალო!!!

ადრესი Freshfield-ის[225] ვინაიდან არ მაქვს, თქვენ უნდა შეამსოთ.

მოგიკითხავთ, კარგად იყავით.

ჟორჟეტა

ეცადეთ, რომ ცოტა მაინც წაიკითხოთ ის ადგილები, რაც მე ფანქრით დავხაზე. თქვენ შეგეხებათ. დანარჩენს მე გადაგითარგმნით.

14.

გიორგი – ჟორჟეტას

26. I. 1927. Paris

ჩემო კარგო ჟორჟეტა. თუმცა ამ წერილს გწერ, მაგრამ ძლიერ მეშინია, რომ შენც ფრეშფილდის[226] და სხვა ინგლისელების სავით[227] არ იყო: ე. ი. მხოლოდ მოკლე და საქმის წერილების მოყვარული. ეს წერილი კი სიგრძით თუ არა, შინაარსის მხრივ – სწორეთ იმგვარ წერილების წინააღმდეგი გამოვა ალბათ. ამიტომ შენც მომიტევე, რომ დროს გართმევ, იმ დროს, რომელც შეგეძლო უფრო სარგებლიანად გამოგეყენებინა (ე. ი. გძინებოდა ტკბილად...). მახსოვს, ერთხელ მოგწერე: ცოტა ხანია, რაც გამოგეთხოვე (პარიზიდან წასვლის შემდეგ) და უკვე მინდა წერილში გემუსაიფო. ნეტა რად? შენ კი ამ „ნეტა რად"-ისთვის დამ-

---

222 ხაზგასმა ავტორისაა.

223 I have immediately sent off you letter (ინგ.) – მე დაუყოვნებლივ გამოგიგზავნე(თ) წერილი.

224 გვარი თუ სახელი წერია, მაგრამ დაზუსტებით ვერ იკითხება.

225 იხ. შენიშვნა 118.

226 იხ. შენიშვნა 118.

227 Sic!

ცინე. ჩემო კარგო და პატარა ჟორჟეტა, ნუ გეწყინება, მაგრამ ზოგიერთ საკითხში ჯერ ძალიან პატარა ხარ, უფრო პატარა, ვიდრე 23 წლისა. შენ ვერ გაიგე, რომ ჩემ წერილში „ნეტა რად" „ლირიული finesse[228]" იყო, ან და გაიგე, მაგრამ „ფრეშფილდისებურად" ზედმეტ, არა საქმიან დამატებათ ჩათვალე ჩემ წერილში. მე კი სულ სხვანაირად ვუყურებ „საქმეს", ზოგჯერ სრულიად წვრილმანი რამე, სრულიად უმნიშვნელო და ბევრისთვის შეუმჩნეველი: მოკლე ფრაზა, სწრაფი შეხედვა, უმნიშვნელო ღიმილი, ხმის ინტონაცია – ჰქმნის იმ finesses-ებს, რომლიდანაც შესდგება სიცოცხლის მთელი სილამაზე, სწორედ ასეთივე აზრს გამოსთქვამს იგორი სევერიანინი თავის ერთ-ერთ შეუდარებელ ფრაზაში:

„они незабываемы – мгновенности чудесные"[229].

თუმცა სისულელეა, მაგრამ მაინც მინდა ეს „ნეტა რად" ცოტა მაინც „გაგრძნობინო". სულ სხვა დროს და სხვა ადგილას იგივე გამოვთქვი, შემდეგ რუსულ ლექსში:

„То был миг чудный, миг заветный,
Но, то что было – то прошло,
Зачем же в сердце незаметно
Мне чувство острое вошло?"[230]

მაგრამ მართლა დიდი სისულელეა ამგვარი „ახსნები" იმისი, რასაც შენ თითონ ვერ გრძნობ. მაგალითად, თუ მწვანე ფერს ვერ ხედავ, ხომ ვერავინ აგიხსნის სიტყვებით, თუ ეს მწვანე ფერი როგორია. მაგრამ მე იმედი მაქვს და მგონია, რომ მოვა ისეთი დრო, რომ შენ თითქოს თვალები აგეხილება ასეთ რამეებისათვის. მართალია, ყველას, მგონი, ასეთი დღე არ უდგება აუცილებლივ, მაგრამ შენ ალბათ დაგიდგება. და თუ მართლა დაგიდგა, – იცოდე, მხოლოდ იმ დღიდან გახდები ნამდვილ და სრულ ადამიანად, მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ მთლიანად ცხოვრების ყოველმხრივ სიმშვენიერეს და ბევრ რამეს დაინახავ, რასაც ეხლა ჯერ ვერ ამჩნევ, რადგან ცოტა ბავშვი ხარ... ჩემო ჟორჟეტა, ნუ გეწყინება რომ ასეთ რამეებს გწერ და ალბათ კიდეც ცოტათი სულელურადაც, რადგან ღამე გწერ, როდესაც ყველას სძინავს, მე კი მამას ვუდარაჯებ, რომელიც ძალიან ავად არის სწორეთ ამ დროს, როცა ამას გწერ. ამიტომაც „სენტიმენტალურ" გუნებაზე დავდექი და მომინდა შენთვის ასეთი წერილის მოწერა, თორემ სხვა დროს, ალბათ არ მოგწერდი. იყავი კარგად. გაკოცებ.

შენი გიორგი

15.

გიორგი – ჟორჟეტას

29. I. 1927.

ჩემო ჟორჟეტა! ეხლა დილის ოთხი საათია. მამას კარგად სძინავს, მაგრამ მე კი არა. არ მაძინებს ერთი რამე და ეს არის – შენი თვალები, რომელთა სიღრმეში ვიხედებოდი წეღან...

---

228 Finesse (ფრ.) – სინაზე, ემოციურობა, სიფაქიზე.

229 они незабываемы – мгновенности чудесные (რუს.) – დაუვიწყარია ისინი – საოცარი წამები.

230 (რუს.) – ეს იყო წამი სანუკვარი, / მაგრამ იყო და წავიდა, / და რად ჩამრჩა შეუმჩნეველად / მწველი გრძნობა გულში? (პწკარედი).

კიდევ ბევრ რამეს გეტყოდი, მაგრამ, რაც აქ გითხარი, მისიც მცხვენია: შენ ხომ გული არა გაქვს, არამედ ცივი ქვა; ჩემი კი ლაყი კვერცხი ყოფილა.
ვარ შენი გიორგი და გაკოცებ ყველგან, სადაც დაგწვდები...

16.
ჟორჟეტა – გიორგის

[უთარიღო]

ძვირფასო გიორგი!
მივიღე თქვენი წერილი 11 საათზედ დღეს დილით.
თქვენმა წერილმა დამაღონა ძალიან. რატომ [გ]გონიათ, რომ მე ქვის გული მაქვს[?] განა გულის სიქვავე გამოვიჩინე თქვენთან? არ მინდა ჩემი სიტყვა დავარღვიო და მოგწეროთ ის რასაც მე ეხლა ვგრძნობ. ამას შემდეგში გაიგებთ, როდესაც შორს იქნებით ჩვენგან. ჩემ გულის სიღრმეში რომ შეგეძლოთ ჩახედვა, დაინახავდით, რომ არა მაქვს ქვის გული. მხოლოდ ამას ვიტყვი ეხლა და, მგონი, ესეც საკმარისია.
იყავით კარგად, ჩემო გიორგი და....
(სჯობია შევჩერდე!)
შენი ჟორჟეტა

ტელეფონით აღარ დავრეკე, რადგანაც შეწუხება არ მინდა. ისედაც დაღლილი კიბეების ჩამოსვლა არა სასიამოვნოა.

17.
გიორგი – ჟორჟეტას

31. I. [1927] პარიზი და ჩემი ლოგინი

ჩემო საყვარელო პატარა ჟორჟეტა
ხომ მართალია, რომ „კარგი" წერილების წერა მხოლოდ ღამე შეიძლება, როდესაც ლოგინში წევხარ და ვერ გძინავს (თუმცა უკაცრავად, დამავიწყდა, რომ ასეთი მდგომარეობა შენთვის წარმოუდგენელია). ეხლაც სწორეთ რიჟრაჟია, რაც ესეთგვარ გულის განწყობილებას ჰქმნის ჩემში, თითქოს კოკაინი შევყნოსეო: იმდენი რამე მინდა გითხრა, რომ, წესით, ერთ კვირაშიაც ვერ დავწერდი. ცოტას მაინც (რასაც მოვასწრებ მამის დაძახებამდე) მოგწერ. შენ ამბობ, გული ქვის არა მაქვსო (გულზე რა მოგახსენო, „სხვა რამე" კი მართლა ქვის არ უნდა გქონდეს... მაგრამ ისევ გულს დავუბრუნდეთ). ეგ თუ მართალი თქვი, მაშინ, მაშინ მე ჩემს „კრიტერიუმში" მხოლოდ იმ შესწორებას შევიტანდი, რომ შენი გული ჩემთვის ქვასავითაა. ამით ის მინდა გითხრა, რომ თუმცა ვხედავ, შენთვის ერთგვარად სასიამოვნო ვარ (რაც ბუნებრივია მით უფრო, რომ „გიორგი ნიკოლაძის" სახელს ვატარებ), მაგრამ ბევრ წვრილმანზე ვამჩნევ, შენი გული სრულებითაც ისე არ „ღელავს", როგორც მაგალითად ჩემი. ნუ გგონია, რომ ამით სიყვარულს გიცხადებ, ან რამეს იმის მსგავსს (რაც ერთხელ და ორჯელ იყო შეიძლება მეტი არ განმეორდეს – ვინ იცის). მაგრამ ეს ხომ არც ჩემზეა, არც შენზე დამოკიდებული. ერთი რამე კი, რაც უწინ მომწერე

შენ თავზე (მეო franche-ი[231] ვარო), ჯერჯერობით გაამართლე. სამი რამეთი დამიმტკიცე შენი „პრაქტიკული“ განვითარება: [.....] მართლაც, თუმცა მე გვარიანად „ლიბერალური შეხედულობისა“ ვარ, მაგრამ, შენთვის თითქოს გამონაკლისს ვაკეთებ და ძალიან „jaloux“[232] (არ ვიცი ეს სიტყვა როგორ იწერება)[233] ვარ. ასე რომ, შენთვისაც შემეძლო დამეწერა რამე იმგვარი, რაც ერთხელ, „ჩემ უკრაინელს“ დავუწერე:

Зачем „в моих глазах“ и „на моих глазах“
Из „девушки“ ты стала „женщиной развратной“?
Ушла та чудная, ушла... Я весь в слезах,
Ушла мечта моя дорогой безвозвратной.
„Ея“ уж больше нет... как мне безумно жаль!
Кто может воскресить мне образ ненаглядный?
Темно в душе моей и едкая печаль
Мне скорбный вид дала для всех вполне наглядный.[234]

მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეცდი: ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ეს „franche“-იობა. ყოველ შემთხვევაში, უნდა გითხრა, რომ ბევრ „ფავორიტკებთან“ ვყოფილვარ ისე, როგორც წუხელის შენთან, მაგრამ შენ, ჩემო პატარა, კარგო, ცუდო, მშვენიერო და საძაგელო ჩემო ჟორჟეტა, რომელსაც უთვალავად გკოცნი, სულ სხვანაირად მოქმედობ ჩემზე... (ნუ გგონია, რომ ამას ყველას ვწერ ხოლმე: ხომ იცი, რომ ჩემთვის ტყვილის თქმა ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია.) ეჰ, აქ ისევ ვჩერდები – სულ ერთია ყველაფერ ამგვარზე ერთ პასუხს მივიღებ...

[.....]

ჩემო კარგო ჟორჟეტა, ამ წერილის დამთავრება ვერ მოვასწარი, რადგან დრო არა მაქვს. მაინც გიგზავნი, რადგან რამე მინდა გამოგიგზავნო. ბოდიშს ვიხდი, რომ წერილი აბრაკადაბრას გავს და ასე არევ-დარეულია.

გკოცნი მაგრად, მაგრად, მაგრად და იმავე დროს შენ თვალებში ვიყურები და მათში ვიღუპები.

ჩემო ჟორჟეტ, იცი, – მე, ჩემი ოტელი და ქუჩა – ყველანი უკვე იტალიაში ვართ... არ მომწერ??

შენი გიორგი.

18.

ჟორჟეტა – გიორგის

[უთარიღო]

გიორგი ჩემო!

---

231 Franche (ფრ.) – გულწრფელი; შდრ. შენიშვნა 71.

232 Jaloux (ფრ.) – ეჭვიანი.

233 გიორგი სიტყვას სწორად წერს.

234 (რუს.) – „ჩემს თვალში“ და „ჩემს თვალწინ“ / „ქალიშვილი“ რად იქეცი „გარყვნილ ქალად“? / წავიდა ის საოცარი, წავიდა... ცრემლად ვიღვრები, / წავიდა ჩემი ოცნება უკანმოუბრუნებლად. / „ის“ უკვე აღარ არსებობს... რარიგ ვწუხვარ! / ვინ აღმიდგენს საყვარელ ხატებას, / ჩამოპირქუშდა ჩემს სულში და მწველმა სევდამ / მწუხარე იერი მომცა, ყველასათვის ფრიად საჩინო. (პწკარედი)

დავიწყე Kardomah-ში[235] გრძელი პასუხის მოწერა, მაგრამ გადაკითხვისას იმდენად ულირსი მომეჩვენა თქვენი მართლა რომ[236] შეუდარებელი წერილიდან, რომ დავხიე და გადავწყვიტე, ისევ ამ ორიოდე სიტყვით გამოგეხმაუროთ. ისეთ პასუხს, რომელიც მე მინდა რომ თქვენ მიიღოთ ამ რამდენიმე წუთის თავისუფლების დროს ვერ დავწერ. ეს შეუძლებელი[ა]. ყოველივე თქვენი ფრაზა, მოითხოვს გრძელ პასუხს და ჩემი ერთად ერთი სურვილი ის არის, რომ შევძლო ღირსიანი პასუხი მოგცეთ.

გუშინ ღამე ძალიან ცუდათ მეძინა. მაწუხებდა ბევრი რამ და ერთი რამ ყველაზე უფრო და ეს იყო, ვაი თუ, ჩემი საქციელით გიორგის თვალში ძალიან ძირს დავინიე-მეთქი. მაგრამ მამშვიდებდა ის აზრი, რომ ადამიანს ზოგჯერ ავიწყდება თავის თავი და ამისთანა საქციელი მას იმ დროს ეპატივება. თქვენმა წერილმა თუ ძალიან არა, ცოტა-თი გაამართლა, მგონი, ჩემი შიში. ნუ გგონიათ, გიორგი, რომ მე ამ შემთხვევაში ბრმა ვარ და ყველასთან ასე ვიქცევი. თქვენ ხართ დიდი გამონაკლისი[237]. ეს ყველაფერი, რაც თქვენი „პრაკტიკულ განვითარებას" მიაწერეთ, ეს არის მხოლოდ ქალური ინსტინკტი. ვჩერდები, ძვირფასო გიორგი, ვინაიდან არც დრო და არც ქაღალდი ნებას არ მაძლევს მეტის თქმის.

რამდენიმეჯერ გადავიკითხე თქვენი წერილი იმ შიშით, რომ ვაი თუ, ზოგიერთი რამე კარგად ვერ გავიგე, იმდენათ ღრმა, მნიშვნელოვანი წერილია და მეშინია ჩემ უბრალო აზროვნებას ვერ შესწვდეს. გკოცნით ჟორჟეტა.

19.

გიორგი – ჟორჟეტას

5. II. 27
Paris

ჩემო პატარა ჟორჟეტ!

მეგობრობაზე იმიტომ გითხარი ისე, რომ ვხედავ შენ თითონ ემალები მეგობრობას: მე მოგწერე ისეთი გულწრფელი და გულახდილი წერილი (ე. ი. შიგ ჩავწერე ყოველი გაფიქრება შენზე), შენ კი პასუხად რაღაცა მიკიბ-მოკიბე – „ქალურ ინსტი[ნ]ქტს" შეეფარე. [.....] მე „მეგობარს" ასე არ ვუყურებ. მეგობარი თუ არის, არის „თავიდან ფეხებამდე": ან სულ – ან და – არაფერი და, რადგან უკანასკნელი ეტყობა, შენთვის უფრო ადვილი და მარტივია – ამიტომ გითხარი ასე. შენ გეშინია ჩემ თვალში რეპუტაციის გაფუჭებისა. მაგრამ ნუ თუ გგონია, რომ უფრო მომეწონები „თითქოს უმანკო", „მიმკიბ-მომკიბველი", სულ იმით შეშინებული, რამე ისეთი არ შეგემჩნეს, რაც ჩემთვის მოსაწონი არ არის. ნუთუ გგონია, რომ ასეთი უფრო მომეწონები, ვიდრე უშიშარი, გულახდილი და გულწრფელი მეგობარი (კიდეც „ცუდი" მხარეებიანიც რომ იყო, როგორც ყველაა). ნუ თუ გგონია, რომ ნამდვილი არსება ჟორჟეტასი, „ისეთი როგორიც ის არის" (telle qu'elle est[238]) ათასჯერ არ მირჩევნია იმ სურათს, რომლის დახატვას ცდილობ

---

235 Kardomah – კოფიშოფების (ყავახანების) ქსელი; ბრენდი, რომელსაც დასაბამი მიეცა 1844 წელს ლივერპულში და განსაკუთრებით პოპულარული იყო 1900-იანდან 1960-იან წლებამდე ინგლისში, უელსსა და მეტ-ნაკლებად პარიზში. სხვა კაფეთაგან გამოირჩეოდა სპეციალური კვარტეტების ცოცხალი წარმოდგენებით.

236 ხაზგასმა ავტორისაა.

237 ხაზგასმა ავტორისაა

238 Telle qu'elle est (ფრ.) – როგორიც ის არის.

ჩემს თვალში, ჩვენ შორის ვითომ და „მეგობრობაში“? ხომ სულ ერთია, ადრე თუ გვიან – სიმართლე თავისას „აიღებს“. ასე, ჩემო ჟორჟეტ: „ან ყველაფერი, ან არაფერი“. ეს ორივე გზა შენთან მეგობრობაში ჩემთვის მოსაწონია. მირჩევნია და არ მეშინია პირველი, მაგრამ ვფიქრობ, შენთვის უფრო მარტივი და ადვილია – მეორე. რამ, „მესამე“ გზა რომ ავირჩიოთ, ვფიქრობ, მალე დავცდებით ერთი მეორეს...

ნუ გგონია, რომ გიჯავრდები რამეზე ან „გებრაზები“. პირიქით: ძვირფას, კარგ, მშვენიერ პატარა ჟორჟეტას ვკოცნი მაგრა, მაგრა, როგორც... როგორც ის (ამერიკელი თუ ინგლისელი?) და ვრჩები მარად შენი გიორგი.

P. S. ამ წერილზე თუ რამე თავისგამართლისებური მომწერე საპასუხოთ, იცოდე – მხოლოდ მაწყენინებ. მაგისთანა პასუხს – სულ არაფერი მომწერო – სჯობია.

P. P .S. ერთი პატარა რამე კი უნდა გისაყვედურო. ეს არის ის, რომ მე უფრო „მიმალავ“, ვიდრე სხვა ჩემ მეგობრებს. მართალი გითხრა, სულ ცოტა, ცოტა, მაგრამ მაინც მწყინს ეგა...

გ.

ერთხელ კიდევ გკოცნი (ცოტა სხვანაირად, ე. ი. როგორც გიორგი ნიკოლაძე).

20.

ჟორჟეტა – გიორგის

9.II. 1927.

4 საათი. სამსახური.

ჩემო ძვირფასო გიორგი!

ბედნიერი ვარ, რომ შენ გულში რომელიც წარმოადგენს ჩემთვის უძვირფასეს განძს, პატარა ადგილი მეც მიჭირავს. მხოლოდ ეს გრძნობა სამყოფია, რომ მე გამაბედნიეროს.

ვფიქრობ შენზედ სულ მუდამ.

რატომ ხართ ასეთი ბოროტი??

გკოცნი მრავალს.

ვწერ ამას საჩქაროთ.

შენი ჟორჟეტა

21.

გიორგი – ჟორჟეტას

ჟორჟეტას სახსოვრად გიორგისგან

9. II.27. პარიზი

ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ჟორჟეტა!

წუხელის მითხარი:

„შენ ხარ ჩემი საქართველო!!“

ამაზე მშვენიერი აბა რა გითქვამს, ან რაღას მეტყვი? რა გიპასუხო სამაგიერო? სამჯერ შემხვდი ცხოვრებაში. ერთხელ პატარა ცემში, მერე ტფილისში და ბოლოს აქ, დედა-მიწის დედა-ქალაქში – პარიზში. თანაც ჩემ გულში იკავებდი შესაფერისს

ადგილს: ჯერ პატარას, როგორიც არის პატარა ცემი, მერე – როგორც ტფილისი და ბოლოს ეხლა შენ გახდი ჩემი გულის პარიზი...

უთვალავად გკოცნი.
შენი გიორგი

22.
ჟორჟეტა – გიორგის

[უთარიღო]

ჩემო კარგო და კარგო,
სამსახურში მიმავალი შემოვიარე ფოჩტაში. ტელეფონით მეშინია, ვერ გამოგელაპარაკო. შენი სახლის პატრონის მეშინია – ან მეტყვის სახლში არა ხარ, როდესაც არხეინად შენ ოთახში იჯდები.

იცი, გუშინ რომ დაგშორდი, ვიფიქრე, ღმერთო 24 საათი არ ვნახავ მეთქი და მთელი ერთი საუკუნე მომეჩვენა. ვერ მოვითმინე და შოთას[239] ვუთხარი, ნეტავი მალე გათენდეს და დაღამდეს მეთქი. არ დამცინო, ჩემო მშვენიერო და საყვარელო. იმიტომ რომ უშენოთ არ ვცოცხლობ.

იცი, სუნანა[240] და მედიასთან[241] მოდიან სტუმრები ამ საღამოს. მაგრამ მე მგონია ისინი ჩვენ ხელს არ შეგვიშლიან. ჩვენ ვიყოთ სუნანას ოთახში. მართალია, მე რომ მოვიდე, უფრო მეტი დრო დაგვეკარგება ჩემ გაცილებაში, თუ, რასაკვირველია, მარტო დასთანხმდი, რომ გავბრუნდე. მე მგონია, ისინი ჩვენ ხელს არ შეგვიშლიან. ეხლა უკვე 10 საათია და მე ჯერ სამსახურში არ მივსულვარ.

გკოცნი და გკოცნი უთვალავს, ჩემო გიორგი. სულ შენზედ ვფიქრობ. მინდა, რომ ჩქარა ისე მოვეწყოთ, რომ შენ იმეცადინო სულ და მე კი კარგად მოგიარო.

გკოცნი, გკოცნი შენი ჟორჟეტა.

23.
გიორგი – ჟორჟეტას

11. II. 27. Paris
ღამე. ლოგინში.

გიკოცნი შენ ლამაზ, ძვირფას თვალებს, ჩემო საყვარელო ჟორჟეტა. შენ ხარ ჩემი იმედი და მინათებ, როგორც მზე. უშენობამ გამომაღვიძა და მომენატრე ამ შუაღამეში. შენი შეუდარებელი და ძვირფასი წერილი წავიკითხე ათჯერ, ოცჯერ, ვისწავლე ზეპირად და კიდევ ვკითხულობ. „მინდიხარ“ უსაზღვროთ, მაგრამ იცოდე, რომ თუ ამდენ ხნობით არ მეჩვენე ხოლმე, გადაგეჩვევი, დამავიწყდები და აღარ მომენატრები ასე ძლიერ. თუმცა, ვინ იცის...

გკოცნი, გკოცნი, გკოცნი.
შენი გიორგი.

---

239 იხ. შენიშვნა 103.
240 იხ შენიშვნა 10.
241 იხ. შენიშვნა 36.

ერთად რო ვართ, „დურაკივით“ რატომ გიყურებ, ხომ იცი? იმიტომ რომ შენ ხარ ჩემი „ненаглядная[242]“

24.

ჟორჟეტა – გიორგის

[1927, 11-12 თებერვალი][243]

ეს არის მივიღე შენი წერილი. საპასუხოდ გკოცნი თვალებში.

ჩემო ძვირფასო და საყვარელო გიორგი, გადამეჩვიე, ნუღარ მოგენატრები (თუ უნახულობამ ასე იცის), მაგრამ გემუდარები ნუ დამივიწყებ.

უცხოეთში შენგან დაშორებულს ეს მაინც ამისრულე. თუმცა შენ ხომ ამბობ რომ ადამიანი დანამდვილებით ვერაფერს ვერ იტყვისო! მე კი შემიძლია ვთქვა, რომ სამუდამოდ შენია ჩემი გული.

დაჯღაბნილი.

$11^{1/4}$ საათზედ.

ჟორჟეტა

25.

ჟორჟეტა – გიორგის

[უთარიღო]

ძვირფასო ჩემო გიორგი!

ვინაიდან არ დარეკეთ, ნიშნავს არ მოდიხართ დღეს Kardomah-ში[244]. ოთხშაბათს ვიქნები იქ და დაგიცდით. რატომ მითხარი, რომ არ მინდა შენი ნახვა? ხომ იცი, რომ ბედნიერი ვარ შენთან როდესაც ვარ, მაგრამ ხომ იცი, ბევრი ბედნიერების ნება არავის არა გვაქვს, უნდა გავითვალისწინოთ ბევრი რამ ხოლმე.

დღეს – მიდიხარ შევარდენში

სამშაბათს – მე მივდივარ ქეთუსიასთან[245]

ოთხშაბათს – შენი ლექცია.

ხუთშაბათს – შევარდენი.

პარასკევი, შაბათი, კვირა – ერთად.

აი ჩვენი მომავალი კვირის გეგმა. ლადომ[246] მითხრა გუშინ, ხუთშაბათს უსათუოდ უნდა მიხვიდე შევარდენშიო. მიზეზს არ მეუბნება. იქნება შენ იცოდე. მე წამოვიდოდი, ლილი[247] და ასია[248] რომ არ მოდიოდენ, მაგრამ იმათ კამპანიაში არ

---

242 Ненаглядная (რუს.) – თვალისჩინი, საყვარელი..

243 თარიღი გვიან არის მიწერილი და კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული (სავარაუდოდ გიორგი ნიკოლაძის მიერ).

244 Kardomah – იხ. შენიშვნა 235.

245 ქეთუსია – შეიძლება იგულისხმებოდეს ქეთევან ვაჩნაძე; იხ. შენიშვნა 85.

246 იხ შენიშვნა 25.

247 ვინაობა ამ ეტაპზე ვერ დადგინდა.

248 ვინაობა ამ ეტაპზე ვერ დადგინდა.

მინდა. მეტადრე, თქვენ ივარჯიშებთ და მე იმათთან უნდა ვიყო. ასე რომ არ ღირს წასვლა. რას ფიქრობ, ამას ვწერ იმიტომ, რომ ტელეფონში ამდენის თქმა ვერ მოვახერხო.

უკაცრავად ამ ნაჯღაბნისთვის. ყოველ შემთხვევაში გნახავთ ხუთშაბათს $12^{1/2}$ და მოვილაპარაკოთ.

გკოცნი უზომოთ და ვფიქრობ შენზედ.

შენი ჟორჟეტა.

26.

გიორგი – ჟორჟეტას

15. II. 27. Paris

ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო ჟორჟეტა.

არ დაგავიწყდეს, რომ ოთხშაბათს საღამოს „ჩემი ხარ". ამაზე Kardomah-ში[249] მოვილაპარაკოთ ხვალ, მაგრამ წინდაწინ არავის შეპირდე ამ დროზე. წუხელის შენთან გატარებული წუთები არასდროს არ დამავიწყდება: ის, რომ „მიამბე" და ის, რომ ვიტირეთ. ჩემო საყვარელო, გკოცნი ბევრჯელ, ბევრჯელ, თუმცა სურდო მჭირს და მეშინია რო გადაგდებ. ფიქრში შენთანა ვარ და წუხელის „მეტროში" ლადო[250] დამცინოდა: „როგორი გამოჩერჩეტებული ხარ დღეს, ვერ ხედავ? რა ხანია მივედით, ხალხი სულ გავიდა, შენ კი რაზე ფიქრობო?"

ჩემო ჟორჟეტ, როდის გნახავ?

მთლად შენი ვარ გიორგი.

27.

ჟორჟეტა – გიორგის

16. 2. [19]27

ჟორჟეტ+მე+ლადო

კაფე კარდომაში[251]

გიორგი ჩემო!

ვწერ ამას იმ შემთხვევაში, თუ მარტო ვერ გნახე.

უსათუოდ მოვიდოდი ამ საღამოს შენთან, მაგრამ ბევრი რამ არ მიწყობს ამის ხელს. თამარამ[252] სთქვა (ჩემგან წავიდა), ან ოთხშაბათს 12 საათზედ გამოგივლიო ან და საღამოსო. ვნახოთ როდის მოვა. მერე ჩვენთან მოდის. დედამ[253] მითხრა (3 დღე არ მინახავს), კლინიკაში მიდი აბანოსათვისო და მერე სახლში წავიდეთო ერთად.

---

249 იხ. შენიშვნა 235.

250 იხ. შენიშვნა 25.

251 თარიღი და ეს ორი სტრიქონი მიწერილია გიორგი ნიკოლაძის მიერ, შდრ. შენიშვნა 235.

252 თამარა – ვინაობის დაზუსტება ვერ მოხერხდა; შეიძლება იყო თამარ გომართელი; იხ შენიშვნა 72.

253 ვანდა ჰოპე-ლამბაშიძისა (1877-1945), ვახტანგ ლამბაშიძის ამერიკელი მეუღლე, რომელიც 19 წლისა ჩავიდა პარიზში და ფრანგულის პროფესორი გახდა. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა იგი ინგლისური ენის პროფესორად მოიწვია.



გიორგი და ჟორჟეტა (საფრანგეთი, 1928 წ. ქვეყნდება პირველად)

სუნანამ[254] კი – სახლში გიცდი, მასკარადის კოსტუმი, რაც შეიძლება, მალე მომიტანეო. აქ მაქვს სამსახურში. ამდენ მიზეზებს საწინააღმდეგო ფრაზა ვერ მოვუძებნე. ვერ ვეტყოდი, გიორგისთან მივდივარ მეთქი. აი, ჩემო კარგო, რა ძნელია ზოგჯერ სურვილის ასრულება. მე მინდა, შენთან ვიყო, მაგრამ, როგორც ხედავ, დღეს არ ხერხდება.

პარასკევს ან შაბათს მოვალ ან შენ მოხვალ ჩვენთან.

დაგირეკავ ხვალ 12 საათზედ თუ სახლში იქნები.

გკოცნი შენი მარად ჟორჟეტა.

28.

გიორგი – ჟორჟეტას

17. II. 1927. პარიზი

ჩემო საყვარელო, ჩემო ჟორჟეტა.

რომ იცოდე, რა საძაგელ და საშინელ გუნებაზე ვარ. მინდა მოგწერო რამე სასიამოვნო, რამე კარგი, მაგრამ რას მოგწერ, როდესაც ჩემი გული, რომელშიაც „შენდამი სიყვარულის აღმომავალი მზე ბრწყინდებოდა“, დღეს დაბნელდა და მასში ლონდონისებური fog-ი (ნისლი) და „მოსკოვური სიცივე“ მძინვარებს. მიზეზს ნუ

254 იხ. შენიშვნა 10.

მკითხავ (რადგან „შენში“ არ არის), (მით უფრო რომ ჩვენ ნამდვილი და „უსაზღვრო“ მეგობრები მაინც-და-მაინც არა ვართ). მაინც მინდა გასიამოვნო იმითი, რომ გითხრა, თუ რა ძლიერია შენსადმი ჩემი მისწრაფება და, რომ ჩემს წარმოდგენაში თვალწინ მიდგიხარ თითქმის მუდამ. თუმცა „ამისთანებით“ მეშინია, ბოლოს თავი არ მოგაბეზრო. ამიტომ წერილს ვათავებ და გკოცნი უამრავს, ჩემო კარგო. შენი გიორგი.

29.
ჟორჟეტა – გიორგის

17. II. 1927

ჩემო დაუვიწყარო მეგობარო!
ძალიან დავღონდი, შენი წერილი რომ წავიკითხე. მოვდივარ ხვალ შენთან 6 საათის შემდეგ, რომ ამ წერილის დაწვრილებითი შინაარსი შენი პირით გავიგო. ცრემლებს ძლივს ვიკავებ. ნუთუ უკვე დამშორდი ან და გულით ჩემთან აღარ ხარ. არ მინდა დავიჯერო, ჩემო კარგო. როგორ მინდა ამ წამს შენთან ვიყო!!
ხვალ მელოდე. ვარ მარად შენი
ჟორჟეტა

რა უბედური ვარ ზოგჯერ, რომ იცოდე!!! შენ თუ დაგკარგე, რა უნდა ვქნა? ჩემთანაც რომ არ იყო, მჭირია უზომოთ შენი არსებობა ჩემ გულში.
გკოცნი.

30.
გიორგი – ჟორჟეტას

18. II. [19]27 12^{30} ს.

ჩემო მშვენიერო და ჩემო ერთადერთო ჟორჟეტა.
სრულებითაც ის კი არ მესიამოვნა, რომ შენ დაგაღონე და აგაღელვე. არა, ჩემო კარგო, მე მესიამოვნა, რომ შენ ასე „შეხვედი“ ჩემ ცუდ მდგომარეობაში, ასე ახლოს მიიღე ის გულთან და აგრეთვე ისიც, რომ ჩემი დაკარგვის ასე შეგეშინდა. თუმცა ვეფხის ტყაოსნის მაგალითი მაქვს, მაგრამ ძალიან მცხვენია მაინც, რომ ასე ხშირად მატირებ და წუხელისაც ცოტა ვიტირე... რომ იცოდე, როგორ მინდა, რომ ჩემი დაკარგვის შიშმა კი არა, არამედ უჩემოთ ყოფნის ფიქრმაც კი მოგსპოს და გაგანადგუროს სრულებით. რომ ჩემს გარეშე ვერ არსებობდე! მაგრამ ეგ ჯერ არ არის და ძალიან მეშინია, რომ აღარც იქნება. ჩემი დაკარგვის ჯერ შიში ნუ გაქვს. მაგრამ მე კი მეშინია, რომ ვაი თუ, შეგეზიზღო და დაგკარგო...
მხოლოდ შენი გიორგი
ერთის მხრივ კი კარგია, რომ ამაღამ სურდო არ შეგეყრება... წერილში კი გკოცნი იმდენს, რამდენიც შემიძლია. როგორ მოუთმენლად მოველი საღამოს, რომ დაგინახო. გკოცნი.

31.
ჟორჟეტა – გიორგის

20. II. [19]27

გიორგი,
კლიტე[255] ხალიჩის ქვეშ არის.
შემოდით ჩვენ გვძინავს და გაგვაღვიძეთ.
ჟორჟეტა

32.
ჟორჟეტა – გიორგის

21. II. [19]27

ძვირფასო გიორგი ჩემო!
დღეს მთელი დღე შენ და ლიტუსი[256] მიდგიხართ თვალ წინ. მინდა, მასთან ბედნიერი იყო, მაგრამ გთხოვ, სამუდამოდ ნუ გამომრიცხავ გულიდან და მეხსიერებიდან. ვგრძნობ, რომ რაც უფრო დიდხანს დარჩები ჩემთან, უფრო გამიძნელდება უშენოდ ყოფნა. და მინდა, რომ მალე წახვიდე. ჩემო მშვენიერო და კარგო გიორგი. თუმცა რა ღამე იქნება ჩემ ცხოვრებაში, შენ რომ წახვალ! მაგრამ ეს უნდა მოხდეს.
გკოცნი უთვალავს
შენი ჟორჟეტა

33.
გიორგი – ჟორჟეტას

22. II. [19]27

ჩემო მშვენიერო, ჩემო კარგო, ჩემო პატარა საყვარელო!
შენი ძვირფასი წერილი მივიღე წუხელ საღამოს. რატომ მიგლეჯავ გულს თითქოს გახურებული ჩანგლებითო. ლ-თან[257] ჩემ ბედნიერებაზე რომ მწერ – ეს მიმაჩნია უდიდეს დაცინვათ შენი მხრივ. ასეთ „ბედნიერებას“ მე ვერასდროს ვერც შევეჩვევი, ვერც შევურიგდები და თუ, ვინიცობაა, უკიდურეს შემთხვევაში იძულებული გავხდი შევასრულო, იცოდე, რომ დიდხანს ვერ გავძლებ, ასე თუ ისე – ჩვენ მდგომარეობას მალე შევცვლი. შენ როდესაც ასე მწერ ლ-ზე, თითქოს გინდა ის სამუდამოთ შემაძულო, მაგრამ ის საწყალი ამის ღირსი არ არის, რადგან ძალიან იშვიათი, პატიოსანი და უბედური ადამიანია, რომელსაც მე ცუდათ და სასტიკათ მოვექეცი უკვე იმითი, რომ, როდესაც ჯერ არც არავინ მიყვარდა, სრულიად გარკვეულად და ცხადათ ავუხსენი მას, რომ ეცადოს გადამეჩვიოს, რადგან ჩემს მხრივ არავითარი „ზედმეტი“ გრძნობა არ არის. ეხლა კი, როდესაც, ჩემო საყვარელო, უშენოთ ვერც

255 კლიტე – (აქ) გასაღები.
256 იხ. შენიშვნა 140.
257 იგულისხმება ლიტუსი (ლიდუსი, ლიდა) ჩხეიძე; იხ. შენიშვნა 140.

ვსუნთქავ, ვერც მძინავს, ვერც მღვიძავს, ეხლა რა უნდა ვუთხრა? თუ შენ ჩემთან მართლა ბედნიერად გრძნობ თავს, რატომ გინდა, რომ მოგშორდე? მესმის რამე გარეშე, ჩვენზე დამოუკიდებელ უბედურებამ დაგვაშოროს ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ თითონ რათ უნდა გვსურდეს ჩვენი თავის გაუბედურება? ვაი თუ, ისედაც მომიხდეს მალე წასვლა და ამ საშინელებას კიდევ შენი ასეთი „გზის დალოცვაც" დავუმატო?

მამა ავად არის, შენი ასეთი წერილი მივიღე – რა საძაგელ გუნებაზე ვიყავი, როცა წუხელის ვარჯიშობაზე მივდიოდი. ვივარჯიშე პირდაპირ რაღაც თავგანწირულობით. ყველას უკვირდა, რა მშვენივრად ვვარჯიშობდი. ვერ წარმოიდგენ, ჩემო ჟორჟეტა, ვარჯიშობას რა დიდი გავლენა აქვს ადამიანის „გუნებაზე". ისე გავმხიარულდი, ისეთ კარგ გუნებაზე დავდექი, თითქოს არაფერი „უბედურება" არ დამმართვეს. მშვენივრად გამოვიძინე და ეხლაც „ღიმილით ვუყურებ მომავალს". ამ წუთში მწამს, რომ მართლა რაღაც ბედნიერ ვარსკვლავის ქვეშ ვარ დაბადებული, რომ ვერავითარი უბედურება ვერ შემაშინებს. მინდა მხოლოდ შენზე ვიფიქრო, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო, ჩემ გულში ასე მაგრად ჩამჯდარო. როდის გნახავ. თითქოს საუკუნეა, რაც ერთმანეთს დავშორდით. ვცხოვრობ იმედით, რომ საღამოზე მოვესწრები შენ თვალებში ჩახედვას. გულს სისულელეებით ნუ „იღამებ" გააბრწყინე იგი, როგორც არასდროს და იყავ მხიარული და ლაღი. ჩემო მშვენიერო ჟორჟეტა, გიკოცნი თვალებს, ტუჩებს და ყველაფერს.

შენი გიორგი

34.

ჟორჟეტა – გიორგის

24. II. 1927[258]
1 საათი, სამსახური

გიორგი ჩემო,

ისე საძაგელ გუნებაზედ ვარ, რომ ვნანობ, რატომ გწერთ ამ წერილს, მაგრამ მაინც გწერ. თუ შენ არა, სხვას ვის უნდა გავუზიარო ჩემი მდგომარეობა. ისე მარტოდ მარტო ვგრძნობ ზოგჯერ თავს, რომ პირდაპირ არ ვიცი, რა ვქნა. ყველა ცდილობს, რამე უსიამოვნო მითხრას. რატომ უყვართ ყველას ჩემი დაღონება, არ მესმის. იმათ თვალში კი მე წარმოვადგენ რაღაც საშინელებას, როდესაც მე ვგრძნობ, რომ ვარ ჩვეულებრივი ადამიანი და არ წარმოვადგენ არაფერს ცუდს. უკვე ამ სამსახურის უსიამოვნო ატმოსფეროს ძლივს ვუძლებ და არ შემიძლია, როდესაც გარეშე ატმოსფერაც ასე ტყვილა უბრალოდ დამძიმდება ჩემთვის.

ეხლა, სუნანა[259] შემხვდა „კარდომაში"[260]. იმის მაგივრად, რომ როგორც დები, მეგობრები შევხვდეთ, იქცევა, როგორც უცხო ადამიანი. მე მისი ხასიათი ვერ გამიგია. მაშინდელ საღამოზედ კიდევ ჩამოვარდა ლაპარაკი. ვერავინ ვერ მოინელა, ჩვენ რომ ასე ერთად ვიყავით ტახტზედ წამოწოლილნი და რომ დანარჩენი წევრები მხედველობაში არ მივიღეთ. ცდილობს, არ ვიცი ძალით შვრება თუ

258 თარიღი გიორგის ხელით არის მიწერილი.
259 იხ. შენიშვნა 10.
260 იხ. შენიშვნა 235.

უნებლიეთ, მაწყენიოს და მიჩვენოს რომ ეს ჩემ მხრივ უმორალობა არის, და რომ მე ვარ მოკლებული ყოველივე სწორის და არ[ა]სწორის გარჩევას. რატომ უნდა იფიქროს ასე[?] ისიც დამ, რომელიც უნდა მაინც და მაინც კარგად მიცნობდეს: ეს უკვე საკმარისია, რომ არ იფიქროს ასე ჩემზედ. დამაყენა ისეთ ცუდ გუნებაზედ, რომ პირდაპირ შემძაგდა არსებობა. მე ჩემ თავს კარგად ვიცნობ, ვიცი ჩემი კარგი და ცუდი მხარეები, მაგრამ ვერავის მე ვერ ვაპატიებ ჩემ პიროვნების[261] ასე დახურდავებას. გიორგი, თქვენ იქნება დამცინით, მაგრამ მე იმ იმედით გწერთ, რომ მომცემთ ცოტა მორალურ დახმარებას. თქვენ ზოგჯერ ისეთი სწორი თვალსაზრისით უყურებთ გარემოებას ხოლმე, რომ პირდაპირ გავშტერდები ხოლმე. მინდა, მეც ზოგიერთ რამეში, დამანახვოთ ის სწორი გზა, რომლითაც თქვენ იყურებით. ღმერთო, ისევ თქვენ. რატომ არ გადავეჩვიე ამ თქვენ-ის თქმას, ჩემთვის ასე ახლო მეგობარო[?!]

რატომ[?!] ის წმინდა გრძნობა, რომელიც მე თქვენთან ისე ახლო მაკავშირებს, უნდა ასე ცუდათ გაიგონ. შენ არ იჯერებ, ჩემო გიორგი, მაგრამ მე ვიტყვი, რომ მე თუ რამე გრძნობა არა მაქვს ადამიანისადმი, არ შემიძლია იმასთან ისე ვიყო, როგორც მე შენთან ვარ ხოლმე. არ მესმის ხოლმე [.....][262] კიდევ ერთ [.....][263] ერთი და [.....][264]. ამას მე ვერასოდეს ვერ გავიგებ. მე არ შემიძლია, მივიკარო ახლო ის ადამიანი, რომლისათვის მე არაფერს არ ვგრძნობ. ვხედავ კი, რომ ყველა ჩემსავით არ ყოფილა. შენც არ მიჯერებ ამას, თუმცა რამდენს ვცდილობ ხოლმე, რომ რამე დამიჯერო. შენ თუ არ დამიჯერე ხოლმე და არ გამიგე, ვინ უნდა გამიგოს? იმიტომ ვგრძნობ ზოგჯერ თავს ასე მარტოდ მარტო.

რაც შენ ჩამოხვედი, მე ცოტა თითქოს გამოვიღვიძე და იმ აპატიიდან, რომელშიც მე დიდი ხანი ჩავარდი, გამოვედი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ხანა არის მოკლე და რომ უარესი მომელის. შენ მეუბნები „იყავი ლაღი, მხიარული" რა მაქვს, ჩემ[ო] ძვირფასო, სამხიარულო. არაფერი ინტერესი, არაფერი იმედი, არაფერი მიზანი მე ცხოვრებას არ მაკავშირებს. გაბრწყინდება ერთი წუთით მომავალი, რომ მერე ისევ ჩაქრეს ხოლმე. მხოლოდ ეს უთავბოლო, უაზრო ლაპარაკის ყურის გდება მომბეზრდა, აღარ შემიძლია. როგორ მინდა ხოლმე, მოვცილდე ყველას, ყველაფერს და ამოვისუნთქო ერთხელ რიგიანად, თავისუფლად. იმიტომ ვარ, გიორგი, ასე მოწყურვებული მეგობრობის. ჩემთვის შენი მეგობრობა იქნება უდიდესი ნუგეში, რომ სულ შორს, აღარასოდეს აღარ ვნახოთ ერთმანეთი, მინდა რომ შენ ჩემი მეგობარი იყო. მე რომ ინგლისელ მეგობარზედ[265] გელაპარაკეთ, ის მართლა დიდი მეგობარია, მაგრამ არის ზოგიერთ რამე (როგორც მას ინგლისელს და მე ქართველს), რომელიც ერთმანეთს ვერ გავაგონეთ, არის რაღაც პატარა ხიდი ჩვენ შორის რომელიც ზოგჯერ ძალიან დაგვაშორებს ერთმანეთიდან. იმასთან მე დროს ვკლავ, ვეუბნები ბევრ რამეს ჩემზედ, ის მიამბობს თავის ამბავს, ვკითხულობთ ერთად, ვლაპარაკობთ ბევრს, მაგრამ ჩემ გულთან და სულთან არაფერი საერთო არა აქვს. ეს სულიერი და გულის მისწრაფება შენსკენ არის და დარჩება, თუ გინ[დ] სამუდამოდ დავშორდეთ. მე იმ ადამიანს რომ ვუთხრა, ჩემო კარგო, რომ მე ასეთი გრძნობა მაქვს შენდამი, ვერ გამიგებს, და ეს მე ძალიან მწყინს, მაგრამ რა ვქნა. ისეთი

---

261 ხაზგასმა ავტორისაა.
262 არ იკითხება.
263 არ იკითხება.
264 არ იკითხება.
265 იხ. შენიშვნა 100.

ვარ დარწმუნებული მაგაში რომ, არც კი მინდა ველაპარაკო შენზედ ხოლმე. თანაც სულ მინდა, რომ ვუთხრა რამე, რადგანაც ხომ მეგობრები ვართ და რატომ უნდა დაიმალოს რამე ჩვენ შორის.

ვხედავ, რომ მიდის დრო ჩემი მუშაობის დაწყების. ეხლა დამირეკა ქეთუსიამ[266] უკრაინელების ეკლესიაში, 96 av. Auguste-Blanqui[267] ხვალ 10 საათზედ ქორწილია. ქეთუსია და ალექსი ჩხენკელის[268] შორის. მოდით. მე მინდა მოვახერხო უსათუოდ წასვლა. და იქნება შევხვდეთ იქ. ხვალ საღამოს ელიავებთან[269] მივდივარ გამოსამშვიდობებლათ. იმიტომ რომ შაბათს გვიან მიდიან. შემატყობინეთ, როდის მოხვა[ლ]თ ჩვენთან. იქნება პირდაპირ მიხვალ სადგურიდან [...ზედ][270].

მაპატიე, თუ ეს წერილი ძალიან აბდა-უბდა გამოვიდა. მაგრამ იქნება მიხვდე, ჩემ გრძნობებს, იქნება სულ უცხოსავით არ შეხედო. ეხლა ჩავეფლები მუშაობაში და ვეცდები, არაფერზედ აღარ ვიფიქრო. კიდევ კარგი, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მუშაობა მაქვს ისეთი, რომ ვერაფერზედ ვერ ვფიქრობ ხოლმე. 6 საათზედ პირდაპირ კლინიკაში მივდივარ მზის აბაზანისათვის. მერე სახლში. ივარჯიშეთ კარგად და დამირეკეთ ხვალ.

როგორ მინდა ზოგჯერ ბედნიერი ვიყო!!!

გკოცნით.[271]

შენი ჟორჟეტა

35.

გიორგი – ჟორჟეტას

26. II. [19]27

ჩემო საყვარელო და კარგო ჟორჟეტა.

ძალიან მინდოდა, შენი უკანასკნელი გრძელი წერილის შესახებ მელაპარაკნა შენთან, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს შენი ნახვის იღბალი აღარა მაქვს და არც ვიცი, როდის გნახავ „კარგათ", ე. ი. ისე, როგორც ჩვენთვის სასიამოვნოა, როდესაც შეგვიძლია ისე ველაპარაკოთ ერთმანეთს, როგორც ჩვენ გვინდა, როდესაც, მაშასადამე, „გარეშე პირების გარეშე" ვართ. რომ იცოდე, ჩემო ჟორჟეტა, როგორ ძალიან მინდა, რომ ყოველ ისეთ წუთებში, როდესაც შენ „მარტოობას სულისას" განიცდი, უსათუოთ ჩემთან და მხოლოდ ჩემთან მომართვის სურვილი გებადებოდეს, რომ გრძნობდე, რომ ასეთ წუთებში მხოლოდ მე გყავარ ნამდვილი მონაწილე და დამამშვიდებელი შენი მწუხარებისა. ე. ი. რომ მე ვარ იგივე შენ! იცოდე, ჩემო ძვირფასო, რომ ჩემთვის შენ სწორეთ ეგრეთი ხარ: ამ უკანასკნელ დროს, მამაჩემის ავადმყოფობასთან და ბევრ კიდევ სხვა მიზეზთან დაკავშირებით, ჩემი გულის განწყობილებაც ძლიერ ხშირად იცვლება: ხან კარგია, ხან კი ძლიერ ცუდი. და ყველა იმ წუთებში, როდესაც მე ცუდ გუნებაზე ვარ, – შენსკენ მოვისწრაფი, მაშინ მომენატრება ხოლმე შენი თანაგრძნობა, შენი ნუგეში, შენი ნახვა – მომენატრება უფრო ვიდრე სხვა დროს. ასეთ წუთებში, თუმცა ვგრძნობ ამ „მარტოობას

---

266 იხ. შენიშვნა 85.

267 Auguste-Blanqui – ბულვარი პარიზში.

268 იხ. შენიშვნა 84.

269 იგულისხმება გიორგი ელიავა და მისი მეუღლე. იხ შენიშვნა 170.

270 არ იკითხება.

271 „თ" გადაშლილია.

სულისას", მაგრამ იმედი მაქვს (თუმცა ჯერაც არ მჯერა ასეთი იმედისა), რომ მყავს ჩემი ჟორჟეტა, რომლის თვალებში ჩახედვაც კი საკმარისია, რომ ამ „მარტოობის" გრძნობიდან განვიკურნო და რაღაც სიამე და სიმშვიდე ვიგრძნო გულში. ხოდა, ამას ვამბობ; ჩემო საყვარელო: ისე ძალიან მინდა, რომ შენც იმავეს განიცდიდე ჩემს შესახებ, რასაც მე განვიცდი შენს შესახებ...

კიდევ ერთს მწერ შენ წერილში: „ერთი წუთით გაბრწყინვება არ ღირსო, მომავალში რომ ისევ ჩაქრესო" ეს ადგილი წერილისა კარგად ვერ გავიგე. რამდენადაც მესმის, მწერ იმაზე, რაც მე გითხარი ჩემზე: დღეს ჟორჟეტა მენატრება მეთქი, მაგრამ რა ვიცი, ხვალ ვინ მომენატრება. ალბათ ფიქრობ, მე რომ წავალ – მაშინ ცუდ გუნებაზე დადგები. თუ სწორედ გავიგე შენი აზრი, შემდეგს გიპასუხებ: მართალია, მე როგორც მათემატიკოსი ყველა შესაძლო შემთხვევას ვითვალისწინებ, მაგრამ საჭიროა მხედველობაში ჩემი წარსულიც მივიღოთ: 8 წელიწადი ერთი და იგივე მენატრებოდა, მიუხედავად იმისა რომ ძალიან მინდოდა და ვცდილობდი კიდეც, სხვა ვინმეზე შემეცვალა ის „სანატრელი"[272] და ეს მაშინ, როდესაც მე იმ „სანატრელს", როგორც იცი, სულაც ვერ ვხედავდი. რაც უფრო მიდის დრო, ასეთი „მუდმივობა" ალბათ უფრო და უფრო მუდმივი ხდება. ასე რომ, ვინ იცის, ვინ ვის უფრო ადრე მობეზრდება. ვგონებ, რომ მე შენ და არა შენ მე, რადგან ამდენად ჩემზედ უმცროსი ხარ. ჩვენ ურთიერთობაში ამ „მუდმივობისათვის" მხოლოდ ერთი რამე გვაკლია ჯერ-ჯერობით. ეს არის – საბოლოოდ გაცნობა ერთმანეთისა (ფიზიკურად კი არა – სულიერად) – ყოველმხრივად, როგორც კარგი, ისე ცუდი მხარეებისა. ჯერ კი, ასეთ მოკლე ხანში, ეს ვერ მოგვისწრია. მგონია, რომ ჩვენი „მეგობრობას" არაფერი საფრთხე არ მოელის და იგი დიდხანს გასტანს, „გარეგნულად" კი, როგორც იცი, 4 თვის განმავლობაში „გამოირკვევა" საკითხი, მაგრამ ამას ხომ გულის გრძნობებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ეხლა გავაკეთებ მთელი ჩემი აქ მოყვანილი „ფილოსოფიური მსჯელობის" რეზიუმეს: ჩემო ძვირფასო, მე ვარ შენი და შენ ხარ ჩემი და ასე იქნება, ალბათ, სანამ შენ პირველი ამას არ უღალატებ... მეტი რა გინდა ჩემგან? La plus belle fille ne peut donner plus ce qu'elle a[273] (ვაი თუ ასე არ იწერება...). მე მართალია, belle fille[274] არა ვარ, მაგრამ ჩემი თავი კი გიფეშქაშე (ლადოს რო ნეეკითხა[275] ეს ფრაზა იტყოდა: „აფსუს, რა საბუთებს აძლევს ჟორჟეტას ხელში"). გინდა ნაიღე – გინდა არა.

ჩემო კარგო და სანატრელო, შვიდობით[276]. ძალიან ვეცდები, რომ საღამოს გნახო. ამაზე დაგირეკავ ელსმენით (ე. ი. ტელეფონით).

გკოცნი ბევრს, ბევრს, ბევრს.

შენი გიორგი

ამას ვწერ დილით ლოგინში. ფრაზების რედაქციაზე არ ვფიქრობ და ენა თუ კოჭლობს – მაპატიე.

---

272 გიორგი უნდა გულისხმობდეს O. P.-ს, ვისაც 1917-1923 წლებში არაერთი ლექსი მიუძღვნა; ან შეიძლება, იგი გულისხმობს თავის ერთ-ერთ პირველ შეყვარებულს, საქართველოში ჩოგბურთის ფუძემდებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მაესტრო იან ჰომერის (1989-1981) დას – ივონ ჰომერს, რომელსაც, მან 1909 წელს მიუძღვნა ლექსი და რომელიც ჯერ კიდევ ნინველი თავისი მშობლების სამშობლოში, საფრანგეთში გადაკარგულა, ისე რომ გიორგის მისი ასავალ-დასავალი ველარ გაუგია და, გადმოცემით, მას მერე ჩოგანიც აღარ აუღია ხელში.

273 La plus belle fille ne peut donner plus ce qu'elle a (ფრ.) – ყველაზე მომხიბვლელ გოგონასაც კი შეუძლია მოგცეს მხოლოდ ის, რაც მას აქვს (ანდაზა).

274 Belle fille – მომხიბვლელი, ლამაზი გოგონა.

275 Sic!

276 Sic!

36.
გიორგი – ჟორჟეტას

Marseille[277]
28. II.1927

ჩემო ძვირფასო ჟორჟეტა
ვარ მარსელში და ვარ მარტო. ბევრს ვფიქრობ და უმთავრესად შენზე. მინდა რამე მოგწერო, მინდა გელაპარაკო და არ ვიცი, რა გითხრა: სულ ერთი და იგივე და ერთი და იგივე რო ვიმეორო, ხომ მოსაწყენია, მით უფრო, რომ ეს „ერთი და იგივე" ნამეტანი ბანალური და მოძველებულია. მაგრამ რა ვქნა, მაინც არ შემიძლია, არ გაცნობო, რომ აქაც მენატრები ისევე, როგორც პარიზში, რომ აქაც უშენობა მსპობს. ნეტავი კვირა როგორ გაატარე? ნუ თუ მართლა მოგწყინდა უჩემოთ? რა უფრო სანატრელია შენთვის: მე, თუ „კომფორტი"? ან მე თუ მიგაჩნივარ შენ „კომფორტად"? თუ ასეა – ცოტათი სცდები, იმიტომ რომ წინდაწინ იცოდე: მე თუ შეგიყვარდები, ძალიან გაიწვალები[278] და ბედნიერებასთან ერთად ბევრ მწარე წუთებსაც ნახავ... „ყველაფერი კომფორტია" – ეს არის ისეთი ადამიანის თქმა, რომელსაც არაფერი (და არავინ...) სანატრელი, არავითარი სასურველი არ გა[ა]ჩნია დედამიწაზე. სიყვარულმა კი სხვა რამეც იცის. შეიძლება საყვარელმა „ხმელი პურის [რ]ეჟიმში" ჩაგაყენოს, გამუშავოს მეტი, ვიდრე ეხლა მუშაობ და შენ კი უუბედნიერეს არსებად გრძნობდე თავს. რამდენი ყოფილა, რომ „კომფორტს" გაქცევია და „სიღარიბეში" გაბედნიერებულა. ასეთებს არ უთქვამთ, „კომფორტი ყველაფერიაო" მეტადრე, მე უნდა მიფრთხილდე, ჩემო კარგო. ხომ იცი, ადამიანის პიროვნებაზე დიდი გავლენა მაქვს. ზოგიერთს ბედნიერება სვანეთის მინგრეულ ქოხშიაც კი ვაგრძნობინე და ეს – სრულიათ გარეშე ყოველგვარი „სიყვარულის" გრძნობისა. შენ კი, ჩემო საყვარელო, თუ შეგიყვარდი – სულ დაიღუპები. ასე რომ, მიფრთხილდი. თუმცა, მგონია, ასე არ შეგიყვარდები. ყოველ შემთხვევაში, მანამდის ჯერ ნამდვილი სიყვარული არ არის. ნეტავი შეგიყვარდე და დაიღუპო. როგორ გამიხარდება!!! ლ-ს[279] კი რო ვუყვარვარ – ეს სრულიადაც სასურველი არ არის ჩემთვის და ვთხოვ – ეცადე, რომ გადამეჩვიო-მეთქი. ის კი რას მიპასუხებს იცი? მეუბნება, რომ საქმე ისე „ღრმად" არ არის, როგორც შენ გგონიაო. მე კი ვიცი (ე. ი. ვგრძნობ), რომ ისეა. შენ კი მეუბნები შენზე: „ისეაო", მე კი გიპასუხებ „არა"-მეთქი. თუ გაინტერესებს – აგიწერ შენი და ლ-ის შორის განსხვავებას ხასიათში. ე. ი. არ შევადარებ თქვენ განვითარებას (ის უფრო განვითარებულია) ან ბუნებრივ ჭკუას (შენ უფრო „ჭკვიანი" ხარ), არამედ მხოლოდ ხასიათს. ლ. არის თავგანწირული, ის არ ფიქრობს თავის თავზე, ის გატაცებულია სხვადა-სხვა „იდეებით", „მოღვაწეობის აზრებით". მისთვის „კომფორტი" არაფერი არ არის. ის უწინ (პეტერბურგში) ცხოვრობდა გვარიანად მდიდრად, დღეს არის დიდ სიღარიბეში (ხშირად მშიერი). მაგრამ უკვე შენ თითონაც შეამჩნევდი მის წერილებიდან, რომ ამას ის „აინუნშიაც არ იგდებს". ასეთ სიღარიბეში „კომფორტზე" ოცნებობს ის, თუ მას იტაცებს „მზის სხივების" სილამაზე, ის ბედნიერია სილამაზის სხვა-და-სხვა „მწვერვალების" მიღწევებით, გინდ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნე-

277 მარსელი.
278 Sic!
279 იგულისხმება ლიტუსი (ლიდუსი, ლიდა) ჩხეიძე; იხ. შენიშვნა 140.

ლობით, როგორიც არის მიერ მიერ „მყინვარწვერის“ და „იალბუზის“ მიღწევა. გინდა არა პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც, მაგალითად, არის „შევარდენისათვის“ თავგანწირულობა (შევარდენის გულისთვის ის დარჩა საქართველოში და არ წამოყვა მამამისს). თავის სიღარიბეში ის მდიდარია და ბედნიერი. ასეთ ადამიანისათვის თავდავიწყებული შეყვარება „ხასიათის ნგრევას“ არ გამოიწვევს და, ბუნებრივია, მეტადრე, თუ შეხვდა მეორეს, მასზე არა ნაკლებ თავგანწირულ „გმირს“, როგორიც ვარ მე მის წარმოდგენაში, მე, რომლის ძლიერ გატაცებას ვერც იალბუზი შეუჩერდა და ვერც ბევრი რამ სხვა. ლ.-სთვის ბუნებრივია ჩემი პიროვნებით მოხიბვლა, რომელიც, თუ გამოვაკლოთ პატარა გოგოებთან „გარყვნილობა“, იდეალად ისახება ლ-ის წარმოდგენაში. შენ კი სულ სხვა რამე ხარ, დინჯი, „დალაგებული“, ბევრად უფრო „ეგოისტი“ და ძლიერ ნაკლებათ „თავგანწირული“ შენ, მართალია, შენ თავს დასცინი, როცა ამბობ ისეთ აეროპლანზე ვოცნებობ, რომელიც მუდამ ღამეში მატარებდესო, მაგრამ მაინც სიმართლეა, რომ შენ თანდათან „იძინებდი“ (ყოველ შემთხვევაში ჩემთან შეხვედრამდე). თავგანწირულობაზე რა ვილაპარაკო, როდესაც ყოველგვარი ღრმა სურვილები თან-და-თან ატროფიას განიცდიდენ (თუ განიცდიან?) და რჩებოდა (თუ რჩება“) ერთი: პირადი კომფორტის სურვილი, ცხოვრების „სიძნელის“ თავიდან მოშორება – „ეგოისტური ბედნიერების“ გრძნობა. უწინდელი ერთგვარი „გატაცებიდან“, რომელიც ბავშვობაში ოდნავ მაინც გქონდა. ეხლა მხოლოდ რაღაც სიცალიერის და მარტოობის გრძნობაღა გრჩება, რომელსაც მეგობარს თუ გაუმჟღავნებ. ლ-ის მიერ თავდავიწყებული სიყვარული ბუნებრივია და „ხასიათის გადაშენებას“ არ იწვევს. შენთვის კი? სულ სხვაა. ასეთი „დაძინებული“ და „დამძიმებული“ ადამიანისათვის ნამდვილი „შეყვარება“ ძნელი რამეა, რადგან პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ბუნებას. საჭიროა დანგრევა მთელი მისი „არსებისა“ და ნანგრევებიდან ახალი „ხასიათის“ აგება. და მე ჯერ შორიდან, მაგრამ თან-და-თან უფრო და უფრო ახლოს შენსკენ მომავალი, ძლიერი ხმით გაღვიძებ და გიყვირი: გაიღვიძე, გამოფხიზლდი, გამხიარულდი, გაბრწყინდი, იგრძენი ცხოვრების სილამაზე და სიმშვენიერე. იმ ჟორჟეტიდან რომელიც ხარ, გახდი იმ ჟორჟეტად, რომელიც შეგიძლია და უნდა იყო. წელში გაიმართე, ამაღლდი! მე მინდა ეს იმიტომ, რომ ხარ ჩემი სანატრელი, ჩემი მშვენიერი.

მეტი რა მოგწერო? ძალიან ვჩქარობ მატარებელზე. იმედია მაპატიებ, თუ ბევრი რამე ისე არ გამოვთქვი, როგორც მინდოდა და თუ ზოგ რამეში გაწყენინე.

ათასს და უთვალავს გაკოცებ, ჩემო ჟორჟეტა.

შენი გიორგი

ხვალ განახავ, მაგრამ ვაი თუ, ვერ „გელაპარაკე“.

37.

ჟორჟეტა – გიორგის

11. 03. 1927

1 საათი

სამსახურში

ჩემო ძვირფასო!

ეხლა გავათავე ღია წერილების წერა. მინდა ვიკითხო, მაგრამ შენზედ ვფიქრობ და არაფერი არ მესმის. ასრულდა, რასაც ნატრობდი. უშენოდ ვეღარ

ვცხოვრობ. გწყინს თუ გიხარია? რა მალე და რანაირი სიმძაფრით დაიკავე ჩემი გული, რომელიც ეხლა მხოლოდ და მხოლოდ შენთვის ძგერავს და მე მჯერა, თუმცა შენ ამ აზრის წინააღმდეგი ხარ, რომ ამისთან[ა] ღრმა გრძნობა არ შეიძლება რომ წარმავალი იყოს. შენ ხარ ჩემი ყველაფერი და დარჩები ასე სამუდამოდ. ამ საღამოს შენი ნახვის იმედი არა მაქვს. როგორ მწყინს, რომ იცოდე. უშენოდ ერთ დღეც აღარ შემიძლია გაძლება. ხომ არ გინდა რომ მოვისპო და გავნადგურდე?

მითხარი, მაგრძნობინე, რომ ჩემი დარჩები. თორემ რაღაც მეშინია! მეშინია ბედნიერების! და მეშინია უბედურობის. ვაი თუ დაგკარგო? ნუ მიწყრები, ჩემო კარგო. გწერ, რასაც ვგრძნობ.

გკოცნი და გკოცნი.

შენი ჟორჟეტა

38.

ჟორჟეტა – გიორგის

14. III. [19]27

ჩემო და ჩემო,

შენ მითხარი გუშინ: პასუხის მგებელი შენ იქნებიო. თუ ის მოხდა, მე ყველაფერს შევცვლიო. ეს სიტყვები მე ლახვარივით მეცა გულში და მთელი სადილის განმავლობაში ვცდილობდი, არაფერი არ შეგამჩნევიო. საპასუხოდ აი, რას გეტყვი. ნუ მიიღებ მხედველობაში ჩემ მდგომარეობას და მოიქეცი ისე, როგორც გგონია, სჯობს რომ მოიქცე. შენ იქნება გინდა ჩემთან ყოფნა, მაგრამ თანაც ბევრი რამე გაწუხებს, ლიტუსი[280], იტალია... მე მაქვს მხოლოდ ერთი სურვილი, შენთან ყოფნა სულ და სულ. მაგრამ თუ ეს შენთან ყოფნა ამდენათ ართულებს საქმეს, მე არ მინდა, რომ მე ვიყო მიზეზი ამ გართულების. მე მინდა, რომ შენ იყო თავისუფალი და მოიქცე, მხოლოდ და მხოლოდ როგორც შენ გინდა. შენ იტყვი – მე ისე ვიქცევი, როგორც მე მინდა ყოველთვისო, მაგრამ იქნება ცოტა ჩემ მდგომარეობასაც იღებ მხედველობაში.

მაგრამ აი, რას გეტყვი: ჩვენ ხომ სულ ერთად ვართ. ასე ყოფნას ვეღარ განვაგრძობთ დიდხანს ხომ!!! მაშ რა ვქნათ. მეშინია, რომ მოხდება, ის რაც მოსალოდნელია. და თანაც ეხლა[281] შენთან დაშორებაზედ უარესი რამე განა შეიძლება რომ დამემართოს? ჩემო კარგო და ერთად ერთო გიორგი.

გწერ ამას საუზმის დროს. იმედია, ძალიან ბევრი დრო არ დაგეკარგება ამის წაკითხვაზედ.

არ ვიცი, ჩავაგდო თუ არა ეს წერილი ფოჩტაში? მგონი ჩავაგდებ!!

გკოცნი და გეხვევი უთვალავს. სულ შენზედ ვფიქრობ! დამეღალა ტვინი შენზედ ფიქრით. რა საძაგელი ხარ, რომ ასე საშინლად შემიყვარდი!

შენი ჟორჟეტა.

იქნებ გწყინს რომ უშენოდ ვეღარ ვძლებ?

---

280 იგულისხმება ლიტუსი (ლიდუსი, ლიდა) ჩხეიძე; იხ. შენიშვნა 140.

281 ხაზგასმა ავტორისაა.

39.
ჟორჟეტა – გიორგის

16. III. 1927
4 საათი – სამსახური.

მეშინია, ჩემო კარგო, რომ ამ საღამოსაც მარტო ვერ გნახო, რომ გელაპარაკო ისე, როგორც მე მინდა. მინდა წერილით მაინც გითხრა, თუ რამდენად მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო. სულ, სულ და სულ შენზედ ვფიქრობ. გუშინ ცუდათ მეძინა. მწყინდა, რომ არ იყავი ჩემთან. ერთ საღამოსაც ვერ ვძლებ უშენოდ. სულ მეუბნებოდენ, რატომ ხარ ასე მოწყენილიო! მიზეზი კი ყველამ იცოდა.
რა კარგ გუნებაზედ დავდექი, რომ გნახე ამ დილას!
მოუთმენლად ველი საღამოს, რომ შენთან ვიყო.
გკოცნი უთვალავს.
შენი ჟორჟეტა.

40.
გიორგი – ჟორჟეტას

16. III. [19]27, დილით

ჩემო ძვირფასო და საყვარელო.
როგორ ვიტანჯებოდი წუხელის, როცა ვიცოდი, რომ შენ მელი და მეც სულით შენსკენ მოვისწრაფი, იმის მაგივრად კი რაღაც კაფეში უნდა ვიჯდე და „ვიღაცეებს" ვემუსაიფო და დროგამოშვებით გავუღიმო კიდეც. ჩემო მშვენიერო, როგორ მოგატყუე და ტყვილად გაცდევინე მთელი საღამო. ფიქრში სულ შენთან ვიყავი და ამავე დროს საშინლად ვბრაზობდი, გარეგნულად კი ვინ იფიქრებდა ამას ჩემზე: სრულიად ჩვეულებრივი ტონით და სახით ვემუსაიფებოდი ასიას[282] და პროფესორ კრილოვს[283]. რა უნდა მექნა, სრულიად შეუძლებელი იყო წასვლა, რადგან კრილოვი სწორეთ ჩემთან იყო სტუმრად და სადილის მერე თქვა, ეხლა კაფეში გავიაროთო. კაფედან დაგირეკე 9[15] საათზე, მაგრამ ბ. ვახტანგმა[284] მითხრა, უკვე წავიდაო შინ. კრილოვმა დაგვალევინა 2 ჭიქა ცხელი ამერიკული გროგი, „დიუბონე", „კიურასაო", კონიაკი[285], ასე რომ, თითონ ის და ასია (ჩვენ სამნი ვიყავით) ძალიან „გამხიარულდენ". მე კი ჯერ ხომ ყოველ სასმელს ვსვამ ხოლმე, როგორც რაიმე საზიზღარ წამალს – თავზე ძალის დატანებით, მერე ხომ ძალიან ძნელად ვთვრები და აბა წუხელის ჩემს გულს რა გაამხიარულებდა (ის კი შევნიშნე, რომ კიურასოს არა უჭირს რა. გროგი კი საძაგელია, მაგრამ თამარას[286] უსათუოთ უნდა დავალევინოთ: ვიცი რომ მოეწონება).

---

282 პიროვნების დადგენა ვერ მოხერხდა. შესაძლოა პროფ. კრილოვის მეუღლე იყოს; იხ. მომდევნო შენიშვნა. შდრ; შენიშვნა 248.

283 ნიკოლაი კრილოვი (1879-1955) – რუსი საბჭოთა მათემატიკოსი, ყირიმისა და კიევის უნივერსიტეტების პროფესორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

284 ვახტანგ ღამბაშიძე, ჟორჟეტას მამა; იხ. შენიშვნა 164.

285 ეს სიტყვა გიორგის შემდეგ ჩაუმატებია, თუმცა არასწორად: „დიუბონე" ტკბილი, არომატიზებული ღვინის აპერატივია, „კიურასაო" კი – ლიქიორი და არც ერთი არ არის კონიაკი; ხოლო გროგი წყალში გახსნილი და ლაშაქრული რომია.

286 ვინაობის დაზუსტება ვერ მოხერხდა; იხ. შენიშვნა 252.

ასე გავატარე საღამო. შინ 1½ საათზე დავბრუნდი მხოლოდ, სადაც ვალიკო[287] დამხვდა. იმას კი შევჩივლე ჩემი მდგომარეობა და ძალიანაც შევეცოდე, რადგან მართლა კაი ბიჭია. მაგრამ შენ, ჩემო კარგო, შენ უკვე სამი დღეა არ მინახავხარ! გიკოცნი მშვენიერ თვალებს და ტუჩებს. ასიასაც და კრილოვსაც ძალიან ყვარებიათ ლაპარაკი. ერთმანეთს არ აცლიდენ. მე ამით ვსარგებლობდი და არც ერთს ყურს არ ვუგდებდი, ვიჯექი ჩემთვის და შენზე ვფიქრობდი. დღეს ხომ გნახავ, ჩემო საყვარელო?

შენი და შენი გიორგი

41.

ჟორჟეტა – გიორგის

[1927][288]

სამსახური

ჩემ საწერ მაგიდასთან

გიორგი ჩემო:

ეხლა გამახსენდა რომ ხვალ პარასკევს კბილის ექიმის შემდეგ უნდა წავიდე თმის დასაბანად coiffeur-თან[289], იმიტომ რომ ზეგ, შაბათ[ს], rendes vous[290] მაქვს ჩემ coiffeur-თან. ასე რომ, Kardomah-ში[291] აღარ ღირს მისვლა. ხვალ საღამოს გელით სახლში.

ვწერ ამ წერილს საჩქაროთ.

ჯერ ვერ მივეჩვიე „შენობით" ლაპარაკს. იყავით კარგად.

მაშ ნახვამდის, შენი[292] ჟორჟეტა

42.

ჟორჟეტა – გიორგის

[1927][293]

გიორგი ჩემო!

მე გადავწყვიტე, არ წავიდე სამსახურში იმიტომ, რომ თავი მტკივა. წავალ სურათების გადასაღებად და მერე სახლში დავისვენებ.

---

287 შეიძლება იგულისხმებოდეს ვალიკო კეთილაძე – თბილისის „შევარდენის" წევრი, მთამსვლელი, გიორგი ნიკოლაძის ასვლების მონაწილე, გიორგის მეჯვარე..

288 წერილი უთარიღოა. წელი კვადრატულ ფრჩხილებში ჟორჟეტას მიერ არის მიწერილი,როგორც ჩანს, მოგვიანებით; ბოლოსწინა აბზაცით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ეს წერილი რამდენადმე წინ უნდა იყოს ამ 44-წერილიან რიგში.


289 Coiffeur (ფრ.) – პარიკმახერი.

290 Rendes vous (ფრ.) – დათქმული შეხვედრა.

291 Kardomah – იხ. შენიშვნა 235.

292 ეწერა „თქვენი". „შენი" ზემოდან არის გადაწერილი.

293 წერილი უთარიღოა. წელი კვადრატულ ფრჩხილებში ჟორჟეტას მიერ არის მიწერილი მოგვიანებით; შინაარსის მიხედვით, ჩანს, რომ გიორგისა და ჟორჟეტას ქორწილი უკვე დანიშნულია და ისინი საბჭოთა საელჩოში შესატან საბუთებს (ანკეტა, სურათები...) აგროვებენ ვიზის მისაღებად.



გიორგი და ჟორჟეტა თბილისში, ნიკოლაძეთა ბინაში (1930 წ.)

დედა მოგვიმზადებს ცოტა რამეს. ასე რომ, მოდით სახლში, რაწამსვე გაინთავისუფლებთ თავს და ერთად ვისადილოთ.

მოიტანეთ ანკეტა და წერილები.

მაშ ნახვამდით. გკოცნი ბევრს.

ჩემო კარგო

შენი ჟორჟეტა

43

ჟორჟეტა – გიორგის

17 აგვისტო

საღამოს 11 საათი, 1930

ძვირფასო ჩემო გიორგი,

აქამდისინ მეგონა მოხვიდოდი ჩემ წასვლამდე, მაგრამ ეხლა დამეკარგა იმედი და გწერ წერილს. 7 საათის მატარებლით მივდივარ აბასთუმანში. შენ რომ სადგურზე გაგაცილე, იმის შემდეგ წავედი პირდაპირ მიტროსთან[294], მას მხოლოდ 18-ს შეეძლო წასვლა და მე ვარჩიე დაცდა, ვიდრე მარტო წასვლა. ბორჯომიდან თამ-

294 მიტრო – მიტრო მიქაბერიძე, თბილისის „შევარდენის" წევრი, გიორგი ნიკოლაძის ასვლების მონაწილე.

რიკო აბაშიძესთან[295] ერთად წავალ აბასთუმანში. თეკლემ[296] შემომითვალა, უსათუოდ წაიყვანე და ფულიც გამომატანა თან. ასე რომ, მარტო მე არ ვიმგზავრებ. ბილეთების ასაღებად ჩავდეგი უშველებელ რიგში, მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ერთი მანეთის დამატებით, სახლში მოიტანენ ბილეთს. ასეც მოვიქეცი და დღეს მომიტანეს ბილეთები. ცოტა მეზარება წასვლა. რა კარგი იქნებოდა, ერთად რომ წავსულიყავით. მერე ისეთი გრძნობა ამყვა, რომ ხვალ ჩამოხვალ და მე კი სწორედ წასული ვიქნები. მომენატრე ძალიან და მომწყინდა უშენოთ. მაგრამ სენტიმენტალიზმს თავი დავანებოთ. შენ არ გიყვარს ასეთი რამეები, ისე როგორც სადგურზედ გაცილება და გამოთხოვება... არა? იმედია ერთ დღეს მაინც დაისვენებ აქ, ამ საშინელ სიცხეებში. შენზედ ვფიქრობდი, როგორ დაგტანჯავდა ეს სიცხე სიარულის და დათვალიერების დროს.

ელიკოს[297] გავატანე ფული 20 მან. ანიკოსთვის[298] მაგრამ არ აიღო, მე ეხლა საკმარისი მაქვს და აღარ მჭიროდა. მე მგონი, შენ პირადათ გადაეცი, როდესაც ნახავ და უთხარი, რომ გვინდა მისი დახმარება, სანამ მუდმივ სამსახურს არ იშოვის... გიტოვებ ამ 20 მანეთს და კიდევ 22 მანეთს შენ, სახარჯავი ფული რომ გქონდეს. მეტს, სამწუხაროდ, ვერ გიტოვებ. ჩემი ანგარიშები ასეთია. პატარა ჩემოდანში აღმოჩნდა 100 მანეთამდე. შენ დამიტოვე 95... აქედან გამოვქვითე ანიკოს ფული და ის, რასაც შენ გიტოვებ. 70 მან მე მიმაქვს, 100 მან კი ნათლიკოს[299] წავუღე. ეხლა რამდენიმე სიტყვით აგიხსნი რაშია საქმე: ნათლიკოსთან რომ ვიყავი, ძალიან შემეხვეწა, როგორმე მეშოვნა მისთვის ბანკის გადასახდელად ფული, რადგან მეორე დღისათვის ძალიან სჭიროდათ 300 მან. ერთი საჩქარო ვალი ჰქონდათ გადასახდელი. მე ვინაიდან 100 მან. მქონდა მხოლოდ, ვუთხარი რომ ამდენს უცებ ვერ გადავიხდიდი, მაგრამ შევპირდი, რომ იქნებ გავყიდდი ბეწვს და ვისესხებდი მე თითონ ფულს. მოვედი სახლში და ნავედი ნინა ცინცაძესთან[300]. იმან მითხრა მე შავი ბეწვი არ მჭირიაო. როდესაც ავუხსენი ნათლიკოს მდგომარეობა, მითხრა, რამდენსაც გინდა იმდენ ფულს გასესხებო და მომცა 200 მან. ძალიან ბევრი სესხი რომ არ გამოვიდეს, გადავწყვიტე მიმეყიდა მისთვის ჩემი მოსკოვში ნაყიდი საკაბე და ჩავუტანე ეს მატერია. არ ვიცი რამდენს გამომიქვითავს კაბისთვის იმ 200 მანეთიდან. მე ვუთხარი, რომ შენ დაბრუნდები ერთ კვირაში. ვეცდებით, რომ გადავიხადოთ ვალი. 200 მან – ჩემი საკაბის საფასური. ნათლიკოს კი მეორე დღეს წავუღე 300 მან. ვერ წარმოიდგენ, რა მადლობა გადამიხადა, საშინელ მდგომარეობიდან გამომიყვანეო. შევპირდი, რომ თუ შემეძლება, დანარჩენ 200 მანეთს მალე გადავუხდი (ძალიან ეჩქარებათ ფული). თუ კი ვერ მოვახერხე და ამ დროის განმავლობაში სხვა ვინმე გამოჩნდა მყიდველი, მაშინ

---

295 თამრიკო აბაშიძე (1903-1979) – კიტა აბაშიძის ასული, ჟორჟეტას ბავშვობის მეგობარი, შემორჩენილია 20 წლის შუალედით გადაღებული ორი ფოტო – გიორგი ნიკოლაძეს ერთ მუხლზე ჟორჟეტა უზის, მეორეზე კი – თამრიკო აბაშიძე; პირველ ფოტოზე გოგონები 4-5 წლისანი არიან (იხ. გვ. 58)..

296 თეკლე ჯამბაკურ-ორბელიანი (1876-1961) – ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანის ასული, კიტა აბაშიძის მეუღლე, თამრიკო აბაშიძის დედა.

297 ელიკო წერეთელი-დემოლონი – იხ. შენიშვნა 2.

298 ანიკო – შესაძლოა იყოს ანა (ანასტასია) ნიკოლაძე, გიორგის მამიდა, ნიკო ნიკოლაძის და.

299 ნათლიკო – მარიამ (მაშო) ვახტანგის ასული ორბელიანი (1852-1941), თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, – მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე; შვიდი ბრილიანტი შესწირა თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობას, ოთხი – წმინდა ნინო სახელობის ქალთა სასწავლებელს (დღეს – 47-ე საჯარო სკოლა); ნათლიკო შეარქვეს, რადგან ძალიან ბევრი ნათლული ჰყავდა.

300 ნინა ცინცაძე – ვინაობა ამ ეტაპზე ვერ დადგინდა. ჩანს, ნიკოლაძეთა ოჯახის შეძლებული ახლობელი იყო.



გიორგი და ჟორჟეტა თბილისში, ნიკოლაძეთა ბინაში (1930 წ.)

გაყიდეთ მეთქი. მეორე დღეს ნინა ცინცაძემ მითხრა რომ უსათუოდ იყიდდა ამ ბენვს, მე თუ არ მინდა. ასე რომ, ჩვენ თუ ფული არ გვექნა, მაშინათვე შემიძლია მივყიდო მას 500 მანეთად ეს ბენვი. ისე კი მირჩია, რომ უსათუოდ შემეძინა, რომ სულ არ არის ძვირი და რომ შემიძლია ზედმეტი რაც დამრჩება (ცოტა რჩება) გავყიდო უკანასკნელი 350 მანეთად. ერთი სიტყვით, მოგაბეზრე თავი ამდენი ლაპარაკით, მაგრამ მინდოდა ამეხსნა შენთვის მდგომარეობა. შევძლებთ თუ არა ცინცაძის ვალის გასტუმრებას და დანარჩენი 200 მანეთის მოკლე ხანში გადახდას? თუ ეს ძნელია, სულ ადვილია ამ ბენვის გაყიდვა, ცინცაძე სიამოვნებით აიღებს.... ერთი სიტყვით, მოვილაპარაკოთ ამის შესახებ, როცა შევხვდებით. თუ ჩემ ჩამოსვლისთვის აქ არ იყავი, ალბათ 25-ს ჩამოვალთ მე და რუსო,[301] დამიტოვე წერილი.

წერილები არაფერი არ მომსვლია შინიდან. იუშკინის[302] ტელეგრამა გუშინ დილით მოვიდა. მარო ტყავაძე[303] იყო, ხვალ დილით მიდის ყაზბეგში. მივეცი შენი თბილი ფუფაიკა და თბილი გეტრები. ამ სალამოს კიდევ მოვიდა და მთხოვა ჩანთა სამგზავრო. მივეცი, რადგან ვიფიქრე, რომ შენ არაფერი გექნებოდა საწინააღმდეგო. ჩემი კუჭი სულ კარგად არის, და იმედი მაქვს, რომ შენიც ასეა. მადა დიდი მაქვს მიუხედავად სიცხისა და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს... ასეთი სიცხეები რომ არ დამდგარიყო, იქნებ არც კი წავიდოდი,

301 რუსო – რუსუდან ნიკოლაძე, გიორგი და; იხ შენიშვნა 52.

302 იუშკინი ევგენი მაქსიმის ძე (1872-1937) – სამთო ინჟინერი; ცხოვრობდა და მუშაობდა სოხუმში; 1899 წელს სანკტ-პეტერბურგში დაიბეჭდა მისი წიგნი „ელექტრო განათება ნავთობის სარენებზე".

303 მარო ტყავაძე – იხ. შენიშვნა 201.

მ-ს[304] აქაც ვნახავდი და ფოტოგრაფიაში ვიმუშავებდი... იმედია მალე აგრილდება და წყალიც წამოვა. 12 კასეტა ახლად დავტვირთე. ერთი ყუთი მიმაქვს კიდევ მარაგათ, მაგრამ შავი პარკი ხომ შენ გაქვს... იქნებ მოვნახო სადმე ბნელი ოთახი. თუ არა და, აღარა ხარ წასასვლელი და თქვენი პლანები შეიცვალა, ჩამოდი უსათუოდ აბასთუმანში. რამდენიმე დღეს მაინც დაისვენებ. ამ სიცხეში კი დასვენება შეუძლებელია, გამორეტიანებულივით ვარ... გადაღებული ფირფიტები ყველა ერთათ დავაწყე თაროზედ. გადასაღები კი ყველა ერთად აწყვია შკაფში. ბესიკმა[305] კიდევ ამიხსნა Leica-ს[306] ხმარება. ასე რომ, მალე შემეძლება, მე მგონია, გადაღება. იცი, ბესიკსაც სხვანაირი კასეტები აქვს, ჩვენი გაუმჯობესებული კასეტებია... კბილების გასაწმენდი გიყიდე. თან წაღება არ დაგავიწყდეს. რა წამს მიხვალ, რაც კი ჭუჭყიანი რამე გაქვს, მაშინათვე მიეცი დუნიას[307] რომ დაგიმზადოს მეორე მგზავრობისთვის.

თუ არ დაგეზარება – დეპეშა გამოგზავნე ან ღია წერილი (გიტოვებ ღიას), ორ-3 დღეში მივიღებ. რუსოს გამოგზავნილი 15-ს დღეს მივიღეთ, სად ხარ, სად იყავი და სად აპირებ წასვლას. გკოცნი მაგრა, მაგრა, ჩემო კარგო. ე. ი. თუ დრო არც კი გქონდეს, რომ ეს წერილი წაიკითხო... არაფერი გზაში წაილე მაშინ. მიქელი[308] არ მოსულა ჯერ, გიტო[309] კი დაბრუნებულა მთელი ექსპედიციით. შეასრულეს ყველაფერი მგონი. დღეს უნდა მოსულიყო საამბობლად მაგრამ არ მოვიდა. მომენატრე საშინლად იცი? გკოცნი ბევრს, ბევრს.

შენი ჟორჟეტა

44.
გიორგი – ჟორჟეტას

18. VIII. 1930
ტფილისი

ძვირფასო ჩემო ჟორჟეტა!

შენი წასვლა და ჩემი ჩამოსვლა ტფილისში ერთდროულათ მომხდარა, ან და პატარა განსხვავებით დროში. ერთი სიტყვით, მე დღეს დილის 7^{15} საათზე ჩამოვედი მატარებლით კარაკლისიდან[310]. ვიმგზავრეთ ძლიერ კარგათ და ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო და ლამაზიც. მართალია, ორი დღე თითქმის არაფერი გვიჭამია, მაგრამ სამაგიეროთ მე არც

---

304 მ-ს – ალბათ იგულისხმება მიტრო მიქაბერიძე; იხ. შენიშვნა 294.

305 ბესიკი – ბესარიონ ჭიჭინაძე (1887-1937) – გიორგის მამიდაშვილი, ინჟინერი, მეტალურგი, მათემატიკოსი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჰიდროენერგოპროექტის ტრესტის მმართველი, მოსკოვის კუიბიშევის სახ. საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის პროფესორი, ლენინგრადის ჰიდროენერგეტიკული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ნამდვილი წევრი.

306 Leica – გერმანული წარმოების ფოტოაპარატი.

307 დუნია – ნიკოლაძეთა შინამოსამსახურე.

308 მიქელ პატარიძე (1895-1959) – ტანმოვარჯიშე და მთამსვლელი, „შევარდენის" წევრი, ჟურნალისტი და მთარგმნელი; სიცოცხლის ბოლო 15 წელიწადს მაიაკოვსკის ბაღდათის სახლ-მუზეუმის დირექტორი იყო.

309 გიტო – გიტო გიორგიძე (1901-1934), „შევარდენის" წევრი, თბილისურ ჟურნალ „შევარდენის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, მთამსვლელი, ლიზიკო (იხ. შენიშვნა 32) ნიკოლაძის მეუღლე.

310 კარაკლისი – სომხეთის სიდიდით მესამე ქალაქი, ლორეს ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი; დღევანდელი ვანაძორი (1935-1993 წლებში – კიროვაკანი).

კუჭი მომშლია (ძლიერ კარგათა მაქვს) და დაღალვაც ნაკლებათ მემჩნევა (უკეთ გამოვიყურები, როგორც დედა ამბობს). ვნახეთ გარდა ქიმიური ქარხნების აღმშენებლობისა, გზა ერევნიდან კარაკლისამდე, რაც მშვენიერ 6 ადგილიან ავტომობილში გამოვიარეთ ჩვენ სამმა. გავიარეთ გოქჩის ტბა[311], რომელიც შესანიშნავი, ლამაზი და საინტერესო, ორიგინალური სანახობაა: ნამდვილი ზღვა 2000 მეტრის სიმაღლეზე. გოქჩიდან კარაკლისამდე გზაც მშვენიერია – დაბურულ ტყეში. გადავიღეთ ბევრი სურათები. შემდეგ მატარებელში უკვდავ მოპარეს პიჯაკი ლეიკას[312] ყვითელი შუქწურით[313] და Mont-Blanc[314] სტილოთი[315]. აქ შენთვის ვიშოვი 25 mtr.[316] საუკეთესო კინო-ფილმი ლეიკასთვის (რაც შკაფში ძევს და თუ ჩემზე ადრე გამოხვალ, არ გახსნა!) ე. ი. 500 სურათის გადაღება შეგიძლია ამითი!! სულ დამიჯდა 7 მ. 50 კ. ე. ი. თითო სურათი ჯდება 1,4 კაპიკი, ანუ 10 სურათი თუ გააფუჭე გადაღებისას, დაგიჯდება 14 კაპეიკი![317] იმედია ასეთ პირობებში ისწავლი კარგ გადაღებას. ალბერს[318] და ელიკოს[319] მოვუწყე, რომ 1000 მანეთს აძლევენ. მგონი უკვე ხვალ მიიღებენ. ელიკოს ვასწავლე ინტურისტში[320] მისვლა მისი მილიციაში გაწერისათვის.[321] და ეხლა ამის გამო არც ზედმეტ 11 მანეთს ართმევენ და გუშინ მიცემული 3 მანეთიც დაუბრუნეს, როგორც უკანონოთ ჩამორთმეული. ეხლა ამაღამ მივდივართ შემდეგი სვლიგეზით:[322] ქუთაისი – ტყიბული – ქუთაისი – ზუგდიდი – ოჩემჩირი – ტყვარჩელი – ზუგდიდი – ბათუმი. ალბათ 8-10 დღით. ასე რომ, შენ ჩემი გულისთვის აქეთ დაბრუნებას ნუ ააჩქარებ. რაც მეტს დარჩებით მანდ შენ და რუსო,[323] მით უკეთ იზამთ. ჩემი დარდი ნუ გაქვს, რადგან თავს ბევრათ უკეთ ვგრძნობ, ვიდრე სომხეთში წასვლამდე. 200 მანეთს ნ. ცინცაძეს ალბათ ხვალვე მივცემთ (რადგან ელიკოს მართებს სწორეთ ამდენი ჩემი) და ძლიერ ვეცდებით, რომ შენი სულელურათ გაყიდული საკაბე უკან დავიბრუნოთ. რაც შეეხება დანარჩენ ფულს – იმას უკვე დაბრუნებისას როგორმე მოვაწყობ და ყველაფერი იმედია კარგათ ჩატარდება. გაყიდვების დრო ჯერ მადლობა ღმერთს, არ მოსულა. აბა შენ იცი ფ-თან[324] როგორი succes-თი[325] იმოქმედებ, გისურვებ ყველაფერს კარგს. ათასს გკოცნი. იმედია, მოწყენისთვის არ გეცლება. არც მე მცალია. შენი გიორგი. რუსოს აკოცე ჩემს მაგიერ.

მასალას დართული ფოტოები, მითითებულის გარდა, დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ფოტოკინოდოკუმენტების ფონდში.

---

311 გოქჩის ტბა – გოგჩის, იგივე სევანის (ძველ ქართულ წყაროებში – გელაქუნის) ტბა (სომხეთში).
312 ლეიკა – იხ. შენიშვნა 306.
313 შექწური (შუქის დამწურავი) – ასე მონათლეს და-ძმა ნიკოლაძეებმა ფოტოაპარატის შუქფილტრი.
314 Mont-Blanc – ავტოკალმების ცნობილი ბრენდი.
315 სტილო – კალამი.
316 Mtr. (ინგ.) – მეტრი.
317 გიორგი ერთ წინადადებაში ორივე ფორმას ხმარობს: „კაპიკი" და „კაპეიკი".
318 იგულისხმება ალბერ დემოლონი; იხ. შენიშვნა 4.
319 იგულისხმება ელენე წერეთელი; იხ. შენიშვნა 2.
320 ინტურისტი – უცხოური ტურიზმის სააგენტო საბჭოთა კავშირში.
321 იგულისხმება უცხოელთა აუცილებელი დროებითი რეგისტრაცია საბჭოთა კავშირში თუნდაც ხანმოკლე ვადით ცხოვრებისას.
322 სვლიგეზი – მარშრუტი (და-ძმა ნიკოლაძეების ტერმინოლოგიით).
323 რუსო – იხ შენიშვნა 52.
324 ვერ დავადგინეთ, ვინ იგულისხმება.
325 Succès (ფრ.) – წარმატება.


ალექსანდრე სულხანიშვილის წერილები შალვა ამირეჯიბს

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის

ლალი ცომაიას პუბლიკაცია

1924 წლის აჯანყებაზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის რაზმელებზე ბევრი რამ ითქვა; კიდევ მეტი დაიწერა, მაგრამ ქართული საზოგადოების ცხოველი ინტერესი ამ თემისადმი არ განელებულა.

თითოეული წერილის მოძიება, რაც „შეფიცულების" ემიგრაციაში ცხოვრებას შეეხება, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უმნიშვნელოვანესი შენაძენია.



წერილები, რომლებსაც გთავაზობთ საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში შალვა ამირეჯიბის არქივშია დაცული. ეს ბარათები ალექსანდრე სულხანიშვილს ეკუთვნის, მათი ადრესატი კი შალვა ამირეჯიბია.

1937 წელს ჟურნალ „კავკასიის"[1] ქართულ ენაზე გამოცემამ ჰაიდარ ბამატის ჯგუფში მიიყვანა საფრანგეთსა და გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ახალი ტალღა. მათ რიცხვში „შეფიცულებიც" შედიოდნენ.[2] ქართველი პატრიოტები იმედოვნებდნენ, რომ მოსალოდნელი მსოფლიო ომის შედეგად კავკასიის ხალხები გათავისუფლდებოდნენ რუსეთის უღლისაგან.

---

1 ჟურნალი „კავკასია" – დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო, გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში 1937-39 წწ., ჟურნალის პარიზული ქართული სერიის რედაქტორ-ადმინისტრატორი იოსებ გვარამაძე გახლდათ, ხოლო ბერლინურის – დავით საღირაშვილი *(შარაძე, 2005:)*.

2 აღსანიშნავია, რომ „შეფიცული" ლელო ჩიქოვანი მკაცრად აკრიტიკებდა ყოფილი თანამებრძოლების ასეთ არჩევანს. იგი წერდა: „იმის მაგივრად, რომ ისინი ქაქუცას დროშის სიმაღლეზე იდგნენ, პარტიულ-ჯგუფურ ამბებში არ ერეოდნენ, ქაქუცას ანდერძს იცავდნენ, იგინი მოუწოდებენ ახალგაზდებს „კავკაზ"-ში მოიყარონ თავი! ეს დიდად სამწუხაროა, რადგან შეფიცულების დროშა არ იყო რომელიმე დაჯგუფების დროშა, მით უმეტეს ვერ იქნებოდა იგი ბამატის დროშად; იგი იყო მთელი საქართველოს დროშა, რომელიც ხელში ეჭირა ქაქუცას, და დღესაც ველით, რომ ეს მთელი საქართველოს დროშა კვლავ აფრიალდება და პასუხიც მოეთხოვება მათ, ვინც დღეს თავისი მოქმედებით ქაქუცას დროშის ქვეშ დახოცილ გმირთა საფლავებს შეურაცყოფას აყენებენ" *(ჩიქოვანი, 1939:)*.





ალექსანდრე სულხანიშვილი, საფრანგეთი, 1927-28 წწ., პარიზის გარეუბანი, ვიროფლეში **(პაატა ნაცვლიშვილის** კერძო კოლექცია, თბილისი).

„კავკასიის“ ჯგუფის წევრებს პროპაგანდისტულ საქმიანობასთან ერთად ევალებოდათ იაპონიისა და გერმანიის მიერ დაფინანსებულ დაზვერვით ოპერაციებში მონაწილეობა.

შევეცდებით მეტი თვალსაჩინოებისათვის მოკლედ გადმოგცეთ გიორგი მამულიას წიგნში – „Борьба за свободу и независимость Кавказа“ ვრცლად აღწერილი „კავკასიის“ ჯგუფის მიერ 1938-39 წლებში განხორციელებული ოთხივე ექსპედიციის მსვლელობა და ის წვლილი, რომელიც „შეფიცულებს“ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად „კავკასიის“ ჯგუფის საქმიანობაში შეჰქონდათ.

1937 წელს ჩინეთში საბრძოლო მოქმედებებისა და კრემლთან გართულებული ურთიერთობის პირობებში ტოკიო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „კავკასიის“ ჯგუფის მიერ განხორციელებულ სადაზვერვო მოქმედებებს. სწრაფად ცვალებადმა პოლიტიკურმა მოვლენებმა აიძულა იაპონელები „კავკასიის“ ჯგუფისთვის 1938 წელს დაევალებინათ იმ მისიის განხორციელება, რომელიც თავდაპირველად 1939 წლისათვის იგეგმებოდა. მათ „კავკასიის“ ჯგუფის წევრების მონაწილეობით რამდენიმე საიდუმლო ოპერაცია დაგეგმეს. ამ ოპერაციების მთავარი კოორდინატორები იყვნენ ჰაიდარ ბამატი და გენერალი გიორგი კვინიტაძე.

1938 წლის ზაფხულში „კავკასიის“ ჯგუფის აზერბაიჯანელი წევრების დახმარებით, საბჭოთა ტერიტორიაზე, ნახიჩევანის რაიონში შეგზავნეს პირველი ექსპედიცია, რომელშიც სამი ქართველი ემიგრანტი შედიოდა: მიხეილ ნიკოლაიშვილი, გიორგი ვარდიაშვილი და ბეჟან გიორგაძე. მათ დავალებული ჰქონდათ ცნობების შეგროვება წითელი არმიის ნაწილების დისლოკაციის, სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობისა და კავკასიაში განლაგებული საჯარისო ერთეულების მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთების თაობაზე. ამასთანავე, მათი ამოცანა იყო, დაემყარებინათ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან. თუკი კრემლსა და ტოკიოს შორის სამხედრო კონფლიქტი გამწვავდებოდა, უნდა შეექმნათ კავკასიელთა პარტიზანული რაზმები, რომლებიც დივერსიულ აქტებს მოაწყობდნენ. ექსპედიციის ჩავარდნის შემთხვევაში მზად იყო მეორე ჯგუფი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან უნდა შესულიყო.

თავდაპირველად, ექსპედიცია წარმატებით წარიმართა. 1938 წლის 3 ივლისს ემიგრანტებმა ირან-საბჭოთა კავშირის საზღვარი ნახიჩევანის მონაკვეთში, ირდუბადის რაიონში გადაკვეთეს. თუმცა 7 ივლისს საზღვრისპირა ზონის დატოვებისას ექსპედიციის წევრები, მოულოდნელად, ადგილობრივი მილიციის რაზმს გადააწყდნენ. მზვერავებმა იარაღის გამოყენებაც ვერ მოასწრეს, ისე დააპატიმრეს.

უფრო წარმატებული აღმოჩნდა თურქეთის ტერიტორიიდან გადასროლილი ექსპედიციები. 1938 წლის 3 აგვისტოს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ორი „შეფიცული“: ელიზბარ ვაჩნაძე და სამსონ ყრუაშვილი, სტამბოლში ჩავიდა. იმხანად ანკარას არ სურდა კრემლთან ურთიერთობის გაფუჭება და ყოველმხრივ ხელს უშლიდა მათ თავისუფლად გადაადგილებას. უამრავი სირთულის გადალახვის მიუხედავად, ეს ექსპედიცია ნაწილობრივ წარმატებულად დაგვირგვინდა. ბათუმში ჩასულმა ემისრებმა არა მარტო დაკისრებული მისია შეასრულეს, არამედ აგვისტოს ბოლოსთვის თურქეთში დაბრუნებულებმა, ბათუმის იატაკქვეშა ორგანიზაციის მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციაც ჩაიტანეს. თუმცა 6 სექტემბერს, როცა ელიზბარ ვაჩნაძე ჯერ კიდევ სტამბოლში იმყოფებოდა, საბჭოელების ზეწოლის გამო თურქეთი იძულებული გახდა თურქეთის მოქალაქეობა ჩამოერთმია და ქვეყნიდან გაესახლებინა არა მარტო „კავკასიის“ ჯგუფის თურქული ფილიალის წევრები, რომელსაც ალიხან კანტემირი ხელმძღვანელობდა, არამედ ყველა ის ემიგრანტი, ვინც სიმპათიას გამოხატავდა ამ ჯგუფის მიმართ.


„კავკასიის“ ჯგუფის წევრთა თურქეთიდან გასახლების მიუხედავად, ელიზბარ ვაჩნაძისა და სამსონ ყრუაშვილის ბერლინში დაბრუნებისთანავე, 1938 წლის ოქტომბერში საქართველოში გაიგზავნა ახალი ექსპედიცია, რომლის მიზანსაც კავკასიაში იატაკქვეშა სადაზვერვო ორგანიზაციის შექმნა წარმოადგენდა. ახალი ექსპედიიციის წევრები იყვნენ: სამსონ ყრუაშვილი და

კიდევ ერთი „შეფიცული" – ალექსანდრე სულხანიშვილი. ჯგუფს თურქეთის ტერიტორიაზე კონსპირაციულ პირობებში მოუხდა მუშაობა. 1938 წლის შუა ოქტომბერში ჯგუფის სტამბოლში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში ალექსანდრე სულხანიშვილი პოლიციაში გამოიძახეს, დაჰკითხეს და გამოწვლილვით იკვლევდნენ, თუ რა მიზნით სტუმრობდა თურქეთს. ყოველივე ამის შედეგად, საქმეში ალექსანდრე სულხანიშვილის მონაწილეობა შეუძლებელი გახდა და სამსონ ყრუაშვილს ჩეჩენი და აჭარელი ემიგრანტების ხელშეწყობით მოუხდა ამ მისიის წარმატებით დასრულება. 11 ნოემბერს ექსპედიცია მშვიდობიანად დაბრუნდა თურქეთში, საიდანაც სამსონ ყრუაშვილი და ალექსანდრე სულხანიშვილი ბერლინს გაემგზავრნენ.

„კავკასიის" ჯგუფის რიგით მეოთხე და უკანასკნელი ექსპედიცია საქართველოში 1939 წლის ზაფხულში იმ პერიოდში მოეწყო, როცა მოსკოვსა და ბერლინს შორის უკვე მიმდინარეობდა კულისებსმიღმა მოლაპარაკება თავდაუსხმელობის პაქტის თაობაზე; საბჭოეთსა და იაპონიას შორის კი მონღოლეთში, მდინარე ხალხინ-გოლთან კვლავ გრძელდებოდა სისლისმღვრელი ბრძოლები. 1939 წლის ივლისში ბერლინსა და მილანში გენერალ გიორგი კვინიტაძესა და ალიხან კანტემირთან გავლილი კონსულტაციების შემდგომ, სამსონ ყრუაშვილი და ალექსანდრე სულხანიშვილი 10 აგვისტოს სტამბოლში ჩავიდნენ. იქ კვლავ მათთვის კარგად ნაცნობ აჭარელ ოსმან თედორაძეს დაუკავშირდნენ. დაპირებული იარაღისა და ფულის მიღების შემდეგ ექსპედიციის წევრები სტამბოლიდან ხოფასკენ მიმავალი გემის ძებნას შეუდგნენ. ოსმან თედორაძის მტკიცებით, შეუძლებელი იყო გემზე შეუმჩნევლად სამი კაცის ასვლა, ამიტომ ალექსანდრე სულხანიშვილის კვლავ სტამბოლს დარჩენა გადაწყდა.[1] ექსპედიციის მონაწილეთათვის სწორედ ამ დროს ცნობილი გახდა ფაქტი მოლოტოვ-რიბენტროპის მიერ ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერისა და გერმანია-პოლონეთს შორის ომის დაწყების შესახებ. სიტუაციაში გასარკვევად და იმის დასადგენად, თუ როგორ აისახებოდა ეს მოვლენები „კავკასიის" ჯგუფის შემდგომ საქმიანობაზე, სამსონ ყრუაშვილმა და ოსმან თედორაძემ ალექსანდრე სულხანიშვილის ბერლინში გაგზავნა გადაწყვიტეს. ალექსანდრე სულხანიშვილმა 5 სექტემბერს დატოვა სტამბოლი და ორ დღეში თანამებრძოლებს ბელგრადიდან უდეპეშა. ის იტყობინებოდა, რომ ტელეფონით ესაუბრა ალიხან კანტემირს და მან დაწყებული ოპერაციის გაგრძელების განკარგულება გასცა. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ სამსონ ყრუაშვილი და ოსმან თედორაძე გემით გაემგზავრნენ რიზეს, სადაც 17 სექტემბერს ჩავიდნენ. იქიდან მოტორიანი ნავით გაეშურნენ ხოფაში. იმჟამად გერმანია-საბჭოეთის


---

1 ალექსანდრე სულხანიშვილი კი შალვა ამირეჯიბისადმი გაგზავნილ წერილში (1939 წლის 29 სექტემბერი) სტამბოლში მისი დარჩენის მიზეზად თურქული ენის არცოდნას ასახელებს *(სულხანიშვილი, 29.9.39:)*.



სამშობლოსთვის სისხლს და ღვინოს ერთად ღვრიდით. ვუძღვნით სახსოვრათ ძვირფას გენ კვინიტაძის ოჯახს. ქ. ჩოლოყაშვილი. 20.III.1928 წ. ს. ყრუაშვილი.
დგანან (მარცხნიდან): **ელიზბარ ვაჩნაძე** და **სამსონ ყრუაშვილი;**
ზის. **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** (**თეო კედიას** კერძო კოლექცია, პარიზი).

დაახლოებით შეშფოთებული თურქეთის ხელისუფალნი თავადაც დაინტერესდნენ სადაზვერვო ინფორმაციით და ამჯერად, წინააღმდეგობის ნაცვლად აქტიური დახმარება აღმოუჩინეს ექსპედიციის წევრებს. ამის მიუხედავად, ექსპედიციის წევრებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. უკან დაბრუნებისას ისინი საბჭოთა მესაზღვრეებმა შენიშნეს და ორმხრივი სროლის შედეგად ოსმან თედორაძე ფეხში დაიჭრა. სამსონ ყრუაშვილმა არ მიატოვა მეგობარი. გაქცეულებმა მაკრიანის რაიონში გადაკვეთეს საზღვარი. თურქი მესაზღვრეები მათ ხოფამდე მისვლაში დაეხმარნენ, სადაც ოსმან თედორაძეს პირველი სამედიცინო დახმარებაც აღმოუჩინეს. 26 ოქტომბერს მზვერავები სტამბოლში



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და **ალექსანდრე სულხანიშვილი,** პარიზი, 1920-იანი წლების ბოლო (**პაატა ნაცვლიშვილის** კერძო კოლექცია, თბილისი).

ჩავიდნენ. ოსმან თედორაძემ მკურნალობა განაგრძო, სამსონ ყრუაშვილი კი ბერლინს გაემგზავრა *(Мамулиа, 2012:)*.

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის შეტყობაც, თუ რა ბედი ეწია ალექსანდრე სულხანიშვილს, მას შემდგომ, როცა მან 1939 წლის 5 სექტემბერს სტამბოლი დატოვა. წინამდებარე ცხრა წერილი სწორედ ამ ამბის გაგრძელებას წარმოადგენს.

წერილებიდან ირკვევა, რომ 8 სექტემბერს იგი ბელგრადიდან მილანს ჩასულა, რათა იქიდან ბერლინში დაბრუნებულიყო. სათანადო ვიზის უქონლობის გამო კი თვეზე მეტხანს ჯერ იტალიის ქალაქ პაჯეროში, შემდეგ კი – ბოლზანოში ჩარჩენილა. ახალი პოლიტიკური ცვლილებებით დაბნეულსა და საინფორმაციო ვაკუუმში დარჩენილს (პრესას ვერ ეცნობოდა, ვინაიდან იტალიური და გერ-

მანული არ იცოდა), ალი სულთანის სახელითა და გვარით (ამ სახელ-გვარით მონაწილეობდა საიდუმლო მისიაში) მუდმივად დაპატიმრების შიშში მყოფს, ავადმყოფს, ნახევრად მშიერსა და უსახსროდ დარჩენილს, ჰაიდარ ბამატის წინაშე თავის მართლებაც უწევდა იმის თაობაზე, თუ „რატომ დაბრუნდა მარტო ან რატომ თქვა უარი მასზე დაკისრებულ მოვალეობაზე“ *(სულხანიშვილი, 26.9.39:)*. არც თურქეთში დარჩენილი თანამებრძოლების ბედი და დაწყებული მისიის შედეგზე ფიქრი აძლევდა მოსვენებას. უსასოდ დარჩენილი გაკვირვებული კითხულობდა: „გაგონილა, რომ თავის გაგზავნილი კაცი თვითონვე არ მიიღონ, მე ვერ გამიგია ეს პირდაპირ, ან თუ თქვენ აღარავინ ყურადღებას არ გაქცევენ, იმდენათ ჩაიფუშა საქმე, ის მაინც შემატყობინე და გინდაც ასე იყოს, მე მაინც უნდა ჩამომიშვან, ხომ იცი, რათაც; ჩემი ქაღალდები მაინც ავიღო“ *(სულხანიშვილი, 26.9.39:)*.

საქმე იმდენად გართულდა, რომ შეუძლებელი გახდა მისი ალი სულთანის სახელით იტალიიდან გერმანიაში გაყვანა. რაკი სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, ალექსანრე სულხანიშვილმა ალიხან კანტემირის სახელზე დაზღვეული წერილით თავისი ჩემოდნის გასაღები გაგზავნა. ჩემოდანში მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთი ინახებოდა. ვლადიმერ ახმეტელმა შალვა ამირეჯიბის უშუალო მონაწილეობით მოაგვარა გასაჭირში მყოფი „შეფიცულის“ ვიზის საკითხი და 1939 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ ალექსანდრე სულხანიშვილი ბერლინს დაბრუნდა.

ალექსანდრე სულხანიშვილის უკანასკნელი წერილი შალვა ამირეჯიბისადმი 1941 წლის 9 ივლისით თარიღდება და პოლონეთის ქალაქ შტეტინიდანაა გაგზავნილი. ბარათის შინაარსიდან ცხადად იკვეთება, რომ ის კვლავ საიდუმლო დავალებით იმყოფება პოლონეთში და საჭიროების შემთხვევაში მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოში ხალხის „შეპარებაზე“. ამასთან, ნიკოლოზ მათიკაშვილთან ერთად მზად არის სათავეში ჩაუდგეს „ქართული ლეგიონის“ შექმნას.

ალექსანდრე სულხანიშვილის წერილების გაცნობის შემდეგ შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ „შეფიცულები“ იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ის პატრიოტები, რომლებიც ყოველგვარი პოლიტიკური თამაშებისგან განზე მყოფნი, გამუდმებით მზად იყვნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში უანგაროდ მიეტანათ სამსხვერპლოზე თავიანთი სიცოცხლე.

ვფიქრობთ, წინამდებარე პუბლიკაცია მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული ემიგრაციის ისტორის მკვლევართ და ამ თემით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

ავტორის სტილი და ორთოგრაფია დაცულია.

1.

9 ენკენისთვე [1939]
[მილანი][1]

გამარჯვება შენი, ძმაო შალვა![2]

ამ ჟამათ ვიმყოფები მილანში, ჩამოვედი პარასკებს დილით. ეს ორი ან სამი დღე დავრჩები აქ, რადგან უქეიფოთ გავხდი, გზაში მოვიწამლე თევზისგან და პირდაპირ საშინლათა ვარ. მე მგონი, რომ სამშაბათს საღამოთი 12 ს. 16 წ. გამოვალ აუცილებლათ და თუ მატარებელი არ შებრკოლდა ამ ომიანობის გამო, მაშინ ოთხშაბათს ვიქნები მანდ 20 სთ-ზე და 5 წუთზე. აქ მითხრეს, რომ მატარებლები, გერმანიაში მიმავლები პრკოლდებიანო.[3] მე დავბრუნდი აი, რათა: 1. ის, რომ საშინლათ გავწვალდით, არაფერი მზათ არ იყო და ერთი კაცი არა ჰყავთ მაგ ოჯახქორებს, რომ რამეში მოგეხმაროს; ამისათვის საშინლათ შევგვიანდით იმის გულისთვის, რომ როგორც შეპირება გვქონდა, ამ დროისთვის არ მოგვაწოდეს ის ყოველივე, რაც აუცილებელი საჭირო იყო ჩვენთვის. ბოლოს, როგორც იყო მივიღეთ და თანაც ამ არეულობამ მოგვისწრო, ჩაგვაყენა უხერხულ გარემოებაში. 2. ის, რომ ჩვენ ხელებ შეკრულივით[4] დავრჩით, რადგან ასეთი შეცვლა მოხდა გარემოებისა გერმანიასა და რუსეთის[5] შორის, ვფიქრობდით, რომ იქნებ ეს ყოველივე არ არის საჭიროვო და გერმანელების სურვილის წინააღმდეგ ვაკეთებთო. აი, სწორეთ ამისათვის მე დავბრუნდი. ბელგრადიდამ ტელეფონით დაველაპარაკე ალიხანს,[6] რომ გამეგო, ხომ არ შეიცვალა ჩვენი მუშაობის გზა კვალი,[7] მაგან მიპასუხა, რომ არაფერი არ შეცვლილაო. იქნებ, ეს მართალიც არ არის, მაგრამ ამ ჟამათ მაგან დამარწმუნა და მეც მაშინვე მივეცი ცნობა, რომ სამსონმა[8] განაგრძოს ჩვენი დაწყობილი საქმე, როგორც ჩვენ, ესეიგი[9] მე და იმას შეპირება გვქონდა. მე შენი ტელეფონი არა მქონდა, ლადოს[10] დაურეკე და ვერასგზით ვერ შემაერთეს. ერთი სიტყვით, მოკლეთ აი ასეა საქმე. მე მოვდივარ, თუმც როგორც ლაპარაკში შეეტყო, ალიხანს არ უნდა, რომ მანდ ჩამოვიდე, წადი გაიდართანაო.[11] მაგას ჰგონია, რომ მაგის ბრძანება ჩემთვის კანონია. მარტო სხვა არა იყოსრა,[12] შვეიცარიაში მე

---

1 წერილის თარიღი და დაწერის ადგილი მივუთითეთ ბარათის შინაარსის მიხედვით.
2 სსლმ. №26964-389-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
3 ალექსანდრე სულხანიშვილი ამ სიტყვას „ბან"-ისა და „პარ"ის მონაცვლეობით ხმარობს.
4 sic!
5 sic!
6 იგულისხმება ალიხან კანტემირი.
7 sic!
8 იგულისხმება სამსონ ყრუაშვილი.
9 sic!
10 იგულისხმება ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი.
11 იგულისხმება ჰაიდარ ბამატი.
12 sic!

არ მინდა ასე ჩასვლა, რადგან შეიძლება ადვილათ ნაცნობები ვნახო, რაც სასურველი არ იქნება... ალიხანის მისამართი არა მაქვს, რომ მიმეწერნა. გადაეცი ჩემს მაგივრათ, რომ მე უქეიფოთა ვარ და ერთ ორ დღეს აქ შევჩერდები. ორშაბათს ვნახავ, თუ შემიშვეს შვეიცარიაში, წავალ იქათქო,[1] დანარჩენს ნურას უამბოფ, რასაც მე გწერ ზევით, ნურც ეტყვი, თუ არ გითქვამს აქამდისინ, რომ წასვლისას მე გნახე. შენ კი იცოდე, რომ თუ ჩემი დეპეშა არ მოგივიდა, ესეიგი თუ არ შევცვალე ჩემი გამოსვლის აქედგან დრო, მაშინ აუცილებლათ სამშაბათს 24 სთ-ზე და 16 წუთზე გამოვდივარ და თუ არ შევპრკოლდით, ვიქნები ოთხშაბათს 20 და 5 წ. ასე ჩემო შალვა, რომ ჩამოვალ, ბევრს გიანბოფ და მეც მეინტერესება ჩქარა თქვენი ნახვა და ამბის გაგება.

თუ მოახერხო, ბოდიშს კი გიხდი, რომ გაწუხებ, დამხვდი შენი ჭირიმე, თორემ არ ვიცი, სად წავიდე. ბევრს ნურავის გააგებინეფ, რომ მე ჩამოვდივარ, თვით ალიხანს ნუ ეტყვი, როდის ჩამოვდივარ. არ მინდა, რომ შემხვდეს, მანამ თქვენ არ გნახამთ მრავალი მიზეზების გამო.

ა. სულხანიშვილი

2.

სამშაბათი
12 სექტემბერი [1939]
[პაჯარო][2]

ძმაო შალვა![3]

ეს არის, ეხლა მივიღე შენი ბარათი, თუმცა ძალიან გვიან, მეგონა, რომ ჩემი წერილები არ მიიღე, ან მისამართი თუ გამოიცვალე, ასე ვფიქრობდი. კიდე კარგი, რომ მიიღე. კაცო, აი ასეა ჩემი საქმე, შვეიცარიაში არ მიშვებენ, მე კი არა არავის, თუ რაიმე საგანგებო მიზეზი არა აქვს. მილანში ვიყავი კონსულთან, წინა წერილშიაც გწერდი, უნდა თხოვნა შემოიტანოვო და მიზეზი მოიხსენიოო, შეიძლება შეგიშონ, მხოლოთ ამას დასჭირდება ერთი თვეო, ისიც, ვინ იცის, შემიშვებენ თუ არა. მიკვირს შალვა, ნუ თუ ეგენი თავიანთ გაგზავნილ ხალხს აღარ შეუშვებენ გერმანიაში, მოახერხეთ რამე, ნახეთ პოლკოვნიკი,[4] თორემ მე თითონ დაურეკავ, მაქვს მისი ტელეფონი და მერე მე რომ მოვაწყო თითონ, სირცხვილი იქნება ალიხანისთვის. დღეს დაურეკე ჰაიდარს, უთხარი

---

1 sic!

2 წერილის თარიღი და დაწერის ადგილი მიეუთითეთ ბარათის შინაარსის მიხედვით.

3 სსლმ. №26964-388-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

4 უნდა იგულისხმებოდეს ბრაუნი მაქს (Braun Max).

ყველაფერი, მან ორშაბათს ფული გამომიგზავნა 400 ლირა. დღეს მივიღე, მაგრამ რა გამოვიდა, სამასი ლირა უკვე მართებს[1] ოტელში. შაბათს საღამოთი მივიღე ალიხანის დეპეშა, მიდი კონსულთანაო. ორშაბათს ვერ მივედი, ვიფიქრე, რო ვიზისთვის ფული დამჭირდება მეთქი[2] და არა მქონდა, დღეს, ესეიგი სამშაბათს დილით მივიღე ფული და მაშინვე გავქანდი კონსულთან. ორ საათ ნახევარი[3] რიგში ვიდექი, შევედი როგორც იყო და კონსულმა მითხრა, რომ არაფერი არ არის თქვენ შესახებ მოსულიო. ეგ ოჯახქორი რაღას მატყუებს,[4] ბავშვი ხომ არა ვარ. შალვა, კიდევ ვიმეორებ, რომ მე შეუძლებლათ მიმაჩნია, რომ თავიანთ გაგზავნილი ხალხი თვითონ აღარ მიიღონ. მოვიცდი კიდე ორ დღეს და მერე თითონ დაურეკამ პოლკოვნიკს. ასე უთხარი ალიხანს. შეიძლება გარემოება ჩვენი მუშაობის შეიცვალა, მაგრამ ეს მაინც შეუძლებლათ მიმაჩნია. თუ მართლა სულ მთლად ჩაიქცა ჩვენი საქმე, რატომ მაინც არ მეუბნებით. მარტო სხვა არა იყოსრა, აუცილებელი საჭირო იყო ჩემი მანდ ჩამოსვლა. სუყველას ხომ ვერ მოვიწერები: 1. იმიტომ, რომ ჩემს მეგობართან როგორც ვარ შეპირებული, მანდ უნდა ვიყო, მანდ მომივა ცნობა, კარგისაც, ავისაც და აბა წარმოიდგინე, რომ მე მანდ არ ვიყო, რას გაიგებთ, რომ არ იცით, რანაირათ მოვილაპარაკეთ. 2-ორეც[5] ისა, რომ ასე, ამ გვარით[6] მე არ მინდოდა შესვლა, თუნდაც შევეშვით შვეიცარიაში ჩემი ქაღალდები, სულ მანდ არის... კიდევ ერთი რამეა, რომ მხედველობაში იქონიოთ, ეს ქალაქი პაჯარო პროვინციონალური ქალაქია, უცხოელს 48 საათის მეტის უფლება არა აქვს, რომ დარჩეს. მე 48 საათი შაბათს გამივიდა, წავედი პოლიციაში, ვიწვალე, ლაპარაკი ფრანგული აქ ძალიან იშუეთათ[7] იციან, როგორც იყო, 6 დღის ნება კიდე მომცეს. ამ ხანში თუ რამე არ მოხერხდა, უნდა წავიდე სადმე, აბა სად? უფულოთ და ურამეოთ. მოახერხეთ რამე, ლადოს უთხარი, დატრიალდეს ქორისავით. ეგ ალიხანი ნუ ეშმაკობს, თორე ჩავიგდეფ როგორმე ხელში, გავხეთქამ ცემით.

საშა

მწერამ, კონსულთან მიდი, დაგეხმარებაო. როგორ შეიძლება, ესენი თავიანთ ხალხსაც არ ეხმარებიან. აბა, შალვა, შედით გარემოებაში, პირდაპირ გამოვყრუვდი, გაზეთებს მე ვერ ვკითხულობ და ვერაფერი, როგორმე მომიწყეთ ორი კვირით მაინც და მერე შვეიცარიაში წავალ. მეც ვატყოფ, რომ ჩემი აქ გაჩერება დიდ ხან[8] შეუძლებელია.

---

1 sic!
2 sic!
3 sic!
4 sic!
5 sic!
6 ალექსანდრე სულხანიშვილი საიდუმლო მისიაში ალი სულთანის გვარით მონაწილეობდა (Мамулия, *2012:*).
7 sic!
8 sic!

3.

Hern Amiradjibi
Nikolsburg. Platz 3
Berlin[1]

ხუთშაბათი
[14.9.1939]
[Bolzano][2]

სალამი შალვა![3] ამ ჟამათ ვიმყოფები ქალაქ Bolzano-ში otel „Central".[4]ეს ქალაქი არის იტალის და გერმანის სამზღვართან[5] ახლო იტალიაში. გუშინ სამზღვრიდამ, ესეიგი ბრენეროდამ უკან დამაბრუნეს აქ, რადგან აქ იმყობება[6] მახლობელი კონსული გერმანიისა. არ მიშვებენ მანამ მაინდან არ იქნება სათანადო განკარგულება. დღეს ვიყავი დილით კონსულთან, ბევრი ველაპარაკე, მაგრამ არ მომცა შემოსვლის ნება გერმანიაში. დღესვე, 10 საათზე დაურეკე ტელეფონით ალიხანს, უთხარი ყველაფერი, არ ვიცი, რას მოაწყობს; დღეს 3 საათზე უნდა დეერეკნა და არ დამირეკა. აი, უკვე $5^1/_2$ საათისა. აღარცა მაქვს ფული, ხვალაც რომ აქ დავრჩე, ჩავგირავდები. მოაწყეთ რამე, ლადოს უთხარი, არ არის ამის მოწყობა ძნელი. ალიხანს მაინცდამაინც არ უნდოდა, რომ მანდ ჩამოვსულიყავი, შვეიცარიაშიც არ მიშვებენ, იქ სულ ძნელია შესვლა.

საშა <სულხანიშვილი>

ტელეფონი ჩემი ოტელის არის ასეთი: 2243.

---

1 ბატონ ამირეჯიბს, ნიკოლსბურგერ პლატცის №3, ბერლინი *(გერ.)*.
2 წერილის თარიღი და დაწერის ადგილი მივუთითეთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.
3 სსლმ. №26964-384-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
4 ბოლზანო, სასტუმრო „ჩენტრალი" *(იტალ.)*.
5 sic!
6 sic!
7 წერილის დედანში გვარი გადაშლილია.

4.

Amiradjibi
Nikolsburg. Platz 3
Pension „Haupt“
Berlin[1]

24 ენკენისთვე [1939]
კვირა
[Bolzano][2]

სალამი ძმაო შალვა![3]

მივიღე შენი წერილი. კაცო, რაშია საქმე? რათ გაძნელდა ასე ჩემი ვიზა ამდენი ხანი? თუ სულ არ შემომიშვებენ, მომწერეთ მაინც, სხვანაირათ რამე უნდა მოვახერხო; თორემ ძალიან რთულდება საქმე. მაგ ოჯახ დასაქცევებს[4] თუ ამაზე მეტი შნო არა აქვთ, მაშინ რას მიქარამენ, რომ ასეთი უბრალო საქმე ვერ გაუკეთებიათ. სად არის პოლკოვნიკი? კაცო, ნახე შენ თითონაც ხომ იცნობ, მაგან იცის ჩემი სახელიც და გვარიც. აი, აქ მომცეს რამდენიმე დღით დარჩენის უფლება და უცბათ დღეს საღამოთი დარეკეს ტელეფონით, რომ ხვალ 9 საათზე გამოვცხადდე. რაშია საქმე არ ვიცი, მეშინიან, არ გამაბან მეთქი. თუ ამ ჩემ წერილს ხვალ არ გამოჰყვა მეორე, მაშინ იცოდეთ, რომ დაჭერილი ვიქნები. სადა გდია ალიხანი, ეგ იყო მაგის ბაქიბუქი. ლადოს მოკითხვა ჩემს მაგივრათ და დიდი მადლობა, რომ აგრე ცდილობს ჩემთვის. შახსე მახსეს ტირილი[5] გახადეს ჩემი ვიზის მიღება. უფულოთ ცალკე ვარ. მწერ, რომ მიდი, კონსული დაგეხმარებაო. რამ გააგიჟა ღმერთმა ეგ მამაძაღლი ალიხანი, რომ მაგას გეუბნება, შოუძლებელი და ტყულია.

---

1 ამირეჯიბს, ნიკოლსბურგერ პლატცის №3, პანსიონი „ჰაუპტი“, ბერლინი *(გერ.)*.
2 წერილის თარიღი და დაწერის ადგილი მივუთითეთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.
3 სსლმ. №26964-380-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
4 sic!
5 შახსეი-ვახსეი – შემოკლებულად წარმოებული სიტყვიდან „შახ-ჰუსეინ, ვაი ჰუსეინ“. ამ სიტყვას იმეორებს კაცი, როცა თავს იბეგვამს ჯინჯილით *(გრიშაშვილი, 1997:)*.



ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ შალვა ამირეჯიბისადმი გაგზავნილი საფოსტო ბარათი, ავტოგრაფი [ბოლზანო], 24 ენკენისთვე [1939] (სსლმ. №26964-380-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი, თბილისი).

5.

Hern Amiradjibi
Nikolsburg. Platz 3
Pension „Haupt"
Berlin

25.9.39
[Bolzano][1]

ძმაო შალვა,[2] გუშინ გამოგიგზავნე ერთი ღია ბარათი. მეგონა, რომ რამე დიდი ამბითვის[3] მიბარებს მეთქი პოლიტიკური კომისარი, მაგრამ ისეთი არაფერი არ იყო. მაქვს კიდე კვირამდის დარჩენის ნება. კაცო, რაშია საქმე, როგორ გაძნელდა საქმე, შენ მაინც მომწერე სწორეთ. ეგენი მამაძაღლობენ, როგორც სჩანს. აი, ეხლა მივიღე ჰაიდარის წერილი. მწერამს, რომ ალიხანის ამბავი მოვიდაო, სადაც მწერამს, რომ შენი ვიზა ვერა ხერხდებაო და არც არის იმედიო. კაცო, რა მოხდა ასეთი, რომ ვერ ხერხდება. მიგზავნის 400 იტალიურ ლირას, ეს უნდა გეყოს 23 ოკტომბრამდისო. კაცო, გაგიჟდნენ ეგ ხალხი, თუ რაშია საქმე? 300 ლირა უკვე ვალი მართებს და აბა წარმოიდგინე, როგორ უნდა ვიცხოვრო? ამის გარდა ამ ერთი კვირის შემდეგ აბა, სად და როგორ წავიდე? კაცო, მოახერხეთ რამე, უთხარი ლადოს, ერთი მანდ ჩამიყვანეთ როგორმე და ნახე, მაგ ალიხანს როგორ გავხდი, შენ მიყურე. ეგ ოჯახქორები აშკარათ ციხეში ჩამაგდებენ...

საშა

6.

26.9.39
[ბოლზანო][4]

სალამი და გამარჯვება![5]

ძმაო შალვა, აი, ეს მეორე წერილი მივიღე ჰაიდარისაგან და როგორც ის მწერამს, ალიხანისგამ გადმოცემულს, ასეა თურმე, თქვენი ვიზის შესახებ ყოველივე ცდა ამაოდ გამოდგაო, არას გზით არ შეიძლება მიღებაო, ცდილობს

---

1 ბარათის დაწერის ადგილი მივუთითეთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.
2 სსლმ. №26964-382-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
3 sic!
4 ბარათის დაწერის ადგილი მივუთითეთ წერილის შინაარსის მიხედვით.
5 სსლმ. №26964-386-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

ბატონი ახმეტელიც სულ სხვა გზით, მაგრამ ბევრი იმედი იმ გზითაც არ უნდა იქონიოთო. არც იმედი არის, რომ ეს მალე გაკეთდესო. ისე რომ, თქვენ მანდ მოგიხდებათ დარჩენაო და როდემდის, არც ამის თქმა შეიძლებაო. თან მწერს, რო ხარჯები ძალიან უნდა შეამოკლოთო. მე რა ხარჯები მქონდა, იმ წასულ კვირაში სუ დღეში ერთხელ ვსადილობდი და ოტელის ქირა, პაპიროზი, აი, ჩემი ხარჯი, აქ ხომ არა ვქეიფოფ. მე ეხლა ფულზე ძალიან სუსტათა ვარო. მაგან გამომიგზავნა 400 ლირა, რითაც ვალი გადავიხადე და დამრჩა 150 ლირა. რა თქმა უნდა, კიდე დამედო ვალი. ეხლა 300 ლირამდინ ვალი მაქვს. დღეს მივიღე წერილი ჰაიდარის, გიგზავნი 700 ლირასო, ეს უნდა იმყოფინო 23 ოკტომბრამდისაო. მე მეტი არ შემიძლიანო. აბა წარმოიდგინე, ეხლა 300 ლირა უნდა გადავიხადო, 400 დამრჩება, რანაირათ შეიძლება ამ ფულით 1 თვე ცხოვრება, ეს ფული ოტელს არცკი ეყოფა, მაგის გარდა, მე აქ კიდე ერთი კვირა შემიძლიან ვიყო, მერე სად წავიდე ან რით, გაგიჟდნენ ეგ ოჯახქორები, თუ რაშია საქმე? მისწერე რამე ჰაიდარს, აბა ჰკითხე ალიხანს, შენ რომ იტალიაში იყავი, რას იხდიდი ოტელშითქო, იტალიურ ლირას რა შეუძლიან. აი, როგორ არის საქმე, ჩემის აზრით, მე ჰაიდარს რომ ველაპარაკე ტელეფონით ჩამოსვლისას, მაშინ უთხარი, რომ ბერლინში რომ ჩავალ, იქიდან მოგწერთ დაწვრილებით, თუ მე რათ ჩამოველ მარტოკა, ან იქ რა ამბავია მეთქი, იმანაც მითხრა, ძალიან კარგი, მომწერე გრძელი წერილიო. მეც ყოველ დღე[1] ვიზის მოლოდინში კარგა ხანს არ მივწერე, მხოლოთ ეს 4-5 დღეა, რაც მივწერე ყველაფერი. მანამ ჩემ წერილს მიიღებდა, მისი მომივიდა, რომელშიაც ზოგადათ უკმაყოფილებას გამოჰსახავს, რომ თქვენ რათ ჩამოხვედით მარტოკაო, რათა სთქვით უარი თქვენ აღებულ მოვალეობაზედაო, არაფერი არ ვიციო იმის მეტი, რომ ფული მიიღეთო. როგორც ეტყობა, მაგათ ჰგონიათ, რომ ჩვენ შორის რამე მოხდა ან კიდე რაიმე ფულის მიზეზით და მრავალი ამისთანა. ამას გარდა, მე ალიხანს ველაპარაკე გზიდამ, ბელგრადიდამ ტელეფონით. მინდოდა შენთვის დამერეკა, არ ვიცოდი ნომერი; ლადოსთანაც დავრეკე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაგებინეთ, როგორც ეტყობა, არია ნომერი ტელეფონისა სამსონმა, როდესაც მაძლევდა. და აი, რა ვილაპარაკეთ: მე შევეკითხე, როგორ არის მანდ საქმე, ხომ არ ჩაიფუშა ჩვენი მუშაობა მეთქი, მითხარით სწორეთ, რა თქვენი საქმეაო. აი, მაგის პირველი პასუხი, რომელზედაც მოველაპარაკები, როცა შევხვდები. ჩვენ დაბნეულები ვართ მეთქი, ახალი პოლიტიკური ცვლილებისაგან ხომ არაფერი არ გამოიცვალა მეთქი, მიპასუხა, ჯერ ჯეროვნით[2] არაფერიო, რის გაგებაც მე მინდოდა და იმისთვის ვიყავი წამოსული ზოგადათ. მერე მკითხა, სად მიდიხარო, მანდ მეთქი, აი, მაგის ბრიყული[3] პასუხი: Вам нечего делать сдесь посжайте

1 sic!
2 sic!
3 sic!

Гандару.[1] უთხარი, ბილეთი მაქვს უკვე ბერლინამდის და ფული კიდე არა მაქვს, რომ მეორეთ ბილეთი ვიყიდო მეთქი მილანიდან ლოზანამდის და ეს ბილეთი დაიკარგება მეთქი; ჯანი გავარდესო, გზაში გაჩერდი და იქ გამოგიგზავნით ფულსაო. მაგას მაშინვე ეტყობოდა, რომ ჩემი ჩამოსვლა არ ეპიტნავებოდა მანდ; რათა და რისთვის, ვერ გამიგია. მე მილანში პარასკებს დღეს მივედი შუადღისას, თითქმის ავადმყოფი, როგორც გწერდი, შაბათსაც უქეიფოთ ვიყავი. ორშაბათს წავედი შვეიცარიის საკონსულოში, სადაც ორი დღე ოჩერედში ვიდექი.[2] სამშაბათს, შუადღისას, როგორ იყო, შევედი კონსულთან, სადაც ვიზა არ მომცეს შვეიცარიაში და მითხრეს, შემოიტანეთ თხოვნა, რა მიზეზით და რისთვის მიდიხარ იქ ან ვისთანაო და შეიძლება მოგცეთ; მხოლოთ ამას დასჭირდება დაახლოვებით 1 თვეო. მე, რა თქმა უნდა, იმავ საღამოთი ჩავჯექი და გამოვემგზავრე მაინთ. მოკლეთ რომ გითხრა, მე ვატყობ, რომ ალიხანი ჩემთვის არაფერს არ აკეთებს, პირიქით, შეიძლება ხელიც შემიშალოს.

კაცო, აქ პირდაპირ გამოვყრუვდი, არავინ ნაცნობი, გაზეთებს მე ვერ ვკითხულოფ, რადგან იტალიური და ნემენცურია[3] და პირდაპირ არ ვიცი, რა უყო. შეიძლება შენ სახელზე სტამბოლიდან ჩემთვის მოვიდეს რამე, მაგათ არაფერი არ აჩვენო, შემატყობინე მაშინვე.

თქვენ რას შვრებით, ხალხნი არა ხართ, ხომ იცნობ პოლკოვნიკს მაქს,[4] რატომ არ მიხვალ და არ აუხსნი ჩემ გარემოებას. გაგონილა, რომ თავის გაგზავნილი კაცი თვითონვე არ მიიღონ, მე ვერ გამიგია ეს პირდაპირ, ან თუ თქვენ აღარავინ ყურადღებას არ გაქცევენ, იმდენათ ჩაიფუშა საქმე, ის მაინც შემატყობინე და გინდაც ასე იყოს, მე მაინც უნდა ჩამომიშვან, ხომ იცი, რათაც; ჩემი ქაღალდები მაინც ავიღო, უთხარი ლადოს, თუ ძმა ხარ, მოაწყეთ რამე, აღარ შემიძლიან ამაზე მეტი, რისთვის, თორემ კიდე მესმის. არ არის მართალი, რომ ომიანობა უშლის ხელს, ეს სისულელეა, მე ვხედამ, აქედან უშვებენ უცხოელებს, ამ 4 დღის წინათაც წამოვიდნენ 2 სერბიელი მიუნხენში. მაგ მამაძაღლ ალიხანს უთხარი, ჩქარა რამე მოაწყოს, თორემ როგორმე შევხვდები, სულ მაგის ბრალია, რომ მე მარტოკა ჩამოვედი და მე სამზღვრამდინ ვერ მივაღწიე, მაგის მეოხებით ფული არ გადმოგვცეს დროზე და გაკეთებული საქმე ჩეგვეფუშა. მეორეთ რომ მოვაწყეთ, მაშინ კიდე ამ ამბებმა მოგვასწრო, ესეიგი პოლიტიკურმა ცვლილებამ, ჩემი წასვლა შეუძლებელი გახდა უენობის გამო, მაგრამ ჩემი ამბავი წავიდა; კავშირი სუ ერთია აღდგება, თუ გზაში ის ხალხი არ დაიხოცა. ჩემი წამოსვლა კიდე იმიტომ იყო საჭირო, გზა უკვე გავმართეთ მეორეთ, მაგრამ ვიფიქრეთ, რადგან ასეთი ცვლილება მოხდა; იქნებ, სუ საჭირო არ არის ჩვენი ოპერაციის სისრულეში მოყვანა და იმათ სურვილის წინააღმდეგ გავაკეთოთო, ამისთვის მე დაურეკე ალიხანს გზიდამ, რის შემდეგაც ვაცნობე ჩემს მეგობარს, რომ ის წასუ-

---

1 აქ თქვენ არაფერი გესაქმებათ, ჰაიდართან გაემგზავრეთ *(რუს.)*.
2 стоять в очереди – რიგში დგომა *(რუს.)*.
3 немецкий – გერმანული *(რუს.)*.
4 sic!

ლიყო გამართულ გზაზე, რადგან ის მე მელოდებოდა, ესეიგი ჩემს ამბავს. ფული რაც გვქონდა, იქ დაუტოვე, რადგან იქ იყო საჭირო, მე მქონდა მხოლოთ ბილეთი და სახარჯო ბერლინამდის. აი, ასეა საქმე, უთხარი მაგ მამაძაღლ ალიხანს და არა ფულის შეჭმაზეა საქმე. მაგასაც მივწერე წერილი, მაგრამ ყველა დაწერო, ხათაბალაა. აბა, შალვა, შენ იცი, თუ ძმა ხარ, საციხეეთ ნუ გამიხდით საქმეს, შემახვეწე ლადოს, ნახეთ აუცილებლათ მაქსი, იმან იცის ჩემი სახელი შუშუ.

7.

2.10.39
[ბოლზანო][1]

გამარჯვება ძმაო შალვა![2]

მივიღე შენი ღია ბარათი 27-ში მოწერილი. შაბათს დილით შევიარე კონსულთან, ვიფიქრე, იქნებ მოსული იყოს მეთქი, მაგრამ ამაოდ, არაფერი არ იყო. მცხვენიან, სხვა არა იყოსრა, კონსულისა თავი მოვაბეზრე პირდაპირ. არც ვიცი, თვითონ შემატყობინებენ თუ მე უნდა ვიკითხო ხოლმე. შენ წერილს მოჰყვა ჰაიდარის დეპეშა, მწერს: ცოტა მოიცადეთ, ჩქარა ვიზა მოგივათო. წინათ ორ წერილში მწერდა, რომ ვიზის მიღება ეხლა შეუძლებელიაო და ვინ იცის, როდის მოხერხდებაო; ჩემი სამი მაგარი წერილის შემდეგ გარემოება შეიცვალა, როგორცა სჩანს, დღეს დილით კიდე მომივიდა ალიხანის წერილი, მოწერილი 28 ენკ. სადაც მწერს, რომ ორი დღის ავადმყოფობის შემდეგ, აი, დღეს აღვძარი ხელ მეორეთ[3] თხოვნა თქვენი ვიზის მიღების შესახებაო. მე იმედი მაქვსო, რომ ამ ორ დღეში მივიღებთ უსათოვოთაო და მაშინვე გაცნობებთ დეპეშითაო. აი, ასეთ ფრაზას მწერს: Вас не забывают и именно на нас можете надеятся,[4] ესეიგი, თუ ჩვენ არაო, სხვა თქვენ არავინ არ გიშველითო. ფულით ხომ უზრუნველყოფილი ხართო, ჰაიდარმა ერთი თვის ფული გამოგიგზავნათო. ვერ გაიგო ეს მაგ ხალხმა, რომ აქ ცხოვრება ძვირია, ჯარით არის სამსე აქაურობა და ცხოვრების უფლებასაც იმიტომ არ მაძლევენ დიდ ხანს აქ. აი, კვირამდისინ მაქვს უკანასკნელი ვადა, ესეიგი, 8 ოკტ. მწერს, რომ ჩვენი საქმე, რა თქმა უნდა, რომ კარგათ არ არისო ყოველს მხრივ, თან კიდე აპირებს, რომ დამხვდეს მიუნხენში და იქ მომელაპარაკოს. არ ვიცი, ეს რისთვისღაა საჭირო, მით უმეტეს, რომ სუ სჩივიან, ფულის საქმე სუსტათა გვაქვსო.

მე ხომ გწერდი წინა წერილში, ათასნაირი ეშმაკობა აქვთ. მე, პირადათ, ძალიან მინდოდა, რომ ლადოს მოწყობილი ვიზით მომხდენოდა წამოსვლა, რომ

---

1 ბარათის დაწერის ადგილი მივუთითეთ წერილის შინაარსის მიხედვით.
2 სსლმ. №26964-385-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
3 sic!
4 თქვენ არ გივიწყებენ და მხოლოდ ჩვენი იმედი უნდა გქონდეთ *(რუს.)*.

მაშინ უფრო მეტი მეხი დამეტეხნა მაგათვის[1] თავზე. წინათაც გწერდი, ეგენი ჩემ ვიზაზედ არ ცდილობდნენ, მანამდისინ რამდენიმე მაგარი წერილი არ მივარტყი ჰაიდარს. ძალიანა გთხოვთ შენც და ლადოსაც, ეცადეთ, ჩქარა მომცენ ვიზა, რომ პირდაპირ მანდ ჩამოვიდე და ამას არ შევხვდე მიუნხენში, ესეიგი არ ეცოდინება მაგას, თუ ვიზა უკვე მიღებული მაქვს და მოვდივარ. რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს ნუ ეტყვი ალიხანს, ზოგი ერთი[2] ადგილების გარდა ჩემი წერილისა, მაგალითად, ვადა ჩემი დარჩენისა და თუ ოთხშაბათს გადასცილდა ჩემი ვიზის მიღება ახლა, ფული აღარ მექნება.

აბა, ჩემო შალვა, რაღა გეხვეწო, შენ იცი, როგორც დატრიალდები. გასაკვირვალივია,[3] ღმეთ.[4] გეფიცები, რაც მე აქა ვარ, ამ ხანში რატო ერთი 30-მა კაცმა არ მიიღო ვიზა და მე რა დამემართა. შემთხვევაა თუ სამსონმა ჩამომასწრო, ფხიზლათ იყავი, მაშინვე ნახე და უთხარი, რომ უჩემოთ არაფერი არც უანბოს და არც გააკეთოს. თუ დეპეშა იყოს მისგანა შენ სახელზე ჩემთან, გახსენი და თუ კითხულობს ჩემ მისამართს, თუ ძმა ხარ, მიეცი ჩემი მისამართი და მეც შემატყობინე. მაპატივე შალვა, შენც თავი შეგაწყინე ამოდენა წერილებით. მრავალი მოკითხვა ჩემ მაგიერ ბატონ ლადოს.

მუდამ შენი პატივისმცემელი
ა. სულხანიშვილი

8.

Hern Amiredjibi
Pension „Pariser-Eck" W. 15
Pariserstr. 1
Berlin[5]

11.10.39
[Bolzano][6]

ძმაო შალვა,[7] ეს არის, ეხლა მივიღე შენი ღია ბარათი და ეხლავე გიპასუხეფ. შენც და ალიხანსაც უგზავნი დაზღვეულ წერილს, შიგ არის გასაღები ჩემი ჩემადნის, რომელიც იყო დატოვებული სამსონის ოთახში. იქ არის ის, რასაც

---

1 sic!
2 sic!
3 sic!
4 ღმერთს.
5 ბატონ ამირეჯიბს, პანსიონი „პარიზერ-ეკი", W. 15, პარიზერშტრასე №1, ბერლინი *(გერ.)*.
6 ბარათის დაწერის ადგილი მივუთითეთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.
7 სსლმ. №26964-381-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

თხოულოფ, ამოიღეთ. მხოლოთ სთხოვე ჩემ მაგივრათ ალიხანს, შენც გეხვეწები, რომ ჩემადანი ღია არ დააგდოთ, თუ ძმა ხარ და ნურსად მიაგდებთ უპატრონოთ. ამას გარდა, შალვა, რასაც შენ მწერ, ეგ ყველაფერი საბრთხილოა; რადგან აქ, სამზღვარზედ ხელის უფლობამ[1] თითქმის მაშინვე იციან, თუ ვინ მოდის, ისე რომ, იტალის ახრანა[2] ეუბნება გერმანისას, რომ ასეთი კაცი მოდის, და იტალის ტერიტორიაზედვე ნემეცები შინჯამენ ქაღალდებს. ისე რომ, ძალიან საბრთხილოა. ალიხანს ვწერ დაწვრილებით. მიდი, თუ ძმა ხარ იმასთან და მოილაპარაკეთ. ხათაბალაში ნუ გამხვევთ. შენ მწერდი, რომ უკვე ვიზა მოაწყო ლადომაო. სად არის?

საშა

კაცო, თუ იციან, ვინა ვარ და რისთვინ ვიყავი, სულ ერთი არ არის ამით მამას...

9.

Hern Amiredjibi
Pariserstr. 1
Pension „Pariser-Eck"
Berlin

12.10.39
[Bolzano][3]

ძმაო შალვა,[4] ამ დილას მივიღე შენი პირველი ღია ბარათი. გუშინაც გიპასუხე მეორე ბარათზე, გამოვგზავნე გასაღები ჩემი ჩამადნის ალიხანის სახელზე, როგორც მწერდი. უნდა გითხრა, რომ რასაც შენ მწერ ჩემი ვიზის შესახებ, ფრიად საფთხილოა.[5] ამის ახსნას ვწერ ალიხანს, იმასთან გაიგეფ. მრავალია მიზეზები, ერთი ის, რომ ეგ ქაღალდი აღარ გამოდგება იმ ადგილისთვის, საიდამაც[6] ეგ არის მიღებული, იქნებ საჭირო იყოს... შეიძლებოდა, ჩემის აზრით, ამნაირათ გააკეთოთ, თუ მეტი გამოსავალი აღარ არის. ისე, როგორც შენ

---

1 sic!
2 охрана – გუშაგი *(რუს.)*.
3 ბარათის დაწერის ადგილი მივუთითეთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.
4 სსლმ. №26964-383-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
5 ალექსანდრე სულხანიშვილი ამ სიტყვას „ბან"-სა და „ფან"-ის მონაცვლეობით ხმარობს.
6 sic!

მწერ, მხოლოთ ალიხანი ან ვინმე დამხვდეს მიუნხენში იმით და მაშინ, მგონი, ადვილი იქნება უფრო, მხოლოთ არ ექნება ნიშანი სამზღვრისა. ერთი სიტყვით, კარგათ მოიფიქრეთ ყველაფერი, გამოჰკითხეთ. ყოველ შემთხვევაში, გამოგზავნა, მგონი რომ არ ივარგებს. ეცადეთ, როგორმე ეგებ აქ მომივიდეს ვიზა. გუშინ საღამოს მომივიდა დეპეშა ალიხანისა. მწერს, მოიკითხე ვიზაო ბოზანოში[1] ან მილანში. რათ მწერს მილანს, არ ვიცი, ჯერ ხომ აქა ვარ. ამ დილით ვიყავი საკონსულოში საკითხათ, არაფერი არ არის მოსული, რის შესახებაც დეპეშითვე უპასუხე ალიხანს. ალბათ, შენი ბარათის შემდეგ შეიცვალა გარემოება, რომ ალიხანი დეპეშას მწერს, მოიკითხეო. ტრანზიტს მომცემენ, მაგრამ გზაში გასაქანსაც არ მომცემენ. ეს ყველაფერი კარგათ აწონ დაწონეთ,[2] თუ ძმა ხარ, სახათაბალოთ ნუ გამიხდით უფრო საქმეს. სამი დღე დამრჩა, მერე არა მგონია, რომ აქ დამტოვონ.

ა. ს.

10.


9.7.41
შტეტინი

გამარჯვება ძმაო შალვა![3]

რასა იქთ და როგორა ხართ, რა არის ახალი მანდ. როგორ არის ლადო, გამოკეთდა, ალბათ, იმედია, ყური უგდე შენც, თორე ეგ ცოტა არ იყოს, მაგ მხრივ დაუდევარია. რა ხდება მანდ, თუ ძმა ხარ, პატარა მომწერე რამე, მე როგორც გავიგე, მანდ, ვენაში თავი მოუყრიათ თევზაძეს, იმნაძეს და საერთოთ, სოციალისტების ხელმძღვანელობით ქართველობა შეყრილა, არ ვიცი, რამდენათ მართალია და თუ ეს სინამდვილეა, სწორე გითხრა, დიდი მარცხია ჩვენი. აი, მიშა ქედიას[4] ნამუშავარი და თქვენი დაუდევრობა. ნათქვამია, ვინც მიდიოდა, ფქვავდაო, ვინც არა, ჯერს კითხულობდაო. ხმა აღარ ამოიღეთ, თქვე დალოცვილებო და რა თქმა უნდა, სხვები მოავლებენ საქმეს ხელს, ან კიდე, ალბათ ლადოს მაგრე უნდოდა, რომ ისევ სოციალისტებს ჩავარდნოდათ საქმე ხელში, მე სხვას ვერაფერს ვერ ვაწერ. აი, აქ კიდე ჩამოსულან სოსო გვარამაძე, ის კალმიკი,[5] რომელიც ბამატთან მუშაობდა და პარიჟში წავიდა, ეხლა აქ

---

1 sic!
2 sic!
3 სსლმ. №26964-387-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
4 იგულისხმება მიხეილ (მიშა) კედია.
5 калмык – ყალმუხი *(რუს.)*.



ალექსანდრე სულხანიშვილის წერილი შალვა ამირეჯიბისადმი, ავტოგრაფი, შტეტინი, 9 ივლისი, 1941 (სსლმ. №26964-387-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი, თბილისი).

არიან, რა თქმა უნდა, რომ ცდილობდა არ შემხვედროდა, მაგრამ მაინც წამაწყდა, რომ ვკითხე, აქ რას აკეთებ მეთქი, მითხრა, რომ მე სულ ცალკე ვმუშაოფო, თან გამაცნო ერთი ვიღაც ლაწირაკი გერმანელი, რუსულათ მოლაპარაკე, რომ შევეკითხე, ეს ბამმატის საშუალებით კეთდება თუ როგორ, მიპასუხა, არა კაცო, მე სულ ცალკე ვმუშაოფო, მეორე დღეს კიდე ის კალმიკი წამაწყდა ისე, რომ ჩემთვის გამორკვეულია, რომ ესენი ბამმატის მეძებრები არიან და რაღაც ლეგიონებზე ლაპარაკობენ. სოსო მისულა ქარხნის მუშებთან, ქართველებთან და უთქვამს, რომ პარიჟში დგება კავკასიური ლეგიონი, რამდენიმესთვის წინადადება მიუცია, რომ წამოხვალთ თუ არაო. აი, ჩემო შალვა, ეს ყველაფერი დაუდევრობა არის, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ ამათ ლაგამი არ ამოვდეთ, დაიცა დაიცათი საქმე არ კეთდება, ყველაფერს ცდილობა უნდა. მე ჯერ ჯერობით მალოდინებენ, არ ვიცი, რაშია საქმე, ეხლა ეჭვი მეპარება, რომ იქნებ ამ ბამმატის საქმით არის მეთქი ჩემი დაპრკოლება. სთხოვა ლადომ ამ წინაზედ, რომ გელაპარაკეთ ხალხის შეპარებაზე საქართველოში? თუ არცკი მოგონებიათ. თუ უთხრა, რა პასუხი უთხრეს? მომწერე თუ ძმა ხარ, ნუ დაიზარეფ, რა არის ახალი, ხომ იცი, ჩემთან სიტყვის თქმით არაფერი არ წახდება. საუბედუროთ, ჩემი უფროსები და მეგობრები აქ არ არიან, ყველა წასულია აღმოსავლეთისკენ, თორე ამათ მალე შეუკრავდი აქედგან გუდა ნაბადს.

აბა, ჩემო შალვა, იმედია, რომ ლადოს გადასცემ და მიიღებთ სათანადო ზომებს, არავითარი კავკასიური ლეგიონის შედგენა არ არის საჭირო; თუ ასეთი არის საჭირო, მაშინ ლადომ თვითონ შეიტანოს ასეთი წინადადება, რომ ქართული ლეგიონი შეიქნას, მე შევყრი ხალხს, საუკეთესო ბიჭებს ოფიცრებსაც და ჯარისკაცებსაც; ამას მე და მათიკაშვილი მოვაწყობთ საუკეთესოთ. ამაზე იფიქრეთ, მანამ სულ გვიან არ არის.

გულითადი მოკითხვა ბატონ ლადოს, ქალბატონ ლოლას,[1] არჩილს,[2] დათიკოს[3] და სხვებს.

მიიღე ჩემი გულწრფელი სალამი

პატივისცემით საშა

ჩვენი ბიჭებიდგან კარგი ამბები მესმის ჯერ ჯერობით. ვნახოთ შემდეგში.

---

1 იგულისხმება ელენე (ლოლა) დიასამიძე.
2 იგულისხმება არჩილ მეტრეველი.
3 იგულისხმება დავით (დათიკო) საღირაშვილი.

ამირეჯიბი შალვა (ფსევდ.: ა-ი, ფარსმან-ფარუხი, შ. ა., ჩორჩანელი, შ. ა-ბი, ეგრისელი და სხვ.) (1887-1943), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ახმეტელი (ახმეტელაშვილი) **ვლადიმერ** (ლადო) (ფსევდ.: შ., შვარცი, ახ-ლი და სხვ.) (1875-1942), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეკონომისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი (1932-იდან უპარტიო), 1919-22 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი გერმანიაში, 1936-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“. 1938-იდან ხელმძღვანელობდა გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილ „კავკასიელ ლტოლვილთა სამმართველოს“

ბამატი (ბამატოვი) **ჰაიდარ** (ფსევდ.: ჟორჟ რივუარი) (1889-1965), დაღესტნელი პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოეთკავკასიური ემიგრაციის ლიდერი, ორგანიზაცია „კავკასიის“ დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი (1934-39), ჟურნალ „კავკაზის“ (გამოდიოდა რამდენიმე ენაზე; მათ შორის – ქართულადაც) რედაქტორი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ბრაუნი მაქს (Braun Max) (1893-1965), გერმანელი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი, პოდპოლკოვნიკი, I მსოფლიო ომის მონაწილე, 1933-34 წლებში დრეზდენის სამხედრო სკოლის, ხოლო 1934-40 წლებში ანკარის სამხედრო აკადემიის ისტორიისა და ტაქტიკის მასწავლებელი, გერმანიის სამხედრო ატაშე თურქეთში (1940-მდე), 1940-44 წლებში გერმანიის სამხედრო ატაშეს მოადგილე რუმინეთში. 1944 წლის 2 სექტემბერს საბჭოელებმა დააპატიმრეს და ოცდახუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

გვარამაძე იოსებ (სოსო) (1894-1959), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ოლთისის სამხედრო ოლქის უფროსი, 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ (პარიზული ქართული სერიის) რედაქტორ-ადმინისტრატორი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

გიორგაძე ბეჟან, ქართველი ემიგრანტი. 1938 წლის ზაფხულში საბჭოთა ტერიტორიაზე, ნახიჩევანის რაიონში შეგზავნილი სადაზვერვო ექსპედიციის წევრი.

გრიშაშვილი (ნამდვ. გვარი – მამულაიშვილი) **იოსებ** (სოსო) გრიგოლის ძე (1889-1965), პოეტი და საზოგადო მოღვაწე, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1945), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1947), საქართველოს სახალხო პოეტი (1959).

დიასამიძე ელენე (ლოლა) (1900-1968), გრიგოლ (გიგო) დიასამიძის (1870-1960) ქალიშვილი, ელიზბარ ვაჩნაძის (1895-1959) მეუღლე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ვარდიაშვილი გიორგი, ქართველი ემიგრანტი. 1938 წლის ზაფხულში საბჭოთა ტერიტორიაზე, ნახიჩევანის რაიონში შეგზავნილი სადაზვერვო ექსპედიციის წევრი.

ვაჩნაძე ელიზბარ (1895-1959), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პორუჩიკი, პუბლიცისტი, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. ელენე (ლოლა) დიასამიძის (1900-1968) მეუღლე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

თედორაძე ოსმან, თურქეთში მცხოვრები ემიგრანტი. 1938 წლის შემოდგომასა და 1939 ზაფხულში საბჭოთა ტერიტორიაზე, აჭარაში შეგზავნილი სადაზვერვო ექსპედიციების წევრი.

თევზაძე ვალერიან (ვალიკო) (შეცვლილი სახელი და გვარი – Walery Krzyzanowski; ფსევდ.: Tomasz) (1894-1985), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მემუარისტი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" ვერცხლის ჯვრის კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

იმნაძე კონსტანტინე (კოტე) (?-1957), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებული პოლონეთში, ვარშავის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კანტემირი ალიხან (1886-1963), ოსი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, ჩრდილოეთკავკასიური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1934-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის" ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკაზ"-ის თანამშრომელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კედია თეონა (თეო) (1921-2014), მუსიკოსი. სპირიდონ კედიასა (1884-1948) და სოფიო კედიას (ქალიშვილობაში – ჩიჯავაძე) (1885-1993) ქალიშვილი. 1928-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კედია მიხეილ (მიშა) (1901-1954), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (1925), 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის"

ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ თანამშრომელი, 1942-43 „კავკასიის საგანგებო შტაბის“ წევრი, 1943-45 „ქართული სამეკავშირეო შტაბის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

კვინიტაძე (ნამდვ. გვარი – ჩიქოვანი) **გიორგი** (1874-1970), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918). 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ქართული (იუნკერთა) სამხედრო სკოლის უფროსი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

მათიკაშვილი ნიკოლოზ (ნიკო, ნიკა) (ფსევდ.: ნ. მა-ლი; თიკუნი: მოლტკე) (1900-1993), სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მემუარისტი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის“ კავალერი, „იუნკერთა კავშირის“ (1928-32) გამგეობის წევრი, პოლონეთის აღმოსავლეთმცოდნეობის კავშირის წევრი, ჟურნალ „მხედარის“ თანამშრომელი, II მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

მამულია გიორგი (დ. 1967), საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დოქტორი, პოლიტოლოგი.

მეტრეველი არჩილ, ინჟინერი, მიუნხენის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორი, მთარგმნელი. ქართული სტამბის დამაარსებელი ბერლინსა და მიუნხენში. გაზეთ „ახალი საქართველოს“ (1924-26) ბერლინის სარედაქციო ჯგუფის წევრი, გაზეთ „საქართველოს“ (1950-52, მიუნხენი) რედაქტორ-გამომცემელი, ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის პარიზული ორგანიზაციის წევრი.

მოლოტოვი (ნამდვ. გვარი – სკრიაბინი) **ვიაჩესლავ** (1890-1986), საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (1930-41), სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი 1939-49, 1953-56 წლებში.

ნაცვლიშვილი პაატა (დ. 1952), ჟურნალისტი, პოეტი, მხატვარი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი წევრი.

ნიკოლაიშვილი მიხეილ, ქართველი ემიგრანტი. 1938 წლის ზაფხულში საბჭოთა ტერიტორიაზე, ნახიჩევანის რაიონში შეგზავნილი სადაზვერვო ექსპედიციის წევრი.

რიბენტროპი იოახიმ ფონ (1893-1946), გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1938-45 წლებში.

საღირაშვილი დავით (დათიკო) (ფსევდ.: დ. თბილისელი) (1887-1962), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმო-

მადგენელი. 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ (ბერლინური ქართული სერიის) რედაქტორ-ადმინისტრატორი.

სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა, შუშუ) (ფსევდ.: ალი სულთანი, სანდრო არაგველი და სხვ.) (1900-1990), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის ოფიცერი, ლეიტენანტი, მემუარისტი, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ყრუაშვილი სამსონ, სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის კაპიტანი, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

შარაძე გურამ (1940-2007), ფილოლოგი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1975), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-1999, 1999-2003).

ჩიქოვანი ლელო, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) (1888-1930), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, 1922-24 ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

დამოწმებანი

1. შარაძე, 2005: შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბილისი, 2005, გვ. 399.
2. ჩიქოვანი, 1939: ჩიქოვანი ლ., ქართველ ემიგრაციის საყურადღებოდ, გაზ. დამოუკიდებელი საქართველო, №157, მაისი, პარიზი, 1939, გვ. 16.
3. სულხანიშვილი, 26.9.39: სსლმ. №26964-386-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
4. Мамулиа, 2012: Мамулиа Г., Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тбилиси-Париж, 2012, с. 309-326.
5. სულხანიშვილი, 26.9.39: სსლმ. №26964-386-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
6. სულხანიშვილი, 26.9.39: სსლმ. №26964-386-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.
7. Мамулиа, 2012: Мамулиа Г., Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тбилиси-Париж, 2012, с. 528-529.
8. გრიშაშვილი, 1997: გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997, გვ. 304.

Letters by Alexander Sulkhanishvili to Shalva Amirejibi
Materials for the Research of Georgian Emigration

Publication by **Lali Tsomaia**

Summery

Letters by Alexander Sulkhanishvili protected in Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature represent one of the most important documents in terms of studying Georgian Emigration history.

Although much had been said and even more written about the rebellion of Kakutsa Cholokashvili and his forces in 1924, the interest of Georgian public regarding this issue hasn't decreased. Mr. Sulkhanishvili was one of the members of the patriotic group "Shepitsulebi", which was trying and hoping to release Caucasian countries from the Russian incidence.

The letters are sent from the different parts of Europe and describe the struggle of young Georgian patriots who were ready to sacrifice themselves to the freedom of their homeland.

Therefore, these letters are very important for the researchers and readers of the history of Georgian Political Emigration.

ევგენი გეგეჭკორი

ჩემი მოგონებები[1]

A navire brisé tous les vents sont contraires.[2]

„შვიდი წელი უკვე განვლე ემიგრაციაში და დღემდის აზრად არ მომსვლია „მემუარების" წერა. რატომ? ძირითადად ამ ჟურის მწერლობისათვის დრო აუარებელი მქონდა და მასალაც საკმარისი. წარსულში ბედმა მარგუნა ჩვენი ისტორიის უკანასკნელ ეპოქაში მეთამაშა არა უკანასკნელი როლი. დამოუკიდებელ საქართველოს 1918 წლიდან საგარეო საქმეთა მინისტრი, 1917 წელს კი ჯერ კავკასიის რევოლიუციონურ ორგანიზაციების თავმჯდომარე, შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატის (მთავრობის) მეთაური. ფორმა ფრიად ბრწყინვალე; პასუხისმგებლობა მეტად მძიმე, უფლებანიც რევოლიუციონურ ხანისათვის ძალზედ ფართე. ერთი სიტყვით, გარეგნულად თითქოს ყველაფერი ხელს მიწყობდა, რომ მეც (არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ თითქმის ყველა ჩვენი პასუხისმგებელი მოღვაწენი უმზადებენ მომავალ ისტორიკოსს თავიანთ მოგონებათა ფოლიანტებს) სხვებს უკან არ ჩამოვრჩენოდი. მიუხედვად ამისა, ჩემს გადაწყვეტილებაში დღემდინ ვჯიუტობდი. ადრეა ისტორიის წერა, ვფიქრობდი მე, ვინაიდან ჩვენ მას ვქმნით. მართალია, საქართველოს მტერნი დღესაც თავისუფლად ნავარდობენ მის მიდამოებში, მაგრამ მათი დღენი დათვლილია, კიდევ რამდენიმე წელი და ეს საშინელი კოშმარი გაივლის; მუდამ ხომ არ იწვიმებს ჩვენს ჰორიზონტზე, გამჩნდება მზე, მისი სხივების ცეცხლი ამოაშრობს კომუნისტურ ჭაობს და მეც დამშვიდებულათ მომეცემა საშუალება გა[ვ]უზიარო მომავალ თაობას, თუკი ეს მისთვის საინტერესო დარჩა, წასულ მოვლენათა ჩემი პირადი დაფასება და ახსნა-განმარტება. ....

მე ვიცი, რომ არსებობს ახირებული ისტორიკოსები, ახირებულები იმიტომ, რომ მათ აინტერესებს არა სინამდვილე, არამედ ის, რაც მათთვის არის სასურველი და ხელსაყრელი. წარსული მოვლენა მათ უნდათ შეარიგონ იმას, რაც მოხდა შემდეგ. დაამტკიცონ, რომ ისინი არ შეცვლილან. მუდამ ერთი და იგივე გზას მისდევენ, არა მარტო საერ-

---

1 ჟურნალ „ქართული ემიგრაციის" რედაქციას ხელთა აქვს ევგენი გეგეჭკორის მოგონებათა ხელნაწერი ორი რვეული. დანარჩენი ტექსტი ჯერ-ჯერობით მიუკვლეველია. ვაქვეყნებთ ამ მოგონებების ნაწყვეტს იმ იმედით, რომ აღმოჩნდება მისი გაგრძელებაც და საშუალება მოგვეცემა, მკითხველს სრულად წარვუდგინოთ ეს უაღრესად საინტერესო მასალა.

2 „დამსხვრეული გემისთვის ყველა ქარი პირქარია" (ფრ.)

თო სფეროში, არამედ დეტალებში. მართალი უნდა ვთქვა, მე ასეთი მეთოდი ისტორიის ძალდატანებისა შეცდომათ მიმაჩნია; მეტს ვიტყვი, არა მარტო შეცდომათ, მავნებლათაც კი; თუ გნებავთ მავნებლათ იმ ახალი გზისათვის, რომლისათვის თითქოს სჩადიან ასეთ ქირურგიულ მანიპულაციებს. ამ საქმეს ეს ძალდატანება სრულებით არ სჭირია. ის იმდენად მართალია თავის თავთან, რომ მას ეს მაქინაციები მხოლოდ ვნებს....

კერენსკი ფრაზის კაცია. მე მას წინეთ ვიცნობდი. ეს ერთ დროს პატარა ნაფიცი ვექილი, პროვინციალური აკტიორის ჟესტებით, ჯერ სახ. დუმის ტრიბუნას და შემდეგ მისთვისაც მოულოდნელად რევოლიუციის სათავეში ამოტივტივებას წელში გაუმართავს. დღეს იგი კი არ ლაპარაკობს, დეკრეტებს იძლევა. მისი თვალები მსმენელთა ზევით რაღაც შორს, შორს გაიყურებიან. თითქოს რევოლიუციისა და ქვეყნის კლიტე მის ხელშია. უნდა გააღებს სამოთხის კარებს, უნდა მას სამუდამოდ დაკეტავს. ....

ნოე ჟორდანიას მე პირველად 1906 წელს შევხვდი. ჩემი პირადი დამოკიდებულება კი დაიწყო უფრო გვიან, ჯერ კიდევ ჩემი დეპუტატობის ხანაში, დაახლოვებით 1909 წლიდან. 1912 წელს უკვე ჩვენ მეგობრები ვიყავით და რევოლიუციის დროს მუდმივმა მასთან თანამშრომლობამ მას დამაახლოვა და მჭიდროდ დამაკავშირა. ნ. ჟორდანია უდავო ავტორიტეტი იყო სოციალ დემოკრატიულ პარტიაში, განსაკუთრებული პუბლიცისტური ნიჭით აღჭურვილი, ცოცხალი აზრის მემქონე, მოქნილი და მოღვედილი ტაქტიკოსი. მას ამ წრეში მეტოქე არ ყავდა. მერე ეს არ იყო გუშინდელი მოღვაწე, მას უკვე ოცდახუთი წლის სტაჟი ჰქონდა და ამიტომაც მისი გავლენა დიდი იყო. ამას ხელს უწყობდა მისი გარეგნობაც. მაღალი, მოყვანილი, დიდრონი ლამაზი თვალები, სანდომიანი სახე, გაშლილი, ფართე შუბლი, იგი პირველი შეხვედრისათანავე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთი სიტყვით, ნ. ჟორდანიას პიროვნება იმ ბედნიერთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, რომელთაც ავანსად ნდობას უცხადებენ. ნ. ჟორდანიას პუბლიცისტურ ნიჭში სჭარბობდა პოლემისტური ელემენტი, თუ გნებავთ სწორედ ამაში იყო მთელი მისი ძალა. ეს, ასე ვსთქვათ, მისი სტიქია იყო. მესამე დასის საქართველოს ცხოვრების ზედაპირზე გამოჩენის პირველ წლებში ჟორდანიას პოლემისტურმა ტალანტმა მას უდიდესი სამსახური გაუწია. ძველი კერპების დამსხვრევა და საზოგადოების მიერ საკმაოთ შეთვისებულ სოციალურ პოლიტიკური კონცეპციების დასუსტება მხოლოდ დაუზოგველი და გააფთრებული კრიტიკით შეიძლებოდა და ეს მისია ნ. ჟორდანიას პოლემისტურმა კალამმა საუცხოვოთ შეასრულა.

ილია ჭავჭავაძესთან მისი კამათი გმირული ხანაა სოციალ დემოკრატიული მოძღვრების საქართველოში შემოჭრის ისტორიაში. დიდი ილია, რამოდენიმე ათეული წელი განუსაზღვრელი მფლობელი იყო ქართველ ინტელიგენციის სულისა და გულის და ამ ციხე-სიმაგრის შენგრევა მესამედასელთა, მაშინ, მცირე ჯგუფის მიერ მხოლოდ ნ. ჟორდანიასი ცეცხლით აღგზნებულ კალმის საშუალებით თუ მოხდებოდა. როგორც ვიცით, ნ. ჟორდანიამ ილია დაამარცხა და მესამე დასი დაეპატრონა ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზს...

ნ. ჟორდანია რევოლიუციის, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, როცა იგი უკვე მთავრობის თავმჯდომარეა და მას შემდეგაც, საზღვარგარეთ ემიგრაციაში ხანაში დარჩა უფრო პოლემისტი, ვიდრე სახელმწიფოებრივი მოღვაწე, სიტყვის ფართე მნიშვნელობით....

მეორე დიდი პიროვნება ჩვენ პარტიის რიგებში ეს განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე იყო. თუმცა ამ უკანასკნელს არავითარი საპასუხისმგებლო პოსტი არ ჭერია ჩვენი დამოუკიდებლობის, მაგრამ მიუხედავად ამისა, გავლენა მისი საქართველოს ბედ-იღბალზე დიდი იყო. ს. ჯიბლაძე ს. დ. პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი გახლ-

დათ და იმავე დროს სწორედ მისი ხელით აღიზარდა მთელი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომელიც შემდეგში მოექცა ამავე პარტიის სათავეში; თვით ნ. ჟორდანია ს. ჯიბლაძის მზრუნველობას უნდა უმადლოდეს, რომ მას მიეცა საშუალება საზღვარგარეთ გაეტარებინა საჭირო დრო, რათა სწავლა-განათლება დაესრულებინა. ს. ჯიბლაძეს უფრო მამის ადგილი ეჭირა პარტიაში, ვიდრე ლიდერისა. მართლაც, ამ წრეში, სადაც გრძნობას დიდი გასავალი არ ჰქონდა, სადაც ყოველივე ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რა იყო სასარგებლო და საჭირო პარტიისათვის და რევოლიუციონურ ბრძოლისათვის, იქ ს. ჯიბლაძე თბილი ხელით და მოყვარული ხელით კირავდა პარტიის რიგებს. ... გაბედული გადაწყვეტილებაში, გულღია, პირში მართლის მთქმელი, მუდამ საერთო საქმისათვის მზრუნავი, ახალგაზრდებისათვის გზის გამკაფველი და რაც მთავარია, უსაზღვრო გულის სითბო....

სწორედ ამიტომ ეჭირა მას ჩვენ წრეში განსაკუთრებული ადგილი. ზემოთ ვთქვი და კიდევ უნდა გავიმეორო: ს. ჯიბლაძე მამა უფრო იყო პარტიის წევრებისათვის, ვიდრე მეთაური და ამიტომაც ჩვენი მისდამი დამოკიდებულებაში მეტი ადგილი გრძნობას ეჭირა, ვიდრე მშრალ ანგარიშს. ის გრძნობით და მორალით სჭარბობდა დანარჩენ მეთაურებს და ამიტომაც ასე უსაზღვროთ უყვარდათ იგი....

მეოთხე წევრი ჩვენი პარტიული „თავისა“ ეს ნოე ხომერიკია. პიროვნება მეტად რთული და საინტერესო. პირველი შეხვედრისათანავე შეუძლებელი იყო მას არ მიექცია თქვენი ყურადღება. საშუალო ტანის, ძალზე შავგვრემანი, შავი დიდრონი თვალები, სქლათ დაბურჯული წარბებით, მიუხედავად ახალგაზრდობისა, წელში ცოტათი მოხრილი, ის რაღაც არა ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით გაგიყრიდა თვალში თვალს, თითქოს უნდა ერთბაშათ, დროს დაუკარგავათ, შეიჭრას შენი არსების ყველა კუნჭულებში, დღის სინათლეზე სურს გადმოგილაგოს, თუ რამ გაქვს დაფარული და საიდუმლო. ასეთი იყო მისგან ჩემი შთაბეჭდილება, როცა მას 1905 წელს შევხვდი ქუთაისში. ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა, (23 წლის), მას უკვე საპატიო ადგილი ეჭირა პარტიულ იერარქიაში. ორატორის გარეგნულ თვისებას მოკლებული, თვითეული მისი გამოსვლა ლოლიკის რკინით იყო გაჭედილი. მწერლობა და პუბლიცისტიკა არ იყო მისი სფერო, აქ იგი მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს თუ მოკიდებდა კალამს ხელს; მაგრამ გადაუმეტებლად შემიძლია ვთქვა, მისი პუბლიცისტური გამოსვლები ეს გალესილი ნამგალი იყო, რომელიც ბალახსავით ცელავდა მოპირდაპირეს და ყოველივე მისი სიტყვა, თავისუფალი მისი ფრაზა მოწმობდა მირონცხებულ, უტყუარ ნიჭს. დღემდინ არ დამვიწყნია მისი კამათი ფედერალისტებთან მეოთხე დუმის არჩევნების შემდეგ. ასეთი სიძლიერის ფელეტონები იშვიათად თუ ახსოვს ქართულ ჟურნალისტიკას. მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ ხომერიკი განსაკუთრებული ნიჭის მატარებელი პიროვნება იყო. მას შეეძლო იმ სფეროებშიდაც კი, რომელნიც არც შეადგენდნენ მის სტიქიას, ყოფილიყო მძლავრი და შეუდარებელი. წარმოდგენილი უნდა გქონდეს როგორ შლიდა ფრთებს ეს უტყუარი ნიჭი იქ, სადაც იყო მისი მოწოდება. რევოლიუციონური აქცია, აქ ნ. ხომერიკი გახლდათ პირდაპირ ღმერთი. ეს არ არის გადამეტებული დაფასება. ჩვენი პარტიის ისტორიის მკვლევარი უთუოდ ნ. ხომერიკის განსაკუთრებულ ნიჭს მიაწერს ამ პარტიის ორგანიზაციულ სიმძლავრეს. საინტერესოა ამ მხრივ მოვიყვანო ერთი საბუთი, რომელიც ამ გარემოებას მჭერმეტყველურათ ადასტურებს. ავტორი ამ დოკუმენტისა ცარისტულ რეჟიმის პოლიციის დეპარტამენტია. აი, რას წერდა ეს უკანასკნელი ნ. ხომერიკზე: „მისმა დაუღალავმა ენერგიამ, ფანატიკურ გატაცებამ, რკინის ხასიათმა და სრულიათ განსაკუთრებულმა ორგანიზატორულმა ნიჭმა დააყენა ის (ნ. ხომერიკი) კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პირველ რიგებში და იმდენათ გაზარდა ამ

წრეებში მისი ავტორიტეტი, რომ ხსენებული პირი უნდა ჩაითვალოს კავკასიაში რევოლიუციურ მოძრაობის სულის ჩამდგმელათ.“ ეს ატესტაცია ხომერიკის მოღვაწეობის, ჩვენის აზრით, სრულიად ჭეშმარიტი, დეპარტამენტს აქვს გაცემული..... უფრო სამართლიანი დაფასება ხომერიკის პიროვნებისა და მისი როლის მოძრაობაში შეუძლებელია. პოლიციურ განსჭვრეტით ამ დახასიათებაში მოგროვილია ყველა ის ელემენტები, რომლიდანაც შეზავებული იყო ამ რევოლიუციონური მოღვაწის პიროვნება. რასაკვირველია, ამ სურათს აკლია ბევრი შტრიხები და იგი უფრო მოხელის ნაშრომია, ვიდრე მხატვრის ნამოქმედარი; მაგრამ არსებითად ყველა აქ მოყვანილი თვისებანი სწორათ და ფოტოგრაფიულათ არის გადმოცემული. ... გლეხის შვილი, სისტემატიურ განათლებას მოკლებული, ნ. ხომერიკი თითქმის ყოველივე კულტურას მოკლებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოვლენათა ბუნების სწორი დაფასება, შექმნილ პირობებიდან შესაფერ დასკვნების გაკეთება თანდაყოლილ ნიჭის მეოხებით მას ადვილათ ეხერხებოდა.

ადამიანური სითბო, ურომლისოთ უმაღლესი იდეები კარგავს თავიანთ ფასს და ფანატიკურ უმსგავსოებად იქცევა, ხომერიკს ქონდა და ამიტომაც იგი ასე სასარგებლოთ განირჩეოდა სხვებისაგან.

ნ. ხომერიკი ყველა სხვა ლიდერებზე უფრო ევროპიელი გახლდათ, მიუხედვად იმისა, რომ ევროპა მხოლოთ ემიგრაციაში ნახა და ისიც გავლით. მეტი ხანი საზღვარგარეთ ყოფნისა მან სტამბოლში დაჰყო. ამ უსწავლელ, დაბალ წრიდან წარმოშობილ და სარდაფებში აღზრდილ პოლიტიკურ მოღვაწეს ჰქონდა გაგება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საკმაოთ განვითარებული გემოვნება ყოველივე იმისადმი, რაც კულტურულ პიროვნებისათვის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს.... ნ. ხომერიკი ჩემი დაფასებით, ცალგვერდა პოლიტიკური მოღვაწის ტიპათ, რომლითაც ასე მდიდარი იყო ჩვენი პარტია, ვერ ჩაითვლება. ეს გახლდათ დასრულებული, ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოებული ფიგურა და ამიტომაც იგი ცხოვრებას, მის რთულ პირობებს, მის მრავალფეროვნებას უფრო ახლო უდგა და ყოველივე ამაში უფრო ადვილათ ერკვეოდა. სწორედ ამით აიხსნება ის უბრწყინვალესი ფურცელი ამ საინტერესო ადამიანის ცხოვრების. სწორეთ ამან მისცა მას საშუალება საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჯოჯოხეთურ და უძნელეს პირობებში თავი შეენახა, დაქსაქსულ და დაგლეჯილ ეროვნულ ძალებიდან ერთი მთლიანი, შედუღებული ფრონტი შეექმნა და იგი საერთო მტრის წინააღმდეგ მიემართა. ბოლშევიკებიც ამიტომ სთვლიდნენ მას უსაშინელეს მტრათ და მისი ტრაღიკული როლიც დააგვირგვინებაა ამ გმირულ ცხოვრების....

.... იყო თუა არა ჩვენი პარტიის პოზიცია ეროვნულ საკითხში ნიგილისტური? ათასჯერ არა. დავანებოთ თავი პროგრამულ მოთხოვნას. აქ მართლადაც თქვენ ვერ იპოვით კონკრეტულად არამცთუ სეპარაციას, თვით ავტონომიასაც კი, თუმცა, როგორც მოთხოვნა, იქ თეთრზე შავით არის აღნიშნული: ერის თვითგამორკვევის უფლება. იმ დროს, როცა ჩვენი პარტია გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, ეს გახლდთ [მე-]19 საუკუნის მიწურულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის სინამდვილე წარმოადგენდა ისეთ რეაქციონურ უდაბნოს, რომ ყოველნაირი კონკრეტიზაცია ეროვნულ მოთხოვნილებისა, ეს უბრალო ეტიკეტი თუ იქნებოდა და სხვა არაფერი. არავითარი გასავალი ასეთ ფირმას არ ექნებოდა და ის თავიდანვე გაკოტრებულათ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ზოგიერთი ჩვენთან მომეზობლო პარტიების ბედი ამ მხრივ მეტად საგულისხმოა.

პირადათ მე არ მქონია საშუალება ვყოფილიყავი მოწმე ჩვენი პარტიის დაბადების და მისი სინორჩის ხანის; მე მხოლოდ 1903 წელს მივედი სოციალ-დემოკრატიასთან და ისეც მოსკოვში; საქართველოს ორგანიზაციაში 1906 წ. მოვხვდი; ასე, რომ დანამდვილებით არ ვიცი, თუ რატომ სოც. დემოკრატიულმა მოღვაწეებმა აიღეს ხელი ეროვ-

ნულ პროგრამის კონკრეტიზაციაზე; მხოლოდ ის კი შემიძლია ვსთქვა, რომ ტაკტიკური მოსაზრებით, მიზანშეწონილების თვალსაზრისით, ანუ უფრო მკაფიოთ რომ ვსთქვათ, საქმის ინტერესებისდა მიხედვით, ეს იყო ფრიად ბრძნული ხაზი. ვერასოდეს ქართული რიგები სოციალდემოკრატიისა ვერ მოიპოვებდნენ რუსეთის პარტიაში იმ პრესტიჟს და ნდობას, რომლითაც ისინი იყვნენ აღჭურვილნი; ვერასოდეს ჩვენი ხმა საერთო რევოლიუციონურ მოძრაობაში არ იქნებოდა ძლიერი, რომ ჩვენ წამოგვეწვეთა ეროვნული საკითხი; წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებოდით მცირე, უმნიშვნელო წვეთი დიდ ზღვაში. მე არ მინდა აქ ჩემი აზრი ისე იქნეს გაგებული, თითქოს ჩვენის მხრით ეს იყო ერთნაირი მანიოვრი, წინასწარ გაზომილი შემოვლა, რომ დაგვემალა ჩვენი ნამდვილი სახე; სრულებითაც არა. ასეთი ხაზი ლოღიკური დასკვნა იყო ჩვენი მთელი იდეოლოგიის და პრაქტიკის. ის სავსებით ჰარმონიულათ იყო გადაწვნილი საერთო ჩვენ მუშაობასთან. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ ძველი რეჟიმი დაეცემოდა, მას თან მოყვებოდა დაწყვეტა ყველა ბორკილების, ეროვნული იყო ისინი თუ სოციალურ-პოლიტიკური; დემოკრატიულ ძალების დაქსაქსვა, გაერთიანებულ ფრონტის დაშლა საერთო მტრის წინაალმდეგ მიმართულ ძალების დასუტებათ მიგვაჩნდა. ამავე დროს ნამდვილ ეროვნულ საქმეს სათავეში არსებითად სწორედ სოციალ-დემოკრატია უდგა. ვინ გამოიყვანა საზოგადოებრივი ბრძოლა იმ პატრიოტთა ვიწრო წრიდან, რომელშიდაც ის წინეთ იყო მომწყვდეული, თუ არა ამ ახალმა მიმართულებამ, რომელიც შემდეგში სოციალ დემოკრატიულათ იქნა მონათლული? ვინ მისცა ამ ბრძოლას მასიური, ხალხოსნური ხასიათი? ვინ მოუპოვა სამოქალაქო უფლება ქართულ ენას კრებებზე, მიტინგებზე სხვადასხვა ფართო ყრილობებზე? ვინ შეაყვარა ქართული პუბლიცისტიკა, ლიტერატურა ერის უმრავლესობას? ვინ მოახდინა ჩვენი თეატრის პოპულიარიზაცია? ვინ შექმნა და გაზარდა მთელი თაობა სასახელო მებრძოლთა ხალხის წიაღიდან გამოსული? საკმარისია დასვა ეს საკითხები, რომ მიიღო მიუდგომელი პასუხი: სოციალ დემოკრატიამ. იმ სოციალ დემოკრატიამ, რომელიც თითქოს ეროვნულ პროგრამის აშკარათ წამოყენებას გაურბოდა. მე სრულებით არ მინდა დავმალო, რომ ამ მხრივ ერთგვარ ექსესებს არ ქონდა ადგილი, რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენები ამლაშებდნენ; სხვა ეროვნულ ჯგუფებთან ბრძოლაში ხშირად იწერებოდა და ითქმოდა ისეთი რამ, რასაც სხვა პირობებში ადგილი არ უნდა ქონოდა, მაგრამ ეს დეტალია, თუ გნებავთ ეპიზოდია იმ საერთო მდგომარეობასთან შედარებით, რომლის შესახებ ზემოთ მქონდა ლაპარაკი."

გიორგი გვაზავა

სიტყვა კარლო ჩხეიძის დაკრძალვაზე[1]

ბატონებო![2]

„ფოთოლი სცვივა, მაგრამ რჩება ხე. პიროვნება ჰქრება – მაგრამ უკვდავია ერი“ იმ ფოთოლთ შორის, რომელსაც ოდესმე გაუმშვენებია ქართველი ერის სხეული, ნ. ჩხეიძის სახელი დარჩება სამუდამოდ.

ის იყო ბადალი თავისი ერის. მან სიყრმიდანვე დაინახა, თუ როგორ იყო შეჯაჭვული სამშობლო ქვეყანა და მის განთავისუფლებას შესწირა თავისი ძალა და ღონე. ქართველ ერმაც გაიგო მისი გულისცემა და გაგზავნა ის რუსეთში, რომ იქ შებრძოლებოდა მტერს. მტერი იყო ცარიზმი და რუსეთის იმპერიალიზმი, ორი საშინელი ძალა, რომლის ქვეშ კვნესოდა არა მარტო საქართველო, არამედ ბევრი სხვა ერი და თვით რუსეთის ხალხიც. ამ ბრძოლაში ნ. ჩხეიძემ გამოიჩინა დიდი ნიჭი და ენერგია. მას ეჭირა უპირველესი ადგილი რუსეთის რევოლუციაში, რომელმაც დაამხო ცარიზმი და დალეწა ჯაჭვი რუსეთის იმპერიალიზმისა. თავისუფლების სიომ დაჰბერა დატანჯულ ხალხს და დამონებულ ერებს.

აღსდგა საქართველოც. ჩხეიძე ერთხმად იყო არჩეული დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ და გატაცებით შეუდგა ეროვნული ცხოვრების აღნაგებას. ჩხეიძე იყო სოციალისტი, თვალყურს ადევნებდა დემოკრატიის მოძრაობას ევროპაში, მაგრამ არ ივიწყებდა საქართველოს თავისებურ კულტურას და ოცი საუკუნის ბრძოლით მოპოებულ მის უფლებას. მისი ხელმძღვანელობით დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა კონსტიტუცია და ააგო მშვენიერი შენობა თავისუფალი რესპუბლიკისა. ევროპა გაკვირვებული დარჩა ამ შემომქმედი მუშაობით. მან იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, იცნო რუსეთმაც. ღია იყო კარი ერთა ლიგისა, სადაც საქართველოს მოელოდნენ სიმპატიით ყველა განათლებული ერები.

მაგრამ მტერს არ ეძინა. რუსეთის ძველმა იმპერიალიზმმა წამოყო ისევ თავი ბოლშევიკების სახით და თავის ურდოებით თავს დაესხა საქართველოს. მაგრამ დაცემის წინ, დაჭრილმა და სიხლით შეღებულმა ერმა გადასცა თავისი ეროვნული დროშა თავის ერთგულ შვილს – ჩხეიძეს.

ის დროშა ჩხეიძეს ხელიდან არ გაუშვია. იმისი რწმენა იყო ურყევი. საქართველო – ავანპოსტი ქრისტიანული კულტურისა საშუალო საუკუნეებში – გახდა ავანპოსტი თანამედროვე ცივილიზაციისა ჩვენს დროში და პირველი შეებრძოლა ახალ მოდის მონღოლებს. ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკური რუსეთი ემუქრება ევროპას და აშკარა ომს აწარმოებს მის წინააღმდეგ. ამ ომში

---

1 2016 წელს შესრულდა 90 წელი კარლო ჩხეიის გარდაცვალებიდან. ჟურნალი „ქართული ემიგრაციის“ რედაქცია ამ თარიღს კარლო ჩხეიძის დაკრძალვისას გიორგი გვაზავას მიერ წარმოთქმული სიტყვით ეხმაურება.

2 სიტყვა წარმოითქვა ფრანგულ ენაზე. წინამდებარე ქართული თარგმანი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, იხ. ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმე N1494, ფურც. 1-2.

დაიღუპა საქართველო, როგორც მოწინავე რაზმი და მიუხედავად მისი ტერიტორიის დაკავებისა, ეხლაც ანარმოებს შეურიგებელ ბრძოლას.

აი, სწორედ იმისთვის, რომ ევროპას დაენახა ეს ბრძოლა და უფრო მძაფრად ეგრძნო ის ტრაგედია, რომელიც ეხლა ჰტრიალებს საქართველოში, ჩხეიძემ მიჰმართა დანას და გამოიჭრა ყელი. ეს აქტი ნამდვილი თავის განწირვაა, მსხვერპლად მიტანაა თავის სიცოცხლისა იმ ღვთაების საკურთხეველზე, რომელსაც ჰქვიან მსოფლიო შეგნება და სინიდისი.

ამისთანა გაწირულობა უქმად არ ჩაივლის.

რევაზ გაბაშვილი

კავკასიური (თეთრი) რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში
პარიზი, 1967[1]

წინათქმა

ეს ბროშურა ამავე სათაურის წიგნის შემოკლებაა და ავტორისეულ დასკვნებს წარმოგიდგენთ. მინდა აღვნიშნო, რომ ფრანგულ ანბანს „უცხოური" ჟღერადობის შენარჩუნება ყოველთვის არ ძალუძს. ამიტომაც ფრანგული ორთოგრაფიის ერთგულებას უცხოურ სახელთა ფონეტიკური დამწერლობა ვარჩიე. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ვერ მოვახერხე მთლიანი წიგნის გამოცემა, რომელშიც ჩემი მოსაზრებები უტყუარი წყაროებითა და ასობით ილუსტრაციით იქნებოდა დასაბუთებული. ის გავაკეთე, რაც შევძელი.
რ. გ.

ჩემი წიგნი, კავკასიური (თეთრი) რასის[2] წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში, გულმოდგინე მუშაობის ნაყოფია. 1910-1912 წლებში რამდენჯერმე შევხვდი და ვითანამშრომლე არქეოლოგიის, ისტორიისა და ლინგვისტიკის სამ სპეციალისტთან – ივანე ჯავახიშვილთან, ნიკოლოზ მართან და ექვთიმე თაყაიშვილთან. ნაშრომი დაეყრდნო აგრეთვე თბილისის, კონსტანტინოპოლის, ბერლინის, მიუნხენის, პარიზისა და ლონდონის სამუზეუმო მასალების, პარიზში გამოფენილ სპარსეთის, თურქეთისა და ერაყის საგანძურთა[3] შესწავლა-შედარებას. ამას ისიც დავურთოთ, რომ ოცდახუთი-ოცდაათი წლის განმავლობაში შევისწავლე სხვადასხვა ენაზე, „რკინის ფარდის" გადაღმა და გადმოღმა გამოცემული ასობით არქეოლოგის, ლინგვისტის, ისტორიკოსის, ნუმიზმატის ნაშრომები (ნარკვევები, გამოკვლევები).

გაწეულმა მუშაობამ შემდეგ დასკვნებამდე მიმიყვანა:

1. ბიბლიური სამოთხე მესოპოტამიის წყლებს შორის იყო მოქცეული. ერთი მხრივ, მას ესაზღვრებოდა ევფრატი და ტიგროსი (მესოპ. 1), ხოლო მეორე მხრივ – მტკვარი და არაქსი (მესოპ. 2). ოთხივე ეს მდინარე სათავეს (რაც ბუნებაში გამონაკლისია) ერთსა და იმავე შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში იღებს (შესაქმე, მეორე მოთხრობა).[4]

---

1 რ. გაბაშვილის ამ გამოკვლევის ერთი ვერსია სათაურით **„ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში"** დაიბეჭდა 1957 წელს აშშ-ში გამოცემულ ქართულ ემიგრანტულ ალმანახში „კრებული" (მთარგმნელი გივი კობახიძე). ჟურნალ „ქართული ემიგრაციის" რედაქციის თხოვნით, წინამდებარე ფრანგულენოვანი ნაშრომი „L'apport de la race caucasienne dans la civilisation mondiale" თარგმნა **მაია ვარსიმაშვილი-რაფაელიმ** (ბროშურა დაცულია თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში).

2 ტერმინი „კავკასიური რასა" თეთრი რასის აღსანიშნავად დღესაც გვხვდება აშშ-ში. თავდაპირველად იგი იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახმა (1752-1840), გერმანელმა ბიოლოგმა, ექიმმა და ანთროპოლოგმა, გამოიყენა 1795 წელს ნაშრომში ადამიანური მოდგმის ერთობა და მისი სახესხვაობანი (Johannes Fridericus Blumenbach, De generis humani varietate nativa, 1795). მის მიერ გამოყოფილ ხუთ რასას შორის ავტორი კავკასიურ რასას უძველესად მიიჩნევს, ხოლო ქართულ თავის ქალას თეთრი რასის მოდელად ასახელებს (მთარგმნელის შენიშვნა).

3 თანამედროვე ირანს, თურქეთსა და ერაყთან ამ საგანძურის შემქმნელებს 1000-2000 წელი აშორებს და საერთო არაფერი აქვთ.

4 ეს აზრი არც ახალია და არც მე მეკუთვნის. მე მხოლოდ დამატებითი მტკიცებები მომყავს.

2. გავრცელებული აზრის მიხედვით, დღესდღეობით ცნობილი ყველა ხალხი „საიდანღაცაა" მოსული იმ ადგილზე, სადაც ის დამკვიდრებულა. წინააღმდეგ ამ მოსაზრებისა, ზემონახსენები ადგილების (კავკასიის, არარატისა და ზაგროსის ჩათვლით) მკვიდრი მოსახლეობა არსაიდან მოსულა და ადგილზე იშვა ასეულობით ათასი წლის წინათ. იგი განვითარდა და თანდათან განივრცო შუამდინარეთის გაყოლებაზე. პირველი Homo sapiens სწორედ აქ უნდა გაჩენილიყო.
3. ამ მოსახლეობას ჩვ. წ. აღ.-მდე 3000 წლის წინათ ვრცელი ტერიტორია ეჭირა, „კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე, ინდოეთიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე (ესპანეთამდე). იგი შედგებოდა ერთადერთი კავკასიურ-ქალდეური რასისაგან, რომელიც ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე იდგა და ერთ ენაზე მეტყველებდა."[5]
4. ეს „ერთი ენა" (რომელზეც მიგვითითებენ მეცნიერები კლარკი და მარი, ბიბლიური და შუმერული მოთხრობები) ენათესავებოდა კავკასიურ ენებს (ამ აზრს გამოთქვამენ ლეონარდ ვოლეი,[6] ჟორჟ კონტენო,[7] ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ წერეთელი და სხვანი),[8] ასევე ურარტულ, ბაბილონურ-ქალდეურ და შუმერულ ენებს (როგორც ამას ვარაუდობენ მ. წერეთელი, ბ. პოკროვსკი, ლ. ვოლეი, ჟ. კონტენო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და სხვანი). კლარკი, პირდაპირი გაგებით, ამ ენას „პალეოქართულად" მიიჩნევს. ჩვენ უფრო იმ აზრს ვემხრობით, რომ ეს იყო კავკასიურ-ქალდეური რასის ყველა ტომისათვის გასაგები ენა. ენის ცვლილება მხოლოდ ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო და არა ერთბაშად, რაიმე მოვლენის ძალით. ბიბლიის მიხედვით, ეს მოვლენა შეიქნა ბაბილონის კოშკის ნგრევა. სინამდვილეში, ენათა აღრევა თანდათან, საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში ხდებოდა, ტომების სივრცობრივი დაშორებისა და ადგილობრივი იდიომების შერევის გამო. ეს იმით დასრულდა, რომ ადამიანებს ერთმანეთის აღარ ესმოდათ.
5. მრავალი ნიშნის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მესოპოტამიის მეორე ცივილიზაცია (მტკვარ-არაქსის) წინ უსწრებდა პირველ მესოპოტამიურ (ტიგროს-ევფრატის) ცივილიზაციას, თუმცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად იგი ერთი საუკუნით გვიან იქნა აღმოჩენილი.[9]
6. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ დღესაც არსებობს ხალხი, რომლის

---

5 ციტატი ეკუთვნის პიდ კლარკს (1815-1895), ინგლისელ ფილოლოგსა და ისტორიკოსს, ავტორს ნაშრომებისა ეგვიპტური, ხმელთაშუა ზღვის, ავსტრალიური, სამხრეთ ამერიკული, ჰიმალაური და სხვა ენებისა და ცივილიზაციების შესახებ. 1875 წლის ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალში (ტ. 8, გვ. 710-715), დაიბეჭდა კლარკის გამოკვლევა „რამდენიმე კავკასიური ტომის ენის ნარმოშობის შესახებ") (მთარგმნელის შენიშვნა).

6 ლეონარდ ვოლეი (1880-1960), ინგლისელი არქეოლოგი, ურის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი (1919-1934) (მთარგმნელის შენიშვნა).

7 ჟორჟ კონტენო (Georges Contenau 1877-1964), ფრანგი ორიენტალისტი, ლუვრში აღმოსავლურ სიძველეთა განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის კორესპონდენტი (მთარგმნელის შენიშვნა).

8 იხ. ბიბლიოგრაფია.

9 ორი მესოპოტამიიდან გვაქვს ქვის ხანათა (პალეო, მეზო და ნეოლითური ხანების) მონაპოვრები: ტბისპირა ნაგებობათა ნაშთები, კერამიკის, სპილენძის, ბრინჯაოს, ვერცხლის საგნები. ეს მასალა გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ჰალაფის, ობეიდის, სუზის, ანაუს, ჯემდეთ-ნასრის არქეოლოგიურ მონაპოვრებთან. მაშასადამე, იგი შუმერულ-ქალდეურზე უფრო ძველია.

ცოცხალ სამწერლო ენასაც შემოუნახავს არა მხოლოდ შუმერულ-ბაბილონურ-ურარტული ენის სიტყვათა საუნჯე, გამოთქმები, გრამატიკული ფორმები და წესები, არამედ სხვა ცოცხალ ენათა მრავალი სიტყვა და გრამატიკული ფორმაც (რომ აღარაფერი ვთქვათ ცივილიზაციის სხვა განშტოებებთან ნათესაობაზე). ეს ენა ქართული ენაა, რომელსაც გააჩნია სრულყოფილი ანბანი[10] და მდიდარი, მოქნილი, ლოგიკურად აგებული გრამატიკა.

7. ქართველი ხალხი, ერი, სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა ძველი კავკასიურ-ქალდეური რასის ხელახალი აღორძინება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 000 წლის წინ და კიდევ უფრო ადრე, ოთხი რასა – კავკასიურ-ქალდეური, ურ-ურუკ-ქალდეური, ბაბილონურ-კარდუხული და ურარტულ-ქალდეური – განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენდა.[11]
8. ღვთაება ქალდუს სამფლობელო დაუშლელი, მაგრამ სუსტად ორგანიზებული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთობა გახლდათ. იგი მეტ-ნაკლები თანაბრობით იყო გადაჭიმული შავ, კასპიის, ხმელთაშუა ზღვებსა და სპარსეთის ყურეს შორის და შედარებით დაქუცმაცებული ამ ზღვათა გადაღმა. ჩვ. წ. აღ.-მდე მესამე ათასწლეულის ბოლოს იწყება ამ ტერიტორიაზე სხვა რასის, სემიტების, შემოღწევა. შემოქმედებით ნიჭს მოკლებულმა ამ უმცირესობამ, რომელიც ქალდეველთ დაუპირისპირდა, თანდათან ფეხი მოიმაგრა. სემიტები შესანიშნავი ორგანიზაციით გამოირჩეოდნენ, ჰქონდათ კარგი სამხედრო დისციპლინა და შეიარაღება. ისინი თანდათან შეუდგნენ ტერიტორიათა მითვისებას, გაითავისეს ქალდეველთა რელიგია (მხოლოდ სახელები შეუცვალეს ღმერთებს), ხელოვნება, დამწერლობა და მთელი ცივილიზაცია. ამ დამპყრობლებმა „სასტიკ მხედართმთავართა და სისხლისმსმელ ჯარისკაცთა მეტი ვერაფერი შექმნეს."[12] საბოლოოდ, მათ დააარსეს მსოფლიოში პირველი იმპერია, რომელსაც სათავეში სარგონ I ჩაუდგა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ოთხ ზღვას შუა მოქცეულ ოთხკუთხედში იწყება სხვა ეთნიურ უმცირესობათა, სავარაუდოდ ინდო-ევროპელთა,[13] შემოსვლა. ისინი სემიტებთან შედარებით ნაკლებ სისასტიკეს ავლენენ, თუმცა ორგანიზებულობითა და შეიარაღებით მათ არ ჩამოუვარდებიან. ეს უმცირესობები,[14] ერთმანეთს უწყალოდ რომ ებრძვიან, მთელი მეორე ათასწლეულის განმავლობაში ასუსტებენ ადგილობრივ მოსახლეობას და არღვევენ მათ ერთობას ძალით, ხერხით, ცრუ შეთანხმებებითა[15] და სხვა ათასი გზით. მკვიდრი მოსახლეობა რამდენიმე, პოლიტიკურად განსხვავებულ, მაგრამ ეთნიკურად, რასობრივად და ენობრივად მონათესავე, ნაწილად იშლება.

---

10 თითოეულ ბგერას თითო ასო შეესაბამება და თითოეული ასო ცალკე ბგერით გამოითქმის. ქართულს არა აქვს მოკლე და გრძელი ხმოვნები, დიფთონგები, დამატებითი ნიშნები.

11 უძველესი ქართული წყაროების მიხედვით, ქართ(უ)ლოსი იყო პირველი კაცი, ვინც კავკასიაში დაემკვიდრა. მას ახლდნენ თავისი ვაჟები: ლეკოსი ეგროსი და სხვანი (მათი სახელები კავკასიური ტოპონიმებია).

12 გასტონ მასპერო (1846-1916), ფრანგი ეგვიპტოლოგი, ეგვიპტისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, მითოლოგიისა და დამწერლობის მკვლევარი. გ. გაბაშვილის მიერ მოყვანილი ციტატა ამოღებულია ნაშრომიდან M Maspero, Gaston, *Histoire ancienne des peuples de l'Orient classique. Les origines: Egypte et Chaldée*, Paris, Librairie Hachette et Cie, 1895 (მთარგმნელის შენიშვნა).

13 ინდო-ევროპელები კავკასიური მოდგმის სხვა ხალხებთან ნარევს წარმოადგენენ.

14 ასურელები, პიტიტები.

15 ამ საშუალებებს მიმართავს ნებისმიერი იმპერია.

ახალმოსულებმა ნელ-ნელა იწყეს „გაქალდეველება" ანუ ცივილიზაციასთან ზიარება. სანაცვლოდ, ადგილობრივმა მოსახლეობამ მათგან მიიღო სამხედრო ოსტატობა, საბრძოლო გამოცდილება, ძალაზე დამყარებული ორგანიზაცია: ამრიგად, მთელი სივრცე ხმელთაშუა ზღვის მისადგომებიდან მომავალი სპარსეთის შიდა ტერიტორიამდე, ურმიის ტბის ნაპირები დაიკავა „ნაირი"-ს სახელწოდებით გაერთიანებულმა მრავალმა მცირერიცხოვანმა ხალხმა. თითოეული მათგანი ინარჩუნებდა საკუთარი ტომის სახელს და ჰყავდა საკუთარი მეფე.[16]

9. საერთო მტრისაგან – სასტიკი ასურელებისაგან – თავდასაცავად ათობით, ოცობით, სამოცამდე ტომი „სახელმწიფოებად" ერთიანდებოდა. ისინი მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე ამგვარად უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგეს, სანამ საბოლოოდ არ აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა ჩვ. წ. აღ.-მდე 612 წელს. ჩვ. წ. აღ.-მდე პირველი ათასწლეულის დასაწყისშივე ტომთა ერთ-ერთი კონფედერაცია ნამდვილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. თავიდან აქ მეფობა არჩევითობის წესს ეყრდნობოდა, შემდეგ კი ძალაუფლება დინასტიის ხელში გადავიდა, რომელმაც სამასი წელი უწყვეტად იმეფა. დინასტიის აქაური კანონი საქართველოს გარდა არსად განმეორებულა: ყოველი მეფე თავის ძეს არა მხოლოდ მემკვიდრედ აცხადებდა, არამედ ტახტზეც აჰყავდა, თავის თანაბარ უფლება-მოვალეობებს ანიჭებდა და სამეფოს მასთან ერთად განაგებდა.
ეს სახელმწიფო ურარტუ-ქალდიის სახელს ატარებდა. იგი ქალდეური რასის მორიგ ფერისცვალებას წარმოადგენდა და შუმერულ-ბაბილონური ცივილიზაციების ერთგული გამგრძელებელი იყო. მან არაერთხელ იწვნია სირიელთა და ჰიტიტთა მტრობა. სანაცვლოდ, ხელი შეუწყო ძველთაძველი მტრის, ასურეთის, განადგურებას. ურარტუ-ქალდიამ ასურეთის დამხობიდან კიდევ 27 წელიწადს გაძლო, სანამ სპარსელები და სკვითები არ დააქცევდნენ ჩვ. წ. აღ.-მდე 685 წელს.

10. მეორე მესოპოტამიის (მტკვარ-არაქსის) ტერიტორიაზე მხოლოდ 1940-იან წლებში დაიწყო სისტემატური არქეოლოგიური გათხრები. მიკვლეულ იქნა უამრავი ახალი, აქამდე ევროპაში სრულიად უცნობი მასალა. ათეულობით დამსახურებული მეცნიერი, სხვადასხვა ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური დანესებულებები ჩაებნენ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს ტრიტორიზე, ჩატარებულ მეთოდურ გათხრებში. ამ ახალმა მონაპოვრებმა გვიჩვენა არა მხოლოდ უძველეს ცივილიზაციათა თანდათანობითი განვითარება, არამედ გასაოცარი მსგავსება იმ ცივილიზაციებთან (ჰალაფის, სუზის, ჯემდეთ-ნასრის, ანაუს, ჩათალ-ჰუიუკის), რომლებსაც წინარე შუმერულად ვვარაუდობთ. ათასი კილომეტრის მონაკვეთზე, მრავალ ადგილას აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლები: მცირე და დიდი საცხოვრებლები, თავდაპირველი ტბისპირა ნაგებობები, სამარხები, სალოცავები, საკურთხევლები, რკინა-მინის კერები, ქვის, ობსიდის, სპილენძის, ბრინჯაოს იარაღები და ხელსაწყოები, კერამიკა, ორნამენტები და სხვ. ჩვ. წ. აღ.-მდე მე-3, მე-4, მე-5 საუკუნეებით დათარიღებული ეს ძეგლები მსგავსებას ავლენს ჰიდ კლარკის მიერ მითითებულ სხვადასხვა არქეოლოგიურ მონაპოვართან.

11. სავარაუდოა, რომ ეს ცივილიზაცია, მთელი თავისი მოსახლეობით, ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ხშირი ვულკანური ამოფრქვევების შედეგად დაიღუპა. თუმცა მან თავისი არსებობის მრავალი კვალი დატოვა მთელ მსოფლიოში. მეც-

16 „ნაირი" ქართული სიტყვაა, ნიშნავს „მრავალგვარს", „განსხვავებულს".

ნიერებს ჯერ ვერ დაუდგენიათ ვულკანური ამოფრქვევის ზუსტი დრო, თუმცა, სავარაუდოდ, იგი ურარტუს იმპერიისა და ბაბილონია-კარდუხეთის ჩამოყალიბებაზე დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. შესაძლოა, ეს თარიღი წარღვნას ან მონათესავე რასის, შუმერ-ქალდეველთა, გამოჩენასაც კი ემთხვეოდეს.

12. დასკვნისათვის სახარების სიტყვებს გავიხსენებ: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს – ღმრთისა." მოდით, ჯერ „კავკასიური რასის" ძველ სახელწოდებას მივუბრუნდეთ,[17] შემდეგ კი საერთაშორისო განცხადება გავაკეთოთ: აღვიაროთ ნეიტრალურად ის მიწები, სადაც ოდესღაც სამოთხე იყო მოთავსებული (მიწა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ იქ ცხოვრება შეიძლებოდეს). აღვმართოთ იქ საერთაშორისო მუზეუმი, ვთქვათ, ზიგურათის ფორმისა (რომლის ბუნებრივი პროტოტიპებიც უხვად მოიპოვება მთელ კავკასიაში).

შესაძლოა, ეს ადგილი სამოთხედ ვერ გადაიქცეს, მაგრამ იგი უთუოდ იქნება რეალური სამშვიდობო ფაქტი, Pax internationalis, რაც დიდი სახელმწიფოებისა და ათეულობით მეცნიერის თანამშრომლობას მოითხოვს.

გთავაზობთ ჩამონათვალს რამდენიმე ბაბილონურ-ურარტული, იგივე ქალდეური სახელისა, რომელთაც ქართული შესატყვისები მოეპოვებათ:

- **ურა,** სოფლი მესხეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქართულ პროვინციაში.
- **ლარსა,** სოფელი დარიალის ყელში.
- **ქიშში,** სოფელი კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციაში.
- **ბარა-ნუნუ** (კონტენოს მიხედვით), ევფრატის სახელწოდება ჩვ. წ. აღ.-მდე 2030 წელს. ეს სახელი ნიშნავდა პურსა და ღვინოს (აქედანაა წარმომდგარი ფრანგული სიტყვა baragouïner[18]). ჰეროდოტეს მიხედვით, ევფრატს შემდგომ ეწოდა ალასანი. ორივე სახელი, ბარანუნუ და ალასანი, ქართულია. ქართულია აგრეთვე ამ მდინარის აქადეური სახელი, პურატუ.
- **ბაბილონი** ქართულად ბაღ-ვენახს ნიშნავს (რაც ის სინამდვილეში იყო კიდეც). ბაბილონის ოთხი უბნიდან სამს ქართული სახელი ჰქონდა: ბაბილი, კასრი, ხილა.
- მთელი ბაბილონის იმპერია, კარდუხეთი, ღვთაება „ქართუ" ("კარდუ"-ს) სახელს ატარებდა. ქალდეველთა ამ საერთო ღვთაებიდან მოდის საქართველოს დღევანდელი სახელიც.[19]
- ათასწლეულების განმავლობაში შუმერი, ბაბილონელი და ურარტუელი მეფეები თითქმის უცვლელად ატარებენ ქართულ სახელებს.

წარღვნამდელ პერიოდში: ალაგარი, დუმუცი (თამუზი), დუდუ და სხვანი.

ქიშების პირველი დინასტიიდან: გა-ური, გულ-ლა-ნიდაბა, მელამ-ქიში და ა. შ.

ერექის ბიბლიური დინასტიიდან: შუმერთა ურუქი, პირველი მეფე მესკი-ანგ-გაშერი (მესხი, ბიბლიური მოსოხი, ერთ-ერთი ქართული ტომის სახელია).

ამავე დინასტიის მეხუთე მეფე, გილგამეში, კულაბის მეფისწული, ურუქისა და ზიგურათის ამგები, პირველი ეპიური პოემის გმირი.

ურთულ-კალამა.

---

17 ჯერ ერთი, ინგლისელები და ამერიკელები მას კვლავაც „კავკასიურს უწოდებენ. მეორეც, სახელის შეცვლით ფაქტებს ვერ შევცვლით. მესამეც, მესოპოტამიისა და ჩათალ-ჰუიუკის ახალი გათხრების საფუძველზე ეს ადგილები მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად წარმოგვიდგება.

18 baragouïner – ლუღლული, ცუდად და გაურკვევლად მეტყველება (მთარგმნელის შენიშვნა).

19 სა-ქართუ-ელო. ურარტუ, ქალდუ, ხალდეა, მარდუ(ჰ) ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ტრანსკრიფციაა.

ურის მეორე დინასტიის მეორე მეფეს ჰქვია მესკი აგ-ნანნარი, ავანას დინასტიის მესამე მეფეს – მამაგალა, მეხუთეს – კუ. ქიშის ერთ-ერთი მეფეა ნანია, სხვა – ურ-ილ-ბაბა (მეოთხე დინასტიიდან).

ურუკის მეოთხე დინასტიიდან: კუდა, ურ-ნიგინი, ურ-გიგირი, ურ-ბაბარი;

ურუკის მეხუთე დინასტიიდან: უტუ-შეგალი.

ლარსას დინასტიიდან: ზაბალა, აბლსარი, კუდურ-მაგუბი, პატეზისი (მმართველი ქურუმი);

ლაგაშის დინასტიიდან: ურ-ბაუ, ურ-გარი, ლუ-ბაუ, ლუ-გულა, გუდეა, ურ-ნინგინსუ, ურ-ლამა, ურ-ნინა, ენეტარზი, ურუკ-აგინა.

ურარტუს თითქმის ყველა მეფეს ქართული სახელი აქვს: დიდი მენუა, პირველი მეფე – არამე, სადური, რუსა. აქვე გავიხსენოთ კიკულია, ცხენის პირველი გამხედნი, რომელმაც ცხენის წვრთნის სახელმძღვანელო დაწერა და სკოლაც გახსნა. ურარტუს იმპერიის შვიდივე პროვინცია და თითქმის ყველა მეორეხარისხოვანი ადგილი ქართულივე სახელებით იხსენიება: შუბი, ზარანდა, დალა, ბარი, არმარილი, აიადი, უაიალს, ბლაიანა (შვიდი პროვინციის საერთო სახელი), ჰუბუშკია, ალაბრია, სუხუმი, ხანი, ჭილაია, ტაო-ხი, სურა და ა. შ.

– ჰურიტები (წარმოითქმის: ხურიტები), ვინც შემდგომ ურარტუს იმპერია შექმნეს, მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ჯერ-ჯერობით გამოკვლეული არ არის, საიდან მოდის მათი სახელი. სამაგიეროდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სახელი (ეს მარცვლები) საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში: ურია, ურო, ხარო და ა. შ. შესაძლოა, „ურ"-ის ჩარჩენილ ხსოვნასთანაც გვქონდეს საქმე. ამ მარცვლის ხმარება მეტად ხშირია: ურბნისი, ურაველი, ურ, ურუკი, ურატაძე, ურუშაძე.... ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა კიდევ. ზოგიერთი მეცნიერის (აკადემიკოსი ბაშმაკოვი და სხვანიც) მოსაზრებით, ჰურიტებმა, სანამ ურარტუს იმპერიას დააფუძნებდნენ, შექმნეს უზარმაზარი სახელმწიფო „ურარტუ I", რომელიც არზრუმამდე აღწევდა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებოდა.

ძირითადი ბიბლიოგრაფია:

კონტენო, ჟორჟ, არქეოლოგიის სახელმძღვანელო, ტ. 4. მცირე აზიის არქეოლოგიის მიმოხილვა (Contenau, Georges, Manuel d'archéologie, t. 4, Abregé d'archéologie de l'Asie Mineure).

ჯავახიშვილი ივანე, ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების საკითხებზე.

მარი ნიკოლოზ, იაფეტური თეორია და სხვა გამოქვეყნებული ნაშრომები.

ვოლეი ლეონარდ (C.L. Woolley, „Vor 5 000 lahren auagrabungen von Our (Chaldäa), Geschichie und leben der soumerer; 2) Our.

თაყაიშვილი ექვთიმე, კვლევათა ტომი.

პარო ანდრე, მესოპოტამიის არქეოლოგია (ეტაპები), 1946, შუმერი, წარღვნა, ბაბილონის კოშკი, ნინევია და სხვ. (Parrot, André, Archéologie mésopotamienne (les

étapes), 1946, Sumér, Le Déluge, Tour de Babel, Ninévie...).

წერეთელი მიხეილ, გილგამეში, 1924, ქართული ენის შედარება შუმერულთან და სხვ.

წერეთელი გიორგი, ურარტუ და ურარტუს ენები.

მელიქიშვილი გიორგი, გამოკვლევა საქართველოსა და ურარტუს ისტორიის შესახებ.

ლემან-ჰაუპტი (Lehmann-Haupt), ნაშრომები სომხეთისა და ურარტუს შესახებ.

ბედრიჩი, ჰროზნი, წინა აზიის, ინდოეთისა და კრეტის ისტორია, 1947 (Bedrich, Hrozny, Histoire de l'Asie antérieure, de l'Inde et de la Crète, Paris, 1947).

ადონცი ნიკოლოზ, სომხეთის ისტორია, 1946.

ბაშმაკოვი ალექსანდრე, შავი ზღვის ცივილიზაციის ორმოცდაათი საუკუნე. სკილაქსისა და არიანის პერიპლუსი.

გრუსე რენე (Grousset, René), სომხეთის ისტორია.

მორგანი დე ჟაკ (Morgan de, Jaques), სომხეთის ისტორია.

ხორენეცი მოსე, სომხეთის ისტორია.

ჩუბინაშვილი ტარიელ, მტკვარ-არაქსის მესოპოტამია.

კუფტინი ბორის, თრიალეთის გათხრები, 1941; 2) ურარტუ.

პიოტროვსკი, კარმირ-ბლური, ურარტუ და სხვ.

კრუპნოვი, მეშჩანინოვი, სმირნოვი, უვაროვი.

ბალტრუშაიტისი იურგის, შუმერული ხელოვნება და რომანული ხელოვნება (Baltrusaitis. Jurgis, Art sumérien et art roman, Paris, 1934; 2) დიდი წიგნი.

დუმენილი მალაარტი, ჯეიმს, ბიბლია, ჰომეროსი, ჰეროდოტე, პლუტარქე, ქსენოფონტე, სტრაბონი, ბეროსი, ქართული ანალები და სხვ.

ნანა ლომიძე

ქართული ემიგრაციის ხმა რადიოში

ირანში, ფერეიდუნ-შაჰრიში, რომელსაც იქაური ქართველები მარტყოფს ეძახიან, გასული საუკუნის 50-იანი წლებში, შეგროვდებოდნენ იმ ოჯახში, სადაც კარგი რადიომიმღები ჰქონდათ და უსმენდნენ გადაცემებს ქართულ ენაზე...

იმ დროს საქართველოს რადიოსადგურიდან სიგნალს აგზავნიდნენ მოკლე ტალღების საშუალებით, ძირითადად ირანისა და თურქეთის მიმართულებით, სადაც რადიომსმენელს საშუალება ჰქონდა მოესმინა გადაცემები უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის. სწორედ ამ გადაცემების მოსმენას ეშურებოდნენ ფერეიდნელი ქართველები, რაც ირანის მთავრობის მიერ აკრძალული იყო, აკრძალული, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის პროდუქტი; არ ვიცი, ამ წარმატებული პროპაგანდის გამო თუ XVII საუკუნიდან წინაპრების დანაბარების ასასრულებლად, 1970-იან წლებში საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად ფერეიდნელ ქართველთა რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა. სწორედ მათი ლიდერი, ქართული ენაზე, ისტორიაზე, სამშობლოზე შეყვარებული და მის თავისუფლებაზე მეოცნებე ბატონი რეზი მიქელაძე მიამბობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის რადიოს, ქართულ სიტყვას, ლექსს და მუსიკას, რომელსაც ამ „ჯადოსნური ყუთიდან" ისმენდნენ...

ქართულ რადიოში ამ მიმართულების გადაცემებს თავიდანვე ამზადებდნენ მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის მცოდნე ადამიანები, რომელთაგან ძალიან კარგად ვიცნობდი ბატონ შამილ ჭიაბრიშვილს, ნიჭიერ ჟურნალისტს, პროფესიის ერთგულ, არაჩვეულებრივი ტაქტის მქონე, რადიოში გამორჩეულ ინტელექტუალს; ქალბატონ გულნაზ გელოვანს, იმ რეპრესირებულ გელოვანთა შთამომავალს, რომელთა სახელის ხსენება, განსაკუთრებით ვარლამ გელოვანის, კომუნისტების მიერ აკრძალული იყო, მაგრამ ეს ადამიანები ახერხებდნენ ყოველდღიურ დისიდენტურ საქმიანობას კომუნისტური მანდატის ქვეშ; ყველა, ვინც მათთან ისურვებდა მუშაობას, გაფრთხილება იყო ასეთი – აქ გამორიცხულია ხუთწლედებზე, სოცშეჯიბრსა და სხვა სისულელეებზე წერა, რადგან ჩვენ ვისაუბრებთ ადამიანებთან, რომელთაც სურთ თავისი ისტორიული სამშობლოს – საქართველოს გაცნობა, ქართული ენის შესწავლა. გადაცემები მზადდებოდა ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველთათვის. იმ პერიოდიდან კარგად მახსოვს ახალგაზრდა ჟურნალისტების დისიდენტობა ამ რედაქციაში: ტექსტის გაპარება ეთერში, ურთიერთობა პროფესიონალ და თავისი სამშობლოს პატრიოტ ადამიანებთან...

მაშინ, 80-იანი წლების პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ აკრძალული იყო უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ხსენება, ამ თემაზე რადიოს ეთერში „ზომიერების ფარგლებში" საუბრობდნენ აპრობირებული ავტორები – თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი ადამიანები თავიანთი უცხოეთში მოგზაურობების აღწერით; პატრიოტულ მოტივებზე ამახვილებდნენ ყურადღებას ფერეიდნელი ქართველები, ბატონები რეზი მიქელაძე და ალი ბათუაშვილი, გამოჩენილი მეცნიერები ჯემშიდ გიუნაშვილი და ნოდარ ჯანაშია ქართულ-სპარსულ და ქართულ-თურქულ გაკვეთილებში და ეს შემიძლია დავასახელო რეალური თავისუფალი გამოსვლების დასაწყისად, რაც 80-იანი წლების ბოლოს ქართულ მედიაში შესამჩნევი ხდებოდა.

ყველაზე მეტად, რამაც გული დამწყვიტა და ბევრ რამეზე დამაფიქრა, იყო აბსოლუტური იზოლაცია უცხოეთიდან ჩამოსული არა მარტო ქართველი, უცხოელი სტუმრებისაგან; მახსოვს, როგორ მინდოდა, ჩამეწერა ბატონ ქრისტეფორე კირკიტაძისა და მისი მეუღლის მიერ გერმანიიდან ჩამოყვანილი ბავშვები, მაგრამ რატომღაც მათთან შეხვედრა შეუძლებელი აღმოჩნდა...

შემდეგ იყო 90-იანი წლები; პირველი, რაც პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ რადიოსგან მოითხოვა, იყო ის, რომ გაძლიერებულიყო ქართულ ემიგრაციაზე მიმართული გადაცემები და საქართველოს რადიოს დაეწყო ინგლისურენოვანი მაუწყებლობა; ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდა მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე, ბატონი ნოდარ გაბაშვილი და ორ თვეში დაიწყო კიდევ ინგლისურენოვანი რადიოგადაცემები.

90-იანი, გამოფხიზლების და ახალი ფორმაციის წლები იდგა ქვეყანაში; ქართული ემიგრაცია გაფაციცებით თვალს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს; ამ პუბლიკაციაში ჩემი მიზანი არ არის იმ დროის პოლიტიკურ მოვლენათა აღწერა-შეფასება; თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ყველაფერმა ჩვენს სამსახურზე, მაშინდელი ტელერადიოკომიტეტის შენობასა და თანამშრომლებზე გადაიარა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ბევრი რამე ძნელად გადასატანი შეიქნა...

ჩვენს თვალწინ ჩნდებოდა თავისუფლება და მისი იმდენი პერიპეტია, რომ იგი ისევ ისე შორეული და მიუწვდომელი გვეჩვენებოდა. ხალხი ვერ გარკვეულიყო, როგორ უნდა შეხვედროდა მას.

1992 წელი. ძნელია აღწერო, როგორ დუღდა ყოველი დღე; როგორ ირეოდა ტყუილ-მართალი და ყველაზე მეტად იჩაგრებოდა ასე ნანატრი თავისუფლება, თვალებგაფართოებული ჩვენი ხალხი კი მის მუდმივ მოლოდინში რჩებოდა..... ხალხი მიტინგებზე, აქციებზე, პარტიებში, დაჯგუფებებში, ქუჩებში... და ისევ ომში საკუთარი თავის წინააღმდეგ... ეს ისმოდა და ჩანდა მასმედიაში, ქართულ რადიოსა და ტელევიზიაში, რომელიც ძალას იკრებდა სამოქალაქო ომის შემდეგ, რადგან ნდობის დაკარგვა მაშინ მას უფუნქციოდ გადააქცევდა. იმ პერიოდში ტელერადიოს ახალი ხელმძღვანელები რეფორმებზე ფიქრობდნენ, ოღონდ არა რადიკალურზე, რაც ხშირად ვერ ამართლებს მიზანს; რადიოს დირექტორის ვახტანგ ნანიტაშვილის მუდმივი ზრუნვის საგანი მთელი რადიო, მაგრამ მაინც საინფორმაციო „პიკის საათი" იყო; როდესაც ჩემი დიდი ხნის ფიქრი და ნატვრა გავუმხილე, დაფიქრდა, მერე მკითხა:

– რა გინდა თქვა გადაცემაში?
– რა არის პატრიოტიზმი
– ემიგრანტებს ათქმევინებ?
– რა თქმა უნდა; უნდა ვუამბოთ ემიგრაციის ისტორია და თანამედროვე-

ობა, მათი განწყობა; ხალხმა ბევრი რამ არ იცის, ისიც არ იცის, რატომ გადაიხვეწა ნოე ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში.

– ნოე ჟორდანია ვინ არის იცის?... კარგი. რა რესურსი გაქვს?

– ემიგრანტების აქ დარჩენილი ოჯახის წევრები, პუბლიკაციები, ემიგრანტებიც ჩამოვლენ, ბატონი რეზო თაბუკაშილის რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, ბატონი ირაკლი ონოფრიშვილისა და გურამ პატარაიას ფილმები, და, რაც მთავარია, ბატონი გურამ შარაძე! ახლახან მისი წიგნიც გამოვიდა.

– მიმართულებები, კონკრეტულად?

– ნარკვევები ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ემიგრაცია, ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველები, ქართველი ებრაელები, საქართველოში უცხოელთა დიასპორა.....

– რამდენი წუთი გინდა?

– ჯერ 30

– პერიოდულობა?

– ჯერ კვირაში ერთხელ...

– კარგი, დაწერე პროექტი.

მახსოვს, ამ შეთანხმების შემდეგ, დერეფანში ფრთებშესხმული მოვქროდი, ყველას ახალ გადაცემაზე ვუამბობდი.

– შენ რა, რადიოს გურამ შარაძე გინდა გახდე? – არ ვიცი, რა განწყობით მითხრა ჩემმა კოლეგამ, მაგრამ მომეწონა;

– მეორე დღეს კი ვახტანგმა მაჩვენა 100-მდე აუდიოჩანაწერის ჩამონათვალი, გურამ შარაძემ ჩამოიტანა, მიუნხენში, რადიო „თავისუფლებაში" მუშაობდა მისი ავტორი, კარლო ინასარიძეო, მითხრა და თავისებურად ჩაიცინა, რა მაგრად დაემთხვა ამ გადაცემის დაწყებასო.

– მისი კარიერაც კარგად იწყებოდა – იყო თანამედროვე მენეჯერი, ყველა უნარ-ჩვევებით განსაკუთრებულ ნიჭთან და პროფესიონალიზმთან ერთად; რადიო მუშაობას იწყებდა ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ვმუშაობდით 2004 წლამდე, ვიდრე ახალი ხელისუფლების მითითებით, არ გამათავისუფლეს სამსახურიდან, შემდეგ ვახტანგი და თითქმის მთელი რადიოც, მაგრამ ეს სხვა განსჯის საგანია.

.....მანამადე იყო პირველი გადაცემა – 1992 წლის 23 აპრილი

რადიოპროგრამა „გზა." ინტერვიუ გურამ შარაძესთან.

ეს ჩანაწერი, ისევე როგორც ბევრი სხვა, საზოგადოებრივი რადიოს ფონდში ინახება; მას ახლა ჟურნალის მკითხველს ვთავაზობ:

– ბატონო გურამ, თქვენს სახელს ბევრი დღეს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს უკავშირებს. გვიამბეთ, როდის დაინტერესდით ემიგრაციის კვლევით და ვინ იყო პირველი ქართველი ემიგრანტი, რომელსაც თქვენ შეხვდით?

– ძალიან უჩვეულოდ დაიწყო ეს და მოულოდნელად; მე გახლდით 1981 წელს ინგლისში, კერძოდ, ოქსფორდში, იქ დაცული ილია ჭავჭავაძის არქივგასაცნობად; მაშინ ვმუშაობდი ილიას თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაზე და მივლინებული ვიყავი ოქსფორდში. ჩემი იქ ყოფნა დაემთხვა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ბარეტის 65 წლის იუბილეს; ოქსფორდის უნივერსიტეტის რექტორმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა მიმიწვია ბარეტის საიუბილეო სალამოზე, სადაც გამოაცხადა, რომ ჩვენს შორის არის მეცნიერი საქართველოდან, გურამ შარაძეო. სალამოს ოფიციალური ნაწილის შემდეგ შვედურ სუფრასთან მიგვიწვიეს და ჩემთან მოვიდა ქართველი კაცი, რომელიც ასე გამეცნო

– მე გახლავართ ნოე რამიშვილის ვაჟი, კაკი რამიშვილი.

– წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და სიხარული, ლეგენდად ქცეული ნოე რამიშვილის ვაჟთან შეხვედრის! მას ახლდა მეუღლე, ასევე ქართველი ქალბატონი მაიკო კვალიაშვილი


– ბატონო გურამ, – მითხრა, – ჩვენ ახლა შვედური სუფრა გვინდა? წავიდეთ იტალიურ ან ბერძნულ რესტორანში, სადაც ქართულთან მიახლოებულ კერძებს ამზადებენ და ქართულად ვიქეიფოთო. მართლაც, წავედით იტალიურ რესტორანში და ბატონი დევიდ ბარეტი ქართულად გავაცილეთ პენსიაზე. შემდეგ ბატონმა ბარეტმა დაგვპატიჟა თავის სახლში, რომელიც არის ჩერჩილის საგვარეულო მამულში, მალბოროში, ოქსფორდთან ახლოს. იქ ბატონმა აკაკიმ თავისი მანქანით წამიყვანა. ეს იყო დაუვიწყარი საღამო.....ვარ ინგლისში, ინგლისელის ოჯახში, ვლაპარაკობ ქართულად, ჩართულია ძველი ქართული ფირფიტები მთელი ხმით... და ჩემს თავს ვეუბნები, რომელი ქვეყნის შვილი ხარ შენ, რომ შენი სამშობლო ასე შეიყვარა ინგლისელმა კაცმა და მას უძღვნა მთელი მისი მეცნიერული და ადამიანური ცხოვრება... ეს არის განუმეორებელი გრძნობა.

შემდეგ ბატონმა აკაკიმ თავის სახლში მიმიწვია; იგი ცხოვრობს ჩელზის უბანში, სადაც მილიონერი რომ იყო, მაგრამ არა შესაფერი სოციალური მდგომარეობის, ვერ იცხოვრებ. მას კი მისცეს უფლება, ეცხოვრა ამ უბანში. მის სახლში ყურადღება მიიქცია თითქმის ძონძებად ქცეულმა, კედლის ხალიჩამ. ბებიას მოქსოვილიაო, – თქვა ბატონმა აკაკიმ, ჩემი წინაპრების სუნთქვას ეს ხალიჩა მაგრძნობინებსო. შემდეგ შემიყვანა ბიბლიოთეკაში და იქ შემეყარა მე ბაცილა ქართული ემიგრაციის ლიტერატურის. აკაკიმ მაჩუქა რამდენიმე გამოცემა. იქვე გავიგე პირველად ქართული ემიგრანტული არქივის ბედი, რომლის ნაწილი პარიზშია და ნაწილი ამერიკაში, სადაც 2004 წლამდე თუ არ გამოისყიდის საქართველო, დარჩება მათ საკუთრებაში და სამუდამოდ დაიკარგება ჩვენთვის.

ჩამოვედი ამერიკიდან და არქივის შესახებ ვუამბე ედუარდ შევარდნაძეს; შემეკითხა, რომელ წლამდეა გამოსყიდვის ვადაო? – 2004 წლამდეთქო, აბაო, 2004 წლამდე კომუნისტების სახსენებელი არ იქნება აქო და ისინი თვითონ ჩამოიტანენ არქივს, მაგის დარდი ნუ გექნებაო. გავოცდი. ეს იყო 1981 წელი და ამას მეუბნებოდა საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი.

– ჩვენ დავიწყეთ რადიოგადაცემები ქართულ ემიგრაციაზე და თქვენი დახმარებით რადიომსმენელებს გავაცნობთ ისტორიული და თანამედროვე ემიგრაციის წარმომადგენლებს.

– ადრე მე ჩამომქონდა წიგნები და ახლა კი შევუდექი ხმების შეგროვებას; ამაში დიდი დახმარება გამიწია ბატონმა კარლო ინასარიძემ. იგი გახლდათ რადიო „თავისუფლების" ქართულ გადაცემათა განყოფილების დირექტორი წლების მანძილზე; პირველი დირექტორი იყო რაჟდენ არსენიძე, ყოფილი ფინანსთა მინისტრი, მის შემდეგ მუშაობდა იქ კარლო ინასარიძე, რომელიც შესანიშნავი რადიოჟურნალისტია; მან შეაგროვა უნიკალური არქივი და გადმომცა მე. ეს დიდი ტვირთია; პერიოდულად მომქონდა, წელს კი მარსელში დავტვირთე გემ „თბილისზე" და ჩამოვიტანე. დიდი საქმე გააკეთა ბატონმა კარლომ – აღბეჭდა ჩვენი წინაპრების ხმები და ჩვენ გადმოგვცა. ალბათ, ეს არქივი უნდა შევიდეს ქართული რადიოს ოქროს ფონდში. კარლოს შემდეგ, ახლა იქ მუშაობს გულნარა პატარიძე-ურატაძისა. იგი ქართველი ემიგრანტების შვილია, თბილისში ცხოვრობს მისი უფროსი ძმა არჩილი. თვითონ დიდი სურვილი აქვს, რომ საქართველოში ჩამოვიდეს."



კარლო ინასარიძე



და-ძმა გულიკო და არჩილ პატარიძეები

ეს დიალოგი ბატონ გურამ შარაძესთან 1992 წლის აპრილში ჩავწერეთ, მალე, იმავე წლის 26 მაისს გულნარა პატარიძეც ჩამოვიდა სამშობლოში;

– ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შინ დავბრუნდი..... მითხრა პირველ ინტერვიუში, – არა, აქედან არც არასოდეს წავსულვარ.....

ამის შემდეგ იგი რამდენჯერმე მივლინებით ჩამოვიდა საქართველოში და შექმნა რადიო „თავისუფლების" თბილისის ბიურო;



გულიკო პატარიძე ძმისშვილ თამაზ პატარიძესთან ერთად სტალინის მუზეუმში

გულიკოს ვხვდებოდი მისი ძმის, საქართველოს დამსახურებული ექიმის, ბატონ არჩილ პატარიძის ოჯახში; მისი უფროსი ვაჟი თამაზ პატარიძე, რომელიც მაშინ გაერთიანება „ბახტრიონის" დირექტორი იყო, ხშირად უსმენდა ჩვენს რადიოგადაცემას და

გვეხმიანებოდა ტელეფონით, გვიამბობდა თავისი ოჯახის ისტორიას. მისი მეუღლე შორენა ლორთქიფანიძე, მშვენიერი ქართველი ქალი, შვილებთან ერთად ოჯახის ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ახლაც, როდესაც აღარ არიან არჩილი და მისი მეუღლე მარიკა.... სწორედ რძლის შესახებ წერდა პარიზიდან ელისე პატარიძე ვაჟიშვილს – მართლა გადაბრუნებულა მაქ ყველაფერი, თორემ თავადი სუმბათაშვილი შენ, გლეხს, ქალს როგორ გამოგატანდაო?!

გულიკო პატარიძეს არჩილის ოჯახის მიმართ დიდი სიყვარული ჰქონდა; რამდენჯერ შევსწრებივარ უფროსი ძმისადმი გამოხატულ განსაკუთრებულ სითბოს, – ეს მარტო იყო აქ, დედამისთან ერთად, მამის გარეშე, ვინ იცის, რამდენი სიძნელე და გასაჭირი ნახაო, მეუბნებოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრის ელისე პატარიძის უფროსი ვაჟი არჩილი, 4 წლისა, დედასთან ერთად თბილისში დარჩა 1921 წელს, რადგან მეუღლე სოფიო არ გაჰყვა ელისეს ემიგრაციაში; 1990-იანი წლებიდან არჩილს, შემდეგ კი თამაზ პატარიძესა და მის ოჯახს ხშირად სტუმრობს არჩილის უმცროსი ძმა, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოთარ პატარიძეც.

ვფიქრობ რომ, პატარიძეთა დიდი, ღირსეული ოჯახის ისტორია შინ და საზღვარგარეთ, არ არის სრულყოფილად აღწერილი; მათ შესახებ ეპიზოდები დევს რადიოში, რაც ახლო მომავალში ერთ მთლიან ნაწარმოებად გვინდა წარმოვადგინოთ.

მივყვეთ ბატონი გურამ შარაძის ინტერვიუს და ეპიზოდს, როდესაც კარლო ინასარიძის რადიოარქივი გემით მარსელიდან ჩამოიტანა... სწორედ ამ ჩანაწერებში იყო გრიგოლ რობაქიძის მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი, ვიქტორ ნოზაძისა და მიხაკო წერეთლის, ნოე ჟორდანიას, ვარლამ ჩერქეზიშვილის, გრიგოლ ურატაძის, ელისე პატარიძის და სხვათა 100-ზე მეტი აუდიოჩანაწერი – ინტერვიუები, რეპორტაჟები გასული საუკუნის ქართული ემიგრანტული ისტორიის მატიანე.



გურამ შარაძე მიუნხენის ქართველებთან

– რადიომსმენელს აინტერესებს ამბავი, რასაც ისმენს და პიროვნება, ვინც გასული საუკუნის დასაწყისის ქართულით ესაუბრება, იმ ღირებულებებზე, რაც ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის მრწამსსა და პატრიოტულ მოტივს განსაზღვრავს; ვინ არიან ეს ადამიანები წარსულიდან, საიდან, რო-

გორ? – კითხულობს იგი და მათთან დიალოგში ცოცხლდება ემიგრაციის ისტორია რადიოში.

და აი, მნიშვნელოვანი ეპიზოდი – „ისევ სამშობლოში ნახევარი საუკუნის შემდეგ, უფრო ზუსტად 56 წლის, 6 თვისა და 11 დღის შემდეგ, რაც წარსულში მოგზაურობად მესახება" – იტყვის ბატონი კარლო ინასარიძე, მეუღლესთან, თინა პატარიძესთან ერთად 1996 წლის 18 სექტემბერს სამშობლოში დაბრუნებისას; აეროდრომზე უამრავ ნათესავ-მეგობართა შორის ჩვენც ვიყავით.

„როცა თვითმფრინავიდან გამოვედით და უამრავი ხალხი დავინახეთ ტელეკამერებითაც კი, გავიფიქრეთ, ალბათ, რომელიმე ცნობილი პიროვნება ჩამოვიდა თბილისში-თქო, მაგრამ, როცა უკან მივიხედეთ და ჩვენს მეტი არავინ იყო, გაგვიკვირდა, ნუთუ ჩვენ ვართ ეს?...." გაიხსენა კარლო ინასარიძემ.

ბატონი გურამი გადაეხვია მეგობარს და იქვე წარმადგინა – ნანა ლომიძე, საქართველოს რადიო... ბატონი კარლოს გულთბილი შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება; მოკითხვასთან ერთად, მადლობა მითხრა; მერე უფრო ვრცლად მესაუბრა. ძნელია ჩვენი პროფესია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანიო, მითხრა, რამდენიმე თვის შემდეგ კი პარიზიდან თავისი შრომების ტომები გამომიგზავნა პუბლიცისტიკის, რადიოსა და ტელევიზიის, ხელოვნების სფეროში, აგრეთვე ემიგრაციის ისტორიის მნიშვნელოვანი გამოცემები; ეს ყველაფერი გამოსაცემად მზადდება, რაც საზოგადოებას ბატონ კარლო ინასარიძის სრულ შემოქმედებას წარმოუდგენს.


ფრაგმენტი მისი ნაამბობიდან: „...ვცხოვრობდი უმთავრესად მიუნხენსა და პარიზში; შევქმენი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები...და განვიცადე რა ცხოვრების აღმართ-დაღმართის ყველა საფეხური ფიზიკური სიკვდილის გარდა, არაერთხელ ჩავუფიქრდი ცხოვრების დედააზრს; სად არ ვყოფილვარ, რომელი ქვეყანა არ მინახავს არა მარტო ტურისტის თვალით, მაგრამ ვფიქრობ და მჯერა, რომ სამშობლოს შემცვლელი ქვეყანა არ არსებობს, თვით ე.წ. "მეორე სამშობლოს" ჩათვლით. სამშობლო ერთია და ამით არის ძვირფასი, თუმცა 'მეორე სამშობლო" განსაზღვრულ ზნე-ჩვეულებს ქმნის ჩვენში, რაც დედა-სამშობლოს სიყვარულს კი არ აგრილებს, არამედ ამდიდრებს."

როგორც აღვნიშნე, რადიოგადაცემა ემიგრაციის თემებზე 1992 წლიდან დაიწყო; ყველამ იცის, განსაკუთრებით მაშინდელმა რადიო და ტელემაყურებელმა, ეს რა მძიმე ხანაა საქართველოსთვის; ჯერ კიდევ მუშაობდა „ხაზის რადიო" და უშუქობისას იგი იყო კარგი ინფორმატორი; ამ დროს რადიო გადაცემებში მოთხრობილი – სამშობლოდან გადახვეწილ პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერთა, მწერალთა, სტუდენტთა და ბედისანაბრად დარჩენილ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების ეპიზოდები რადიომსმენელს თანაგრძნობის, დახმარების, თანამონაწილეობის განცდას უჩენდა, ყოველივეს კი თან ახლდა ფიქრი გაჭირვების და სიძნელის გადალახვის საშუალებებზე; მაგრამ ამავე დროს ადამიანების აზროვნებას სულ უფრო იპყრობდა ილუზიები უცხოეთში უკეთესი ცხოვრების შესახებ...

იმ პერიოდში უცხოეთში თანამედროვე ქართული ემიგრაცია მცირერიცხოვანი იყო და უმეტესად რუსეთში იყრიდა თავს; მაგრამ მზადდებოდა პოლიტიკური ემიგრაციის ახალი ტალღა და მალე ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გაჩნდნენ ისინი, ძირითადად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის წევრები, მისი მხარდამჭერები, მათთან ერთად მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის წარმომადგენლები, ახალგაზრდები. ემიგრაციაში მიდიოდნენ თანამედროვე ქართველები, ჩვენ კი სწორედ იმ დროს რადიოს საშუალებით ვცდილობდით სამშობლოში დაგვებრუნებინა 1921 წლის შემდეგ ემიგრაციაში წასული ჩვენი თანამემამულეები.



ვიქტორ ნოზაძე



ირაკლი ჯაფარიძე, ლევან ზურაბიშვილი და ვიქტორ ნოზაძე ლევილის მამულში.

– ვიქტორ ნოზაძის ინტერვიუ ჩაწერილი ლევილში, 1973 წლის 17 სექტემბერს კარლო ინასარიძის მიერ:

– ბატონო ვიქტორ, თქვენ დღეს 80 წლის შესრულდით, მიაღწიეთ, ასე ვთქვათ, სიბრძნის ასაკს, რას იტყვით გავლილი წლების შესახებ?

– სიბრძნის ასაკს მე ახლა კი არ მივაღწიე, არამედ 1921 წელს, როდესაც ვიყავი ლონდონში და გავიგე, რომ საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ იქ არ დავბრუნდი; ეს იყო ჩემი სიბრძნე. იმ დღიდან მე ჩავდექი საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში. ეს არის ჩემი მიზანი, რომელსაც ბოლომდე მივყვები

– გვაინტერესებს გავლილი გზის მთავარი მომენტები.

– ვიბრძოდი არა მარტო სიტყვით, საქმითაც, რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. ეს ხელს არ მიშლიდა, პარალელურად მემუშავა „ვეფხისტყაოსნის" საკითხებზე; ეს დიდი სამუშაოა, რომელიც დღემდე გრძელდება და თუ ვიცოცხლებ, გავაგრძელებ.

– თქვენ გამოეცით „ვეფხისტყაოსნის" განკითხვანი 5 ტომად, ახალი წიგნიც გაქვთ მზად...რას იტყვით ამ წიგნზე?

– მე რა უნდა ვთქვა, უნდა თქვას იმან, ვინც წაიკითხა და გაეცნო ამ შრომებს.

– თუ გაქვთ გამოხმაურება.

– როგორ არა, მეცნიერები ხმარობდნენ ნაწყვეტებს ამ წიგნებიდან, მაგრამ იქ, საქართველოში ჩემი სახელის ხსენება აკრძალულია და არ მახსენებენ.

– მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?

– რა გითხრათ, „მიჯნურთმეტყველება" მაქვს მზად, მაგრამ არ დაიბეჭდა, გაისად დავბეჭდავ. ძნელია წიგნის დაბეჭდვა აქ, საქართველოში უფრო ადვილი ყოფილა.

– თქვენ მუშაობდით ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე, როგორ მიდის საქმე?

– მადლობა ღმერთს, დასრულდა. მალე გამოვა წიგნი.

– როგორც ვიცი, ამ წიგნში არ არის დასახელებული თქვენი გვარი.

– ჩემი სახელი აკრძალეს მას შემდეგ, რაც მე არ ჩავედი საქართველოში რუსთაველის 800 წლის ზეიმზე. მე წინასწარ ვგრძნობდი, რომ ეს იქნებოდა პოლიტიზებული

ღონისძიება და არა ეროვნული, ამიტომ არ წავედი. ამაზე გაბრაზდნენ და აღარ მახსენებენ, მაგრამ არიან ერთეულები, რომელთაც არ ეშინიათ ჩემი სახელის ხსენება.

– თქვენ გამოსცემთ ჟურნალ „კავკასიონს", რას იტყვით?

– ეს არის მეცნიერულ-ისტორიული ჟურნალი, რომელიც ფაქტებს ობიექტურად ასახავს, მაგრამ ამჟამად შეფერხებაა მის გამოცემაში.

– ახლა ჩვენ ლევილში, თქვენს სტამბაში ვართ, რაზე მუშაობთ?

– "კავკასიონს" ვაწყობ, მაგრამ, რადგან ძვირია წიგნის ბეჭდვა, ფერხდება გამოცემა.

– თქვენ უფასოდ მუშაობთ, აწყობთ და ავრცელებთ ჟურნალებს, ამას ალბათ დააფასებენ მკითხველები. რას ისურვებდით ამ საიუბილეო დღეებში?

– ვისურვებდი, დამემთავრებინა კვლევა „ვეფხისტყაოსანზე"; 10 თემიდან 7 დავამუშავე, დამრჩა სამი. ამას დიდი მუშაობა უნდა. ვისურვებდი ჯანმრთელობას, სანამ დავამთავრებ და მერე შეიძლება წავიდე.

– რას უსურვებდით ქართველ ერს?

– მხნეობას, გამძლეობას, გამარჯვებას!"

ამჯერად გავიხსენეთ საქართველოს რადიოს უკვე ისტორიადქცეული ეპიზოდები; სათქმელი ძალიან ბევრია; წლების განმავლობაში ასობით აუდიოჩანაწერი დაგროვდა ისტორიულ და თანამედროვე ემიგრაციის თემებზე; დღეს საზოგადოებრივ რადიოში, ტალღაზე Fm-102.4 – მუშაობას განაგრძობს სპეციალური გადაცემა „მიგრაციის მარშრუტები" (ავტორი – ნანა ლომიძე, წამყვანი – ია მახარაძე), რომელსაც საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველებმა უწოდეს ხიდი სამშობლოსთან, ქართულ საზოგადოებასთან დასაკავშირებლად. შევეცდებით ეს თემები პერიოდულად განვიხილოთ.

აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო თსუ ემიგრაციის მუზეუმს, რომლის გულისხმიერი თანამშრომლები განაგრძობენ რადიოში ბატონი გურამ შარაძის გზას - ისტორიული ჩანაწერების წარმოჩენასა და, შესაბამისად, ემიგრაციის რადიოფონდის შექმნაში გვეხმარებიან.

ჯაატა ნაცვლიშვილი

პრინცი მოკვდა! გაუმარჯოს პრინცს!

თბილისში 1931 წლის უმკაცრესი ზამთარი დგას. მამამისის, ნიკო ნიკოლაძის სახლში სიკვდილს ებრძვის გიორგი ნიკოლაძე. 20 იანვრის საღამოს მის მიერვე დაარსებულ დიდუბის საცდელ ქარხანაში წასულა, მთელი ის ღამე და მეორე დღე საშინელ ყინვასა და ქარბუქში გახურებულ სადნობ ღუმელთან ღია ცის ქვეშ გაუტარებია და შინ 21-ში საღამოს დაბრუნებულა მთლად გათოშილი. ამის მიუხედავად, მეორე დილით ისევ წასულა ქარხანაში, მერე მთელი მომდევნო დღეც იქ გაუტარებია და უკან 13 ნომერი ტრავმაის ფანჯრებჩამსხვრეული ვაგონით წამოსულა სიცხიანი.

თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში გიორგის და, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე ასე აღწერს 22 იანვრის საღამოს გიორგის ქარხნიდან შინ დაბრუნებას:

საღამოს გიორგი ისეთი გამოცვლილი დაბრუნდა და ისეთი გამხდარ-გაფითრებული, რომ ბუხართან მჯდარმა ჟორჟეტამ მიაძახა მას უნებლიედ: „რა მოხდა, გიორგიო!“ არაფერი, რა უნდა მომხდარიყოო.

მართლა რაღა უნდა მომხდარიყო მეტი!

13 დღე უძალიანდებოდა გიორგი უმძიმეს პნევმონიას და 5 თებერვალს გარდაიცვალა.

სულ არაფერი არ შეეძლო მედიცინასო, – წერს რუსუდან ნიკოლაძე.

წინა დღეებში ვიღაცას ეთქვა, ამერიკაში რაღაც ახალი წამალი გამოუგონიათ, იქნებ ის უშველიდაო.

არავინ იცის, რა წამალს გულისხმობდა ის ვიღაცა. ან იქნებ სულაც შინაურებისა და საკუთარი თავის სანუგეშოდ ამბობდა ამას და არავითარი ცნობა ახალი წამლის შესახებ არ ჰქონია?! პენიცილინი კი უკვე შეექმნა ალექსანდრ ფლემინგს, მაგრამ სამედიცინო პრაქტიკაში მის დანერგვამდე კიდევ მთელი ათი წელი იყო. და თუ რამ წამალი მართლა არსებობდა იმ დროის ამერიკაში, ვისთვის უნდა ეშველა უპირველეს ყოვლისა, თუ არა ამერიკის მკვიდრისთვის?! კი, ამგვარი წამალი ალბათ ძვირი იქნებოდა, მაგრამ თუ ის მკვიდრი მხოლოდ შეძლებული ადამიანი კი არა, სულაც მილიონერი იყო, მაშინ?

ვერ უშველა!

გიორგი ნიკოლაძის სეხნია, მასზე სამი წლით უფროსი და მასსავით ენერგიული და სახელიანი მოღვაწე გიორგი მაჩაბელი, სწორედ ისე გარდაიცვალა ნიუ-იორკში უმძიმესი პნევმონიისაგან, როგორ გიორგი ნიკოლაძე თბილისში. და თუმცა ეს მოხდა ნიკოლაძის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, მედიცინა ამ შემთხვევაშიც უძლური აღმოჩნდა პნევმონიის წინააღმდეგ. არადა, თუ რამ წამალი არსებობდა მაშინ ამერიკაში, გიორგი მაჩაბლისთანა ადამიანისთვის მიუწვდომელი არ უნდა ყოფილიყო!

ბედისწერაა, აბა რა არის!

სიკვდილში ხომ ასე დაემსგავსნენ ერთმანეთს, არ არის გამორიცხული, რომ სიცოცხლეშიც არაერთხელ გადაკვეთილიყო მათი გზები. სხვა თუ არაფერი, სამი წლის შუალედით ორივემ ერთი სკოლა დაამთავრა – თბილისის სათავადაუზნაურო გიმნაზია. აკი მათი მამებიც – ნიკო ნიკოლაძე და ვასილ მაჩაბელი – ერთი

თაობისა და ერთი მრწამსის მოღვაწენი იყვნენ და, რასაკვირველია, კარგადაც იცნობდნენ ერთმანეთს. ესენიც, ერთი საქართველოში და მეორე უცხოეთში, ერთი – მეცნიერი, მეტალურგი და სპორტსმენი, მეორე – დიპლომატი, ბიზნესმენი და ქიმიკოსი, ქართული საქმის, საქართველოს ინტერესებისათვის იღვწოდნენ. მათი ნიჭიდან, განათლებიდან, ინტერესთა მასშტაბიდან და ენერგიულობიდან გამომდინარე, ვინ იცის, რამდენს გააკეთებდნენ, ასე ნაადრევად რომ არ შეწყვეტილიყო მათი სიცოცხლე.

გიორგი ნიკოლაძემ 43 წელიწდი იცოცხლა, გიორგი მაჩაბელმა – 50.

თუ ოდესმე არსებობდა, ჩვენამდე არ არის მოღწეული, ან ჯერაც არ არის გამოვლენილი ისეთი დაწვრილებითი ჩანაწერები გიორგი მაჩაბლის ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ, როგორიც რუსუდან ნიკოლაძემ დაგვიტოვა, მაგრამ ცნობილია, რომ გიორგი მაჩაბელიც თავის საქმიანობას შეეწირა – 1935 წლის მარტში კალიფორნიასა და ჩინეთში უმოგზაურია იქ თავისი პარფიუმერული კომპანიის ფილიალების გახსნის მიზნით, გზაში გაციებულა, ფილტვების ანთება დამართვნია და რამდენიმე დღის შემდეგ (იქნებ ესეც 13 დღის შემდეგ?) გარდაცვლილა.

გარდა იმისა, რომ გიორგი მაჩაბელი დიდი ქართველი ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწე იყო, – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი იტალიაში, იგი დიდად სახელგანთქმული მეწარმე გახლდათ, თანაც ამერიკაში და თანაც თავისი პოლიტიკური წარსულისგან დამოუკიდებლად – როგორც ელიტარული ბიზნესმენი და ამერიკული პარფიუმერიის მესაძირკვლე.

აქ უნებურად ჩნდება კიდევ ერთი პარალელი კიდევ ერთ გიორგისთან – გიორგი ბალანჩივაძესთან ანუ ჯორჯ ბალანჩინთან – ამერიკული ბალეტის მესაძირკვლესთან. მართალია, ხანდაზმული – 79 წლისა, მაგრამ ისიც თავის საქმიანობას გადაჰყვა: ექიმების აკრძალვის მიუხედავად, გულზე ახალნაოპერაციევი თვითმფრინავში ჩაჯდა და გასტროლებზე გაუძღვა მის მიერვე დაარსებულ საბალეტო დასს. ეს საქმიანი მოგზაურობა ბოლო და საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, ისევე როგორც შანხაიში წასვლა გიორგი მაჩაბლისათვის.

სხვათა შორის, ამ სამი გიორგისგან არცერთს შვილი არ დარჩენია!

ესეც ბედისწერაა, ეტყობა!

მთლად ისეთი ალბათ არა, როგორიც გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალება იყო 1931 წელს თბილისში, ან ჯორჯ ბალანჩინისა 1983 წელს ნიუ-იორკში, მაგრამ გიორგი მაჩაბლის გარდაცვალება დასტურ გამორჩეული მოვლენა იყო 1935 წლის ამერიკაში.

ამ დროისათვის გიორგი მაჩაბელი თავისი საწარმოო და კომერციული საქმიანობით ამერიკის ბიზნესის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 20-იანი წლების შუიდან მოყოლებული, მის მიერ დაარსებული საპარფიუმერიო კომპანია „Prince Matchabelli“ ისეთივე პოპულარული ბრენდი გახლდათ, როგორიც, ვთქვათ, „კოკა-კოლა“ ან „კოდაკი“

„Prince Matchabelli“ იმდენად წარმატებული კომპანია იყო და ეს სახელი – იმდენად პოპულარული, რომ როდესაც გიორგი მაჩაბლის მეუღლემ, იტალიელმა მსახიობმა ნორინა ჯილიმ იგი სოლ გენცს მიჰყიდა, ახალ მფლობელს სახელი არ შეუცვლია. თუმცა მერე კიდევ რამდენჯერმე გაიყიდა, კომპანია დღესაც იმავე სახელით ფუნქციონირებს და კვლავაც იმავე დიზაინით უშვებს გიორგი მაჩაბ-

ლის რეცეპტით დამზადებულ სუნამოებს. მე თავად მაქვს ნანახი მაჩაბლის პირველი მაღაზია მედისონ-ავენიუს 545 ნომერში, ამ ბრენდის საგამოფენო სტენდი და არაერთი სატელევიზიო სარეკლამო რგოლი ჩემი პირველი მოგზაურობისას ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს, როცა, სხვათა შორის, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ჯორჯ ბალანჩინი.

მაშინდელი ამბავია და აქ უნდა გავიხსენო: როცა ამერიკაში ჩემი ის პირველი მოგზაურობა აღვწერე, არცერთმა გაზეთმა და არცერთმა ჟურნალმა ჩემი ტრეველოგი არ დაბეჭდა, აქაოდა ვრცელიაო. ის სამოგზაურო ნარკვევი – „ცოტაოდენი ამერიკა ჯინსის უკანა ჯიბეში" – მართლა არ არის მცირე მოცულობის, თითქმის 100 გვერდია, მაგრამ გამოუქვეყნებლობის მიზეზი სხვა გახლდათ: იგი ალბათ პირველი იყო საბჭოთა სინამდვილეში, რომელშიც საბჭოთა ჟურნალისტი ამერიკას არ ლანძღავდა და არ აკრიტიკებდა, რომელიც ამ ქვეყნის სიყვარულით იყო დაწერილი. სხვათა შორის, ამის შესახებ როგორღაც ამერიკელებსაც გაუგიათ. ყოველ შემთხვევაში 1992 წელს ჩემი ის ტრეველოგი ძალიან მიქო საქართველოში ამერიკის პირველი ელჩობის ერთმა წარმომადგენელმა.

მოგვიანებით, თუმცა მაინც საბჭოთა ეპოქაში, მე „ცოტაოდენი ამერიკა" ჩემი ნარკვევების წიგნში[1] შევიტანე. მაშინ უკვე დიდი გაზეთის რედაქტორი ვიყავი და ხელაღებით უარს ვეღარც რომელიმე ჟურნალი მეტყოდა და ვეღარც რომელიმე გამომცემლობა. მაგრამ ცენზორის ცერბერულ თვალს რას გამოაპარებ!

ნარკვევის სულ ბოლო თავში, ეპილოგის წინ ასეთი პასაჟია:

საშობაოდ მორთული ნიუ-იორკიდან სატელევიზიო რეკლამამ გამოგვაცილა. რა ვიცი, რას აღარ გვიქებდნენ რეკლამის დაუღალავი ქურუმები: პარიკიო, რადიოაპარატურაო, იახტაო, ნემსიო, ციგაო, მიკროკალკულატორიო, ასპირინიო, ჩანთაო, ავტომანქანაო, ბურთიო, ელექტროხერხიო, ლუდიო, იოგურტიო... ბარგს ვალაგებდით და თან ტელევიზორს ვუყურებდით, არა იმიტომ, რომ ან იახტის მყიდველები ვიყავით, ან თუნდაც ნემსისა, უბრალოდ, ისე ოსტატურად, ისე მომხიბვლელად იყო ყველაფერი გაკეთებული, რომ ძალაუნებურად თვალს იტაცებდა. ეს მაწვნის რეკლამაა, თუ ქალისო, იხუმრა გურამმა[2] ქერათმიანი ქალის გამოჩენისთანავე, რომელიც ისე მადიანად შეექცეოდა იოგურტს, ნერწყვი მოგვადგა. მერე ერთი ქერათმიანი ქალი მეორე ქერათმიანმა შეცვალა და ჩვენ მონუსხულებივით მივაჩერდით ამ არნახულად ლამაზ ქალს, რომელიც სიშიშვლეს საპნის ქაფით იფარავდა, მაგრამ მის სიშიშვლეზე თუ სილამაზეზე მეტად ის გვაღელვებდა, რომ საპონსა თუ შამპუნს, რომელსაც იგი რეკლამას უკეთებდა „ეიბიეიენო" ერქვა და რაღაც დაუჯერებლად ვარდისფერი ქაფი ჰქონდა. მერე იმ ქალმა იმავე ფირმის მეტად ორიგინალური სახელის მქონე დეოდორანტი შეგვიქო: „სიეისიჰაშიტი"

— არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ! — რატომღაც შექსპირის გუნებაზე დადგა გურამი.

მე კი შექსპირმა ისევ მაჩაბელი გამახსენა, „შინიდან რომ გავიდა და აღარ დაბრუნებულა"

ჩვენ შინ ვბრუნდებით. :[3]

---

1 პაატა ნაცვლიშვილი, „ქაღალდის წერო-6". „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1986.

2 იგულისხმება გურამ გორდულაძე – მაშინ საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის დირექტორი, რომელიც ჩვენი ტურისტული ჯგუფის წევრი იყო ამერიკაში იმ მოგზაურობისას.

3 პაატა ნაცვლიშვილი, „ქაღალდის წერო-6". „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1986. გვ. 439-440.

გიორგი მაჩაბელი და
მისი სუნამოს ფლაკონი





აი, ასე, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ალბათ იკითხავს, რატომ გვაღელვებდა ქალის სილამაზესა და სიშიშვლეზე მეტად საპნის სახელი. კიდევ უფრო დაკვირვებულ მკითხველს ყურში მოხვდება სიტყვა „ისევ“ ფრაზაში – „მე კი შექსპირმა ისევ მაჩაბელი გამახსენა, ივანე მაჩაბელი“, მით უფრო, თუ მთელი ნარკვევი წაიკითხა და კარგად ახსოვს, რომ მანამდე მაჩაბელი, არც ივანე და არც სხვა არსადაა ნახსენები!

არადა, იყო! და საპნის სახელის უპირატესობაც ამით აიხსნებოდა ქალის სილამაზეზე. ტექსტის პირვანდელი ვარიანტი ასეთი გახლდათ:

: საშობაოდ მორთული ნიუ-იორკიდან პრინცმა მაჩაბელმა გამოგვაცილა, უფრო სწორად – მისმა სატელევიზიო რეკლამამ. ბარგს ვალაგებდით და თან ტელევიზორს ვუყურებდით, სადაც ერთი ქერათმიანი ქალი მეორე ქერათმიანმა შეცვალა და ჩვენ მონუსხულებივით მივაჩერდით ამ არნახულად ლამაზ ქალს, რომელიც სიშიშვლეს საპნის ქაფით იფარავდა, მაგრამ მის სიშიშვლეზე თუ სილამაზეზე მეტად ის გვაღელვებდა, რომ საპონსა თუ შამპუნს, რომელსაც იგი რეკლამას უკეთებდა „Abano“ ერქვა და რაღაც დაუჯერებლად ვარდისფერი ქაფი ჰქონდა. მერე იმ ქალმა იმავე ფირმის ამერიკისათვის მეტად ორიგინალური სახელის მქონე დეოდორანტი შეგვიქო: „Cachet“.

— არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ! — რატომღაც შექსპირის გუნებაზე დადგა გურამი.

მე კი შექსპირმა ისევ მაჩაბელი გამახსენა, ივანე მაჩაბელი, „შინიდან რომ გავიდა და აღარ დაბრუნებულა“

ჩვენ შინ ვბრუნდებით. :

აბა მაშინ ემიგრანტი მაჩაბლის სახელს პრესაში ვინ გააჭაჭანებდა! და მეც იძულებული გავხდი, ეშმაკობა მეხმარა. ჯერ ერთი, არ ამოვიღე სიტყვა „ისევ“, რომე-

ლიც ახალ ტექსტში აშკარად უადგილოა და არაზუსტი. მეორეც, „პრინც მაჩაბლის" რეკლამა სხვა ათასი რამის რეკლამით შევცვალე, ისე რომ „რეკლამირებულ" საგანთა სახელების პირველი ასოებიდან „პრინცი მაჩაბელი" გამოსულიყო (**პ**არიკიო, **რ**ადიოაპარატურაო, **ი**ახტაო, **ნ**ემსიო, **ც**იგაო, **მ**იკროკალკულატორიო, **ა**სპირინიო, **ჩ**ანთაო, **ა**ვტომანქანაო, **ბ**ურთიო, ელექტროხერხიო, **ლ**უდიო, **ი**ოგურტიო...) და ბოლოს, „პრინც მაჩაბლისეული" Abano-სა და Cachet-ის (ეს ძალიან ჰგავდა „კახეთს" და იმიტომ შევარჩიე) სახელები მათში შემავალ ინგლისურ ასოთა სახელებით ჩავანაცვლე (Abano – ეიბიეოენო და Cachet – სიეისიჰაშიტი) თუმცა მეტ-ნაკლებად დავამახინჯე კიდეც – „ეიჩ"-ის ნაცვლად სულაც „ჰაშ"-ი დავწერე, ემანდ ვინმე მართლა ისეთი დაკვირვებული არ აღმოჩნდეს, ეშმაკობას მიმიხვდეს-მეთქი. მგონი ვერც ვერავინ მიხვდა. ვერც მთავლიტის ცერბერები მიხვდნენ, ან – არ ვიცი – იქნებ მიხვდნენ, მაგრამ თვალი დახუჭეს.

ასე იყო თუ ისე, მაჩაბლის სახელი 1986 წელს გამოსულ წიგნში გავაპარე, როგორც მანამდე გავაპარე გრიგოლ რობაქიძის ერთი ციტატა მისი „გველის პერანგიდან" [4]

რობაქიძისა არა, ჩემამდე სხვებმა არანაკლებ მოხერხებულად გააპარეს მისი სახელი, მაგრამ გიორგი მაჩაბელის სახელს რაც შეეხება, თუ არ ვცდები, ეს პრინც მაჩაბლის რაგინდარა ფორმით ხსენების პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა საქართველოში!

თუმცა დავუბრუნდეთ თხრობას, რომელიც ჯორჯ ბალანჩინის სახელის ხსენებაზე შევწყვიტეთ.

ამერიკაში ჩემი მეორე თუ მესამე მოგზაურობისას ამერიკელმა ქართველებმა მითხრეს, რომ მრავალი წლის განმავლობაში, ამერიკაში ჩასვლის პირველივე დღიდან, ჯორჯ ბალანჩინი თურმე სწორედ მაჩაბლის პარფიუმერიას ხმარობდა.

სხვათა შორის, 1933 წელს, როცა ბალანჩინი პირველად ჩავიდა ამერიკაში, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გიორგი მაჩაბელი, მისი სახელი ფართოდ იყო ცნობილი და არ არის გამორიცხული, ისინი პირადადაც შეხვედროდნენ ერთმანეთს.

გიორგი მაჩაბლის დაკრძალვაზე კი, რომელსაც ნიუ-იორკის მთელი ზეპური საზოგადოება ესწრებოდა, ჯორჯ ბალანჩინი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ალბათ არსებობს და მოსაძებნია იმდროინდელი ქრონიკის კადრები, რომლებზეც ასახულია გიორგი მაჩაბლის დაკრძალვა „მაუნთ ოლივეტის" სასაფლაოზე ნიუ-იორკში. ფოტოები მაინც უნდა იყოს შემორჩენილი. უშუალოდ დაკრძალვისა არა, მაგრამ ერთი ძალზე შთამბეჭდავი და მაღალხარისხოვანი ფოტოა გამოქვეყნებული ირაკლი მახარაძის წიგნში „ქართველები ამერიკაში".[5] ფოტოზე, რომელიც უთუოდ პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ უნდა იყოს გადაღებული, აღბეჭდილია გიორგი მაჩაბელი სასიკვდილო სარეცელზე. არა კუბოში, არამედ სწორედაც სარეცელზე, რომელზეც აღმოსავლური ფარდაგით შემკულ კედელთან არის მიდგმული და რომელზეც მდიდრული ფარჩაა გადაფარებული. მიცვალებულის თავთით და ფერხთით კელაპტრები ანთია, ხოლო სხეული ცოცხალი ყვავილებითაა დაფარული.

---

4 პაატა ნაცვლიშვილი, „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!", „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1983. გვ. 46. იხ. აგრეთვე: პაატა ნაცვლიშვილი, „რობაქიძის დაბრუნება", წიგნში – გრიგოლ რობაქიძე, ნაწერები (ხუთ ტომად), ტ. 1. ქართული ლიტერატურის მეზეუმის გამოცემა, თბილისი, 2012. გვ. 7.

5 ირაკლი მახარაძე, „ქართველები ამერიკაში", ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011. გვ. 91.




გიორგი მაჩაბელი და
მისი მეუღლე ნორინა კარმი


ყველაფრით ჩანს, რომ განსვენებული მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი იყო. ბუნებრივია, მისი დაკრძალვა მნიშვნელოვან მოვლენა იქნებოდა და ფოტოგრაფებისა და ქრონიკიორების ინტერესსაც გამოიწვევდა. ამის მიუხედავად, ინტერნეტში ძალზე მწირია მასალა გიორგი მაჩაბლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ.

ამ ფონზე, ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანია ჩემს ბიბლიოზეუმში დაცული ნახატი, რომელზეც მიცვალებული გიორგი მაჩაბლის პორტრეტია გამოსახული და რომელიც 1995 წელს ჩამოვიტანე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ნახატი ამერიკის ქართული სათვისტომოს არქივის მცირე ნაწილთან ერთად კოლეჯ-პოინტში სტუმრობისას ამ სათვისტომოს ძველმა წევრებმა – ნიკო თოფურიამ, ვალიკო ძამიამ და მამია ზაქრაძემ გადმომცეს. როგორც ჩანს, არქივი არასათანადო პირობებში ინახებოდა და მასალა, ყოველ შემთხვევაში, არქივის ის ნაწილი, რომელიც მე გამომატანეს, სავალალო მდგომარეობაშია. თუმცა ის ნახატი, რომლის პრეზენტაციისთვისაც ჩემი ეს ტექსტი იწერება, კარგად არის შენახული.

ნახატის ქვედა მარცხენა კუთხეში მუქი ლურჯი მელნით გაკეთებული ქართული წარწერაა: „გიორგი მაჩაბელი. +3-31-35+ ქ. ნიუ-იორკი“ 1935 წლი 31 მარტი გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების თარიღია. არა მგონია, პორტრეტი გარდაცვალების დღესვე იყოს დახატული. ყოველ შემთხვევაში, იგი, ეტყობა, სწორედ იმ დროს არის დახატული, როცა ზემოთ ნახსენები ფოტო გადაიღეს, რადგან მიცვალებულის პორტრეტი ორივე შემთხვევაში ერთი კუთხით არის აღქმული. სარეცელი კედელთან არის მიდგმული და მზერის სხვა კუთხე იმ კონკრეტულ მომენტში არც იარსებებდა. ფოტო და ნახატი იმდენად ჰგავს ერთმანეთს, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ნახატი ფოტოდან არის შესრულებული, რაც თეორიულად შეიძლება დღეების, თვეების და წლების მერეც მომხდარიყო, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ვარიანტი უნდა გამოირიცხოს. პორტრეტი აშკარად ნატურიდან არის შესრუ-

ლებული აშკარად პროფესიონალი მხატვრის მიერ. შესრულებულია იგი ფერადი ფანქრებით მოყვითალო გლუვ სახატავ ქაღალდზე. ფურცელი არათანაბრად არის ჩამოჭრილი და მისი მაქსიმალური ზომებია 265X369. ნახატის ორიენტაცია ჰორიზონტალურია, ხოლო დაწებებულია იგი ალბომის ვერტიკალურ ფურცელზე, რის გამოც ნახატს სამი მხრიდან (2-15 მმ – მარცხნიდან, 38 მმ – ქვემოდან და 45 მმ – ზემოდან) ალბომის ლურჯი ფურცელი აქვს ფონად, ხოლო მისი მარჯვენა ნაწილი (95 მმ) ჩაკეცილია და ალბომის გვერდზე მეორე მხრიდან არის შემოწებებული. ნახატის ამ შემოკეცილ ნაწილში მეტისმეტად ესკიზურად მონიშნულია ჩოხის სამასრეები და ქილები (სულ ცხრა). როგორც ჩანს, მხატვარს ნახატის ამ ნაწილის დასრულება საჭიროდ აღარ ჩაუთვლია და აქცენტი უშუალოდ პორტრეტზე გადაუტანია. ამ პუბლიკაციისათვის პორტრეტის ორივე ნაწილი ფოტოშოფის მეშვეობით გავაერთიანეთ და ამით ნახატის პირვანდელი სახე აღვადგინეთ. საერთოდ, პორტრეტში თვალსაჩინოა მხატვრის აკადემიური განსწავლულობა და გამოცდილება. რადგან ამერიკის იმდროინდელ ქართულ ემიგრაციაში ასეთი დონის პროფესიონალი მხატვარი არ გვეგულება, უნდა ვივარაუდოთ, რომ პორტრეტი საგანგებოდ მოწვეული მხატვრის მიერ არის შესრულებული. ისევე, როგორც საგანგებოდ მოწვეული იქნებოდა პროფესიონალი ფოტოგრაფი. ამის გაკეთება კი (მხატვრისა თუ ფოტოგრაფის მოწვევა) არც ქართულ სათვისტომოს გაუჭირდებოდა, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი იყო, არც ჯორჯ კობის იგივე გიორგი კობახიძის კომპანიას, რომელიც მაჩაბლის პარფიუმერიისთვის ოქროთი მოვარაყებულ მინის ორიგინალურ ფლაკონებს ამზადებდა, და არც, მით უმეტეს, კომპანია „პრინც მაჩაბელს" სხვა, „შინაურ" ჭირისუფლებზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან მეუღლე – თეატრისა და კინოს პოპულარული იტალიელი მსახიობი ნორინა ჯილი გიორგი მაჩაბელს სიკვდილამდე ორი წლით ადრე გაშორდა და ჩვენთვის უცნობია, დაესწრო თუ არა იგი მის დაკრძალვას. თუმცა ის კი კარგად არის ცნობილი, რომ გიორგი მაჩაბლის ქონება მან ჩაიბარა, მანვე განკარგა და ბოლომდე პრინცესა ნორინა მაჩაბლად დარჩა.





გიორგი მაჩაბელი და ნორინა ჯილი (1880-1957), რომლის სცენიური ფსევდონიმი მარია კარმი იყო, 1916 წელს დაქორწინდნენ სტოკჰოლმში. მანამდე, 1904-დან 1916 წლამდე იგი გერმანელ დრამატურგ კარლ ვოლმიოლერის (1878-1948) ცოლი იყო და მისგანაც სოლიდური წილი დარჩა უძრავი ქონების სახით ფლორენციასა თუ ვენეციაში.


გიორგი და ნორინა შეიძლება იმის გამო დაშორდნენ, რომ 1931 წელს ნორინა ინდოელ მისტიკოსსა და სულიერ მოძღვარს მეჰერ-ბაბას (1894-1969) შეუდგა და ძალიან მალე მის უახლოეს მონაფედ და მიმდევრად იქცა. მეჰერ-ბაბა თავს ღვთის ავატარად და განსხეულებულ ღმერთად აცხადებდა. ნორინას სიკვდილის შემდეგ მან მისი ნეშტი დაწვა, ფერფლი ინდოეთში, ზემო მეჰერაბადში დამარხა და საფლავის ქვას დააწერა: „პრინცესა ნორინა – იყო და მუდამ იქნება ბაბასი"

გიორგი მაჩაბელი ორჯერ შეხვედრია მეჰერ-ბაბას. პირველად იგი 1931 წელს უნახავს ნიუი-ორკის სასტუმრო ასტორიაში, მაგრამ ვერ უღიარებია განსხეულებულ ღმერთად, ბაბას კი მისთვის ასეთი რამ უთქვამს: „სიკვდილის წინ შენ გაიგებ, ვინ არის ბაბა".[6] მეორედ გიორგის ბაბა 1934 წელს უნახავს ორიოდე წუთით. ნორინას სიტყვით, იმ მეორე შეხვედრას გიორგიზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. სამი თვის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა. როგორც მეჰერის 5443-გვერდიან წიგნში[7] წერია, თითქოს სიკვდილის წინ ახდა ავატარის წინასწარმეტყველება და გიორგი მაჩაბელს·მეჰერ-ბაბაში ქრისტე დაუნახავს და მშვიდად გარდაცვლილა.

---

6 http://www.lordmeher.org/rev/index.jsp?pageBase=page.jsp&nextPage=1327

7 http://www.lordmeher.org/rev/index.jsp?pageBase=page.jsp&nextPage=1654



დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რა დაინახა და რა ვერა, რა ფიქრები და რა განცდები ჰქონდა გიორგი მაჩაბელს სიკვდილის წინ. თუ გიორგი ნიკოლაძის სიკვდილზე რუსუდან ნიკოლაძის მონათხრობის მიხედვით ვიმსჯელებთ, პნევმონიით სიკვდილის შემთხვევაში ადამიანი სიცოცხლეს ტანჯვით ეთხოვება ბოდვებსა და ჰალუცინაციებში.


რისი შედეგიც არ უნდა იყოს გიორგი მაჩაბლის გარდაცვალება, – მეჰერ-ბაბას წინასწარმეტყველების, მოსკოვური კაგებეს „გრძელი ხელისა“, როგორც ვარაუდობენ, თუ მწვავე პნევმონიის, ფაქტია, რომ ფოტოზეც და ნახატზეც მას ერთნაირად მშვიდი სახე აქვს, თითქოს სძინავსო.

ეს ნახატი ახლა პირველად ქვეყნდება. თუ ვინმეს შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოს მისი ავტორის შესახებ ან რაიმეთი შეავსოს ჩვენი ცოდნა გიორგი მაჩაბლის გარდაცვალებისა და დასაფლავების დეტალებზე, ჩვენ მადლიერებით მივიღებთ მათ შენიშვნებსა თუ დაზუსტებებს და გავითვალისწინებთ შემდგომ პუბლიკაციებში.

ამ ნახატთან ერთად ჩვენს მიერ თბილისში ჩამოტანილ არქივში კიდევ ორი ფურცელი, ორი ეფემერაა გიორგი მაჩაბელთან დაკავშირებული.

ერთი მისი სიცოცხლისდროინდელია, მეორე – გარდაცვალების შემდგომი.

პირველი გახლავთ პროგრამა, რომელიც გვაუწყებს, რომ ქართული ასოციაციის წევრ ქალებს 1933 წლის 23 დეკემბერს ბავშვთა საშობაო წარმოდგენა და საკონცერტო სანახაობა გაუმართავთ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების სასარგებლოდ. ღონისძიება ახალგაზრდა ქრისტიან ქალთა ასოციაციის შენობაში გამართულა ნიუ-იორკის მე-17 ქუჩაზე და რვის ნახევარზე დაწყებულა.




მაუნტ ოლივეტის სასაფლაოს ალაყაფი (მარცხენა ფოტოზე) და გიორგი მაჩაბლის საფლავი (მარჯვნივ)

ღონისძიების სპონსორები ყოფილან: 55-ე ქუჩაზე მდებარე რესტორანი „კავკასიური არწივი", 67-ე ქუჩაზე მდაბარე ქალის ხალათებისა და თეთრეულის მაღაზია „ქეთო", 57-ე ქუჩაზე მდებარე საპარიკმახერო „დიმიტრი" და ტრანსნაციონალური კომპანია „პრინცი მაჩაბელი" მის ლოგოს საქვეყნოდ ცნობილი გვირგვინისფორმიან ფლაკონის გამოსახულება ამშვენებს და არავითარი მისამართი არ აწერია – მხოლოდ ორი ქალაქია მითითებული: პარიზი და ნიუ-იორკი.

ასე დანვრილებით ამ ყველაფერს იმიტომ აღვწერ, რომ ჩვეულებრივ, 50-იან და 60-იან ქუჩებზე მდებარე საპარიკმახეროსთან, რესტორანთან თუ მაღაზიასთან ამერიკის კომპანიათა პირველ ხუთეულში შემავალ „პრინც მაჩაბელს" არაფერი ესაქმება, მას ასეთი არც რეკლამა სჭირდება და არც არაფერი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, როგორც სახელწოდებებიდან ჩანს, ის სამივე – საპარიკმახეროც, რესტორანიცა და ქალის თეთრეულის მაღაზიაც ქართველებს ეკუთვნით, ისევე როგორც საქვეყნო სახელის მქონე კომპანია „პრინცი მაჩაბელი"

ხოლო კონცერტი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვთა სასარგებლოდ იმართება. გიორგი მაჩაბელი გიორგი მაჩაბელი არ იქნება, თუ ქართულ საქმეს გამოაკლდება. მით უმეტეს, რომ იგი ამ დროს ამერიკის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეა, პირველი თავმჯდომარე. იმ დროისთვის ეს ასოციაცია, რომელიც სწორედ გიორგი მაჩაბლის თაოსნობითა და მეცადინეობით ჩამოყალიბდა 1932 წელს, ჯერ ერთი წლისაც არ არის. ასოციაციის დამფუძნებლები გიორგი მაჩაბელთან ერთად არიან დიმიტრი ალავიძე, სიკო ერისთავი, ვანო კობახიძე, პავლე კვარაცხელია და ირაკლი ორბელიანი. თუ ამ ასოციაციამ თავიდანვე ფართოდ გაშალა მუშაობა, ამაში უმთავრესი წვლილი სწორედ მის პირველ თამჯდომარეს მიუძღვის, რომელიც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა ასოციაციას და რომლის ადგილი 1935 წელს ცნობილმა პიანისტმა ირაკლი ორბელიანმა დაიკავა.


Luncheon - Dinner - Supper

THE CAUCASIAN EAGLE, Inc.

Restaurant

Russian Orchestra
7-10 P. M. 11-2 A. M.

112 E. 55th STREET
VAnderbilt 3-9189

KETTO
Inc.
GOWNS and LINGERIE
151 E. 67th STREET New York City

Dimitry
SALON de COIFFURE
MILGRIM 6 W. 57th ST. New York City

Prince Matchabelli
PARIS NEW YORK

Ladies of the Georgian Ass'n
present
Children's Play and
Concert Entertainment
for the benefit of Georgian children in France

Int. Inst. Y.W.C.A.
341 E. 17th St.


Dec. 23, 1933
7:30 P. M.

ჩემს ბიბლიოზეუმში დაცული მეორე ეფემერა სწორედ მეორე თავმჯდომარის დროინდელია. ეს გახლავთ ამონაჭერი განცხადებისა, რომელიც ამერიკაში გამომავალი რუსული გაზეთის 1937 წლის 31 მარტის ნომერში დაბეჭდილა და რომელშიც ვკითხულობთ:

: ამერიკის ქართული სათვისტომო აცხადებს, რომ მისი ყოფილი თავმჯდომარის, თავად გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების მეორე წლისთავის დღეს, ოთხშაბათს, 31 მარტს, 8 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მაცხოვრის ტაძარში : და მითებულია მისამართი.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნიუ-იორკის მაცხოვრის ტაძარში 1937 წლის 31 მარტის საღამოს 8 საათზე ნიუიორკის მთელი ქართველობა მივიდოდა და პანაშვიდის შემდეგაც ერთად იქნებოდნენ გიორგი მაჩაბლის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ სერობაზე.


ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО В АМЕРИКЕ
ОБЪЯВЛЯЕТ, ЧТО В ДЕНЬ ВТОРОЙ ГОДОВЩИНЫ БЫВШЕГО
СВОЕГО ПРЕДСЕДАТЕЛЯ
3-31-37
КНЯЗЯ ГЕОРГИЯ МАЧАБЕЛИ
будет отслужена панихида в среду, 31 марта, в 8 ч. вечера
в Храме Христа Спасителя, 51 Ист 121 ул.



Programme

Tap Dance . . . . . Stanley Frazer
Rachmaninoff's Italian Polka . . . Oleg Borchenko
Piano solo
Irish Dance . . . . . Ruth and Jean Prime
Grace Schlosser - Betty Kvaratzkhelia

Intermission

CHRISTMAS BABES IN THE WOODS

First Page . . . . . Una Gabelia
Second Page . . . . . Dimitry Leslie
Betty . . . . . Betty Kvaratzkhelia
Dick . . . . . Allan Schlosser
Queen . . . . . Nina Kvaratzkhelia
Crystal . . . . . Ruth Prime
Pearl . . . . . Marina Dietrich
Snowflake . . . . . Helen Leslie
First Holly Elf . . . . . Grace Schlosser
Second Holly Elf . . . . . Annabelle Roquet
Third Holly Elf . . . . . Jean Prime
Other Fairies:
Gladys Hanemer - Mary Rose Paquette - Gladys
Manpedon - Stella Yelowitz - Irene Malcolm
Doris Skaates - Mae Yonkers
Jack Frost . . . . . Dimitry Leslie
Santa Claus . . . . . Stanley Frazer

Intermission 10 Minutes

Russian Dance . . . . Dimitry and Helen Leslie
Piano Solo . . . . . Irina Dvorjetzkia
Waltz Ballet . . . . . Betty Kvaratzkhelia
Gipsy Fantasy . . . . . Nina Kvaratzkhelia
Mickie and Minnie . . . Betty Kvaratzkhelia, Allan Schlosser

Intermission 10 minutes

Liszt Hungarian Rhapsody No. 13 . . . Gedda Perry
Silent Night, Song . . . . Evelyn and Jane Weick
Recitation . . . . . Julia Plavskia
Georgian Dance . . . Betty and Nina Kvaratzkhelia
Ave Maria, Solo . . . . . Evelyn Weick
Boeros by Granados, Dance . . . . Gedda Perry
Tableau . . . . . Mrs. O. Kebordin
Betty and Nina Kvaratzkhelia

Georgian and Russian Buffet in Lobby

მართალია, ამ დროისთვის „პრინცი მაჩაბელი“ უკვე სოლ გენცს ეკუთვნის, მაგრამ პროდუქცია ისევ იმავე სახელით გამოდის ისევ მაჩაბლისეული რეცეპტებით.

გიორგი მაჩაბელი გარდაიცვალა, მაგრამ ბრენდი ცოცხლობს.

გიორგი მაჩაბლის სახელი მისი გარდაცვალების 2 წლისთავზეც ცოცხალი იყო, 20 წლისთავზეც, 40-ზეც, 60-ზეც და

დღესაც ცოცხალია!

ერთი სიტყვით, –

პრინცი მოკვდა! გაუმარჯოს პრინცს!

პრინც მაჩაბელს გაუმარჯოს!

საქართველოს სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტის მემორანდუმი, წარდგენილი ოტომანთა იმპერიის მთავრობისადმი 1915 წლის 15 ივნისს

გიორგი მამულიას პუბლიკაცია

ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა შეუძლებელია საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციის გარეშე. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ჩვენი მკვლევრებისათვის ნაკლებად მისაწვდომ საარქივო მასალას უცხოურ ენებზე. წინამდებარე პუბლიკაციაში შემოთავაზებული ერთ-ერთი ამგვარი დოკუმენტი არის მემორანდუმი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის 15 ივნისს, გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედმა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას.

ცნობილია, რომ უკვე 1914 წლის სექტემბრის დასაწყისში, გერმანიის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა კონსტანტინოპოლში ბარონმა ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმმა დააკავშირა ოსმალეთში ჩამოსული ქართული კომიტეტის წევრი ლეო კერესელიძე ოსმალური იმპერიის დიდ ვეზირს (პრემიერ-მინისტრს) და სამხედრო მინისტრს – თალაათ ფაშას და ენვერ ფაშას. დეკემბრის შუა რიცხვებში, სარიყამიშის ბრძოლის გადამწყვეტი მომენტის დროს, მხარეებმა მიაღწიეს დროებით შეთანხმებას, რომელიც, სხვათა შორის, ითვალისწინებდა ოსმალური მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას (მუსულმანური საქართველოს ტერიტორიებიდან მხოლოდ ართვინი რჩებოდა საქართველოს საზღვრების გარეთ), ოსმალთა მიერ საქართველოს პირველივე განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დროებითი ქართული მთავრობის შექმნას და მის აღიარებას ბრწყინვალე პორტას მიერ. თავის მხვრივ, ქართული კომიტეტი კისრულობდა გაეწია ენერგიული პროპაგანდა საქართველოში ოსმალეთის სასარგებლოდ; კომიტეტს უნდა მიეღო ყველა ზომა საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოსაწყობად; უზრუნველეყო ქართველთა კეთილი დამოკიდებულება თურქებისადმი; მიეწოდებინა ოსმალური სარდლობისათვის ყველა სახის სადაზვერვო ხასიათის ინფორმაცია კავკასიაში განლაგებული რუსული ჯარის შესახებ; შესაძლებლობის შემთხვევაში, მიეწოდებინა ქართვე-

ლი მეამბოხეებისათვის იარაღი და გადაეყვანა ქართველი სამხედროები თურქთა მხარეზე, შემდგომ მათგან ქართული არმიის ჩამოყალიბების მიზნით.[1]

მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, თურქები არ ჩქარობდნენ მის ფორმალურ რატიფიცირებას, რადგან 1914 წლის ბოლოს, კავკასიის ფრონტზე დაწყებული სამხედრო მოქმედებების დროს, იმედი ჰქონდათ დაეკავებინათ ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, ტფილისის ჩათვლით. როგორც აღნიშნავდა თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში ავსტრიელი მკვლევარი ვოლფდიტერ ბილი, მთავარი მიზეზი კომიტეტის მიმართ თურქთა მსგავსი დამოკიდებულებისა, მუსულმანურ საქართველოზე მათი ფარული ზრახვები იყო. ამიტომაც, ხსენებულ შეთანხმებას ხელი არა თურქეთის ორმა ზემოჩამოთვლილმა ხელმძღვანელმა პირმა, არამედ მხოლოდ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა (კაბინეტის მეთაურმა) მოაწერა.[2]

კავკასიის ფრონტზე მოქმედი ქართული კომიტეტის წევრებისადმი მსგავსი პოზიცია გამოავლინა „ერთობის და პროგრესის" პარტიის ტრაპიზონის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე რიზა ბეიმაც, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა კონტროლის ქვეშ მოექცია და ხშირად ხელიც კი შეეშალა ქართველთა მოქმედებისთვის ფრონტის წინა ხაზზე.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მხოლოდ 1915 წლის ზაფხულისთვის, როცა სარიყამიშთან თურქთა კატასტროფული მარცხის შემდეგ ოსმალთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მეტი ანგარიში გაეწია ქართველებისთვის. თავი იჩინა კომიტეტისადმი გერმანელთა მზარდმა მხარდაჭერამაც, რომლებიც სულ უფრო და უფრო აქტიურად გამოდიოდნენ შუამავლებად ოსმალებსა და ქართველებს შორის და გადაწყვიტეს საკუთარი გავლენის ქვეშ მოექციათ ქართული კომიტეტის ყველა წამოწყება. ამის შედეგად, ამავე წლის 16 სექტემბერს, თურქული გენერალური შტაბის პირველი განყოფილების მეთაურმა, ვიცეპოლკოვნიკმა ისმეთ ბეიმ, გადასცა ქართული კომიტეტის წევრს გიორგი მაჩაბელს ნოტა, რომლის თანახმად, ოსმალეთის მთავრობა აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის უფლებებს თავის ისტორიულ მინა-წყალზე, მუსულმანური საქართველოს ჩათვლით. მხოლოდ ქალაქი არდაღანი რჩებოდა საქართველოს საზღვრების მიღმა. ოსმალური ჯარის მიერ საქართველოს პირველივე დაკავებულ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო დროებითი ქართული მთავრობა. კომიტეტს სრული უფლება ჰქონდა მიენოდებინა ქართველებისთვის იარაღი. გარდა ამისა, ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოეყალიბებინა ლეგიონი, რომელიც ქართველი სამხედრო ტყვეებისგან, თურქეთში მცხოვრები ქართველი ლტოლვილებისგან და მოხალისეებისგან უნდა შემდგარიყო[3].

თუმცა, სანამ ამ გარღვევას მიაღწევდნენ, ქართული კომიტეტის წევრებმა ოსმალურ მთავრობას ფრანგულ ენაზე შედგენილი 15 ივნისის ზემოხსენებული მე-

---

1 ქართული კომიტეტის მიერ ოსმალეთის ხელისუფლებასთან გაფორმებული შეთანხმების შესახებ საუბარია ქართველი ისტორიკოსების: მიხეილ სვანიძის, მალხაზ სიორიძის, ოთარ ჯანელიძის, ლაშა ბაქრაძის პუბლიკაციებში. იხ. სვანიძე მ., ქართველთა და თურქთა საიდუმლო..., გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1992 წ., 31 ივლისი; მისივე, 1914 წლის ოსმალეთსა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, წიგნში – ქართული დიპლომატია. წელიწდეული, II, თბ., 1995; სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათუმი, 1998; ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009.

2 Bihl W., Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil. I, S. 235.

3 Bihl W., Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil. I, S. 237-238; Zürrer W., Zur Geschichte der Georgischen Legion im Ersten Weltkrieg, Militärgeschichtliche Mitteilungen, 1978, Bd. 23, S. 88.

მორანდუმი წარუდგინეს, რომლის პირველ ნაწილში დაწვრილებითაა აღწერილი ომის დასაწყისიდან როგორც მათი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობა, ისე მწარედ უარყოფითი გამოცდილებაც, რომელიც მათ თურქებთან ურთიერთობისას დააგროვეს. მემორანდუმის მეორე ნაწილი ეძღვნებოდა საერთაშორისო სტატუსს (ნეიტრალიტეტს), რომლის მიღწევაც სურდათ კომიტეტის წევრებს მომავალი ქართული სახელმწიფოსათვის. კომიტეტის წევრთა მიერ საქართველოსათვის ნეიტრალური სტატუსის დაჟინებული მოთხოვნა სავსებით გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ 1914 წლის დეკემბერში, სარიყამიშთან გაცხარებული ბრძოლების დროს, ოსმალები ქართველებთან მოლაპარაკებისას არ მალავდნენ იმას, რომ საქართველოს რუსებისგან განთავისუფლების შემთხვევაში მომხრე იყვნენ მისთვის საგარეო საქმეებში საკუთარი პროტექტორატი მოეხვიათ თავს. შინაგან საქმეებში, როგორც კანონმდებლობა, მმართველობა და სხვა მსგავსი საკითხები იყო, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა უნდა ჰქონოდა, ხოლო საგარეო საქმეთა თვალსაზრისით – დამოკიდებული ყოფილიყო ოსმალეთის იმპერიაზე. კერძოდ, მომავალი ქართული არმია ოსმალური მოდელის მიხედვით უნდა ყოფილიყო ორგანიზებული და, თუმცა მშვიდობის დროს სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, – ომის შემთხვევაში ოსმალეთის არმიას უნდა დაქვემდებარებოდა.

მემორანდუმი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ დაწვრილებით გვამცნობს ქართული კომიტეტის მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში 1914 წლის ბოლოს და 1915 წლის დასაწყისში. ამ მხვრივ, ის მნიშვნელოვანწილად ადასტურებს და ზოგ შემთხვევაში კორექტირებას უკეთებს გიორგი კერესელიძის მემუარების მონაცემებს, რომლის ტექსტი ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ქართული ემიგრაციის“ ერთ-ერთ წინა ნომერში (2013 წ .№1). სადღეისოდ, მემორანდუმის ერთადერთი ისტორიკოსებისათვის ცნობილი ასლი, რომლის ფრანგული ენიდან ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს, დაცულია ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო არქივში.

* * *

საქართველოს სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტის მემორანდუმი, წარდგენილი ოტომანთა იმპერიის მთავრობისადმი 1915 წლის 15 ივნისს

ა) ქართული კომიტეტი და მისი მოქმედება დღევანდელ დღემდე.

ქართველ სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტი ორგანიზებულ იქნა ევროპაში მყოფ სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ჯგუფის მიერ და მიზნად ისახავდა დახმარება გაეწია საქართველოსათვის მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად და ესარგებლა ხელისშემწყობი გარემოებებით, რომლებსაც მას უქმნიდა ევროპული ომი.

საკუთარი გეგმის მისაღწევად დახმარების მიღების მიზნით ოტომანურ და გერმანულ მთავრობებთან მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, კომიტეტი სავალდებულოდ თვლიდა გაეგზავნა საკუთარი წარმომადგენლები საქართველოში. უკანასკნელთა მისიას წარმოადგენდა გაეცნოთ საკუთარი თანამემამულეებისათვის კომიტეტის ორგანიზაცია, გაეზიარებინათ მათთვის მისი მოქმედების გეგმა, დაემყარებინათ კავშირი და შეთანხმება დაედოთ კომიტეტსა და ერის წარმომადგენელთა შორის იმ მიზნით, რათა კომიტეტის მიერ განხორციელებული ყველა აქცია შესაბამისობაში ყოფილიყო მათ სურვილებთან. ეს მოვლენა აღტაცებით იქნა მიღებული საქართ-

ველოში; – ყველა პარტიის და ყველა კლასის წარმომადგენლები გაერთიანდნენ და დაადგინეს:

1. გაეგზავნათ საქართველოს ყველა კუთხეში საკუთარი წარმომადგენლები, რათა გაეფრთხილებინათ მოსახლეობა, მეგობრულად შეხვედროდნენ ოტომანურ არმიას მისი ამოცანის განხორციელებისა და წინსვლის ხელშეწყობის მიზნით.
2. შემოეტანათ იარაღი საქართველოში, რათა შეიარაღებინათ მოსახლეობა აქტიური ღონისძიების გასატარებლად რუსების კავკასიიდან განდევნის მიზნით, როდესაც ისინი დარწმუნდებიან, რომ თურქეთი შეასრულებს ყველა ნაკისრ ვალდებულებას საქართველოს მიმართ.

სამწუხაროდ, აქ ქვემოთხსენებული მიზეზებით, კომიტეტს საშუალება არ აღმოაჩნდა გაეგრძელებინა საკუთარი მუშაობა. ამან გააჩინა ეჭვები საქართველოში. კომიტეტის წარმომადგენელი თავადი მაჩაბელი, რომელიც გერმანიაში იყო წასული, დაბრუნდა ოსმალეთში, რათა გაეგო კომიტეტის მოქმედების შეწყვეტის მოტივები და ისინი გაეცნო ქართველი ერისათვის, რომელიც ძლიერ მოუთმენლად ელოდება ცნობებს ამის შესახებ.

როდესაც კომიტეტი შეუდგა საკუთარ აქციებს ოქტომბერში რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე, ის საკუთარი თავის წინაშე ორ მიზანს ისახავდა:

3. შეექმნა ქართული ლეგიონები;
4. შემოეტანა საქართველოში იარაღი, რომელსაც მას გერმანია ჰპირდებოდა, რათა-ის დაერიგებინა მოსახლეობისათვის. სამწუხაროდ, იარაღის ტრანსპორტირებას ხელი შეუშალეს პოლიტიკური ხასიათის გარემოებებმა.

ლეგიონთა ფორმირება დასახული იყო კომიტეტის მიერ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც. აუცილებელი იყო, რათა ქართველი ერი დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ოტომანთა არმია შემოვა საქართველოში არა როგორც მტერი, დაპყრობის მიზნით, არამედ როგორც მოყვარე, ქართულ ლეგიონებთან ერთად, რომლებსაც ქართველი ოფიცრები მეთაურობენ.

საბრძოლო მოქმედებები რუსეთსა და ოსმალეთს შორის არც კი დაწყებულიყო, როდესაც კომიტეტის წევრები გაემგზავრნენ საქართველოს საზღვრებზე და ენერგიულად შეუდგნენ ლეგიონთა ფორმირების საქმეს. ამის გარდა, ოტომანურ მთავრობას უნდა გადაეცა კომიტეტისთვის 5000 თოფი, რომელთა ნაწილიც უნდა გაგზავნილიყო საქართველოში. ამისდა მიუხედავად, ჩვენმა კომიტეტმა შეიტყო ახალგაზრდა თურქთა ტრაპიზონის კომიტეტისგან რიზა ბეის თავმჯდომარეობით, რომ მას არ გადასცემენ ხსენებულ 5000 თოფს. ამრიგად, ჩვენი კომიტეტი აღმოჩნდა ახალი დაბრკოლების წინაშე. ამას მოყვა ლეგიონთა ფორმირების ფორმალური აკრძალვაც ტრაპიზონის კომიტეტის მხრიდან. და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც კომიტეტი შეუდგა მოლაპარაკებებს ქართველებთან, რომლებიც მსახურობდნენ რუსულ არმიაში, რათა ისინი გადაებირებინა თავისი საქმისათვის, გადაეყვანა საზღვარზე და ჩაერიცხა ლეგიონებში. თუმცა ამის შემდგომ კომიტეტი არ იყო მორალურად მზად ეთანამშრომლა ახალგაზრდა თურქთა ტრაპიზონის კომიტეტთან. მან, ამისდა მიუხედავად, მიიღო მონაწილეობა ძირითად ბრძოლებში, როგორც, მაგალითად, მურღულთან, რომელიც ყველაზე დიდი იყო იმ ბრძოლებს შორის, რომლებიც საქართველოს საზღვართან გამართულა. სხვათა შორის, კაზაკთა ყაზარმები, რომლებიც საქართველოს საზღვარზე მდებარეობდნენ, ისევე როგორც პირველი სოფლები მურღულის მახლობლად, აღებულ იქნენ ჩვენი კომიტეტის ერთ-ერთი წევრის მიერ. ამის შემდგომ კომიტეტმა კვლავ მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში, კერძოდ, მურღულის ქვანახშირის საბადოებთან. ჩვენმა კომიტეტმა საკუთარი

ძალებით ჩაიგდო ხელში რუსთა ზარბაზნები და დაატყვევა ბევრი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორის გენერალური შტაბის ოფიცერი ლავროვი, ართვინის კომენდანტი.

ამ მოვლენათა შედეგად ჩვენს კომიტეტს მოლაპარაკებები ჰქონდა რიზა ბეისთან, ახალგაზრდა თურქთა ტრაპიზონის კომიტეტის თავმჯდომარესთან, იმ გეგმის განხორციელების თაობაზე, რასაც შედეგად მოყვებოდა აჯანყება საქართველოში. თუმცა ამ მოლაპარაკებებს არავითარი შედეგი მოჰყოლია. მურლულის აღების შემდგომ, კომიტეტი დაბარებულ იქნა ტრაპიზონში, სადაც 25 დღის განმავლობაში რჩებოდა აბსოლუტურ უმოქმედობაში.

მურლულთან დამარცხებამ მტრის რიგებში ისეთი პანიკა შვა, რომ მან დატოვა საკუთარი პოზიციები ბორჩხასთან, მარადიდთან და აჭარის წყალთან. თუმცა ეს გვიკაფავდა გზას აჭარისაკენ, ჩვენი კომიტეტი, რომელიც, ამისდა მიუხედავად, სრულებითაც არ იყო მომხრე შეგვეტია ცუდად ორგანიზებულ მოხალისეთა კორპუსთან ერთად, მოითხოვდა ამ უკანასკნელთა უკეთეს ორგანიზაციას, რადგან ამ გარემოებებში მხოლოდ მოხლისეთა კორპუსი წარმოადგენს სამხედრო ძალას.

დეკემბრის ბოლოსათვის, როდესაც რუსებმა შეკრიბეს საკუთარი ძალები და ნამოიწყეს შეტევა მოხალისეთა კორპუსის წინააღმდეგ, რომელსაც რიზა ბეი მეთაურობდა, ქართული კომიტეტი ისევ მიიწვიეს მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში. ადგილზე მისვლისთანავე, მან კონსტატაცია გაუკეთა იმ ფაქტს, რომ მდგომარეობა გაუარესდა და გამოსავლის პოვნა ძნელი იყო. ამისდა მიუხედავად, კომიტეტმა თხოვნით მიმართა რიზა ბეის, თანხმობა მიეცა აჭარელი ქართველებისგან რამდენიმე კორპუსის შექმნაზე და მათთვის რამდენიმე ასეული თოფის გადაცემაზე. კომიტეტმა ეს ბატონ მოზელისა და პოლკოვნიკ შტანგეს შუამავლობით ითხოვა. კომიტეტმა საკუთარ თავზე აიღო ამოცანა თავის კორპუსებთან ერთად გადაეკვეთა ჩურუქ-სუ, შეჭრილიყო გურიაში და გადაეჭრა ბათუმის რკინიგზის ხაზი. ამ თხოვნამ ასევე მიიღო იგივე უარი.

ასეთ პირობებში კომიტეტს საკუთარ მოვალეობად მიაჩნია, შეწყვიტოს თავისი აქცია, რათა ის, შესაბამის შემთხვევაში, ახალ საფუძვლებზე განაახლოს.

ბ) ოსმალეთისთვის დამოუკიდებელი და ნეიტრალური საქართველოს მნიშვნელობა.

ოტომანთა იმპერიულ მთავრობასთან ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ქართველ სეპარატისტთა ეროვნულ კომიტეტს პატივი აქვს წარუდგინოს მას რამდენიმე მოსაზრება იმ საერთაშორისო როლის მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც ითამაშებს კავკასიაში დამოუკიდებელი საქართველო. გამომდინარე მისი ჭეშმარიტი ღირებულებიდან, ხსენებული მნიშვნელობა არ შეიძლება დარჩეს მისთვის შეუმჩნეველი და შეუფასებელი. ეს ეფექტურად შეუწყობს ხელს იმ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ისახავდა იმპერიული მთავრობა, როდესაც იძულებული გახდა, მონაწილეობა მიეღო ევროპულ კონფლიქტში, რათა ებრძოლა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის – საკუთარი საუკუნოვანი მტრის წინააღმდეგ. ხსენებულ ბრძოლას, დაწყებულს ამ გიგანტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვერ ექნება რაციონალური საფუძველი, თუკი ოსმალეთის მთავარი მიზანი არ იქნება მომავალში საკუთარი არსებობის გარანტირება და რუსეთში შემავალი ყველა ელემენტის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა, რათა ამით ბოლო მოუღოს ყველა იმ მიზანს, რომლებსაც უკანასკნელი მუდმივად ისახავდა საკუთარი თავის წინაშე. რუსეთი არ შეწყვეტს ამ იდეების ერთგულებას, თუ კი დიდი მარცხი, რასაც თან მოყვება შედეგები, რომელთა წინასწარ განჭვრეტას ის, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს, არ გახდის მას უსაფრთხოდ. რუსეთს კი ვერ წარმოვიდგენთ ასეთად მა-

ნამდე, სანამ ეს იმპერია, შემდგარი განსხვავებული, მაგრამ კარგად შეკრული ელემენტებისგან, არ იქნება განწირული დაქუცმაცებისათვის. ხოლო ეს დაქუცმაცება შეიძლება პრობლემატური იყოს, თუკი, სამხედრო წარუმატებლობის შედეგად ხალხები, რომლებიც გამოხატავენ ეროვნულ იმედებსა და გრძნობებს, არ მიიღებენ გამხნევება-დახმარებას საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. ეს ნამდვილად რეალურია, რადგან ქართველ, უკრაინელ, ფინელ და რუსეთთან ვასალური კავშირებით შეკრულ სხვა ერთა ამგვარი იმედები და განწყობები ცნობილი უნდა იყოს იმპერიული მთავრობისათვის. ხსენებული გეგმის განხორციელების მიზნით, ოსმალეთმა, როგორც ამას აკეთებენ მისი მოკავშირეებიც, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს ამ ერებს, რათა ხელი შეუშალოს სხვა მოვლენათა განვითარებას, რომლებიც არ შეიძლება არ იყვნენ მიმართულნი მის საზიანოდ. რადგან ხსენებულ მეამბოხე და მოჯანყე მოძრაობებს შეუძლიათ იცვალონ ხასიათი და, ამრიგად, შინაგანი წესრიგის მოვლენებად გადაიქცნენ, რომელთა მიზანიც მხოლოდ პოლიტიკურ უფლებათა რეალიზაცია, ან ავტონომიაზე უფლებათა აღიარებაა. ისინი შორს იქნებიან იმისაგან, რომ დაასუსტონ რუსეთი, რომლის მთავრობაც იძულებული იქნება, წავიდეს დათმობებზე ან სულაც საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა, რომელიც მას მხოლოდ განამტკიცებს და შესაბამისად, გახდის უფრო მძლავრს და აგრესიულს, როგორც არასოდეს.

ქართული კომიტეტი უტოვებს იმპერიულ მთავრობას შესაძლებლობას თავად შეაფასოს ეს მოსაზრებები, რომლებსაც ის ყოველმხრივ უჭერს მხარს, რადგან სანამ ეს წინაპირობები კიდევ არსებობენ, მას აქვს საშუალება გამოიყენოს ისინი თავის სასარგებლოდ.

რაც შეეხება საქართველოს, ის გამოხატავს ამ სურვილს, რისი დასტურის მიზნით, კომიტეტი თავს უფლებას აძლევს წარუდგინოს იმპერიულ მთავრობას ის, რაც ამ მიზნის მისაღწევად მოიმოქმედა ქართველმა ერმა. უპირველეს ყოვლისა, – ქმედითი კომიტეტის შექმნა, რომელმაც საკუთარი შეტევის შედეგად უკუაგდო რუსები, აიღო მურღული და მიაღწია ბათუმამდე. მეორე, – სოლიდარობა, რომელიც გამოავლინა ქართველმა ერმა მისი მოქმედების მხარდაჭერით. გაერთიანება და შეთანხმება ყველა პარტიას შორის, რომლებიც მანამდე მისდევდნენ განსხვავებულ და მტრულ მიზნებს. ხსენებული გაერთიანების დასტურად და ამ გიგანტური ამოცანის განხორციელების მიზნით, ცენტრალური კომიტეტის შექმნა. და ბოლოს, მისი სოლიდარობა სხვა ერთა მიმართ. – სოლიდარობა, დამყარებული შეთანხმებაზე და ხელშეკრულებებზე ფინეთის მოქმედების კომიტეტთან და კავკასიის ერებთან.

რუსეთი უსაფრთხო გახდება ოსმალეთისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი კავკასიაში აღმოცენდება ძველი ქართული სახელმწიფო, რომელიც შეასრულებს ბუფერული სახელმწიფოს როლს და შექმნის შეურყეველ კედელს, დამბას, რომელიც შეაკავებს სლავთა ნაკადის შეღწევას მის აზიურ ტერიტორიაზე. საქართველო ასრულებდა ამ როლს მანამდე, სანამ სარგებლობდა საკუთარი დამოუკიდებლობით. რუსეთს კი არასოდეს შეეძლო გამხდარიყო ამგვარ საშიშროებად და ჰქონოდა სამხრეთისკენ ექსპანსიის გეგმები, სანამ ეს საერთაშორისო წარმონაქმნი არსებობდა ხელისშემშლელ გარემოებად მის გზაზე.

თუკი საქართველო, როგორც მას ამის სურვილი აქვს, შეიძენს ნეიტრალური ქვეყნის სტატუსს, ამით ის სრულებითაც არ გახდება შემაწუხებელ საგნად მეზობელი ქვეყნებისათვის. პირიქით, ის შეიქნება მშვიდობის უფრო დიდ ფაქტორად, როგორც საკუთარი საერთაშორისო-სამართლებლივი მდგომარეობით, ისე ტერი-

ტორიის დაურღვევლობის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ის შესაძლებლობას მისცემს მოსაზღვრე ქვეყნებს სხვანაირად განალაგონ საკუთარი თავდაცვითი ძალები და მათი კონცენტრაცია სხვაგვარად მოახდინონ. მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი მით უფრო მიღწევადია, რომ ის სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, რადგან ის ერთმანეთს დააცილებს ორ დიდ სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც მათი კონტაქტი უეჭველად წარმოშობს საერთაშორისო კონფლიქტებს და, ამავე დროს, შეუნარჩუნებს პირდაპირ კონტაქტს სხვა სფეროებში. საქართველო წარმოადგენს მშვიდობის ფაქტორს და გარანტიას, როგორც მისი გეოგრაფიული მდგომარეობით, ისე საკუთარი მოსახლეობის რიცხვით, ვინაიდან, არის რა მოშორებული ხმელთაშუა ზღვის აუზს, არ შეუძლია ჰქონდეს ექსპანსიონისტური გეგმები, რომლებსაც გამოხატავს, მაგალითად, საბერძნეთი და სხვა ქვეყნები, ან საკუთარი ენერგიის კონცენტრაცია მოახდინოს ოცნებებზე და ტენდენციებზე, რომლებიც აღემატება მის როლს. პირიქით, საქართველოს, როგორც ამას ისეთი თანაბარი მნიშვნელობის ქვეყნების მაგალითი ადასტურებს, როგორც დანია და ნორვეგია არის, ძალუძს მხოლოდ მშვიდობის ფაქტორი იყოს, რადგან მისი მიზანი ვერ იქნება სხვა რამ, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოს სხვა სახელმწიფოთა კოლექტივში საკუთარი ეროვნული ინდივიდუალურობა. მას არ ძალუძს საკუთარი ენერგია მიუძღვნას ამ მიზანს, თუ კი უცხო ელემენტების და ტერიტორიების ინკორპორაციის მიზნით, ის დახარჯავს საკუთარ ენერგიას და ძალებს ხსენებულ ელემენტთა შესანარჩუნებლად უკიდურესობამდე მიყვანილი სამხედრო სისტემის მეშვეობით. სადღეისოდ ყველაფერი ეს დადასტურებულია უარესი საერთაშორისო კონიუნქტურის პირობებში მყოფ დანიისა და ნორვეგიის მიერ, რომლებსაც, არა აქვთ რა არავითარი სურვილი ისარგებლონ ევროპული შეტაკებით, რჩებიან საკუთარი აბსოლუტური ნეიტრალიტეტის ფარგლებში თავიანთი შინაგანი საქმეებით დაკავებულ მშვიდობიან მაყურებლებად. საქართველოს უანგარობა და ნეიტრალიტეტი იქნება კიდევ უფრო უკეთესად უზრუნველყოფილი, თუ კი ქართული ტერიტორიის ყველა ნაწილი, ისტორიული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით (დადებული ხელშეკრულების ფარგლებში), შევა მომავალი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც, ამრიგად, არ აიძულებს ამ უკანასკნელს მიაპყროს საკუთარი მზერა რეგიონებს, რომლებზეც, ბალკანეთის ქვეყნების მსგავსად, ის ვერაფრით იტყვის უარს.

მოცემულ დებულებათა იმპერიული მთავრობისადმი წარდგენით, ქართულ კომიტეტს სურს გამოთქვას საკუთარი ღრმა რწმენა, რომ ნებისმიერ სხვა, მათ შორის დაპყრობით პოლიტიკას, რომელიც შორს დგას იმპერიის მთლიანობისა და მშვიდობიანი არსებობის უზრუნველყოფისგან, შეუძლია მხოლოდ უბიძგოს ქართველებს აღმოჩნდნენ მეზობელი ძლევამოსილი სახელმწიფოს დაცვის ქვეშ და განაახლოს მე-18 საუკუნის დასასრულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის ისტორიული მოვლენები, საქმის ვითარების იმ მდგომარეობამდე მიყვანით, რომელშიც ის ამჟამად იმყოფება.

Haus Hof und Staatsarchiv, Politisches Archiv (HHStA, PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 35-41. თარგმანი ფრანგულიდან.

ახალი მასალა ქართული სამხედრო სკოლის ისტორიისათვის

ოთარ ჯანელიძის პუბლიკაცია

„იუნკერი" გერმანული წარმოშობის სიტყვაა. იგი თავდაპირველად მსხვილ მიწათმფლობელს, აზნაურს, მემამულეს აღნიშნავდა. შუა საუკუნეების პრუსიაში ბევრი გაღარიბებული იუნკერი იძულებული იყო ჯარისკაცად და დაქირავებულ მეომრად ემსახურა. მეფის რუსეთში ამ ტერმინით ჯერ დაბალი ჩინის სამხედრო პირი (რიგითი ან უნტერ-ოფიცერი), ხოლო შემდეგ საშუალო სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე იწოდებოდა, რომელიც საოფიცროდ ემზადებოდა. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გამოიყენებოდა სახელწოდება იუნკერი გერმანიასა და შვედეთშიც. თავისი სტატუსით იუნკერი უნტერ-ოფიცრისა და ობერ-ოფიცრის შუამდებარე წოდება იყო.

ცნება იუნკერი ქართულში რუსულიდან შემოვიდა. 1866-1918 წწ. თბილისში არსებობდა ქვეით იუნკერთა სასწავლებელი, რომელიც რუსეთის არმიისათვის ოფიცერთა კადრებს ამზადებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ამ სასწავლებლის ბაზაზე, 1919 წელს, დაფუძნდა ქართული სამხედრო სკოლა, რომლის კურსანტებს იუნკრებს უწოდებდნენ. ეს „სკოლა იყო პატარა გმირული ერთეული, აღჭურვილი ზედმიწევნით სამხედრო საუკეთესო თვისებებით."[1] თბილისის სამხედრო სკოლის აღსაზრდელებმა თავიანთი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ეს ფაქტი დავიწყებას მიეცა და იუნკერმა მხოლოდ ნეგატიური დატვირთვა შეიძინა, რომელიც ბოლშევიზმთან დაპირისპირებულ თეთრგვარდიულ მოძრაობასთან ასოცირდებოდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როდესაც შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მართალი ისტორიის გამოქვეყნება, ფართო საზოგადოება ხელახლა გაეცნო ქართველ იუნკერთა გმირობისა და თავდადების შთამბეჭდავ მაგალითებს. ამ გარემოებამ თნამედროვე ქართულ ცნობიერებაში იუნკერის ყველა ადრინდელი მნიშვნელობა გადაფარა. დღეისათვის, სრულიად სამართლიანად, იუნკერი უანგარო პატრიოტიზმის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ მებრძოლად აღიქმება. სიტყვა იუნკერის ხსენებისას, უპირველესად თვალწინ წარმოდგება მამულის სიყვარულით გულანთებული, უდრეკი სულისა და ნებისყოფის სამხედრო ფორმიანი ჭაბუკები, რომლებიც 1921 წლის თებერვალში, ტაბახმელას მიდამოებში მამა-პაპური შემართებით წინ აღუდგნენ შემოჭრილ მტერს. ამ ბრძოლაში ცხრა იუნკერი დაიღუპა და 40-ზე მეტი დაიჭრა. სწორედ ზემოაღნიშნულის გამო, ამ სტრიქონების ავტორის არგუმენტაციით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებს იუნკრები უწოდეს.

ცნობილია, რომ ქართველ იუნკერთა მნიშვნელოვანი ნაწილი დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებთან ერთად ემიგრაციაში გაიხიზნა. ისინი სასწავლებლად პოლონეთის, საბერძნეთისა და საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლებმა მიიღეს. 50-მდე იუნკერი პოლონეთის

---

1 ჩხეიძე ა., მოგონებები სამხედრო სკოლის გახსნის 15 წლის თავზედ, ჟურნ. „მხედარი", პარიზი, 1934, № 17, გვ. 11.

პოდპორუჩიკთა სკოლის კურსანტი გახდა. ბევრი მათგანი სკოლის დასრულების შემდეგ ოფიცრის წოდებით ამ ქვეყნის არმიაში შევიდა და თავდადებით ემსახურა თავისი მეორე სამშობლოს ინტერესებს.

როგორც ქართული სამხედრო სკოლის უფროსი[2], გენერალი გიორგი კვინიტაძე მიიჩნევდა, სამხედრო სკოლა უნდა ყოფილიყო „არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო, ქართული სდამხედრო დოქტრინის კათედრა."

სამხედრო სკოლის ღვაწლსა და დამსახურებას იმაშიც ხედავენ, რომ „თუ მან ვერ მოასწრო დაემზადებინა ახალი ქართველი სარდლები, მან შესძლო ეჩვენებინა ქართველი ერისათვის ქართულად აღზრდილი ჯარისკაცის მაღალი ხარისხი და ღირსება."[3]

გ. კვინიტაძის სიტყვით, ქართული სამხედრო სკოლის მოსწავლეებს, გახდნენ ისინი შემდგომში ლეიტენატი, კაპიტანი, პოლკოვნიკი თუ გენერალი, სამუდამოთ შერჩათ სახელი „იუნკერი."[4] ამასთანავე, „ქართული ჯარის სილამაზესა და სიამაყეს" – „იუნკრებს დარჩათ უკვდავი სახელი ქართველი გმირებისა. მათი სასახელო თავგანწირვა სამშობლოსათვის დიდხანს დარჩება ყველა ქართველისათვის მოსაგონარ და მისაბაძ მაგალითად."[5]

იუნკერთა ქართული სკოლის დაარსების 15 წლისთავზე გენერლმა ალექსანდრე ჩხეიძემ პარიზში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალ „მხედარში" (1934 წ.№ 17) გამოაქვეყნა მოგონებები ამ სასწავლებლის ისტორიის შესახებ. ავტორმა მოგონებებს დაურთო „სამხედრო სკოლის შემადგენლობის სია", რომელიც აერთიანებს სასწავლებლის სამხედრო მეთაურების, იუნკერთა უშუალო ხელმძღვანელების, სამხედრო პედაგოგთა, პროფესორთა, სამეურნეო, სანიტარულ მუშაკთა და 152 იუნკერის სიას. იქვეა დაბეჭდილი ასევე, 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული და დაჭრილი იუნკრების ჩამონათვალი.

ჟურნალის ეს მასალა მთლიანად შეიტანეს თავიანთ წიგნებში გურამ შარაძემ[6] და ლელა სარალიძემ[7]. მიუხედვად იმისა, რომ ქართველი იუნკრების შესახებ დღეს გაცილებით მეტი ვიცით, ვიდრე 20-25 წლის წინათ, მაინც ვრცელდება წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი ცნობები. მაგალითად, გვხვდება ინფორმაცია, რომ 1921 წლისათვის თბილისის მისადგომებთან წითელ არმიას მხოლოდ ქართველი იუნკრები ებრძოდნენ, რომ „ბრძოლის ველზე სიცოცხლე უამრავმა იუნკერმა დატოვა", რომ 1921 წ. 23 თებერვალს სამხედრო ტაძრის ეზოში 21 იუნკერი დაკრძალეს და სხვ.

ასეთ სინამდვილეში კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭება დამატებითი დოკუმენტური მასალების მოძიებასა და პუბლიკაციას. ერთ-ერთ ასეთ მასალას სახელწოდებით „სამხედრო სკოლა" მცირეოდენი კომენტარით, ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ორიოდე წლის წინათ პროფესორმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გიორგი ბაღათურიამ ლევილიდან თბილისში ჩამოტანილი წიგნები და ემიგრანტული ქართული ჟუნალ-გაზეთები გადასცა. მისივე ინფორმაციით, ეს გამოცემები მას კარლო ინასარიძისაგან მიულია. ერთ-ერთ წიგნში ჩადებული აღმოჩნდა გადაკეცილ, თეთრ, მაგრამ გახუნებულ ფურცლებზე ხელნაწერი თერთმეტგვერდიანი ტექსტი, რომელიც შეიცავს ქართული სამხედრო სკოლის ოფიცერთა და ლექტორთა ჩამონათვალს

---

2 1918 წლიდან 1919 წ. აგვისტომდე სკოლას გენერალი ანდრია ბენაშვილი ხელმძღვანელობდა.

3 ჟურნ. „სამშობლო", პარიზი, 1934,№ 16, გვ. 18.

4 კვინიტაძე გ., ჩემს იუნკრებს, ჟურნ. „მხედარი", პარიზი, 1934,№ 17, გვ. 5.

5 ვაჩნაძე ე., ბატონო გენერალო, ჟურნ. „მხედარი", პარიზი, 1934,№ 17, გვ. 29.

6 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003;

7 სარალიძე ლ., სამხედრო სკოლა (იუნკრები) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, მეომრის ბიბლიოთეკა №6, თბ., 2008.

ჩამონათვალი პირების 1920-21 წ.

1.	ფილიპოვსკის	ანდრიანოვიჩი ივანეს ფილიპოვის-ძე	სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი.
2.	ჯანდაცვისა	ჩხეიძე ალექსანდრე ლევანის-ძე	– პირი ოჯახიდან
3.	მეცნიერ	ანდრიანოვი ივანე ფილიპეს-ძე	– სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი
4.	ქართველი	ფიცხელაური ზაქარია ალექსანდრის-ძე	სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის ასისტენტი
5	"	ჩხარტიშვილი ვლადიმერ ალექსანდრის-ძე	– სამედიცინო ფაკულტეტის ბიოლოგიური ქიმიის ლაბორანტი
6		ჭანტურია ლევანი ივანეს-ძე	– სამედიცინო ფაკულტეტის ნორმალური ანატომიის ასისტენტი
7		თოდუა ალექსი	– სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის ლაბორანტი
8		ჯაფარიძე გიორგი ალექსანდრის-ძე	– სამედიცინო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი
9		ჩოგოვაძე ალექსანდრე ივანეს-ძე	– II
10.		ზოიძე ვლადიმერ გიორგის-ძე	I
11.	ქალაქი	ქუთაისი	ქალაქის თვითმმართველობა
12	ლაბორატორია	ანდრიანოვიჩი ფილიპე	ჯანდაცვის ოჯახი
13	მეცნიერ	ტაქარა	– ასისტენტი ქიმიე
14	ქართველი	ლორთქიფანიძე ნიკოლოზ ალექსის-ძე	– ანატომიური ინსტიტუტი.
15		მელიქიშვილი	– ლაბორატორია
16		ბერძენიშვილი	– პროფესორი ქალაქი
17	ლაბორატორია	მჭედლიანი	– სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის ასისტენტი
18	ექიმი	ქალაქის საავადმყოფო	
19	ქალაქის	პაპუნიძე.	

ნაკლებსაშუალო ოჯახებიდან:

20	მეცნიერ	ჭანტურია ვასილი	– I½ ასისტენტი ფაკულტეტის
21	ქართველი	მელიქიშვილი ლიანა ალექსის ასული	
22		ბერძენიშვილი	
23		ჩიტაიშვილი	
24	მეცნიერ	ანდრიანოვიჩი ილიას ანდრიანოვიჩის-ძე	– I½ ასისტენტი ფაკულტეტის
25	ქართველი	ფიცხელაური ალექსანდრე ალექსანდრის-ძე	
26	"	ბერიაშვილი ანდრიანოვიჩის ნიკოლოზის-ძე	
27	"	ჭანტურია	
28	მეცნიერ	ჩხეიძე ალექსანდრე	– I½ ასისტენტი ფაკულტეტის
29	ქართველი	ქუთათელაძე ალექსანდრე ივანეს-ძე	
30	"	ჩიქოვანი ალექსანდრე	
31		ჩხეიძე ალექსანდრე	
32	მეცნიერ	ლილიშვილი	– სანიტარიის ასისტენტი ფაკულტეტის
33	ქართველი	ყანჩაველი	
34	მეცნიერ	ჩაჩავაძე ალექსანდრე	– ფარმაკოლოგიის/ბიოლოგიის ასისტენტი ფაკულტეტის
35	ქართველი	ჩხარტიშვილი ალექსანდრე ალექსანდრის-ძე	
36	"	მჭედლიანი ალექსანდრე ალექსანდრის-ძე	ქალაქის საავადმყოფოში ასისტენტი ფაკულტეტის
37	მეცნიერ	ფიცხელაური	
38	ქართველი	ჩხარტიშვილი ალექსანდრე ალექსანდრის-ძე	
39	"	ყანჩაველი ალექსანდრე ალექსანდრის-ძე	
40	"	ჩხეიძე ალექსანდრე	

მათი თანამდებობებისა და სასწავლო საგნების მითითებით, როგორც ნაცვალთა ათასეულში, ისე იუნკერთა უფროს და უმცროს კლასებში; ასევე, იუნკერთა სიას განყოფილებების მიხედვით (ქვეითთა, საცხენოსნო, საარტილერიო, საინჟინრო) და იმის მითითებით, ვინ იღებდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას 1921 წლის თებერვალში და ვის რა ბედი ენია ბრძოლის შედეგად. ტექსტის ბოლო ფურცლები შეიცავს ტაბახმელის ბრძოლაში სამხედრო სკოლის მონაწილეობის ერთგვარ ანგარიშს და ინფორმაციას განცდილი ზარალის თაობაზე.

ტექსტის დასასრულს მიწერილი ინიციალები ცხადყოფს, რომ დოკუმენტი შედგენილია არტილერიის ლეიტენანტის ა. ჯ.-ს – ალექსანდრე ჯინჭარაძის[8] მიერ. ავტორი რომ ტაბახმელის ეპოპეის მონაწილე და ყოფილი იუნკერია, ეს თვით ტექსტში იკითხება. ხსენებული ტექსტიდანვე ვგებულობთ, რომ ცნობები მას შეუკრებია სტამბოლში 1921 წელს, იქ მყოფი 50 იუნკერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა ეს დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს უფრო გვიან, სავარაუდოდ, 1924 წლის შემდეგ, რადგან მასში მოხსენიებულია 1923 წელს მომხდარი ფაქტი, – ბოლშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის თავმჯდომარის გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის დახვრეტა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ემიგრაციაში ყოფნა. დოკუმენტის ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო 1930 წელს ვერ გადასცდება, რადგან ამ წელს გარდაიცვალა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელიც ტექსტის მიხედვით, ჯერ კიდევ ცოცხალია.

სამხედრო სკოლის პროფესორთა შორის „ქართული ისტორიის" ლექტორად დასახელებულია სარგის კაკაბაძე. ალექსანდრე ჩხეიძის, მ. კვალიაშვილის, ასევე, ზოგიერთი სხვა პუბლიკაციის თანახმად კი, იუნკრებს საქართველოს ისტორიის კურსს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი უკითხავდა.[9]

სამხედრო სკოლის 183 იუნკერისაგან ტაბახმელის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია 173-ს. ბრძოლაში დალუპულ იუნკერთა რიცხვი – 9 ემთხვევა გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის მონაცემებს. ა. ჩხეიძე ასახელებს 43 დაჭრილ იუნკერს. ამ დოკუმნტში კი დაჭილთა რიცხვი 42-ია.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ფონდში, დაცულია საქმე, რომელიც ასევე, ქართული სამხედრო სკოლის ისტორიასა და 1921 წლის თებერვალში თბილისის მისადგომებთან იუნკრების ბრძოლის პერიპეტიებს შეეხება. დოკუმენტი 1971 წელს, ხსენებული ბრძოლის 50-ე წლისთავზე, ერთ-ერთ იუნკერს შეუდგენია, თუმცა მასზე თავისი ვინაობა არ აღუნიშნავს. სავარაუდოდ, ავტორი ნიკოლოზ მათიკაშვილი უნდა იყოს. დოკუმენტში აღწერილი ინფორმაცია იმავე თემაზე ნ. მათიკაშვილის სხვა, დაბეჭდილი პუბლიკაციების მსგავსია.

ამ საარქივო წყაროს თანახმადაც, ტაბახმელის ბრძოლაში 9 იუნკერი დალუპულა და 42 დაჭრილა (7 მსუბუქად, 22 საშუალოდ და 13 – მძიმედ).[10]

---

8 ქართველი იუნკერი ალექსანდრე ჯინჭარაძე საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ სასწავლებლად საფრანგეთში გაიგზავნა. ა. ჯინჭარაძემ რომ სენ-სირის სამხედრო სასწავლებელი დაასრულა და ლეიტენანტი გახდა, ეს ცნობა მკვლევარმა გიორგი მამულიამ დაგვიდასტურა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

9 ჩხეიძე ა., მოგონებები სამხედრო სკოლის გახსნის 15 წლის თავზედ, ჟურნ. „მხედარი", პარიზი, 1934,№ 17, გვ. 22.

10 საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმ. 15, ფურც. 8-26.

ოფიცერთა შემადგენლობა

სამხედრო სკოლა 1920-21 წ.

1	გენ. შტაბის გენერალი	ანდრონიკაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე	სამხედრო სკოლის უფროსი
2	პოლკოვნიკი	ჩხეიძე ალექსანდრე დავითის ძე	მისი თანაშემწე
3	მაიორი	ანანიაშვილი არჯევან არჯევანის ძე	იუნკერთა ასეულის უფროსი
4	კაპიტანი	შავდია მიხელ ალექსანდრეს ძე	უფროსი კლასის ქვეითთა განყოფილების უფროსი
5	„	სულხანიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე	უფროსი კლასის საცხენოსნო განყოფილების უფროსი
6	„	ქარუმიძე დავით ივანეს ძე	უფროსი კლასის საარტილერიო განყოფილების უფროსი
7	„	თოიძე ირაკლი	უფროსი კლასის საინჟენერნო განყოფილების უფროსი
8	„	ჯაფარიძე გრიგოლ ილიას ძე	უმცროსი კლასის 1-ლი განყოფილების უფროსი
9	„	ჩოჩუა დომენტი თეიმურაზის ძე	უმცროსი კლასის 2-ე განყოფილების უფროსი
10	„	ხოშტარია ვარლამი	უმცროსი კლასის 3-ე განყოფილების უფროსი
11	გენერალი	ვეზირიშვილი	კლასების ინსპექტორი
12	ლეიტენანტი	ანდრონიკაშვილი ალექსანდრე	მისი თანაშემწე
13	მაიორი	მესხელი	სკოლის მნე
14	კაპიტანი	ხელაშვილი გიორგი ანდრიას ძე	ადიუტანტი სკოლის
15	„	მახარობელიძე	ხაზინადარი
16	„	ალექსეევი	არტელის გამგე
17	ლეიტენანტი	მჭედლიშვილი	უმწყობრო მცირე ასეულის უფროსი
18	ექიმი	კალანდარაშვილი	
19	კაპელმეის-ტერი	ვეჯინი	

20	მაიორი	გარდაფხაძე ნესტორი	1-ელი ასეულის უფროსი
21	კაპიტანი	მაჭავარიანი დავითი ილიას ძე	
22	„	ადამიძე	
23	„	ბაქრაძე	
24	მაიორი	აბულაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე	2-ე ასეულის უფროსი
25	კაპიტანი	ბალუაშვილი ვარლამ ალექსანდრეს ძე	
26	„	ალაფიძე ალექსანდრე ნოშრევანის ძე	
27	„	ჭიჭინაძე	
28	მაიორი	ბალუაშვილი ანდრო	3-ე ასეულის უფროსი
29	კაპიტანი	გვასალია გერმანე დავითის ძე	
30	„	რევია მაქსიმე	
31	„	სანიკიძე ოულონ	
32	მაიორი	სიამაშვილი	სანაპირო ასეულის უფროსი
33	კაპიტანი	ყიფიანი	
34	მაიორი	შერვაშიძე ელიზბარ	ტყვიამფრქვევის ასეულის უფროსი
35	კაპიტანი	არონიშიძე არტემ მიხეილის ძე	
36	„	მჭედლიშვილი გიორგი ბაგრატის ძე	
37	მაიორი	ბახუტაშვილი	საარტილერიო ბატარეის უფროსი
38	კაპიტანი	ბარნაბიშვილი გიორგი ივანეს ძე	
39	„	ყორაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე	
40	„	ქართარაძე	

ოფიცერთა შემადგენლობა (გაგრძელება)

ლექტორები

უფროსი კლასი

ქვეითთა განყოფილება –
კურსის ოფიცერი კაპიტანი შავდია

41	გენ. შტაბის გენერალი	კვინიტაძე გიორგი	ტაქტიკა, სამხედრო ისტორია.
42	მაიორი	ცხაკაია	ტოპოგრაფია
43	სამხ. ინჟინერ. გენ.	თუმანიშვილი	ფორთიფიკაცია
44	არტილ. პოლკოვნიკი	გედევანიშვილი	არტილერია
45	კაპიტანი	ტატიშვილი	სამართლის მეცნიერება
46	გენერალი	ციციშვილი	სამხედრო გეოგრაფია
	პოლკოვნიკი	ჩხეიძე	ტოპოგრაფიული ხაზვა
	კაპიტანი	შავდია	წესდებები, ტანთვარჯიშობა, წყობილებრივი მეცადინეობა
	პოლკოვნიკი	ჩხეიძე	ფარიკაობა. ენები – ფრანგული, სომხური, თათრული და სხვ.

საარტილერიო განყოფილება:
კურსის ოფიცერი კაპიტანი ქარუმიძე

47	გენ. შტაბის გენერალი	ზაქარიაძე	ტაქტიკა
	მაიორი	ცხაკაია	ტოპოგრაფია
48	გენ. შტაბის გენერალი	კვინიტაძე	სამხ. ისტორია
	სამხ. ინჟ. გენერალი	თუმანიშვილი	ფორთიფიკაცია
	არტ. პოლკოვნიკი	შკაბიჩი	სროლის თეორია
	კაპიტანი	ქარუმიძე	სროლის წესები
	არტ. პოლკოვნიკი	გედევანიშვილი	ქვემეხები და ჭურვები
	კაპიტანი	ქარუმიძე	არტილერიის ტაქტიკა
	კაპიტანი	ტატიშვილი	სამართლის მეცნიერება
49	ექიმი	ჩხენკელი	ჰიპოლოგია
50	გენ. შტ. პოლკოვნიკი	ჩერქელაშვილი	სამხ. გეოგრაფია
	კაპიტანი	ქარუმიძე	წესდებები, ტანთვარჯიშობა
	პოლკოვნიკი	ჩხეიძე	ფარიკაობა
	?		ენები

საცხენოსნო განყოფილება:
კურსის ოფიცერი კაპ. სულხანიშვილი

	?	თითქმის იგივე პროფესორები	საგნები

ოფიცერთა შემადგენლობა (გაგრძელება)

ლექტორები

უფროსი კლასი

საინჟინერო განყოფილება:
კურსის ოფიცერი კაპ. თოიძე

51	პოლკოვნიკი	ვახვაშიშვილი (შემდეგ ინჟინერი სელირევსკი)	ფორთიფიკაცია
	პოლკოვნიკი	ცხაკაია	ტოპოგრაფია
	არტ. პოლკოვნიკი	გედევანიშვილი	არტილერია
	გენ. შტაბ. გენერალი	ზაქარიაძე	ტაქტიკა
	კაპიტანი	თოიძე	ამფეთქებელი ხელოვნება
52	მაიორი	ჯაფარიძე	ტელეფონისა და ტელეგრაფის საქმე

53	სამხ. ინჟ. გენ.	თაყაიშვილი	მასალათა სიჯიქე, მექანიკა, ალმაშენებელი ხელოვნება, ხიდის საქმე, გზის საქმე, ანალიტიკური გეომეტრია, დურგლობა
	გენ. შტაბ. გენერალი	კვინიტაძე	სამხ. ისტორია
	გენ. შტაბ. პოლკოვნიკი	ჩეჩელაშვილი	სამხ. გეოგრაფია
	კაპიტანი	ტატიშვილი	სამართლის მეცნიერება
	პოლკოვნიკი	ვახვახიშვილი	ქიმია
	კაპიტანი	თოიძე	წესდებები, ტანთვარჯიშობა
	პოლკოვნიკი	ჩხეიძე	ფარიკაობა
	?		ენები

უმცროსი კლასი

	კაპიტანი	ჯაფარიძე	1-ი განყოფილების კურსის ოფიცერი
	„	ჩორჭუა	2-ე განყოფილების კურსის ოფიცერი
	„	ხოშტარია	3-ე განყოფილების კურსის ოფიცერი
	გენ შტაბ. გენერალი	კვინიტაძე	ტაქტიკა 1-ი განყოფილება
	გენ. შტაბ. პოლკოვნიკი	გედევანიშვილი	ტაქტიკა 2-ე განყოფილება
	გენ. შტაბ. გენერალი	ანდრონიკაშვილი	ტაქტიკა 3-ე განყოფილება
	გენ. შტაბ. გენერალი	ანდრონიკაშვილი	ტოპოგრაფია
	პოლკოვნიკი	ვახვახიშვილი	ფორთიფიკაცია
54	გენ. შტაბ. გენერალი	გედევანიშვილი	სამხედრო ისტორია ქართული
	კაპიტანი	ტატიშვილი	სამართლის მეცნიერება
	კაპიტანი	ქარუმიძე	არტილერია
55	ბატონი	სარგის კაკაბაძე	ქართული ისტორია
56	ბატონი	ბარნოვი	ქართული ლიტერატურა
	გენ. შტ. პოლკოვნიკი	ჩეჩელაშვილი	სამხედრო ადმინისტრაცია
	სამხედრო ექიმი	კალანდარიშვილი	ჰიგიენა
	ქალბატონი	ყიფიანი	ფრანგული
	ბატონი	შავდია	სომხური, გერმანული, თათრული

იუნკერთა შემადგენლობა

სამხედრო სკოლა 1920-21 წ.

უფროსი კლასი

ქვეითთა განყოფილება:

1.	უმცროსი პორტ. იუნკერი	ამირეჯიბი დიმიტრი	დაიჭრა
2.	უფრ. პორტ. იუნკერი	ასათიანი მამუკა	დაიჭრა
3.	იუნკერი	ახვლედიანი ალექსანდრე	მოკლულია
4.	იუნკერი	ბარნაბიშვილი ივანე	ბრძოლაში არ ღებულობდა მონაწილეობას. სამსახურის გამო ტფილისში იქნა დატოვებული
5.	იუნკერი	ბარნაბიშვილი მიხეილი	
6.	იუნკერი	ბახუტაშვილი სიმონი	
7.	იუნკერი	ბურჭულაძე ვლადიმერი	სრულიად არ ყოფილა სასწავლებელში. ავადმყოფობის გამო იმყოფებოდა ხანგრძლივ შვებულებაში. არც იუნკერთა რიგში ბრძოლებში არ მიულია მონაწილეობა.
8.	იუნკერი	გეგეჭკორი ვალერიანი	
9.	იუნკერი	გეთია მიხეილი	
10.	იუნკერი	გელაძე მიხეილი	
11.	უფრ. პორტ. იუნკერი	გელაშვილი სპირიდონი	
12.	იუნკერი	გოგოლაშვილი ნიკოლოზი	
13.	უმცრ. პორტ. იუნკერი	გორდეზიანი ამბროსი	დაიჭრა
14.	უმცრ. პორტ. იუნკერი	თაყაიშვილი პლატონი	
15.	იუნკერი	თინიკაშვილი ბორისი	
16.	უმცრ. პორტ. იუნკერი	იაშვილი გრიგოლი	
17.	იუნკერი	ივანიძე ნიკოლოზი	
18.	უმცრ. პორტ. იუნკერი	იოსავა აბესალომი	დაიჭრა
19.	იუნკერი	კაკაბაძე დავითი	
20.	„	კაკაბაძე ილია	
21.	„	ლაპაური ნიკოლოზი	
22.	უმცრ. პორტ. იუნკერი	ლობჟანიძე ილარიონი	

23.	იუნკერი	ლორთქიფანიძე ოთარი	მოკლულია
24.	უმცრ. პორტ. იუნკერი	მატახერია ლავრენტი	
25.	იუნკერი	მაყაშვილი ბორისი	
26.	ზემდეგი	ოდიშელიძე გიორგი	
27.	იუნკერი	ოქროპირიძე ზაქარია	
28.	„	სალინაშვილი გიორგი	დაიჭრა
29.	„	სალინაშვილი ნიკოლოზი	დაიჭრა
30.	„	ტყეშელაშვილი ირაკლი	
31.	უმცრ. პორტ. იუნკერი	ყიფიანი დავითი	
32.	იუნკერი	ხუციშვილი დიმიტრი	დაიჭრა
33.	„	ცერცვაძე ზაქარია	
34.	„	ჩაჩიბაია კლემენტი	
35.	„	ჩილოჩავა ალექსანდრე	დაიჭრა
36.	უმცრ. პორტ. იუნკერი	ჩხეიძე გრიგოლი	დაიჭრა
37.	უმცრ. პორტ. იუნკერი	ჯავახიშვილი გიორგი	
38.	იუნკერი	ჯანდიერი ილია	ჭრილობებისაგან გარდაიცვალა, როგორც საქართველოდან იტყობინებიან.
39.	უფრ. პორტ. იუნკერი	ჯაფარიძე ალექსანდრე	

უფროსი კლასი (გაგრძელება)

საცხენოსნო განყოფილება:

1.	უმცრ. პორტ. იუნკერი	დადიანი მიხეილი
2.	უფრ. პორტ. იუნკერი	ვაჩნაძე ივანე
3.	იუნკერი	ლალიძე დიმიტრი
4.	„	მიქაძე სერგო
5.	„	ნაცვლიშვილი ფარნაოზი

საარტილერიო განყოფილება:

1.	იუნკერი	აბულაძე პროკოფი
2.	უმცრ. პორტ. იუნკერი	ბაქრაძე ვახტანგი
3.	იუნკერი	ვერულაშვილი ვასილი
4.	„	თოხაძე ნიკოლოზი
5.	„	ისკანდარაშვილი ვახტანგი

6.	„	ლალიძე დავითი
7.	უმცრ. პორტ. ოუნკერი	მახარაძე ვლადიმერი
8.	ოუნკერი	ნიკოლაძე შოთა
9.	„	რატიშვილი გიორგი
10.	„	რცხილაძე ნიკოლოზი
11.	„	სიდამონ-ერისთავი ნიკოლოზი
12.	„	ფურცელაძე შალვა
13.	უფრ. პორტ. ოუნკერი	ლოლობერიძე მიხეილი
14.	ოუნკერი	წითლანაძე თადეოზი
15.	„	ხუხუნი კლემენტი

საინჟენერო განყოფილება:

1.	ოუნკერი	აბაშიძე სიმონი	
2.	უმცრ. პორტ. ოუნკერი	ბალუაშვილი გიორგი	დაიჭრა
3.	უმცრ. პორტ. ოუნკერი	გარსიაშვილი ნიკოლოზი	
4.	ოუნკერი	იაკობაშვილი პავლე	მოკლულია
5.	„	კიკიანი გრიგოლი	დაიჭრა 2 მაისს 1920 წ. ბოლშევიკების თავდასხმის დროს სკოლაზე ტფილისში.
6.	„	რიჟამაძე მელენტი	
7.	უფრ. პორტ. ოუნკერი	ფერაძე ისიდორე	დაიჭრა
8.	ოუნკერი	ხელაძე ვალერიანი	არ ღებულობდა მონაწილეობას ბრძოლებში სამსახურის გამო
9.	„	ციბაძე ვლადიმერი	
10.	„	ჭუბაბრია დავითი	

უმცროსი კლასი

1ლ განყოფილება

1.	ოუნკერი	ბარამიძე ბენია	
2.	„	ბაქრაძე ივანე	
3.	„	ბალახვანცევი საველი	
4.	„	გაბუნია კონსტანტინე	
5.	„	გენძეხაძე შალვა	
6.	„	გიგინეიშვილი ვასილი	არ მოულია მონაწილეობა ბრძოლებში, მისი პოზიცია სამსახურის მხრივ არა ლეგალური იყო
7.	„	დგებუაძე ნიკოლოზი	დაიჭრა
8.	„	დოლიძე პლატონი	ჭრილობებისაგან გარდაიცვალა

9.	„	ერქომაიშვილი ალექსანდრე	
10.	„	ვეფხვაძე ივანე	დაიჭრა
11.	„	ზაუტაშვილი იოსები	დაიჭრა მსუბუქათ
12.	„	იაშვილი კონსტანტინე	დაიჭრა
13.	„	იოსელიანი ტიმოთე	
14.	„	კეკუაძე კლემენტი	
15.		კელენჯერიძე დავითი	
16.	„	კვარაცხელია გრიგოლი	არ მიულია ბრძოლაში მონაწილეობა. ავად იყო?
17.	„	კუმარიტაშვილი ალექსანდრე	დაიჭრა
18.	„	ლალიძე ულადიმერი	არ ყოფილა ფრონტზე. ტიფით ავადმყოფი სკოლის საავადმყოფოში იწვა
19.	„	ლოლაძე კონსტანტინე	დაიჭრა
20.	„	ლოლუა მიხეილი	მოკლულია
21.	„	ლორთქიფანიძე ალექსანდრე	დაიჭრა
22.	„	ნანუაშვილი ივანე	
23.	„	ნიკოლაიშვილი ნიკოლოზი	
24.	„	საღინაშვილი გიორგი	დაიჭრა
25.	„	სიდამონ-ერისთავი ილია	
26.	„	სისაკოვი არამი	
27.	„	ტატიშვილი ზურაბი	დაიჭრა
28.	„	უგრეხელიძე ვიტალი	
29.	„	ფანცულაია ალექსანდრე	
30.	„	ფერაძე პავლე	
31.	„	ქობულია მიხეილი	
32.	„	ხუნდაძე გედევანი	
33.	„	წიკლაური ვლადიმერი	დაიჭრა
34.	„	ჯამასპიშვილი ივანე	
35.	„	ჯაფარიძე ნიკოლოზი	დაიჭრა
36.	„	ჭირღლაძე სოლომონი	დაიჭრა
37.	„	ჭოლოშვილი სერგო	

უმცროსი კლასი (გაგრძელება)

2-ე განყოფილება

1.	იუნკერი	ავალიშვილი შალვა	დაიჭრა
2.	„	ანდრონიკაშვილი არჩილი	
3.	„	აფხაიძე ტიმოთი	
4.	„	აღლაძე ირაკლი	დაიჭრა
5.	„	ბოკუჩავა გრიგოლი	
6.	„	გიორგაძე ვლადიმერი	დაიჭრა
7.		გლავაცკი ალექსანდრე	
8.		ვაჩნაძე დავითი	
9.		იაშვილი ალექსანდრე	დაიჭრა
10.		იაშვილი სიმონი	დაიჭრა
11.		კანდელაკი ლევანი	მოკლულია
12.		კეზელი ლევანი	
13.	„	კვალიაშვილი მიხეილი	
14.	„	კობიაშვილი სიმონი	
15.		ლოსაბერიძე გობრონი	
16.	„	მამუჩაიშვილი დავითი	დაიჭრა
17.	„	მარკოზაშვილი ლავრენტი	
18.	„	მდივანი დავითი	
19.	„	მორჩაძე დავითი	დაიჭრა
20.	„	მრელაშვილი გიორგი	
21.	„	ოქროპირიძე იოსები	
22.	„	სიმონიშვილი ივანე	დაიჭრა
23.	„	სომხიანცი მელიქი	
24.		სხირტლაძე არკადი	
25.		ტროყაშვილი მიხეილი	
26.		ტურაშვილი გრიგოლი	
27.	„	ფურცელაძე გიორგი	არ ყოფილა ფრონტზე, ტიფით ავადმყოფი ტფილისის საავადმყოფოში იწვა
28.	„	ფხაკაძე ვასილი	
29.		ხიმშიაშვილი ალექსანდრე	
30.		ხინველი ისაკი	დაიჭრა
31.	„	ძულიაშვილი გიორგი	არ ყოფილა ფრონტზე, ტიფით ავადმყოფი საავადმყოფოში იწვა
32.	„	ციციშვილი კონსტანტინე	ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია
33.	„	ცქიტიშვილი გიორგი	დაიჭრა
34.	„	ჩაჩავა მიხეილი	
35.	„	ჯავახიშვილი გიორგი	
36.	„	ჯანდიერი იოსები	მოკლულია
37.	„	ჯაფარიძე ნიკოლოზი	დაიჭრა
38.	„	ჯინჭარაძე ალექსანდრე (I)	

3-ე განყოფილება

1.	იუნკერი	აბაშიძე ვარლამი	დაიჭრა
2.	„	აბაშიძე კონსტანტინე	
3.	„	ანდრონიკაშვილი გიორგი	
4.	„	არჯევანიძე ალექსანდრე	
5.	„	აღნიაშვილი ნიკოლოზი	
6.	„	დათებაშვილი აკაკი	
7.	„	დანელია ნიკოლოზი	
8.	„	დონაძე გედევანი	
9.	„	ერისთავი შალვა	მოკლულია
10.	„	ვახვახიშვილი ნიკოლოზი	დაიჭრა
11.	„	ზალდასტანიშვილი გიორგი	დაიჭრა
12.		ზედგინიძე გიორგი	
13.	„	თარხნიშვილი ალექსანდრე	
14.	„	კავკასიძე ვლადიმერი	
15.		კალანდარაშვილი დავითი	
16.	„	კასრაძე ვასილი	
17.	„	კერესელიძე ივანე	
18.	„	კვიკვიძე მიხეილი	
19.	„	კვინიხიძე მიხეილი	
20.	„	კინწურაშვილი ალექსანდრე	
21.	„	ლეჟავა ვასილი	
22.	„	ლორთქიფანიძე ირაკლი	
23.	„	მათიკაშვილი ნიკოლოზი	
24.	„	მაჩაბელი ივანე	მძიმედ გახდა ავად
25.	„	მირზაშვილი რევაზ	დაიჭრა
26.	„	მჭედლიშვილი აპოლონი	
27.	„	ომარაშვილი ნეოფითე	
28.	„	სამხარაძე ბაგრატი	დაიჭრა
29.	„	საღინაშვილი ევგრაფი	
30.	„	ტატიშვილი ალექსადნრე	დაიჭრა
31.	„	ფავლენიშვილი რევაზი	
32.	„	ქაჯაია ვასილი	დაიჭრა
33.	„	ხიდირბეგიშვილი მიხეილი	დაიჭრა
34.	„	შავდია დავითი	
35.	„	შვანგირაძე ონისიმე	
36.	„	ჯანდიერი არჩილი	
37.	„	ჯინჭარაძე ალექსანდრე (II)	
38.	„	ჭანკვეტაძე ვახტანგი	
39.	„	ლომკაცი გიორგი	

სამხედრო სკოლა შედგებოდა:
იუნკერთა ასეულისაგან და ნაცვალთა ათასეულისაგან.

იუნკერთა ასეული უფროსი იყო მაიორი ანანიაშვილი.
კურსის ოფიცრები დანაწილებულნი იყვნენ მწყობრის უფროსებად. ეს ასეული შედგებოდა 4 მწყობრისაგან.
1-ლ მწყობრის უფროსი – კაპიტანი შავდია
2-ე მწყობრის უფროსი – კაპიტანი ჯაფარიძე
3-ე მწყობრის უფროსი – კაპიტანი ჩოჩუა
4-ე მწყობრის უფროსი – კაპიტანი ხოშტარია
საინჟინრო მწყობრის უფროსი – კაპიტანი თოიძე
საარტილერიო მწყობრის უფროსი – კაპიტანი ქარუმიძე
საცხენოსნო მწყობრის უფროსი – კაპიტანი სულხანიშვილი
ტყვიამფრქვევების მწყობრის უფროსი – ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი.

ტაბახმელას ფრონტზე იუნკერთა ასეულის შემადგენლობა შემდეგი იყო. კაპიტანი სულხანიშვილი საცხენოსნო განყოფილების 5 იუნკერით მივლინებულ იქნა ფრონტის მარჯვენა ფრთის სარდლის გენერალ ანდრონიკაშვილის, რომელსაც თანაშემწედ ჰყავდა პოლკოვნიკ ჩხეიძე, შტაბში. დავალებათ ჰქონდა კავშირი. სარტილერიო მწყობრმა კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით შეადგინა ერთი ბატარეა (1 საველე მწყობრი და 1 სამთო მწყობრი, რომელსაც თანშემწედ ჰყავდა კაპიტანი ... (გვარი არ მახსოვს) ეს ბატარეა იუნკერთა სექტორიში მოქმედებდა.
ვინაიდან საინჟინრო მწყობრს არავითარი განსაკუთრებული დავალება არ ჰქონდა თავის სპეციალობის მიხედვით, ქვეით იუნკერთა ათასეულში შევიდა თავის კურსის უფროსით, რომელიც უფროსობდა ბრძოლაში ერთ მწყობრს.
უმცროსი კურსის იუნკერთა და უფროსი კურსის ქვეითთა განყოფილება სიმაღლის მიხედვით განაწილებული 4 მწყობრით, როგორც ზემოთ აღნიშნულია, შეადგენდა იუნკერთა ქვეითა ასეულს, რომელსაც თავს დააწვა მთელი სიმძიმე ბრძოლისა.
მაშასადამე შემადგენლობა ტაბახმელაში შემდეგია.
ოფიცრობა: მაიორი ანანიაშვილი ასეულის უფროსი – მოკლულია
ქვეითთა კაპიტანი შავდია – მწყობრის უფროსი – დაიჭრა
ქვეითთა კაპიტანი ჩოჩუა – მწყობრის უფროსი – დაიჭრა
ქვეითთა კაპიტანი ხოშტარია – მწყობრის უფროსი – დაიჭრა
ქვეითთა კაპიტანი თოიძე – მწყობრის უფროსი – მოკლულია
ქვეითთა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი – ტყვიამფრქვევის უფროსი – დაიჭრა
არტილერია: ლეიტენანტი ქარუმიძე – ბატარეის უფროსი
ლეიტენანტი (გვარი არ მახსოვს მისი) – უფროსი ოფიცერი
საცხენოსნო: ლეიტენანტი სულხანიშვილი – ცხენოსან კავშირის შტაბში
შტაბი: გენერალი ანდრონიკაშვილი – მარჯვენა ფრთის სარდალი
პოლკოვნიკი ჩხეიძე – მისი თანაშემწე.
ჯამი – 1 გენერალი, 10 ოფიცერი.

იუნკერთა შემადგენლობა ტაბახმელაში

სრული სკოლის შემადგენლობა			ტაბახმელაში მონაწილეობას ღებულობდნენ
უფროსი კლასი	ქვეითთა განყოფილება	39	37
უფროსი კლასი	საარტილერიო განყოფილება	15	15
უფროსი კლასი	საინჟენრო განყოფილება	10	9
უფროსი კლასი	საცხენოსნო განყოფილება	5	5
უმცროსი კლასი		114	107
ჯამი		183	173

ზარალი:

ოფიცრობაში

3 შტაბში - ზარალი – 0

2 არტილერიაში - ზარალი – 0

6 ქვეითთა - ზარალი – [მოკლული 2; დაჭრილი 4]

იერიშში მონაწილეობის მიმღებ ოფიცრებიდან ქვეითთა ჯარში არავინ არ დარჩა რიგში ტფილისის დატოვებისას, უკანასკნელ ღამეს, დარჩენილ 30 უნკერთა უფროსობა მიიღო ნაცვალთა ათასეულის კაპიტანმა მაჭავარიანმა.

იუნკრობაში:

კავალერია - 5 – ზარალი – 0

არტილერია - 15 – ზარალი – 0

ქვეითთა რიგში - 153 – ზარალი – [მოკლული 9;
დაჭრილი 42 / რიგიდან გამოვიდა 51 – დაახლ. 1/3 ქვეითთა შემადგენლობისა – 34%.

უნდა აღინიშნოს, შეუსვენებლივ ხანგრძლივმა ბრძოლამ, ზამთრის სუსხმა ბევრი იუნკერი რიგიდან გამოიყვანა ავადმყოფობის გამო. ტფილისის დატოვების უკანასკნელ საღამოს ფრონტზე დავრჩით 30 იუნკერი, რომლებმაც მცხეთას დაიხიეს და გორში მთავარსარდლის სტავკაში იქმნა დატოვებული, თავის პირად რეზერვში. თან ვახლდით ბათომამდე. დანარჩენ იუნკრობას ევაკუაცია უყვეს ქუთაისში ხელახლად მოსაწყობად და გარემოების ჩქარი ცვალებადობის გამო, ქუთაისიდან ბათომში უყვეს ევაკუაცია.

სამწუხაროთ, ნაცვალთა ათასეულის ელემენტი ბრძოლის წინა თვეებში გაგზავნილ იქმნა სხვადასხვა ნაწილებში. ტაბახმელაში გაგზავნეს ახლად მოწვეული რამოდენიმე დღის წინ, ჯარისკაცები. ამ გაუწვრთნელთ არავითარი ნაყოფი არ შეეძლოთ გამოეღოთ. სკოლის ოფიცრები ადვილად გაუწევენ ანგარიშს – რომ ეს ათასეული ყოფილიყო ტაბახმელას იუნკრთა ასეულთან ერთად, თუ რა საქმე გაკეთდებოდა ომის მოსაგებათ.

ეს ცნობები შედგენილ იქნა სტამბოლში 1921 წ. იქ მყოფ 50 იუნკერის მიერ მოწოდებულ ცნობებით. მას შემდეგ თუ რა ზარალი გასწია იუნკრებმა ბოლშევი-

კების წინააღმდეგ ან ჭრილობებისაგან გარდაცვლილთა შესახებ, სწორი ცნობები არ მოიპოვება. პოლკ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს შეუძლია დაადასტუროს თუ მართლა იუნკერი ჯამასპიშვილი მოკლულ იქმნა თავის რაზმში, ბოლშევიკების წინააღმდეგ. უმრავლესობა იუნკრობა პოლონეთში იმყოფებიან და ეცოდინებათ გარდაცვლილთა სია, როგორც იუნკერი ხუხუნი გარდაიცვალა ფილტვების ავადმყოფობით, აგრეთვე იუნკრი კეზელი ამავე ავატმყოფობით პოლონეთში.

გენერალი ანდრონიკაშვილი დახვრეტილ იქმნა ჯალათების მიერ სამშობლოსათვის გმირულად, მისი სიტყვები ოქროს ასოებით უნდა იქმნას აღნიშნული.

1920 წ. 2 მაისის თავდასხმის დროს ტფილისში მოკლულ იქმნა იუნკრი მაყაშვილი, ერთი იუნკერი ტრაღიკულად დაიღუპა (სახელი არ მახსოვს)

ტაბახმელის ბრძოლის ველზე დაეცნენ სამშობლოსათვის იუნკრთა ასეულიდან

1. მაიორი ანანიაშვილი არჯევან
2. კაპიტანი თოიძე ირაკლი
3. იუნკერი ახვლედიანი ალექსანდრე
4. იუნკერი დოლიძე პლატონი
5. იუნკერი ერისთავი შალვა
6. იუნკერი იაკობაშვილი პავლე
7. იუნკერი კანდელაკი ლევანი
8. იუნკერი ლოლუა მიხეილი
9. იუნკერი ლორთქიფანიძე ოთარი
10. იუნკერი ჯანდიერი იოსები
11. იუნკერი ჯანდიერი ილია

არტილერიის ლეიტენანტი ა.ჯ.

ხელნაწერთა ოქროს ფონდი

ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმ „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებათა წიგნი

ჯული გაბოძისა და **რუსუდან კობახიძის** პუბლიკაცია

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წამომადგენლის, ცნობილი ექიმის, ვახტანგ ღამბაშიძის შვილიშვილმა, ქალბატონმა ნათელა ნიკოლაძე-ვილკურმა პაპის უნიკალური არქივის დიდი ნაწილი საქართველოს ეროვნულ არქივს გადასცა. სანატორიუმ „პატარა ცემის“ ჩანაწერების წიგნს კი ვერ შეელია, რელიკვიად იტოვებსო – გვითხრა ბ-ნმა გოჩა ჯავახიშვილმა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა საფრანგეთის რესპუბლიკაში და მონაკოს სამთავროში, იუნესკოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში. მას წილად ხვდა ბედნიერება, ენახა ეს „ოქროს წიგნი“ და პირველი გვერდის გადაღების ნებაც ეთხოვა – „ჩემი მეგობარი აკაკის თხზულებათა ახალი ოცტომეულის გამოცემაზე მუშაობს და მას ძალიან სჭირდებაო.

გასული წლის შემოდგომაზე საფრანგეთიდან საოცარი საჩუქარი მივიღეთ – აკაკი წერეთლის ლექსის „პატარა ცემის“ უცნობი ავტოგრაფის ფოტო. ლექსი ჩაწერილია ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმის ჩანაწერების წიგნის პირველ გვერდზე და ახლავს ხელმოწერა და თარიღი: „აკაკი 1904-სა 12-ს მარიამობისთვეს“ ლექსი გამოქვეყნებულია გაზ. „ივერიაში“ 1904 წლის 10 სექტემბერს.



ვახტანგ ღამბაშიძე



ვანდა ღამბაშიძე შვილებთან ერთად „პატარა ცემში“


ვახტანგ ღამბაშიძე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. „არ ყოფილა ქართული საქმე, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ ვახტანგს და მის მეუღლეს" – წერდა ჟურნალ „ბედი ქართლისაში" გამოქვეყნებული ნეკროლოგის ავტორი 1951 წელს.[1].

და რა გასაკვირია, რომ ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახი დაკავშირებული იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის ისტორიასთან. მისი ქალიშვილი, მედეა ღამბაშიძე, უნივერსიტეტის პირველი სტუდბილეთის მფლობელი იყო, ვახტანგის მეუღლე, წარმოშობით ინგლისელი, ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე ივანე ჯავახიშვილმა მიიწვია უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე პროფესორად; თავად ვახტანგი ემიგრაციაში წასვლამდე ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიგიენის კათედრაზე, თანაც უსასყიდლოდ. პირველად მას ურჩევია რუსეთში მყოფი პეტრე მელიქიშვილისათვის სამშობლოში დაბრუნება და უნივერსიტეტის რექტორობა.

სწორედ ამიტომ გაჩნდა იდეა, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეოდ თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმთან ერთად გამოსაცემად მოგვემზადებინა სანატორიუმის ჩანაწერების წიგნი-ალბომი და შეგვესრულებინა ბატონი ვახტანგის სურვილი. ქალბატონი ნათელა სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს შეთავაზებას და 2017 წლის მაისში თავად ჩამოიტანა საქართველოში სახელოვანი პაპის ეს უძვირფასესი რელიქვია და ბატონი გოჩა ჯავახიშვილის დახმარებით, მისი გამოცემის ექსკლუზიური უფლებაც გადმოგვცა.

ვახტანგ ღამბაშიძის არქივში დაცული ეს რვეული წარმოადგენს სანატორიუმ „პატარა ცემის" ქართველი და უცხოელი დამსვენებლების შთაბეჭდილებების წიგნს, რომელიც ასევე შეიცავს ემიგრანტთა პარიზულ ჩანაწერებსაც.

„ოქროს წიგნს" უჩვეულო ბედი ხვდა წილად, ჯერ იყო და, იმდროინდელი საქართველოს მრავალ მოღვაწეს გაუკეთებია ჩანაწერები წიგნში, შემდეგ პატრონთან ერთად ემიგრაციაში მოხვედრილა, სადაც ტრადიციისათვის არ უღალატიათ და უკვე საოჯახო ალბომად ქცეულ წიგნში გაუგრძელებიათ ჩანაწერები ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილ ქართველ მამულიშვილებს. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად წყდება ჩანაწერები, ცოტა მოგვიანებით და რამდენიმე ცარიელი გვერდის გადაფურცვლის შემდეგ კი ჩნდება ახალი, უსამშობლოდ დარჩენილი ქართველებისა და მათი უცხოელი მეგობრების პარიზული ჩანაწერები. ბოლოს, ბედმა გაულიმა „ოქროს წიგნს" და 113 წლის შემდეგ სამშობლოში „დაბრუნდა"



ჩანაწერების „ოქროს წიგნი"

1896 წელს დამზადებულ ტყავისყდიან 141-გვერდიან წიგნაკში შევსებულია 90 გვერდი. ჩანაწერები შესრულებულია 1904-1945 წლებში ქართველი და უცხოელი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, პოეტების, პოლიტიკოსების, ექიმებისა და ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახის წევრების მიერ. სულ არის სხვადასხვა ტიპის 141 ხელმოწერილი ჩანაწერი: ლექსები; ესეები; შთაბეჭდილებები; მილოცვები და სხვადასხვა პირის ხელმოწერები ქართულ, ფრან-


1 ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, N10, გვ. 1.

გულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე; ჩანაწერები და ლექსები ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, რუსულ და არაბულ ენებზე (დასადგენია შინაარსი და ხელმოწერათა ავტორები); აქვეა უცნობი მხატვრების სამი ჩანახატი.

რვეული შეიცავს ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების – **აკაკი წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, ანასტასია თუმანიშვილის, კიტა აბაშიძის, ილია ნაკაშიძის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, დუტუ მეგრელის, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, დონ-ვალიანის, იასე რაჭველიშვილის, დიმიტრი თომაშვილის, თეოფილე ხუსკივაძის, იოსებ მჭედლიშვილის, ლუარსაბ ბოცვაძის, სიმონიკა ბერეჟიანისა და სხვათა მიერ საკუთარი ხელით ჩაწერილ ლექსებს;** ცნობილი მეცნიერების, პოლიტიკური მოღვაწეების, ქართველი ემიგრანტების ჩანაწერებსა და ხელმოწერებს: **ვიკტორ ნოზაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ივანე გომართელის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთლის, ევგენი გეგეჭკორის, შალვა ამირეჯიბის, სპირიდონ ჭავჭავაძის, ელიზბარ ვაჩნაძის, სიმონ წერეთლის, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, გრიგოლ დიასამიძის, გრიგოლ რობაქიძის, აკაკი ჩხენკელის, ს.ჯაბადარის, ალექსანდრე ფაღავას, შალვა მიქელაძის, ალექსი წერეთლის, ავთანდილ მერაბიშვილისა და სხვ.** ასევე, ცნობილი ქართველოლოგების: **ოლივერ უორდროპის, მარჯორი უორდროპის, ნინო უორდროპის, რობერტ სტივენსონის და სხვათა ხელმოწერებს;** ფრანგი, რუსი და აზერბაიჯანელი ექიმების (ვინაობა დასაზუსტებელია) ხელმოწერებსა და ჩანაწერებს;

ამ რვეულში არსებული ლექსებისა და ესეების დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია, მათ შორის, დღემდე არ იყო ცნობილი **აკაკის ლექსის „პატარა ცემის“ ავტოგრაფული ხელნაწერი და ლექსის რუსული თარგმანი; ექვთიმე თაყაიშვილის** 1945 წლის 18 იანვრის ორგვერდიანი ჩანაწერი; **ალ. ხახანაშვილის ლექსი;** უცნობი ავტორების სამი ჩანახატი – ორი პეიზაჟი შესრულებული აკვარელში და **ვახტანგ ღამბაშიძის პორტრეტი,** შესრულებული ფანქარში.

ვახტანგ ღამბაშიძემ, რომელმაც სამედიცინო განათლება მოსკოვსა და პარიზში მიიღო, 1904 წელს ბორჯომის ხეობაში დააარსა სანატორიუმი „პატარა ცემი“, სადაც 8-16 წლამდე ასაკის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვებს მკურნალობდა.



სანატორიუმი „პატარა ცემი“,

ეს კურორტი შვეიცარიულ სანატორიუმთა ახლებური მოდელის მიხედვით იყო მოწობილი და დიდი სამედიცინო შედეგებითაც გამოირჩეოდა. ცნობილია, რომ ვახტანგ ღამბაშიძე ოფიციალურად თანამშრომლობდა სორბონის უნივერსიტეტის პროფესორებთან, მსოფლიოში ცნობილ ექიმებთან, მალარიის დაავადების ცენტრის მკვლევრებთან: ალფრედ ბინესთან და ალფონს ლავერანთან, რომლებიც სორბონის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში ატარებდნენ მეცნიერულ ცდებს და აქტიურად იყენებდნენ „პატარა ცემის" პაციენტთა კვლევების შედეგებს.

ვახტანგი სანატორიუმში ბავშვებს ფოტოხელოვნებასაც ასწავლიდა.

ვახტანგ ღამბაშიძე აქტიურად იყო ჩართულ ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში: ის იყო პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალ „ქართული სამკურნალო ფურცლის" (1908) რედაქტორ-გამომცემელი; ვახტანგი კავკასიაში საკურორტო ზონის გამგებელი, კონსტანტინოპოლში „წითელი ჯვრის" საერთაშორისო საზოგადოებისა და ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის წევრიც ყოფილა.

ვახტანგ ღამბაშიძე მეგობრობდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან. აკაკი წერეთელი მისი უფროსი ქალიშვილის, მედეას, ნათლია იყო. როგორც ბატონი ვახტანგი იგონებს, პოემა „მედეას" შთაგონებით დაურქმევიათ მისი შვილისთვის ეს სახელი.

1904 წლის 15 ივნისს სანატორიუმის გახსნას აკაკი წერეთელი ვერ დასწრებია, ექიმ სამსონ თოფურიას მოულოდნელი გარდაცვალების გამო. თუმცა თვის ბოლოს ცოტა ხნით დასათვალიერებლად სწვევია და სკამის საზურგეზე პატარა ლექსიც მიუწერია:

„კარგი სანატორია ეს პატარა ცემია
დასუსტებულისათვის ჯან-ღონის მომცემია"-

აკაკი


როგორც ბატონი ვახტანგი იხსენებს, სკამის საზურგე მას დიდხანს შენახული ჰქონია. აგვისტოში (მარიამობისთვეს) აკაკი დასავენებლად ავიდა პატარა ცემში და ვახტანგს შეპირებული ლექსიც ჩაუწერა სანატორიუმის წიგნში: **„ვსთხოვე თავის ხელით ჩაეწერა ჩემს საგანგებო დავთარში, რომელსაც შემდეგ ყველა მომსვლელი პატარა-ცემში სიამოვნებით ეცნობოდა"** – იგონებს ვახტანგ ღამბაშიძე.[2]

ამრიგად, აკაკის ამ ლექსის ავტოგრაფით იწყება „ოქროს წიგნის" ისტორიაც. ყოველ ზაფხულს პატარა ცემის სანატორიუმში საქართველოს ყველა კუთხიდან იკრიბებოდა საუკეთესო ქართული საზოგადოება. ძალიან ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ისვენებდა ოჯახთან ერთად, ბატონი ვახტანგი სანატორიუმის გამორჩეულ სტუმრებს სამახსოვრო ჩანაწერების დატოვებას სთხოვდა და ასე დაიწყო ხელნაწერთა ამ ოქროს ფონდის შევსება. შთაბეჭდილებების წიგნი ვახტანგ ღამბაშიძეს შემდეგ ემიგრაციაში თან წაუღია.

1924 წლიდან ვახტანგ ღამბაშიძე მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად პარიზში დამკვიდრდა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას განაგრძობდა: იგი ზედიზედ სამჯერ აირჩიეს ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ. იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირადი ექიმი, მისი დამკრძალავი კომისიის ხელმძღვანელი და ასევე, გრიგოლ რობაქიძისა და მიხაკო წერეთლის მეგობარი. რასაკვირველია, ალბომში მათი ავტოგრაფებიცაა. მიხაკო წერეთელს ჯერ საქართველოში გაუკეთებია ჩანაწერი 1909 წელს „პატარა ცემში" სტუმრობისას, ხოლო შემდეგ პარიზში:

---

2 შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ", თბ., 1993, ტ. III, გვ. 86.



ვახტანგ ღამბაშიძეს ემიგრაციაშიც არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე. დააარსა ქართული ბიბლიოთეკა და ჟურნალი „მერანი“, აქვეყნებდა სამეცნიერო-პოპულარულ და საგანმანათლებლო ხასიათის წერილებს ჯანმრთელობის საკითხებზე; მეტად საყურადღებოა მისი სტატიები და მოგონებები, რომლებიც ინტენსიურად იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში: „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“, „მერანი“

გამორჩეულმა ფოტოხელოვანმა შთამომავლობას უნიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა. მისი ფოტოკოლექცია იმავდროულად ეპოქის მატეანეა, რომელიც ინახავს ქვეყნის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების ამსახველ ფოტოსურათებს.

ვახტანგ ღამბაშიძის „ოქროს წიგნში“ ემიგრაციაშიც არაერთ ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, შემოქმედს დაუტოვებია ავტოგრაფები და მეტად საინტერესო ჩანაწერები. **„ეს ერთადერთი რამ არის, რაც დამრჩა ჩემი სანატორიუმიდან“-** წერდა იგი მოგონებებში. სამშობლოს ნოსტალგიას ამ ძვირფასი ჩანაწერებით იქარვებდა და მთელი ცხოვრება მის გამოცემაზე ოცნებობდა: **„სანატორიუმის დღიურში ბევრმა იქ მყოფმა მოათავსა ლექსები და შენიშვნები, რომელთა გამოქვეყნებას ადვილად მოახერხებდა ადამიანი, რომ ძალიან არ იყოს გაძვირებული ქართული ბეჭდვითი საქმე საფრანგეთში. ეხლანდელ პირობებში ეს მხოლოდ ოცნებით წარმოსადგენია და მეტი არაფერი.“**[3]


„ოქროს წიგნის“ ერთ-ერთი ჩანაწერი ჩვენთვის ამ რამდენიმე წლის წინ გახდა ცნობილი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ პუბლიკაციიდან,[4] სადაც ნინო სალია ვახტანგ ღამბაშიძის ალბომიდან სიმონ ბერეჟიანის ჩანაწერს აქვეყნებს და წუხს, რომ „ბედმა მას მართლა უმტყუნა და სხვის მიწაზე დააძინა საუკუნოდ, ვერც მისმა თბილისმა მოისმინა მთაწმინდიდან მისი „პაემანი.“

2013 წლის ივნისში თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ორგანიზებით ქართველ საზოგადოებასთან ერთად აღვასრულეთ სიმონიკოს ანდერძი – მთაწმინდიდან

3 შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1991, ტ. III, გვ. 89.

4 „ობლად მიტოვებულნი“, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, N16, პარიზი, 1954, გვ. 30.

მოვასმენინეთ მის თბილისს მისი პოემა „პაემანი მთაწმინდაზე“ წარმოვადგენთ, სიმონ ბერეჟიანის ამ ჩანაწერის ავტოგრაფს:



ვიმედოვნებთ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდება პირველი ქართული უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეოდ მომზადდეს და გამოიცეს „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებების წიგნი-ალბომი წიგნის ფოტოტიპური, აკადემიური გამოცემა სამეცნიერო აპარატით, კომენტარებით, პირთა ანოტირებული საძიებლებით, შესაბამისი ფოტომასალით, წინასიტყვაობით და თანდართული ნარკვევით ვახტანგ ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

იმედი გაჩნდა, იქნებ ვახტანგ ღამბაშიძის „ოცნებით წარმოსადგენი“ – ანდერძად დატოვებული სურვილის შესრულებაც შევძლოთ! იქნებ ამგვარად მაინც დავაბრუნოთ სამშობლოში ვახტანგ ღამბაშიძე და ქართველი ემიგრანტები „ოქროს წიგნიდან“.

გიორგი მამულია

დავით ყოლბაიას წიგნი: „რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939“.

ვარშავა, 2016 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

2016 წელს ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრმა ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოსცა ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის დოქტორის, დავით ყოლბაიას წიგნი „რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939.“

წიგნს წინ უძღვის პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიტოლდ ვაშჩიკოვსკის და ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის დირექტორის, დოქტორ იან მალიცკის წინასიტყვაობა, რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად დიდ რესპექტაბელურობას ანიჭებს ამ ფრიად საყურადღებო და სოლიდურ გამოკვლევას.

ემყარება რა მის მიერ ჩატარებულ საფუძვლიან კვლევას, ავტორი დაწვრილებით განიხილავს პოლონურ-ქართულ ისტორიულ ურთიერთობათა საწყისებს. სამართლიანად აღნიშნავს, რომ უკვე 1918 წლის შემოდგომაზე „თბილისში გაიხსნა პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენლობა კავკასიაში. 1919 წელს თბილისში დაარსდა პოლონეთ-საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო კავშირი“ (გვ. 34).

1921 წლის იანვარში პოლონეთმა, ისევე როგორც ანტანტის უმაღლესმა საბჭომ, დე-იურედ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. თუმცა, უკვე იმავე წლის თებერვალ-მარტში საქართველო ოკუპირებულ და ანექსირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, პოლონეთმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ანტიბოლშევიკური ემიგრაციისადმი უაღრესად თანამიმდევრული პოლიტიკური და მატერიალური დახმარების საქმეში. ავტორის მართებული მითითებით, ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ორივე ერის მწარე ისტორიული ბედის თანხვედრით. კერძოდ კი, უსასტიკესი ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრით, რომელიც იწვნიეს პოლონელებმაც და ქართველებმაც ერთი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიაში ძალდატანებით ინკორპორაციის დროს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პოლონეთის რეს-

პუბლიკის მეთაურის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის პირადი ინციატივით, უკვე 1923 წლიდან დაახლოებით ასამდე ქართველი ოფიცერი და იუნკერი, დაკონტრაქტებულ იფიცერთა სტატუსით მიღებულ იქნენ პოლონეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ავტორის სამართლიანი აღნიშვნით, მიუხედავად იმისა, რომ „არცერთ ქართველ ემიგრანტს არ დავიწყებია თავისი დაკარგული სამშობლო და საქართველოს გასათავისუფლებლად დიდ პოლიტიკურსა თუ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა", ქართველი ოფიცრებისა და იუნკრებისათვის პოლონეთი „მეორე სამშობლოდ გადაიქცა."

პირველად ისტორიოგრაფიაში ავტორის მიერ დაწვრილებით არის შესწავლილი პოლონეთში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ისტორია, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ პოლონეთის მთავრობა არა მხოლოდ პოლიტიკურად უჭერდა მხარს, არამედ მატერიალურადაც აფინანსებდა 1926 წლიდან მის მიერ დაარსებული პრომეთეისტული მოძრაობის ფარგლებში საქართველოს დევნილ მთავრობას (ქართულ ეროვნულ ცენტრს) პარიზში, ისევე როგორც პრომეთეისტულ ფრონტში შემავალ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა უდიდეს ნაწილს საფრანგეთში. სწორედ ხსენებულმა ფინანსურმა დახმარებამ, რომელიც შეუჩერებლივ გრძელდებოდა 1939 წლის სექტემბრამდე, საშუალება მისცა ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ სტრუქტურებს არა მხოლოდ ეარსებათ, არამედ ემოქმედათ და გამოეცათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე.

მაღალ პროფესიონალურ დონეზე შედგენილ ტექსტს თან ერთვის ავტორის მიერ მოპოვებული უმდიდრესი და უნიკალური ფოტომასალა, რომელშიც სრულად არის ასახული ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა ცხოვრება და მოღვაწეობა პოლონეთში. ხსენებული ფოტომასალის უდიდესი ნაწილი პირველად ქვეყნდება ავტორის მიერ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მისი ნაშრომის უნიკალურობას.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ, დავით ყოლბაიას გამოკვლევა შეიძლება ჩაითვალოს უსრულეს ნაშრომად, ორ მსოფლიო ომს შორის პოლონეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ემიგრაციის პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული მოღვაწეობის შესახებ.

რუსუდან დაუშვილი

წიგნი აფხაზ არისტოკრატიასა და ემიგრაციაზე

2016 წელს გამომცემლობა „საარმა“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ეგიდით გამოსცა ქართულ-რუსულენოვანი საინტერესო წიგნი „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ (ქართულად მთარგმნელი ია ქვაჩახია). ავტორი ნატო მარშანია კარგა ხანია მუშაობს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა საკითხებზე და ამ თემაზე არაერთი სტატიაც გამოაქვეყნა. ეს ნაშრომი მისი მეორე წიგნია. პირველ წიგნს – „ქედუხრელი რინდი“, რომელიც თავის წინაპარს აფხაზეთის ეროვნული მთავრობისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ხსოვნას მიუძღვნა, 2013 წელს გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

როგორც ვხედავთ, ორივე წიგნი არამარტო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, არამედ ემიგრაციასაც ეძღვნება. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ორივე ეს საკითხი ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, როცა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე აფხაზი წერს, ემიგრანტებზე კი – მათი შთამომავალი.

XX საუკუნის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი ტალღის წარმომადგენელთა ბიოგრაფიები, როგორც წესი, ლევილის ქართული სასაფლაოთი იწყება ან მთავრდება. ლევილით იწყება ავტორის საოცარი მოგზაურობა აფხაზ არისტოკრატთა – მარღანიების (მაანების), შერვაშიძეების (ჩაჩბების), ემუხვარების ბიოგრაფიულ ხვეულებში. ამ სამი ძირითადი საგვარეულოს მრავალრიცხოვან წარმომადგენლების გაცნობისას შემოდიან სხვა ქართული და აფხაზური გვარებიც – ანჩაბაძეები (აჩბები), გელოვანები, მხეიძეები, ერისთავები, დადიანები, დადეშქელიანები, ჩხოტუები, უბირიები, ჩიქოვანები, ვაჩნაძეები, მიქელაძეები და სხვები, რომლებიც ნათესაური კავშირებით ისე არიან ერთმანეთში გადახლართულნი, როგორც ჩვენი ხალხების ისტორია. მთელ მსოფლიოში გაფანტულ აფხაზ არისტოკრატთა ბიოგრაფიების გაცნობისას ქართულ-აფხაზურ გვარებს ემატება უამრავი დანათესავებული თუ დამეგობრებული უცხოური გვარი – ზარნეკაუ, კრეგერი, ჯექსონი, მეიენდორფი, ცნობილი პიროვნებები – მონაკოს პრინცი და პრინცესა – რენიე II და გრეის კელი, პრინცი ოლდენბურგი, მოდის კანონმდებელი კოკო შანელი, მხატვარი საველი სორინი, ოსმალეთის სულთნები და და მათი აფხაზი მეუღლეები, აფხაზური წარმოშობის ეგვიპტის პრინცესები და მათი მემკვიდრეები.

სქოლიოებში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა მკვლევრების – გ. მამულიას, პ. ქურდოვანიძის, ლ. ცვიჟბას, გ. ძიძარიას, ო. ბღაჟბას, ს. ლაკობას, მ. გუმბას, ლ. აჩბას, მ. ბუტბაის, დ. ალენის, ა. ვასილევის, ი. ობოლენსკის, ემიგრანტების – ვლ. ემუხვარის, რ. გაბაშვილის, დ. ვაჩნაძის, დ. შალიკაშვილის და სხვების ნაშრომები, ქართული, აფხაზური და ემიგრანტული პერიოდული გამოცემები, ინტერნეტსაიტები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა კერძო არქივებიდან, ასევე საარქივო მასალა – საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ჩეხეთის, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს არქივები (საქართველოს ეროვნული არქივი, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, თსუ-ს ემიგრაციის მუზეუმის, ლიტერტურის მუზე-

უმისა და სხვ. ფონდები). წიგნი უხვადაა დასურათებული ფოტოპორტრეტებით, ფოტოდოკუმენტებით, ემუხვარების, შერვაშიძეების, ანჩაბაძეების საგვარეულო ღერბებით. ერთადერთი, რაც დამაკლდა – ლიტერატურის სია და სახელთა საძიებელია, გამოცემას უფრო ადვილად მოსახმარს და სოლიდურს რომ გახდიდა.

პირველი თავი „შორეული ახლობლები" ერთგვარი შესავლის როლს ასრულებს. ავტორის მრავალრიცხოვან უახლოესი წინაპრების გაცნობასთან ერთად, მასში თვალს გადავავლებთ XIX-XX საუკუნეების აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიის უმძიმეს თარიღებს, პირველი მსოფლიო ომის პერიპეტიებში ჩართულ ადამიანთა ტრაგიკულ ბედს და გვექმნება წინასწარი განწყობა – საქართველოს ოკუპაციით იწყება კიდევ ერთი რთული ეპოქა, ერთი მხრივ, საბჭოთა რეჟიმის მარწუხებში აღმოჩენილი ადამიანების მძიმე ხვედრი და მერე მხრივ, – საკუთარ მიწასა და ფესვებს მოწყვეტილი, უცხო ქვეყნებში მოხვედრილი ემიგრანტების სევდიანი ყოფა.

წიგნში პირველი ასეთი ემიგრანტია პოლიტიკოსი, ინტელექტუალი და მეცნიერი, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი ვლადიმერ ემუხვარი. „თავადი", როგორც მას უწოდებდნენ ემიგრაციაში, თბილისის უნივერსიტეტის მიერ მივლინებული ბერლინში სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მისი ბიოგრაფიის ადრეული პერიოდის შემდეგ, რომელიც ივანე ჯავახიშვილთან მიმოწერითაა დამოწმებული, ავტორი მიმოიხილავს ვლადიმერ ემუხვარის პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოს ოკუპაციამდე და ემიგრაციაში. ყურადღება გამახვილებულია ჟურნალ „კავკასიაში" მის თანამშრომლობაზე, კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენისა და კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეისადმი მიძღვნილ მის სტატიებზე. ჯგუფი „კავკასია" წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას მეორე მსოფლიო ომამდე, რომელშიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო-კავკასიელთა ეროვნული ძალები იყო გაერთიანებული. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კი მათი უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დანგრევისა და კავკასიის გამოხსნის ერთადერთ იმედს – გერმანიის სამხედრო უწყებას დაუკავშირდა. მართალია, ვლადიმერ ემუხვარს არ უბრძოლია, – იგი, როგორც გერმანული ენის მცოდნე, თარჯიმნად მუშაობდა, მაგრამ გერმანიის სამსახურში მყოფ ემიგრაციას ფრანგები ალმაცერად უყურებდნენ და ისედაც ომისშემდგომი პერიოდის სირთულეებისა და უმუშევრობის პირობებში უმძიმეს ვითარებაში მოუწია ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ახერხებდა სამეცნიერო საქმიანობას, ლექციებზე, კონფერენციებზე დასწრებას და სტატიების დაბეჭდვას ემიგრანტულ პრესაში. ხანშიშესული აბონდანის მოხუცთა სახლში გადასახლდა, რომელსაც „აბანდონს" – „მიტოვებას" უწოდებდნენ, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1961 წელს, განსასვენებელი კი ლევილის ქართულ სასაფლაოზე ჰპოვა...

წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი, მამაცი მხედარი, კაპიტანი ივანე შერვაშიძე საკუთარ სამხედრო კარიერაში პირველი წოდების მიღებიდან ერთ წელიწადში I მსოფლიო ომში მოხალისედ ჩაეწერა „ველურ დივიზიაში." გახდა წმ. გიორგის, წმ. ანასა და წმ. სტანისლავის ორდენების კავალერი. როგორც არისტოკრატი და პატრიოტი, დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას დაუახლოვდა, რომლის ძირითად ბირთვს ქართველი თავადაზნაურობა, ინტელიგენცია და პროფესიონალი სამხედროები შეადგენდნენ. მათ კარაგად ესმოდათ ეროვნული არმიის ფორმირების აუცილებლობა, სოციალ-დემოკრატიული მთავრობა კი პარტიული ნიშნით შედგენილ სახალხო გვარდას უფრო წყალობდა. ბოლშევიკებთან ბრძოლის სურვილმა ივანე შერვაშიძე მოხალისეთა არმიის ჩეჩენ ცხენოსანთა დივიზიაში მიიყვანა. 1919 წელს იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, შემ-

დეგ უკრაინასა და ყირიმში, საიდანაც 1920 წელს გენერალ ვრანგელის ჯარებთან ერთად ინტერნირებულ იქნა კონსტანტინოპოლში. ასე დაიწყო მისი ემიგრანტობა. მალე ეს ქალაქი ბოლშევიკთა მოკავშირე ქემალისტებმა დაიკავეს და ივანუც იძულებული გახდა კონტრაქტით პარიზში შავ მუშად წასულიყო. მისი კვალი ოჯახმა ჩრდილო კავკასიაში ბრძოლების დროს დაკარგა, მისთვისაც უცნობი იყო ახლობლების ბედი. მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესში მყოფმა მრავალ საქმეს მოჰკიდა ხელი, მათ შორის ვაჭრობასაც, ბოლოს რესტორნის გამგებელიც გახდა, დაქორწინდა ეკატერინე რილზე და შეეძინა ქალიშვილი ირენა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან ურთიერთობა ემიგრაციაშიც გააგრძელა. იყო კავკასიელ ემიგრანტთა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, მეორე მსოფლიო ომის დროს კი გერმანელთა მხარეს მებრძოლთა ბანაკს შეუერთდა. აბვერის სადაზვერვო-სადივერსიო ასეულ „თამარ II"-ში 130 ქართველთან ერთად წვრთნას გადიოდა ბუქარესტთან, შემდეგ კი ოდოპეშტში, მთის პირობებში. ასაკის მიუხედავად (53 წელი), გაუძლო მკაცრ პირობებს და კავკასიის საგანგებო დანიშნულების ბატალიონ „ბერგმანის" მებრძოლი გახდა. ემიგრაციის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ცნობილია, ამიტომ ამ შენაერთებზე ვრცლად საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ბატალიონის ყირიმში გადასხმის შემდეგ ივანე შერვაშიძეც ჩაერთო აფხაზური წარმოშობის ტყვე წითელარმიელთა „სიკვდილის ბანაკებიდან" დახსნის ოპერაციაში. ხანდაზმულობის გამო 1943 წელს „ბერგმანიდან" დაითხოვეს. პარიზში დაბრუნდა. როცა „ქართული მეკავშირე შტაბი" ამუშავდა, ბერლინში ჩავიდა და შტაბში დაიწყო მუშაობა. 1944 წელს კი, საკუთარი განცხადებით, ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით ჩამოყალიბებულ კავკასიური კავალერიის დივიზიის ქართულ პოლკში ჩაეწერა ესკადრონის მეთაურად. კავალერია გიოტინგენში გადიოდა წვრთნას, მაგრამ მისმა პოლკმა ფორმირება და ბრძოლაში ჩაბმა ვეღარ მოასწრო. ესკადრონში სხვა აფხაზებიც იყვნენ, ლეო აჩბა ქართული ლეგიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლშიც კი ჩაირიცხა.

ომის მიწურულს ქართველ მებრძოლთა ნაწილი ჩრდილო იტალიაში გადაიყვანეს. ომის შემდეგ კომუნისტ პარტიზანთა მხრიდან ანგარიშსწორებისა და დასავლელ მოკავშირეების მიერ საბჭოელთათვის გადაცემის თავიდან ასაცილებლად, ქართველ მებრძოლთა ჯგუფი ანტიკომუნისტურ პარტიზანულ ბრიგადა „ოზოპოს" შეუერთდა. საფრანგეთისა და იტალიის ხელისუფლებაში სოციალისტების მოსვლის შემდეგ საბჭოელებმა კიდევ უფრო მეტი გავლენა მოიპოვეს ევროპაში. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც უპირობოდ მისცა თავშესაფარი ნაციონალისტებს – არგენტინა იყო. ამიტომ ივანე შერვაშიძეც იქ მცხოვრები ნათესავის, ვლადიმერ (ძიკი) შერვაშიძის მხარდაჭერით ბუენოს-აირესში ჩავიდა, სადაც მოზრდილი დიასპორა და ქართული სათვისტომო ჩამოყალიბდა. ბოლო წლებში ივანე ხშირად ავადმყოფობდა. გარდაიცვალა 1955 წელს, დაკრძალულია არგენტინაში.

ლევილშია დაკრძალული მიხეილ (მიშა) შერვაშიძეც, რომელსაც ეძღვნება წიგნის მეოთხე თავი. ცნობილი მეწარმისა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თვალსაჩინო წევრის ჯოტო შერვაშიძისა და მაიონა ანჩაბაძის ოჯახმა სხვა ქართული ოჯახების ბედი გაიზიარა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჯოტო შერვაშიძე ცოლ-შვილით სტამბოლში გად-ავიდა. მაიონა საქართველოში დაბრუნდა. დიდი მცდელობის მიუხედავად ჯოტომ ვეღარ მოახერხა მისი გაყვანა. მამა 2 ვაჟით – ვლადიმერით (ძიკით) და მიხეილით – ემიგრაციაში აღმოჩნდა, დედა – საბჭოთა

საქართველოში დარჩა, ქმარ-შვილის დაკარგვა, მრავალი დამცირება გადაიტანა, იწვნია რეპრესიებსშეწირული ახლობლების ტრაგედიის სიმწარეც.

თუ დამოუკიდებელ საქართველოში, ქართველ არისტოკრატებთან ერთად, ჯოტო შერვაშიძე აფხაზი წარჩინებული წოდებისა და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მესვეურთა დაახლოების გზებს ეძებდა, ემიგრაციაში – ანტისაბჭოთა ორგანიზაციის „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტის" აქტიური წევრი გახდა. კომიტეტს პოლონეთის ხელისუფლება და მარშალი იუზეფ პილსუდსკი აფინანსებდა. კომიტეტის კავკასიაში სადაზვერვო ექსპედიციის ორგანიზებაში, რომელსაც ინფორმაცია უნდა შეეგროვებინა ბოლშევიკების მიერ ოკუპირებული რეგიონებიდან, ჯოტოც მონაწილეობოდა. მან სიცოცხლის ბოლომდე (1935) შეინარჩუნა პოლიტიკური აქტივობა, იყო მემარჯვენე კავკასიელ ემიგრანტების მიერ თურქეთში შექმნილი ორგანიზაციის „კავკასიის" წევრი და ინფორმაციას აწვდიდა „პრომეთეულ" მოძრაობას. დიდი ღვაწლი დასდო ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების გაუმჯობესებას.

1927 წელს ჯოტოს უმცროსი ვაჟი მიხეილ შერვაშიძე პარიზში ჩავიდა. მას მონტე-კარლოში მცხოვრები ნათესავი, ცნობილი მხატვარი ალექსანდრე შერვაშიძე ეხმარებოდა. მასთან გაიცნო მდიდარი და ლამაზი ინგლისელი მსახიობი იოლანდა ჯეკსონი, რომელიც უკვე გაშორებული იყო კომპოზიტორსა და ჯაზმენ მორის გუდეის და რომანი ჰქონდა ცნობილ ზანგ მსახიობ და მომღერალ პოლ რობსონთან. 1935 წელს იოლანდა და მიხეილი მონტე-კარლოდან პარიზში ერთად ჩავიდნენ, 1936 წელს კი მონაკოში იქორწინეს. რამდენიმე წელიწადში იოლანდა გაშორდა მიხეილს, მაგრამ სიკვდილამდე შეინარჩუნა კეთილი ურთიერთობა და ქმრის გვარი. მიხეილის ხანმოკლე რომანი ბარონესა გიზელა ფონ კრიგერთან მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა, გიზელა ბერლინში დაბრუნდა, მიხეილი კი საფრანგეთის არმიის ერთ-ერთ ნაწილში ჩაეწერა. სხვა ქართველი ემიგრანტების მსგავსად მასაც იმედი ჰქონდა, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირის მოკავშირე გერმანიის დამარცხება ხელს შეუწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ სულ მალე თავად საფრანგეთი დამარცხდა, დაჭრილი მიხეილი კი გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შემდეგ, 1941 წლის ივნისში მიხეილი ტყვეთა ბანაკიდან გაათავისუფლეს. საქართველოს გამოხსნის სურვილმა იგი ახლა გერმანელებთან მიიყვანა. ჯერ „თამარ II"-ში ჩაირიცხა, შემდეგ – „ბერგმანში." კავკასიიდან გერმანელთა უკანდახევის შემდეგ ჯერ ნიცასა და მონტე-კარლოში ცხოვრობდა, მერე პარიზში დაბრუნდა. 1947 წელს კაბარე „დონ ჟუანის" მმართველი გახდა, 1950-იან წლებში ავტომობილებით ვაჭრობა დაიწყო. 1955 წელს ცოლად შეირთო ცნობილი მხატვრის საველი სორინის ქვრივი, ალექსანდრე შერვაშიძის „შვილობილი" ანა ვალოვა-სორინა. ალექსანდრე შერვაშიძის წყალობით მიხეილი მანამდეც ტრიალებდა წარჩინებულთა წრეში, ამ ქორწინების შემდეგ კი ეს კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდა. ელიტარულ ქრონიკაში წყვილს ხშირად მოიხსენიებდნენ მონაკოს პრინც რენიე II-სა და მისი მეუღლის, გრეის კელის, საბერძნეთის პრინც ანდრიასა და სხვა არისტოკრატთა გვერდით.

1960-იან წლებში მიხეილი შერვაშიძე რესტორან „რუსული პავილიონის" მფლობელი გახდა. აქ იგი ხვდებოდა მაშინდელ ელიტას: მსახიობებს, რეჟისორებს, მწერლებს, კინოპროდიუსერებს – ჯინა ლოლობრიჯიდას, სოფი ლორენს, რომი შნაიდერს, მიშელ მორგანს, მარინა ვლადის, რომენ გარის, ჟოზე კასელის, ალენ დელონს, რომან პოლანსკისა და სხვებს. მოგვიანებით კაბარე „ნოვი" შეიძინა. სა-

ქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავის, მარინა მხეიძის დახმარებით, დედა მოძებნა და წერილიც მიიღო, მაგრამ ბოლო გზაზე გაცილება და სამშობლოში დაბრუნება არ ეღირსა – გარდაიცვალა 1977 წელს. ამ ოჯახის წევრები სხვადასხვა კონტინენტებზე განისვენებენ: ჯოტო შერვაშიძე – თურქეთში, ვლადიმერი (ძიკი) – არგენტინაში, მიხეილი – საფრანგეთში, მაიონა ანჩაბაძე – საქართველოში.

ნატო მარშანიას წიგნის მომდევნო თავი „შერვაშიძეების საოცარი ლამაზმანები“ მართლაც საოცრად ლამაზ, დახვეწილ და არისტოკრატ აფხაზ ემიგრანტ ქალბატონებს ეძღვნება: პოეტთა მუზას და კოკო შანელის მოდელს მერი შერვაშიძე-ერისთავს, მის ტყუპ დებს – ელენე შერვაშიძე-ხომიაკოვას, თამარ შერვაშიძე-ზარნეკაუს, ბიძაშვილებს – ელენე (ლილი) შერვაშიძე-სოლოგუბს, აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ქალიშვილს ბარბარე (ბაბო) შერვაშიძე-მეიენდორფს. მოთხრობილია ამ ქალბატონების ცხოვრება, მათი მეუღლეების, ოჯახის წევრების, შთამომავლების ბიოგრაფიების საინტერესო დეტალები, მათ შორის პრინცი ოლდენბურგელ-ზარნეკაუსა და აგრაფინა ჯაფარიძის სიყვარულის საოცარი ისტორია. ამ ხუთი ქალბატონის გარდა ავტორი კიდევ ერთ ქალს გვაცნობს – სოფიო შერვაშიძეს თუ შარაშიძეს, მართლა თავადის ასულს თუ თვითმარქვია-ავანტურისტს.

ბოლო თავში „წინაპართა ნაკვალევზე“ ნატო მარშანია მოგვითხრობს ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნების, კაც მარღანიას (მაანის) ცხოვრებას (1766-1866) აფხაზეთის ისტორიის ფონზე, მისი შთამომავლების წარმატებებს უცხო ქვეყანაში, ოსმალეთის ბოლო სულთნების აბდულ-ჰამიდ I-ის, აბდულ-ჰამიდ II-ისა და მუჰამედ VI ვაჰედედდინის აფხაზი ცოლების – სიზკარ ჰანიმ ეფენდის (მაანის), რაბია ემხას (ემუხვარის), ფატმა ჰესენდ ჰანიმ ეფენდის (აჩბას), სალიხა ნაჯიე ჰანიმ ეფენდის (ანქვაბის), ფატმა შარვაშიძის (ჩაჩბას) – მუჰამედ VI-ის დედის, ბეჰიჯე მაანის (მარღანიას), ემინე ნაზიქუდა კადინ ეფენდის (მარშანიას) საოცარ და ტრაგიკულ ისტორიებს. მოთხრობილია ოსმალეთის აფხაზ თანამდებობის პირთა შესახებაც: მუჰამად-ფაშა სენატორი და ადმირალი იყო, მისი ვაჟი რაუფ-ბეი ორბაი (აშხარუა) თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი, ათათურქის მთავრობაში – პრემიერ-მინისტრი, შემდეგ კი ეროვნული კრების დეპუტატი, ათათურქის ადიუტანტი იყო აჩბა (ანჩაბაძე). ნაშრომში საუბარია თურქეთში დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის წევრზე დავით (ბოძღო) ემუხვარზეც.

ამ თავის დასასრული – ავტორის შეხვედრა სტამბოლში თავის შორეულ ნათესავებთან, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ერთგვარად კრავს და აერთიანებს წინა თავებს, წარსულსა და აწმყოს, სამშობლოში დარჩენილებსა და ემიგრაციაში წასულებს, საზღვრის იქით და აქეთ მცხოვრებთ და მათ შთამომავლებს.

სარეცენზიო წიგნში შეტანილი სახელებისა და ისტორიების სიმრავლე, გამოყენებულ ლიტერატურასა და საარქივო დოკუმენტებთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ ნატო მარშანიას უამრავი მასალა დაუგროვდა, რომელიც ნაშრომში ვერ მოხვდა. იმედია, მუშაობას გააგრძელებს და, ახალ მასალებთან ერთად, კიდევ ერთ საინტერესო გამოკვლევას შემოგვთავაზებს.

გივი ლამბაშიძე, ომის დღეები. მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ. წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დიმიტრი სილაქაძემ, თბ., 2017.

მარიამ მარჯანიშვილი, ჯანესი – ქართველი ემიგრანტი, თბ., 2016.

მიხეილ ბახტაძე, გენერალი ილია ოდიშელიძე, თბ., 2017.

მიხეილ წერეთელი, საქართველო ილიას შემდეგ. სტატიების კრებული (შემდგენელი და რედაქტორი მალხაზ მაცაბერიძე), თბ., 2016.

ნიკოლოზ მათიკაშვილი, იუნკრები და სხვები. შეადგინა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ლალი ცომაიამ. წინასიტყვაობა პაატა ნაცვლიშვილისა, თბ., 2016.

60 ამბავი. უცხოეთში დაკარგული ქართველები. შეადგინა ალექსანდრე მიქაბერიძემ, თბ., 2017.

ტიერი ბერიშვილი, ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953. ძირითადი ორიენტირები, თბ., 2017.

ქრისტინე ფაღავა-ბულეზი, ერთი უჩვეულო ოჯახი, თბ., 2017.

2016 წ.

მარტი-აპრილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა (ლევან თაქთაქიშვილი, ნანა სოფიო ბურდული, ნათია კობახიძე) ძალისხმევით, ლევილის მამულში ქართული ბიბლიოთეკა მოეწყო, აღიწერა „შატოში" დაცული არქივი, გაციფრდა მრავალი საინტერესო ფოტო და გაკეთდა ქართველთა სათვისტომოს საფლავების ფოტოთეკა. პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

სექტემბერი

ლევილის მამული საქართველოს გადმოეცა.

ოქტომბერი

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში მოეწყო შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა სახელწოდებით „შოთა რუსთაველი და ქართული ემიგრაცია"

ჯული გაბოძე – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რუსუდან დაუშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შოთა ვადაჭკორია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მაია ვარსიმაშვილი-რაფაელი – უნივერსიტეტი პარიზი 10-ის მეცნიერ-თანამშრომელი

რუსუდან კობახიძე – თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელი

ნანა ლომიძე – ჟურნალისტი, საზოგადოებრივი რადიოს პროექტების – „გზა" და „მიგრაციის მარშრუტების" ავტორი

გიორგი მამულია – საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევების უმაღლესი სკოლის დოქტორი

მარიამ მარჯანიშვილი – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

პაატა ნაცვლიშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ლელა სარალიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეთერ ქავთარაძე – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი

ლალი ცომაია – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

დოდო ჭუმბურიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოთარ ჯანელიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი